ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია: ქართველები და გარე სამყარო

†
მარინე ცინცაბაძე

ტომი I

ქართველი ტომები

ძვ.წ. VII – ძვ.წ. I ათასწლეულებში

2009

სარჩევი

ავტორის წინასიტყვაობა — 3

თავი 1 " აია-კოლხეთი" — 13

თავი 2 "უძველესი ქართველი ტომები" — 37

თავი 3 "ქართველი ტომები მსოფლიო მიგრაციულ პროცესებში" — 67

თავი 4 " ქართული სამყარო (ძვ.წ. VII – ძვ.წ. I სს.) — 146

რეზიუმე: ქართულ ენაზე — 186

ინგლისურ ენაზე — 187

რუსულ ენაზე — 188

ილუსტრაციები

ISSN 1987-7714
ISBN 978-9941-0-1460-4

აეტორისაგან

XXI საუკუნეში არსებულ მსოფლიო გლობალიზაციურ პროცესებში ყველა ქვეყნის მონაწილეობა – გარდაუვალი ფაქტია. ამავე დროს, მასში საკუთარი ნიშით ჩართვა არის შესაძლებლობა თვითინდეფიკაციის დაცვისა. ქართული სახელმწიფოს მიერ იდენტიფიკაციის დაცვა მოითხოვს თავისი კულტურული ღირებულებების გაცნობიერებას, როგორც საშუალებას ამ პოტენციალის სრული ამოქმედებისათვის. XIX საუკუნეში ევროპის სამეცნიერო წრეებში (XX ს-ში რუსეთში), კულტურის ისტორიის საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული ინტერდისციპლინარული ანუ დარგთაშორისი კელევების მეთოდი, რომელიც გულისხმობს, კულტურის საკითხებთან დაკავშირებულ ჰუმანიტარული დარგებში (არქეოლოგია, ისტორიოგრაფია, ეთნოლოგია, ენათმეცნიერება, ლიტერატურის ისტორია და სხვა) არსებულ მონაცემთა შეჯერება-გაერთიანების საფუძველზე კულტურის განვითარების სრული სურათის წარმოდგენასა და კულტურული ღირებებულების გაანალიზებას საერთო ისტორიულ კონტექსტში.

ამ ნიშნით დღემდე არ არის შეფასებული არც ქრიატიანობამდელი და არც ქრიატიანობის პერიოდის ქართული კულტურა. კერძოდ, საქართველოში არ გამოცემულა "ქართული კულტურის ისტორიის" ერთგვარი სახელმძღვანელო, სადაც ერთიან სისტემად იქნებოდა გაანალიზებული ქართული კულტურაში არსებული ღირებებულები – განხილული ქართულ კულტურასთან დაკავშირებული ჰუმანიტარულ დარგებში არსებული სამეცნიერო შრომების, ნივთიერი მასალისა და წერილობითი წყაროების ჩვენების საფუძველზე, ასევე მსოფლიო ცივილიზებული სამყაროს კონტექსტის გათვალისწინებით. ჩვენ არ ვგულისხმობთ თეორიული ხასიათის გამოკვლევებსა და ქართული კულტურის ისტორიასთან დაკავშირებულ ცალკეულ სამეცნიერო დარგებში არსებულ დიდი რაოდენობის ფუნდამენტურ ნაშრომებს, რომელთა გააზრება ერთი ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს აღემატება. გარდა ამისა, ლამაზად შეფუთულსა და ფოტომასალით აჭრელებულ თანამედროვე გამოცემებს, სადაც არ არის ასახული ის აზრობრივი პროცესები, რომელიც უნდა ახლდეს კულტურის თითოეული ძეგლის შექმნას. ამ მხრივ, საქართველოს ფარგლებს გარეთ ინფორმაცია უძველესი პერიოდის ქართული კულტურის შესახებ, ძირითადად ცალკეული დარგების სახით არის წარმოდგენილი, რომლის დროს შესაძლებელია სახელდებოდეს "კავკასია", ან "აფხაზეთის", ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" (შიდა ქართლის) ტერიტორიებზე მოძიებული უძველესი ნივთიერი მასალა, მაგრამ თვით მათი შემქმნელი ხალხის ვინაობა არც კი იყოს ნახსენები. ამავე დროს, საქართველოში გამოცემულ თანამედროვე

მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებულ ნათარგმნ უამრავ ენციკლოპედიებსა თუ ატლასებში, საქართველოს თავისი ადგილი ვერ მოეძებნა. აქედან გამომდინარე, მათს ქართულ გამოცემებს ადრესატი არ ჰყავს და ეს ხდება იმ პირობებში, როდესაც ქართული კულტურის სხვადასხვა დარგში წარმოებული კვლევის შედეგები ძირითადად არ არის ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. ამდენად, საქმე გვაქვს ერთგვარ საინფორმაციო ვაკუუმთან, რომლის შედეგად არც საქართველოს ფარგლებს გარეთ და არც საქართველოში მცხოვრები საზოგადოება მოკლებულია ცოდნას იმ სულიერი სიმდიდრის შესახებ, რომელიც ქართველმა ერმა შექმნა უძველესი ათასწლეულებიდან. საქართველოს წარსული არა მარტო ბრძოლების ისტორიაა, არამედ კულტურის ისტორიაცაა, როცა ქართველი თავისი კულტურული სახის შექმნისა და მისი გადარჩენისას, ამ საშუალებითაც იბრძოდა თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქე, უპირველესად ქართველი, უნდა იცნობდეს თავისი ქვეყნის კულტურის ისტორიას. გარდა ამისა, მომავალმა თაობამ თუ გვინდა რომ დაიკეროს, თუ რა შეუძლია და რა პოტენცია გააჩნია ქართულ გენს თავისი თვითმყოფადი სახის შენარჩუნებისას და რა გზა გამოიარა დღემდე, უფროსმა თაობამ უნდა ვიზრუნოთ ამისათვის. ჩვენს მიერ შემოთავაზებული პუმანიტარული მეცნიერების დარგების სერია: "ქართველები და გარე სამყარო", ქვეყნდება წიგნი პირველის სახით, შემდეგი სათაურით – "ქართველი ტომები ძვ.წ. VII – ძვ.წ. I ათასწლეულებში", რომელიც ამ პრობლემის განხილვის მოკრძალებულ ცდად არის განსაზღვრული.

ᲕᲘᲜᲐᲗᲛᲪᲝᲜᲐ

ჩვენი გამიკვლევის მიზანია წარმოგიდგინოთ ქართველ ტომები და მათი ადგილი კულტურულ სამყაროში. ამისთვის თავი მოვუყარეთ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ სხვადასხვა სამეცნიერო დარგებში (არქეოლოგია, ეთნოლოგია, ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება, ფოლკლორისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა და სხვა) არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას. უნდა აღინიშნოს, რომ იყო შემთხვევები უცხოელ მეცნიერთა აღმოჩენების უმისამართოდ დარჩენისა, როდესაც ევროპელ მეცნიერთა წინაშე (რ.ფორბსი, ლ. ეიჩისონი) იდგა პრობლემა ევროპაში მეტალურგიის დარგის აღმოსავლეთიდან შემოტანის დადგენისას. კერძოდ, მსოფლიოში რკინის პირველმწარმოებლებად დასახელებული იყვნენ მცირე აზიაში მცხოვრები ხალიბები (ხალდები), თუბალები, და მოსინიკები. მაგრამ ევროპამ არ იცოდა ქართველური მოდგმის ამ ტომთა შესახებ, თუ ვინ იყვნენ ისინი და რა კულტურის მატარებელი იყო ეს ხალხი, ცხოვრობდა თუ არა მათი მემკვიდრეები თანამედროვე რეალობაში. ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ასევე უძველესი წერილობითი ძეგლების გაშიფრვისა და ხელოვნების ნიმუშების წარმომავლობის დადგენისას.

უაღრესად რთულია და ამავე დროს მნიშვნელოვანია ხალხთა უძველესი ისტორიის წარმოდგენა. სირთულე მდგომარეობს უპირველეს ყოვლისა იმ მხრივ, რომ ხალხთა მიგრაციის შედეგად ახალი კულტურების წარმოქმნამ განაპირობა უძველესი შრეების გადაფარვა. ხშირ შემთხვევაში ძლევამოსილმა სახელმწიფოებმა შეისისხორცა დაპყრობილი ქვეყნების კულტურული მონაპოვრები და შემოინახა ისინი ასიმილირებული სახით, ამით მათ მიენიჭათ ერთგვარი უნივერსალური ხასიათი. ამ მხრივ ქართველ ტომების მიერ შექმნილი მთელი რიგი დარგები თანამედროვე ცივილურ ყოფაში უნივერსალური სახით განაგრძობენ თავიანთ სიცოცხლეს.

საკითხი დგას შემდეგნაირად: რა ფაქტობრივი მასალა არსებობს უძველეს ათასწლეულებში მცხოვრები ქართველი ტომების შესახებ? შუამდინარეთი ქართველ ტომთა განსახლების უძველეს კერად არის დასახელებული. ქართველების ყოფნა შუამდინარეთში (თანამედროვე ერაყი) დაადასტურა ფრანგების მიერ 1877 წელს ქ. ბასორის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებულმა აღმოჩენამ, სადაც ძვ.წ. VIII–VII ათასწლეულებში ცხოვრობდნენ ქართველოა მონათესავე ტომი – ქალდეველები, ასევე ძვ.წ. V ათასწლეულში შუამდინარეთში ლაპარაკია ქართველთა გაერთიანების "ქიანა-ენგურის" (ენქის ანუ ენგურის) ქვეყნის არსებობის შესახებ, დედაქალაქით ურით, რომელიც მდებარეობდა მდინარე ბურანუნუს (ბერძნულად "ევფრატის") ქვემო წელში. ქართველ ტომთა კულტურული ურთიერთობა

შუამდინარეთის ცივილიზაციასთან გამოვლენილია ქართული ასომთავრული ანბანის შუმერულ ანბანთან შედარებისას, ასევე ლექსიკური და შინაარსობლივი მსგავსება ჩანს შუმერულსა და ქართულს (მეგრულ-სვანურსა) სიტყვებს შორის. საინტერესოა, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს ქალდეველებს უკვე ვხდებით ტრაპეზუნის (თურქეთის) მხარეში, რომლებმაც იციან თავიანთი ქართული წარმომაელობის შესახებ. ძვ.წ. VII-VI ათასწლეულები მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის ნეოლითის პერიოდში მიწათმოქმედების ჩასახვის ხანად არის აღნიშნული. კომპლექსური გამოკვლევების (ბოტანიკოსების, ეთნოლოგების, არქეოლოგების) შედეგად დადგენილია, რომ მიწათმოქმედების უმნიშვნელოვანესი პროდუქტის – ხორბლის გამოყვანის სამშობლოდ, ეგვიპტესთან ერთად, დასახელებულია საქართველოც, როგორც მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა. ბუნებრივი კლიმატური პირობების გარდა, თვით ქართველ ტომთა ე.წ. ხალხურმა სელექციამ განაპირობა მაღალი სამეურნეო ღირებულების მქონე (სწრაფად მზარდი, ყინვა და გვალვაგამძლე) ხორბლის ჯიშების გამოყვანა, რის შედეგად მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 24 ჯიშიდან 14 საქართველოში ხარობდა, მათგან 5 (კოლხური სელი, დიკა, სელტა, ზანდური) ენდემური სახეობისა იყო. გარდა ამისა, ძვ.წ. VII–VI ათასწლეულებით თარიღდება იმერეთში, ანასეული I-ში აღმოჩენილი ხორბლის მარცვლები, ასევე ამავე პერიოდს მიეკუთვნება სამიწათმოქმედო სამუშაოს ჩასატარებლად გამოყენებული სამკელი იარაღის აღმოჩენა. ამდენად, საქართველო ხორბლის ჯიშის წარმოქმნის ერთ-ერთი სამშობლოა. ქართველ ტომთა გარე სამყაროსთან ურთიერთობამ ასახვა ჰპოვა ხორბლის საკუთარი სახეობის გავრცელებისას. ასე მაგალითად ჩრდილოეთ ერაყსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (ძვ.წ. III-II ათასელეულების მიჯნა) აღმოჩენილი იქნა ხორბლის ქართული ჯიში "სელტა", ხოლო "მახა" გავრცელებული იყო ესპანეთში, ბასკეთსან. ადამიანის სოციალური ყოფასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოედგენდა მეთუნეობა ანუ კერამიკული წარმოება. ენციკლოპედიური მონაცემების საფუძველზე ეგვიპტის უძველესი კერამიკული კულტურა დათარიღებულია ძვ.წ. VI ათასწლეულის II ნახევრით, ხოლო შუმერებმა მეთუნეობის განვითარების შედეგად ძვ.წ. III ათასწლეულში გამოიგონეს ე.წ. მორგვი, როდესაც შეასაძლებელი გახდა თიხისაგან სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ნაწარმის კეთება. არქეოლოგიური აღმოჩენების თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე მეთუნეობის ანუ კერამიკული წარმოების შემდეგი სურათია წარმოდგენილი: ნეოლითურ ხანით – ძვ.წ. VII ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. VI ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება სოფელ მახვილაურის (აჭარა) ნამოსახლარში აღმოჩენილი ბრტყეკძირიანი კერამიკული

ჭურჭელი, ასევე ოდისში, კისტრიკში, ანასეულ II, გურიანთაში აღმოჩენილი უძველესი კერამიკული ნაწარმი. მსოფლიოს მეტალურგიის ისტორია ძვ.წ. VII ათასწლეულით იწყება. კერძოდ, ინგლისელი არქეოლოგის ჯ. მელაარტის მიერ ჩათალ-ჰიუიკში (ანატოლიაში, თანამედროვე თურქეთი) მეტალურგიის ნაშთების აღმოჩენამ ბოლო მოუღო ჰიპოტეზას ეგვიპტისა და ირანის მეტალურგიის სამშობლოდ აღიარებას. ამიერიდან მცირე აზია (ანატოლია) მიჩნეულია მეტალურგიის პირველშწარმოებლად. კერძოდ, ლურსმნული წერილობითი წყაროებისა და ბიბლიური მონაცემების საფუძველზე ესენი იყვნენ მცირე აზიაში მცხოვრები ქართველი ტომები: "ხალიბი" და "თობალი". მცირე აზიასა – ძირითადად ცენტრალური ანატოლიასა და წინა აზიაში ქართველ ტომების: ხალიბების, თუბალების, მოსინიკების, მაკრონების (მაკრისელების), ქაშქების, ჰენიოხების, მუშქების და სხვათა ცხოვრების შესახებ განმტკიცებულია ძვ.წ. II-I ათასწლეულების ლურსმნული წარწერებით – ხეთური, ასურული, ურარტული, ასევე, ძირითადად ბერძენ-რომაელი ავტორების წერილობითი წყაროების საფუძველზე. გარდა ამისა, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. V ათასწლეულის მეტალურგიული საამქროს ნაშთების სიმრავლე კიდევ მეტად ამყარებს ქართველ მეტალურგთა არსებობას. ამ მხრივ საინტერესოა, თუ რა სახელწოდებით იცნობს მსოფლიო ცალკეულ მადანს, ფოლადს, სპილენ-თითბერს, რკინას. ევროპაში ფოლადი – "ხალდიკოსით" აღინიშნება, რაც ქართველი მეტალურგი ტომის – "ხალდების" სახელწოდებას უკავშირდება, ხოლო ევრცხლი "პარზილუთი" და "ვარკილ"-ით მოიხსენება. ამათგან ქართულ მეტყველებაში მოიპოვება "ვარკილი-ს" მსგავსი სახელწოდება. კერძოდ, მეგრულში ვერცხლი – ვარჩხილია, სვანურში კი ვერჩხილი. თითბერს ევროპაში შემდეგი სახელწოდებები აქვს: გერმანულში – messing, ანგლო-საქსურში – mastiling, ძველ ნორვეგიულში – messing, პოლონურში – mosianz. აღნიშნულ სახელწოდებები ქართველი მეტალურგი ტომის – მოსინიკის სახელწოდებიდან მომდინარეობს. ძვ.წ. III ათასწლეულიდან იწყება ქართველი ტომების მიერ მეტალურგიის ექსპორტის გავრცელება ევრაზიის კონტინენტზე – ინგლისიდან ჩინეთამდე. ჩრდილოეთის გზით აღინიშნება წინაევროპელ ტომებში ქართველი ტომების მიერ მეტალურგიული ცოდნის ექსპორტის შეღწევა, ასევე ჩრდილოეთის გზით (თანამედროვე საქართველოდან) ქართველ ტომთა კავშირი მყარდება ჩრდილო კავკასიის ტომებთან, რის შედეგად კოლხური კულტურის გავლენა ჩანს მაიკოპურ (ადიღეს ავტონომია, ძვ.წ. III ათასწლ.) და ყობანურ (ე.წ. ჩრდოლოეთ ოსეთი, ძვ.წ. I ათასწლ.) კულტურებზე. მათ შორის აღსანიშნავია კრასნოდარის მხარეში (ადიღეთის) აღმოჩენილი ე.წ. "მაიკოპური კულტურის" ხელოვნების ნიმუშების მსგავსება

კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებთან, რომლის დროს ქართული უფრო ადრეული პერიოდისაა. აღსანიშნავია აგრეთვე, ჩრდილოეთით გზით ევროპის კონტინენზე ჩნდება მეტალუგთა დასახლებების მთელი ჯაჭვი. მათ შორის თანამედროვე ჩეხეთის ტერიტორიაზე, დევინის ნასახლარში აღმოჩენილი იქნა მეტალურგიული საამქროს ნაშთები. ექსპერტულმა დასკვნამ დადგინა, რომ მეტალურგიული ნიმუშები ადგილობრივ საბადოებშია დამზადებული, მაგრამ გამოდნობის ტექნოლოგიითა და ფორმით იგი კავკასიელ (ქართველ) მეტალურგებთან არის დაკავშირებული. სამხრეთის უშორეს წერტილში – ეგვიპტის უძველეს ცივილიზაციასთან ქართველ ტომთა ურთიერთობის შესახებ არსებობს ძვ.წ. XX–XVIII სს. და ძვ.წ. XVI ს-ის პაპირუსზე შესრულებული ძველეგვიპტური წარწერები, სადაც ლაპარაკია ეგვიპტის ურთიერთობის შესახებ "ფუსტის" ანუ "ღმერთების ქვეყანასთან". აქვე სახელდება "რაჩენი-ს" (რაჭას) და "ჯახა-ს" (ჯავას) ფარაონის მაღაროები, საიდანაც ეგვიპტელებს გაქონდათ ლითონი. უფრო მოგვიანებით – ძ.წ. II ათასწლეულში ცნობილია ბერძენი არგონავტების კოლხეთში მოსელის შესახებ "ოქროს საწმისის" (ტყავზე ჩაწერილი ოქროს მიღების წესის) მოსატაცებლად. სწორედ მეტალურგია აღმოჩნდა ძვ.წ. XIV ს-ში ეგვიპტესა და საბერძნეთს შორის დაპირისპირებულობი მიზეზი კოლხეთზე პრიორიტეტის მოსაპოვებლად. ქართულ-ბერძნული ურთიერთობის უძველესი ფესვები იკვეთება ეგეოსის ზღვის, კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე, ასევე ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე: კრეტასა და კვიპროსზე თანაცხოვრებისას. კერძოდ, კუნძული კვიპროსი იყო ქართველი მეტალურგებისათვის ის ადგილი, საიდანაც ხდებოდა მეტალურგიული ცოდნის ექსპორტი ეგვიპტეში, ფინიკიაში, სირიაში, პალესტინაში, ირანში. ექსპორტის ძირითადი საგანი იყო რკინა. ძვ.წ. II ათასწლეულს უკავშირდება მსოფლიო მეტალურგიის ისტორიაში უდიდესი მოვლენა, როდესაც პონტოს რაიონში (მდ. ჰალისი) მცხოვრებმა ხალიბებმა რკინის მიღებით დასაბამი მისცეს რკინის ფართოდ წარმოებას მთელ მსოფლიოში. ამ მხრივ პირენეის ნახევარკუნძულზე მოხვედრილმა ქართველ ემიგრანტთა (ესპანეთის იბერებმა – ბასკებმა) ერთმა ნაწილმა გადალახა ინგლისის არხი (ლამანშის სრუტე) და დიდ ბრიტანეთში საფუძველი ჩაუყარა ბრინჯაოს წარმოებას, რომლის დროს ინგლისი ქვის ხანიდან პირდაპირ გადაეიდა ბრინჯაოს ხანაში (ლ.ეიჩისონი). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია იმის შესახებ, რომ ებრაელებმა, ასევე ბერძნებმა ქართველებისაგან ისწავლეს ფოლადის დამზადება, ამიტომაც ბერძნები მას ეძახდნენ "chalibokos" ანუ ხალიბებისაგან ნასწავლს, ასევე სპილენძის მიღება-გამოყენება და ტყვიისაგან საუკეთესო ვერცხლის მიღების ტექნოლოგია. სპარსულსა და ირანულ ენებში სპილენძი "თუბალ-მეს"-ით აღინიშნება, რომელშიც ერთიანდება ქართველი

ტომების "თუბალისა" "მოსინიკების" სახელი. აქედან გამომდინარე, ქართველმა ტომებმა ცივილიზებულ მსოფლიოს უშურველად აჩუქეს მეტალუგიის დარგი, მათ შორის ქართველები რკინისა და ზოგიერთი ფერადი ლითონის პირველმწარმოებლებად არიან აღიარებულნი. თუ გაეითვალისწინებთ ქართველ ტომთა შორის მეტალურგიის დარგის აღმოცენებას, ბუნებრივად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ დაფოლადება ანუ გამოდნობა უცეცხლოდ შეუძლებელი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, მეცნიერთა ვარაუდით კაცობრიობის ისტორიაში 400 000 წ. წინათ ცეცხლის მომპოვებელ ერთ-ერთ ეთნოსად დასახელებულია ქართველი ტომებიც. ქართული სიტყვა "ღვინო" (vin) უდევს საფუძველად მსოფლიოს სხვადასხვა ენაში გავრცელებულ ამ პროდუქტს. მსოფლიოში მეღვინეობის სამშობლოდ მიჩნეულია საქართველო. ქართული მეღვინეობის დარგის არსებობის უძველესობა მტკიცდება თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ძ.წ. IV-III ათასწლეულებით მოძიებული (ვანი, მცხეთა–ბაგინეთი, ბორჯომი – სოფ. ჭობისხევი, ვარძია) არქეოლოგიური მასალა. ქართული მეღვინეობის ისტორია 500-მდე ჯიშის ყურძნის სახეობას იცნობს, რომელიც გავრცელებული იყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ძ.წ. III-II ათასწლეულებში ადგილი ქონდა ხალხთა დიდ მიგრაციულ პროცესებს. მათ შორის იყვნენ ასევე ქართველი ტომებიც "პალაზგები". "Pelazo" – ძველბერძნულად გადასახლებულს აღნიშნავს. საკითხი დგას შემდეგნაირად: ევრაზიის კონტინენტზე არსებული საერთაშორისო საეაჭრო-კულტურულ ურთიერთობაში მონაწილეობისათვის ქართველ ტომებს რა კულტურული მონაპოვრები შეეძლოთ შეეთავაზებინათ და რით უკავშირდება იგი კრეტა-მიკენურ სამყაროს, ასევე ბერძნულ ცივილიზაციას? სწორედ მეტალურგია აღმოჩნდა ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტი საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილეობისათვის. გარდა ამისა, კუნძულ კრეტაზე, რომელიც იყო ეგეოსური კულტურის ცენტრი, XX ს–ში აღმოჩენილი იქნა ძ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებული "კოლხური ოქროდამწერლობის" ნიმუში, ცნობილი "ფესტოს დისკოს" სახელწოდებით. იგი 100 წლის მანძილზე ამოუკითხავი რჩებოდა ევროპელი მეცნიერების მიერ. აღნიშნული ძეგლის ამოიკითხვა შეძლო ქართველმა მეცნიერმა გია კვაშილავამ, რომელიც აღმოჩნდა ქალღმერთ ნენანასადმი მიძღვნილი გალობის ტექსტი. იგი არის მაჩვენებელი ქართველ ტომთა მუსიკა-გალობის უძველესი ტრადიციისა. ამ მხრივ საინტერესოა ტერმინ "მუსიკა" და ქართველი სატომო სახელის "მოსი(ნი)კა–ს" ურთიერთმიმართება. საინტერესოა, რომ კოლხეთში მყოფი ძ.წ. IV ს-ში ბერძენი ქსენოფინტე თავის "ანაბაზისში" აღწერს ქართველი ტომების "მოსინიკების" უჩვეულო სიმღერის შესრულებისა და მაგიური როკვის შესახებ. ბერძნული

წყაროებიდან ცნობილია, რომ კონტინენტური საბერძნეთში მცხოვრები პელასგი ტომები ლაპარაკობდნენ ბარბაროსულ (არაბერძნულ) ენაზე. მათ შორის სახელდება მწერალი ლინოსი და მისი მოწაფეები, რომლებიც თავიანთ ენაზე თხზავდნენ ლიტერატურულ თხზულებებს და სიმღერებს. აქედან გამომდინარე არსებობდა დამწერლობაც. მეცნიერთა დასკვნებით ბერძნების მოსვლა კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე სრულდება ძვ.წ. II ათასწლეულში, სადაც მათ იქ ხვდებათ როგორც მკვიდრი მოსახლეობა – კიდორები, ლიკიელები და ეტეოკრეტელები, ისე გადმოსახლებულებიც, მათ შორის იყვნენ პელასგები, კარიელები, კაეკონები, ლელეგები, რომლის დროს ქართველ ტომს – კოლხ-პელასგებს წამყვანი ადგილი ეჭირათ. ბერძნული წყაროების თანახმად სახელწოდება "პელასგი" იხმარებოდა როგორც ქართველი ტომის, ისე ზოგადად ყველა გადმოსახლებული ტომის აღმნიშვნელ სიტყვად, მათ შორის ბერძნებისაც. ქართულ-ბერძნული ურთიერთობის შესახებ ბერძენი ავტორები აღინიშნავენ ძვ.წ. II-დან ათასწლეულებსა და ძვ.წ. I ათასწლულის დასაწყისში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ბერძნებისა და ქართველების თანაცხოვრების ფაქტის შესახებ. აღსანიშნაია, რომ ბერძნულ ტომებში ეროვნული ცნობიერება ყალიბდება დაახლოებით ძვ.წ. VIII საუკუნიდან, როდესაც ისინი ხმელთაშუაზღვისპირეთში იწყებენ კოლონიზაციის პროცესს, ხოლო ძვ.წ. VII საუკლუნიდან – შავიზღვისპირეთში. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ფინიკიური ანბანის საფუძველზე ბერძნული ანბანი შექმნა. აღსანიშნავია, რომ, უძველესი ცივილიზაციების შეთვისების საფუძველზე ბერძნულ სამყაროში მწერლობისა და ხელოვნების დარგების ჩამოყალიბებისას, ბერძნული ლიტერატურის სიუჟეტებად ძირითადად აღებულია კოლხური სამყარო. ქართულ ფოლკლორისტიკაში ამირან-პრომეთეს მითის ანალიზის შედეგად დადგენილია ამირანის თქმულების როგორც პრომეთეს მითის საწყის ვერსიად აღიარება, სადაც ამირანის მსგავსად პრომეტეც, ადამიანისათვის ზეციდან ცეცხლის ჩამოტანისათვის, რატომლაც დასასჯელად კავკასიონის ქედზე იქნა მიჯაჭვული, ასევე ბერძენი მწერლებისათვის "ოქრომრავალი კოლხეთის" სამყაროდან აღებული მთელი რიგი თემები: ოქროს საწმისის, არგონავტების შესახებ, ასევე კოლხეთის მეფის ასულის მედეასადმი მიძღვნილი 200-მდე თხზულებისა და მედეას მამიდის - კირკესთან (ოდისევსის ერთ-ერთი ცოლი, იგივე ცირცეა) დაკავშირებული ისტორიული რეალიები, საფუძველი გახდა ბერძნული ლიტერატურული თხზულებების შესაქმნელად. ამავე დროს, ბერძნული ისტორიული თხზულებებისა და მითოლოგიის საფუძველზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების საფუძველზე რეალურად შეგვიძლია დავინახოთ ბერძნების ინტერესი კოლხ-ქართველთა კულტურული მიღწევისადმი: ეს არის "ოქროს საწმისის" მოსატაცებლად საბერძნეთიდან

არგონავტების მოსელა კოლხეთში, რომელიც ფაქტობრივად ოქროს მიღების წესის საიდუმლოების გახსნას ისახავდა მიზნად, რომელიც კოლხების მიერ ცხერის ტყავზე იყო ჩაწერილი (აქედან "ოქროს საწმისის" ისტორია). გარდა ამისა, ბერძნების ინტერესი კოლხეთის სამეფოსადმი გამოხატული იყო არა მარტო მეტალურგიული ცოდნის მიღებით, არამედ სახელმწიფოებრივი ძლიერებისათვის საზღვაო ფლოტისათვის საჭირო მასალის სარგებლობით: ხე-ტყის, აფრებისათვის კოლხური სელისაგან დამზადებული ტილოს, ფიჭვისაგან დამზადებული წებოს, ასევე კოლხთა საზღვაო ნავიგაციის, მათ შორის კარტოგრაფიის ცოდნის ათვისებით, საზღვაო რეწვისათვის საჭირო ლითონისაგან დამზადებული მასალის (ქარპუნების, ანკესების) მოპოვებით. საბერძნეთის ისტორიაში ძ.წ. XIII –IX სს. "ბნელ ხანად" არის მიჩნეული, რომლის დროს ხდება ბარბაროსთა აჯანყება და კოლხ-პელასგებისა, ასევე, კარიელების გამოდევნა კონტინენტური საბერძნეთის ტერიტორიიდან. ამის შემდგომ პელასგებს ვხვდებით კუნძულ კრეტასა და კვიპროსზე, ასევე კონტინენტური იტალიის ტერიტორიაზე. ბერძნული ლიტერატურის არაერთი წყარო აღნიშნავს პელასგებისა და ეტრუსკების ნათესაობის შესახებ. ძ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე აპენინის ნახევარკუნძულზე თავს იყრის ქართველ მიგრანტთა ორი ტალღა (რ.გორდეზიანი), რომლის საფუძველზე იტალიის კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთით ჩნდება ეტრუსკების (მეგრულში "გენეტრუსკუ" ნიშნავს გადასახლებულს, ასევე "Tuski" – თუშს) დიდი გაერთიანება. ეტრუსკები ხმელთაშუა ზღვის აუზში განთქმული ზღვაოსნები იყვნენ, რომლებმაც შექმნეს იტალიის კონტინენტზე სრულიად განსხვავებული კულტურა. აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე მოღწეულია თავისებური ბერძნულ-ფინიკიური ანბანით გაწყობილი ეტრუსკული ტექსტები, რომელთა გაშიფრეა ბერძნულ ენაზე შინაარსობლივად ხშირად გაუგებარი რჩებოდა. ქართველი მეცნიერების მიერ ეტრუსკული ტექსტების ქართულ (მეგრულ-სვანურზე) ენასთან შედარებისას მასში ჩანს ეტრუსკულთან დიდი მსგავსება. გარდა ამისა, კონტინენტურ იტალიაში ქართველთა კვალი ჩანს ტერამარინების (ხელოვნური ბორცვების) გათხრების დროს კოლხური კერამიკის აღმოჩენისას, რომელიც დღეს დაცულია ქალაქ ვერონას მუზეუმში. ძ.წ. II ათასწლეულს უკავშირდება ქართველ ტომთა დასახლება კონტინენტური ესპანეთის მიწაზე, რომელსაც რომაელების მიერ ესპანეთის დაპყრობამდე (ახ.წ. III საუკუნე) "იბერიის" ნახევარკუნძულის სახელწოდება ჰქონდა. ქართველ ტომთა ესპანელ იბერებთან – ბასკებთან ურთიერთობას ადასტურებს ქართული ლიტერატურული წყაროები, ასევე არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად მიღებული პალეონთროპოლოგიური და სამედიცინო დასკვნები. გარდა ამისა, დიდი მსგავსება ჩანს ენობრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებული მსგავსება – ბასკებისა და

დასავლეთ საქართველოს სოფლებს შორის. ძვ.წ. I ათასწლულისათვის სრულიად იცვლება ქართველ ტომთა განსახლების არეალი. ამასთან დაკავშირებით გამოკვლევა შეიცავს ფაქტობრივ მასალას ძვ.წ I ათასწლეულების პერიოდში იმ დიდი გაერთიანებების შესახებ, რომლებიც წარმოიქმნენ ქართველ ტომთა დასახლებულ ტერიტორიებზე. აქედან გამომდინარე, უძველეს ათასწლეულებში ქართველ ტომთა შორის მრავალრიცხოვნება და ვრცელ ტერიტორიებზე მათი განსახლება ძვ.წ. I ათასწლეულის ლოკალიზებული იქნა საქართველოს საზღვრებში, რის შედეგად დიდი რაოდენობა მიგრანტებისა სამუდამოდ რჩებიან საქართველოს ფარგლებს გარეთ. მიუხედავად უდიდესი დანაკარგებისა, ქართველმა ტომებმა ძნელბედობის ქარტეხილებში შეინარჩუნეს თავისი კულტურული სახე და რუდუნებით უანდერძეს შთამომავლობას თვითმყოფადი კულტურა.

ამდენად, წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა ლაპარაკობს უძველეს პერიოდში არსებულ დიდ მიგრაციულ პროცესებზე, მათ შორის მსოფლიო კულტურულ-სავაჭრო სისტემაში ქართველ ტომთა წელილის შესახებ, რომელიც განპირობებული იყო კულტურული ცხოვრების მაღალი დონის არსებობით. კერძოდ, სამეცნიერო დასკვნების გათვალისწინებით შეგვიძლია თამამად ვაღიაროდ, რომ ქართველებს უძველესი ათასწლეულებიდან გააჩნდათ თავიანთი "ნიშა" საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა წამყვან სფეროში: მიწათმოქმედების (ძვ.წ. VII ათასწლეული), მეტალურგიის (ძვ.წ. VII ათასწლეული), მეთუნეობის (კერამიკის, ძვ.წ.VII-VI ათასწლეულები), ზღვაოსნობის (ძვ.წ. VI–V ათასწლეულები), მელვინეობის (ძვ.წ. V ათასწლეული), მანუფაქტურის (ქსოვილა და ქარგვის სახით – ძვ.წ. V ათასწლეული), ოქრომჭედლობის (ძვ.წ. III ათასწლეული), მედიცინის (ძვ.წ. II ათასწლეული), სამღებრო წარმოების (ძვ.წ. II ათასწლეული), კარტოგრაფიის (ძვ.წ. II ათასწლეული, კოლხური კირბების სახით), იეროგლიფური დამწერლობის (ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი), მუსიკის ტრადიცია (ძვ.წ. II ათასწლეული). ძვ.წ. II ათასწლეულში მცირე აზიაში მცხოვრები ქართველი ტომის "ხალიბის" მიერ რკინის შემოლებამ გადატრიალება მოასდინა ცივილიზებულ სამყაროში, რომელიც გავრცელებული იქნა მთელ ევრაზიის კონტინენტზე. სწორედ უძველეს ათასწლეულებში ქართველ ტომთა კულტურული განვითარების მაღალი დონე იყო გარე სამყაროსთან მათი ურთიერთობის საფუძველი. წარმოდგენილი ინფორმაცია წიგნში განმტკიცებულია სამეცნიერო ლიტერატურის მითითებებითა და შესაბამისი სამეცნიერო დასკვნებით, რომლის დროს თანდართულია სხვადასხვა სახის ცნობები, რუკები, ფოტო-ილუსტრაციები, შორეული წარსულის აღდგენისა და ქართველების მიერ შექმნილი კულტურული ღირებულების წარმოჩენის მიზნით.

მარინე ცინცაბაძე

ია — კოლხეთი

* * *

XXI საუკუნე არის მსოფლიო გლობალიზაციის ურთულესი ეპოქა თავისი მოულოდნელი შედეგებით. ამ ნიშნით ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე მდებარე საქართველო არის ნიმუში უძველესი დროიდან მსოფლიოში მიმდინარე კულტურულ ურთიერთობათა პროცესებში აქტიური მონაწილეობისა, რომელმაც შეძლო შეექმნა და გადაერჩინა თავისი თვითმყოფადი კულტურა.

არსებობს ფრანგი ფილოსოფოს-ეკლექტიკოსის, ვიქტორ კუზენის ერთგვარი ფორმულა – ადამიანის და ქვეყნის დახასიათებისა: " მომეცით მე ქვეყნის რუკა, მისი მდებარეობა, მისი ბუნებრივი პირობები, მისი წყლები და მისი ფიზიკური გეოგრაფია. მომეცით მისი ბუნებრივი პროდუქტები, მისი ფლორა და მე ჩემს თავზე ვიღებ ვალდებულებას წარმოვთქვა " a priori " - როგორი იქნება ადამიანი ამ ქვეყნიდან და რა როლს თამაშობს ეს ქვეყანა მსოფლიოს ისტორიაში არა ცალკეულ შემთხვევაში, არამედ ყველა დროში .."[1] ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობით გამორჩეული ე.წ. კავკასიის რეგიონი განიხილებოდა როგორც "ხალხების გზა", "ენების მთა", თავისებური "ეთნოლოგიური მუზეუმი". მასში შემავალი საქართველო დღესაც გლობალიზაციის პრობლემათა ერთ-ერთ ეპიცენტრად მოიაზრება. ამ მხრივ უძველესი ქართული კულტურა და გარე სამყაროსთან ქართველ ტომთა კულტურული ურთიერთობანი ბევრი მნიშვნელოვანი დასკვნის საშუალებას იძლევა. არსებობს კულტურის შემსწავლელ მეცნიერთა – კულტუროლოგთა სხვადასხვა თვალსაზრისი ქართული კულტურის შესახებ. კერძოდ, XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე წარმოიქმნა ხუთი შეხედულება: 1. საქართველო – ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზებული ერების ბალკანურ-კავკასიური ტიპია; 2. იგი მარგინალური – ცივილიზაციათაშორის კულტურათა დიალოგის ზონაა; 3. კავკასიის სუბლიმაციური ნაწილია; 4. აღმოსავლურქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილია; 5. დასავლური ცივილიზაციის ნაწილია [2]. აღნიშნული ჩამონათვალი ცხადყოფს არა მარტო ქართული კულტურის მრავალფეროვნებას, არამედ ქართული ცივილიზაციის კუთვნილებისადმი ერთგვარ გაურკვევლობას. გარდა ამისა, იგი ეხება ქართული კულტურის ისტორიის სხვადასხვა პერიოდს და არ არის გააზრებული მისი განვითარების ერთიანი პროცესი, რომლის დროს ქართული კულტურა განიცდიდა ცვლილებებს.

---

1. Г. Гаккен, Критика немецкой геополитики, М., 1960, ст. 27.

2. ნ. ჩიქოვანი, საქართველო ცივილიზაციის გზაჯვარედინზე, იხ. კრებული: კავკასიის მაცნე, №3,2001,გვ.158.

თანამედროვე გადასახედიდან უძველეს ეპოქებში ნებისმიერი ქვეყნის გარე სამყაროსთან ურთიერთობის გასარკვევად უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიო მიგრაციული პროცესები და მასთან ბუნებრივად დაკავშირებული კულტურული ურთიერთობანი, რომლის დროს, უპირველესად, აუცილებელია ნივთიერი მასალისა (არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოლოგიური) და წერილობითი საბუთების ჩვენება, ასევე წარსული ეპოქიდან ენაში შემონახული სიტყვებისა და სხვა ენიდან შემოსული ლექსიკური მსგავსებათა გამოვლენა. გარდა ამისა, კონკრეტული ეთნოსის ან ქვეყნის კულტურის გარკვევა უფრო გასაგები ხდება მსოფლიოს ცნობილი მოწინავე კულტურებთან შედარების საფუძველზე. ამავე დროს, საჭიროა იმ ქვეყნების ისტორიის ზოგადი მიმოხილვაც, რომელთანაც ამ ეთნოსს ჰქონდა ისტორიული კავშირი. სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა უფრო ეფექტური იყო, თუ ქვეყანას ჰქონდა ბუნებრივი პირობები: სახმელეთო, საზღვაო, სამდინარო გზები. გარდა ამისა, ქვეყანასა და მასში მცხოვრებ ხალხს თავისი პოტენციალის ასამოქმედებლად სჭირდებოდა კიდევ სამი ძირითადი კომპონენტის არსებობა: რკინის დამუშავება ანუ მეტალურგია, დამწერლობა და სამიმოქცევო ვალუტა. საინტერესოა ამ მხრივ, რა მასალას იძლევა უძველესი პერიოდის ქართული სინამდვილე.

საქართველომ არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ენათმეცნიერული, ისტორიულ-გეოგრაფიული, ეთნოლოგიური, წერილობითი წყაროებისა და სხვა მონაცემებიდან გამომდინარე უწყვეტი განვითარების პრინციპით განვლო კაცობრიობის ევოლუციის ყველა ეტაპი: კერძოდ, "აფრიკიდან წამოსული პირველყოფილი ადამიანი აღმოსავლეთისაკენ მიემართება და დაახლოებით 1,7 – 1,8 მილიონი წლის წინ ჯერ საქართველოში, კონკრეტულად, დმანისში დამკვიდრდება და შემდეგ გავრცელდება როგორც ევროპისაკენ, ისე აზიისაკენ" [3]. ამდენად, საქართველოს ტერიტორიაზე ადრევე იწყება ცივილიზაციის პროცესი და ამავე დროს იგი ხდება ევროპეიდული რასის ჩამოყალიბების სამშობლო. ქართველი ტომები ყოველთვის იყვნენ მოწინავე კულტურებთან ინტეგრირებული. ქართული კულტურის პარადიგმის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისობრიობაა მისი გახსნილობა თავისი მიღწევების გაცემისა და სხვა კულტურების მიღების თვალსაზრისით.

ქართულ კულტურაზე საუბრისას უმნიშვნელოვანესი საკითხია მისი ურთიერთობა გარე სამყაროსთან, რომელიც გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ: კაცობრიობის განვითარების რომელი პერიოდიდან იწყებს ქართული კულტურა

---

3. მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია. ენციკლოპედია+ ინტერნეტი. (ინგლისურ ენაზე გამოიცა 2000 წ.) ქართული თარგმანი თბ.,2006; დ. ლორთქიფანიძე, ბუნებრივი გარემოს ევოლუცია. სამხრეთ კავკასია და ადრეული ქრისტიანობის განსახლების ძირითადი ეტაპები, საკანდიდატო დისერტაცია, თბ.,2001;

თავის განვითარებას, რა თვისობრიობით ხასიათდება, რა შეითვისა მან სხვა კულტურებთან ურთიერთობისას ახალი და რა შექმნა თავისთავადი. უნდა ითქვას, რომ ქართულ კულტურაში გამოვლენილი ქართველი ეთნოსის თვისობრიობა – მისი გახსნილობა სხვა კულტურის მიღწევათა მისაღებად არასოდეს ნიშნავდა სხვისაგან კოპირებას. აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის თქმით, აღნიშნული პროცესი ხდებოდა ერთგვარი "გაქართულების" გზით, რადგან არსებობდა საოცარი ერთგულება თავისი კულტურული ტრადიციების მიმართ. თანამედროვე ქართველ მეცნიერთა გამოკვლევების საფუძველზე შესაძლებლობა გვაქვს წარმოვადგინოთ ის მატერიალურ-კულტურული ღირებულებები, რომლებსაც ქმნიდა ქართველი ადამიანი უძველესი დროიდან. მიუხედავად ამ მიღწევებისა, გასაკეთებელი ძალიან ბევრია. უპირველეს ყოვლისა საჭიროა განვთავისუფლდეთ ჩაკეტილობისაგან და გავაერთიანოთ ძალისხმევა მსოფლიო კულტურულ კონტექსტში ჩვენი ფასეულობების წარმოსაჩენად. ჩასატარებელია დიდძალი სამუშაოები: მიწაში და წყლით დაფარული კულტურული მემკვიდრეობის ფასდაუდებელი ნიმუშების მოსაძიებლად, და არა მარტო საქართველოში, ასევე აურაცხელი გაუშიფრავი იეროგლიფური თუ ლურსმნული წერილობითი საბუთის ამოსაკითხად, რომლებიც საშუალებას მოგვცემს რეალურად დავინახოთ ჩვენი შორეული წარსული. ამ თვალსაზრისით უცხოელ კოლეგებთან სისტემატური კავშირის დამყარება, ამავე დროს საშუალება იქნება ჩვენი კულტურული ღირებულების წარმოსადგენად.

ქართველების შესახებ უძველეს ცნობებს ვხედებით ასირიულსა და ურარტულ ლურსმნულ წერილობით წყაროებში. ქართველი ეთნოსის წარმომავლოვასთან დაკავშირებით ეკითხულობთ ბიბლიაში, კერძოდ, ქართველური ტომების – თუბალის, ხალიბის – რკინისა და სპილენძის მჭედელთა (შესაქმეთა წიგნი, X,2; ნეშტთა 1,5) შესახებ, რაც ადასტურებს ქართველების როგორც მეტალურგების აღიარებას. ჩვენამდე შემორჩენილი, ძირითადად, უცხოური წერილობითი წყაროების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი ეთნოსი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და ისინი ცხოვრობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრების დადგენა დღესაც აქტუალურია. საქართველოს ეთნოგენეზის პრობლემის გარკვევისას წერილობითი წყაროების საფუძველზე დგინდება, რომ ქართველები თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ავტოქტონური ერია: ეს იყო მათი სამშობლო, სადაც მათ შეძლეს თავის გაღარჩენა და თვითმყოფადი კულტურის შექმნა. ამავე დროს, ძვ.წ. VII–II ათასწლეულებისათვის ქართველთა ბევრი მონათესავე ტომი გაფანტული იყო მცირე აზიის, მახლობელი აღმოსავლეთის (შუამდინარეთი – თანამედროვე ერაყი), აპენინის, პირენეის, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კუნძულ კრეტაზე. საყურადღებოა, რომ ამ

დროისათვის ქართველთა მონათესავე ტომებს სხვა სახელი ჰქონდათ, რომელთა შესახებ გვახსენებენ ბერძნული წერილობითი სიტყვები. უძველესი ათასწლეულებიდან სწორედ საქართველოს გარეთ არსებობდა ქართველთა რამდენიმე გაერთიანება, მათ შორის, მცირე აზიის ტერიტორიაზე ძვ.წ. XVII ს-ით დათარიღებულ (ძვ.წ. III–II ათასწლეულების მიჯნა) წერილში კოლხური ტომის ქაშქების, ასევე ძვ.წ. XIV ს-ის წერილობით წყაროში მოხსენიებული მუშქების ანუ ხეთების მახლობლად (კაპადოკიაშივე) მცხოვრები მოსხების, ანუ მესხების - ქართველთა ტომის საცხოვრისი; ძვ.წ. II ათასწლეულში არსებული ქართველ ტომთა ძლიერი გაერთიანება "დაიანე" (დღევანდელი ქ. ერზრუმის ჩრდილოეთით და მდ. ევფრატის ზემო წელი), იგივე "დიაოხი", "ტაოხი", ან "ტაო" (დღევანდელი თურქეთი) [4], ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, დღევანდელი მონაცემების საფუძველზე, იგი უკავშირდება პირველ ქართულ სახელმწიფოს — "კოლხეთის სამეფოს".

კოლხეთის სამეფოში — ქართული კულტურის ამ უძველეს კერაში კონცენტრირებული იქნა ის სიახლეები, რომლებმაც იგი ჩააყენა მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების რიგში. კოლხეთის მოსახლეობა შედგებოდა სხვადასხვა მონათესავე ქართველი ტომისაგან. ძველი პერიოდის ქართველ ტომთა რამდენიმე გაერთიანებას შორის გამორჩეული "აია-ს" სახელის მატარებელი ქვეყანა, რომელიც ბერძნებმა მსოფლიოს "კოლხეთად" გააცნეს, კერძოდ, ძვ.წ. II ათასწლეულში ბერძნულ წყაროებში აისახა კოლხეთის დიდი გაერთიანების არსებობა და "არგონავტების" მოსელა შავიზღვისპირეთში, რომელიც წარმოგვიდგენს ისტორიულ რეალობას ქართულ-ბერძნული ურთიერთობისა [5], ამავე დროს, ეს ერთ-ერთი

---

4. გ. მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თ ბ.,1999, გვ.44; გ. ქავთარაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები, კავკასიოლოგიური სერია, II, 2006. გვ.15.

5. კოლხეთის შესახებ ძველბერძნულ წყაროებში (პერიოდტე, აპოლონიოს როდოსელი, ერასტოსთენე ეფესელი, ერასტოსთენე კირელი, პოლიბიოსი, ქენოფონტე, სტრაბონი, სარაკს პერგამონელი) არსებული ცნობები მოგვითითებს ქართველების რეგულარული კონტაქტების შესახებ საბერძნეთთან. პირველი საეჭვო ურთიერთობები ბერძნებთან მყარდება "არგონავტების" მოსელის შემდეგ, ტროას ომამდე (ძვ.წ. XIII ს-ის 40-იანი წ-მდე). კერძოდ, თესალიიდან (იოლკა) ბერძნების დიდი საზღვაო ექსპედიცია კოლხეთში თარიღდება ძვ.წ.XIV საუკუნით. კოლხებთან საეჭვოურთიერთობის ხაგანი იყო ოქრო (პოეტი მენანდრი წერს კოლხეთის მეფე აეტის ოქროს ხასხლეზე, აპოლონიოს როდოსელი — მეფე აეტის ოქროს მოსასხამის შესახებ), ასევე მადნეულის ექსპორტი, ხიმალდების მშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყის, ცვილის, ფიჭვის ფისის და სხვა. ბერძნებთან კულტურულ-საეჭვო ურთიერთობები განსაკუთრებული ინტენსიობით ხასიათდება ძვ.წ. VI ს-დან ახ.წ. IV ს-ში. იხილეთ: ოლორთქიფანიძე, ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ.,2000; მისივე, ანტიკური სამყარო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, კრებულში: Кавказ и средиземноморие, Тб., 1980, ст. 5. Т. Б. Блаватская, Греческое общество II

тысячилетия до новой эры и его культура, М., 1976,стр. 126; Stubbing, mecenean Pottery from the levant, Cambridg, 1951.

დასტურია ამ დროის მსოფლიოში უზარმაზარი ტრანსკონტინენტური ქსელის არსებობისა, რომელიც ნავიგაციის განვითარების საფუძველზე იყო ეგვიპტის, განსაკუთრებით, ფინიკიის, ასევე ებრაელთა, გეიან პერიოდში — რომის იმპერიის სახელმწიფოებში. ამ მხრივ საინტერესოა ის მიმოსვლები, რომლებიც ხორციელდებოდა წინაბერძნული მოსახლეობის — კოლხ-პელასგების მიერ. "პელასგი" ძველი ბერძნული წყაროებისა და თანამედროვე გამოკვლევების თანახმად, ქართველი ტომია [6]. ბერძნულ მიწაზე ქართველთა ყოფნის ერთ-ერთი დასტურია ბერძნულ ენაში 5000 ქართული სიტყვის არსებობა [7]. აღსანიშნავია ჯერ კიდევ ბერძნების მოსვლამდე კოლხეთის სამეფოსადმი განსაკუთრებული ინტერეს იჩენდა მატერიკული საბერძნეთის მოსახლე ტომი — კარიელები*[8].

საინტერესოა საკითხი ძველი პერიოდის ერთ-ერთი წარმატებული ქვეყნის — საბერძნეთის ინტერესი და მიზნები შავიზღვისპირეთში მდებარე კოლხთა სამეფოს მიმართ. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მატერიკული საბერძნეთის მიწაზე ბერძენთა გადმოსახლება სრულდება ძვ.წ. II ათასწლეულისათვის. ზუსტად არ არის დადგენილი თუ სად აღმოცენდა ბერძნული ეთნოსი, და შესაბამისად არ არის ცნობილი თუ საიდან მოხდა კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე მათი მიგრაცია. მაგრამ ძვ.წ. VIII-დან ბერძნების უკვე ხმელთაშუა ზღვის აუზში ბერძნული კოლონიების ფართო ქსელი. ფინიკიელები ცნობილი ზღვაოსნები იყვნენ და ჰყავდათ მრავალრიცხოვანი ფლოტილია. ფინიკიელთა დიდ სივრცეებში (ადიან ბალტიის ზღვამდე, გარს უვლიან აფრიკას, მიდიან ინდოეთამდე) გადაადგილება უძველესი ეპოქის მიგრაციების თვალსაჩინო ნიმუშია. აქედან გამომდინარე, ძვ.წ. II ათასწლეულში ბერძნების გამოჩენა კოლხეთის ნაპირებზე სრულიად არ იყო თუნდაც იმ პერიოდისათვის რაღაც ამოუხსნელი მოვლენა, რადგან, შეიძლება ითქვას, მათი

---

6. გ.ქაფარაძე, ანატოლიაში ქართველ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ.,1985,გვ.16-17.

7. გ.ჭელიძე, ვინ არის კოლხები. კრებული: ცოტნეფელი,II,თბილისი-ფაზისი, 2005-2008. გვ.143.,

8. კარიელი იყო მატერიკული საბერძნეთის მიწაზე ანატოლიიდან გადმოსახლებული ტომი, რომელიც განდევნეს ბერძნებმა.(სტრაბ.VI,321). ბერძნების ჩამოსახლება ჩრდილოეთიდან კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე დამთავრდა II ათასწლეულში. ამან წარმოშვა ეპოთეზა კარიელების კრეტა-მიკენური კულტურისათვის მიკუთვნების შესახებ. ე.წ. "ზღვის ხალხთა კაშირიდან" ერთ-ერთი ტომის — შარდენების მოსვლა კოლხეთში უკავშირდება ძვ.წ. XIII საუკუნეს. კერძოდ, "ზღვის ხალხთა კაშირის" დაშლის შემდგომ მათი ერთი ნაწილის სარდინიაში, ხოლო მეორე ნაწილის კოლხეთში დასახლებას. ამაზე მიუთითებს კოლხეთის მიწაზე აღმოჩენილი სარდინული ტიპის თიხეული ქანდაკებები. იხ: Ю. В. Откупшиков, Карийцы в причерноморие (ономастика), იხ. კრებ. Кавказ и средиземноморие, Тб., 1980; ამ. ინაბე, წინანტიკურ ხანაში გარე სამყაროსთან კოლხეთის ეკონომიკური კონტაქტები. კონფერენციის თეზისები: ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისაა,თბ.,2001;

მოსელა შედგა გაკვალული გზით. კერძოდ, ცნობილია, რომ კოლხეთში მოდის საბერძნეთის უძველესი ტომი – კარიელები. ნავიგაციის განვითარებასთან დაკავშირებით კონტინენტური საბერძნეთსა და შავიზღვისპირეთით მდებარე "კოლხეთის სამეფოს" შორის წარმოებდა მუდმივი მიმოსვლა, რადგან ბერძნული წყაროების თანახმად "ეფირე" კოლხეთის მეფის აიეტის საბრძანებელი ყოფილა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ ძ.წ. II ათასწლეულში ბერძენი ზღვაოსნების – "არგონავტების" მოსელა შავიზღვისპირეთში განპირობებული იყო საბერძნეთის მიწის სიმცირითა და ნაადაგის სიღარიბით. გარდა ამისა, ბერძენ ტომებს იზიდავდა ოქრომრავალი ქვეყნის სიმდიდრე. კოლხეთში მოსული ერთ-ერთი ბერძნული (აქაველები) ტომი ამ პერიოდისათვის არჩევდა თავის დასამკვიდრებელ ადგილს, რომელიც ხორციელდებოდა ბერძნული ეთნოსისათვის დამახასიათებელი რაციონალური, წინდახედული და მიზანმიმართული გათვლებით. სწორედ ამგვარი მიზანდასახულება ედო საფუძვლად, როდესაც ბერძნები კოლხეთის სამეფოზე გაელენის მოსაპოვებლად უპირისპირდება ეგვიპტეს. იგივე დამპყრობითი მიზნების ამოძრავებდა ბერძნებს ხმელთაშუაზღვისპირეთის ზოლზე ფინიკიელების კოლონიებთან დაპირისპირებისას, რომლის დროს ბერძნები გამოდიან გამარჯვებულნი. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ფინიკიელები მათ მიერ შექმნილ კოლონიებში მმართველობას ადგილობრივ ხელისუფალთა გამგებლობაში ტოვებდნენ, რადგან, განსხვავებით ბერძნებისაგან, ფინიკიელებს ძირითადად სავაჭრო ინტერესი ამოძრავებდათ. ბერძნული კოლონიზაცია ხმელთაშუაზღვასა და შავიზღვისპირეთში ძ.წ. VIII ს-დან იწყება. ბერძნების გამოჩენა (ძ.წ. II ათასწლეული) შავ ზღვაზე მიზნად ისახავდა კოლხეთის სანაპიროზე ქალაქ-სახელმწიფოების – პოლისების შექმნას, დამოუკიდებელი მმართველობითა და ეკონომიკური ბაზით, ასევე სავაჭრო ცენტრების გახსნით. ამდენად, ძ.წ. VII ს-დან კოლხეთის სამეფოში უნდა გაჩენილიყო სხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, მაგრამ ბერძნების გეგმა ვერ განხორციელდა. ამის უპირველესი მიზეზი იყო ქართველი ეთნოსის მიერ უძველესი ათასწლეულებიდან უკვე შემდგარი მატერიალურ-კულტურული ტრადიცია, რომლის საფუძველზე თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა "აია-კოლხეთის სამეფო"*–აღჭურვილი სრულყოფილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურითა და შესაბამისად მაღალგანვითარებული კულტურით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძირითადად თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი ეთნოსის მიერ შექმნილი ე.წ. "კოლხური კულტურა" მისაბაძი ნიმუში გახდა არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომებისათვის, არამედ კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე ძ.წ. III-II ათასწლეულებში ჩამოსახლებული ბერძნებისთვისაც.

საინტერესოა საკითხი: უძველესი ათასწლეულებიდან ქართველები ტომების მიერ შექმნილი "აია-კოლხეთის სამეფო" რა მატერიალური კულტურული ტრადიციების მემკვიდრე იყო იგი. წარმოგიდგენთ ძირითადი დარგების არსებობის დონეს საქართველოში:

მიწათმოქმედება

მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ნეოლითის ხანაში, ძვ.წ. VII–VI ათასწლეულებში, ასე მაგალითად, ეგვიპტეში ხდება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვა. ამავე პერიოდში საქართველოში გამოვლენილია მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერის არსებობა: უძველესი მარცვლეული კულტურული ჯიშების – კოლხური ასლის, სპელტის, მახას, დიკის სახით [9]. იმერეთში (ანასეულ I-ში) აღმოჩენილი ნივთიერი მასალა დათარიღებულია ძვ.წ. VII–VI ათასწლეულებით, ასევე მოპოვებულია მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული შრომის იარაღები: მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე გალის რაიონში სოფელ ფიჩორაში, (ძვ.წ. IV–III ათასწლეულები), მუხის ხისაგან დამზადებული ერთგვარი კაკი, მიწაში კვალის გასაკეთებლად [10]; ასევე ხისაგან დამზადებული ბორბლიანი ურემი (II ათასწლეულის I ნახევარი) [ფოტო- №1] და ჩოლოქის ნამოსახლარში აღმოჩენილი სახნავი იარაღი (ძვ.წ. XII–XI სს.).

მეტალურგია

ძვ.წ. VII ათასწლეულში ჩათალ-ქიუკში, ანატოლიაში (თანამედროვე თურქეთი) აღმოჩენილი მეტალურგიის ნიმუშები უკავშირდება ქართველ ტომებს: ხალიბს, თუბალს, მოსინიკს, რომლებმაც კულტურულ მსოფლიოს გააცნეს მეტალურგიის დარგი. ამის უტყუარი ნიმუშები დასტურია ტერიტორიაზე მოძიებული და ძვ.წ. V–IV ათასწლეულებით დათარიღებული რკინის მდნობელი საამქროების სიმრავლე (გალის რ-ონი, სოფ ფიჩორა, რაჭის, აფხაზეთის შიდა ქართლის მთიანეთი). კერძოდ, გალის რ-ნის სოფელ ფიჩორაში აღმოჩენილია ძვ.წ. IV–III ათასწლეულების დასახლება, სადაც მოძიებულია მეტალის სხვადასხვა ნივთი (კაკი,

---

* ქართველ მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა კოლხეთის სამეფოს არსებობის საწყის თარიღთან დაკავშირებით: ძვ.წ. XV–XIV სს. (ოლორთქიფანიძე, ლ.ჯორდანია), ძვ.წ. XIII (თ. მიქელაძე), ძვ.წ. XII ს. (ეგოლაძე), ძვ.წ. XI ს. (გ. მელიქიშვილი), ძვ.წ. VII-VI სს. (გ.მახარაძე), ძვ.წ. VI ს. (რ. თოფჩიშვილი) და სხვა.

9. ნ. ბრეგაძე, საქართველო – მიწათმოქმედების დამუკიდებელი კერა, თბ., 2004., გვ.14.; D. Nesbiti, The Stori if Wheast, Canada, 1953; J. Mellaart, The Neolithicof near East, London, 1975. см журнал: Кавказоведение, №1, Тб. 2002, ст. 44. 10. Л. Дзидзигури, Л. Джибладзе, Б. Мурванидзе, Древнеишие пахотные орудия Колхиды. сборник: Кавказоведение, №1, Тб.,2002, стр. 44.

შუბიპირები) და საამქროსათვის საჭირო მოწყობილობა: კერამიკული მილები – ჰაერისათვის, ჩამოსასხმელი ჩამჩა. მოპოვებული მასალა ადასტურებს კოლხეთში მეტალურგიის დარგის არსებობას [11].

სამეთუნეო ხელოვნება

ანუ კერამიკული წარმოება. სიტყვა კერამიკა ბერძნულად (keramikos) აღნიშნავს თიხას. ადრეულ ნეოლითურ ხანაში ქართველი ეთნოსი უკვე იცნობდა სამეთუნეო წარმოებას. აღნიშნული ფაქტი დამოწმებულია ძ.წ. VII–VI ათასწლეულებით დათარიღებულ სოფელ მახვილაურის ნამოსახლარში (აჭარა), ასევე ოდისში, კისტრიკში, ანასეულ II-ში, გურიანთაში აღმოჩენილი კერამიკული მასალით, რომელიც ხასიათდება უხეშად ნაძერწი, ნაპირებაჭდული კედლებით, შემკული ხაზოვანი და მსხვილმარცლოვანი ორნამენტით [12].

კულტურული კერები

ძ.წ. IV–III ათასწლეულების ქართული კულტურის ისტორიაში აღინიშნება რამდენიმე კულტურის არსებობა: ე.წ. მტკვარ-არაქსის, თრიალეთის ყორღანული და კოლხური კულტურები. კერძოდ, ბრინჯაოს ხანის ძ.წ. IV ათასწლეულში ქართველი ეთნოსი იყო ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურაში მონაწილე, რომელიც გავრცელებული იყო მთელ ამიერკავკასიაში, ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ ანატოლიაში, აღწევდა სირიასა და პალესტინას (ცნობილი ხორბეთ-კირაკით). ამ დროის ხელოსნობის ნიმუშები ხასიათდება შესრულების მაღალი დონით. აღსანიშნავია, რომ გამოჩენილი არქეოლოგი ბორის კუფტინი მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელებად მიიჩნევს ქართველებს. კერძოდ, ძ.წ. IV–III ათასწლეულებით არის დათარიღებული საჩხერესა და ეშერაში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდიდს ნივთიერი მასალა. ძ.წ. III ათასწლეულში, ეგვიპტის პირამიდების მშენებლობის პერიოდში, მტკვარ არაქსის კულტურას საქართველოში (ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში) გენეტიკურად ენაცვლება თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურა. თრიალეთის კულტურა ვრცელდებოდა არა მარტო თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ

---

11. ო. ლორთქიფანიძე, ძველ კოლხეთის კულტურა.თბ.,1972.გვ.38. A. Иессен, К вопросу с древнеишей металургии меди на кавказе, ; М. Барамидзе, Л. Джобадзе, Л. Дзидзигури, Предметы связанные металургическим производством из северо-западней Колхиды .сборник:Кавказоведение, №1 ,Тб .,2002, стр. 41. გ. ავალიშვილი, საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურა ძველ ლითონის ხანაში., თბ.,2004, გვ.8. 12. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. I, ბათუმი.,2007, გვ.127; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V, თბ.,1980.გვ.471.

კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, ასევე თანამედროვე ჩრდილო-დასავლეთი სომხეთის, შირაქის პლატოზე, მდასურიანის აუზში, ტაშირ-ძორაკეთის, ლორეს ველზე, არარატის ველის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. აღსანიშნავია, რომ აქ აღმოჩენილ სამარხებში გამოვლენილი მასალა მსგავსებას ავლენს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ თრიალეთის, მარტყოფის, ბედენისა და ალაზნის ველზე მოპოვებული ხელოსნური წარმოების მაღალმხატვრულ ნიმუშებთან, რომელიც მიგვანიშნებს არსებობის ერთიან კულტურულ წრეზე. ძვ.წ. II ათასწლეულში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია იყო ოქრომრავალი კოლხური კულტურის აღმოცენების ადგილი, რომელიც ხასიათდებოდა მრავალფეროვნებითა და თავისებური სტილისტური ნიშნებით. მათ შორის აღსანიშნავია საყოველთაოდ ცნობილი კოლხური ცული, კერამიკის ნაკეთობები, საომარი იარაღები: აღმოჩენილი საჩხერის, ბრილის, ურეკის სამარხებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოპოვებული ამ პერიოდის მასალა იძლევა საშუალებას გავარკვიოთ ადგილობრივი კულტურის დონე და ასევე ქართველ ტომთა კულტურული ურთიერთობები. მათ შორის "ცული" [ფოტო-№2]საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველ ტომთა ურთიერთობისა და კავკასიის მოსახლეობის სატომთაშორისო ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით [13]. კერძოდ, ყარსის ოლქი ანუ მეხჩის ციხე და მისი განძი ეს იყო ძვ.წ. II ათასწლეულის გარე სამყაროსთან კულტურული ურთიერთობის ზონა. გარდა ამისა, შეიძლება დასახელდეს ვანის (იმერეთი) სამარხში მოძიებული ოქროს დიადემა [ფოტო-№3]. ხელოვნებათმცოდნეების განმარტებით მასში იგრძნობა სხვადასხვა კულტურათა გაელენა: სირიის, ეგვიპტის, აქამენიდური სამყაროს, წინა აზიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის (კვიპროსის), როგორც ერთგვარი ინფორმაცია ქართველ ტომთა ურთიერთობისა ძველი სამყაროს მოწინავე კულტურებთან.

გზები

კოლხეთი ცნობილი იყო თავისი საზღვაო, სამდინარო და სახმელეთო გზებით, რომელთა მეშვეობით კოლხეთის სამეფოს საეკონომო-კულტურული ურთიერთობის ფართო ქსელი აკავშირებდა უშორეს კულტურულ ცენტრებთან. კერძოდ, კოლხეთის საზღვაო ნავიგაცია და თევზის რეწვა სათავეს იღებს ნეოლითის ხანიდან. ნეოლითის პერიოდში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში კისტრიკის სამარხებში აღმოჩენილია

---

13. გაკალიშვილი, ჯ. ძოძუა, ქართველ ტომთა ურთიერთობა გარე სამყაროსთან ბრინჯაოს ხანაში, თბ.,1999, გვ15.

პატარა ნაცები [14]. ბერძენი ქსენოფონტე (ძვ.წ. V ს.) ასახელებს ერთი ხისაგან დამზადებულ 300 ნავს, რომლებითაც ქართველმა ტომმა – მოსინიკმა მიაღწია ტრაპეზუნდამდე [15]. საგეარეკილეში აღმოჩენილი იქნა ასევე ნეოლითის პერიოდის ბოლოკაუჭები ძვლის ანკესი, ჭვილთი (პარპუნი), ბადის საწაფეები და ლითონის ანკესი [16]. გარდა ამისა, ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობებით (პატროკლე, არისტობულე, სტრაბონი, ვარონი, პლინიუსი), ქართველ ტომებს უძველესი დროიდანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ გარე სამყაროსთან, კერძოდ, ჩრდილოეთის გზით (ძვ.წ. III ათასწლეულში) დასავლეთისაკენ მიემართებოდნენ ქართველი მელითონეები [17]. ამავე გზით ისინი უკავშირდებოდნენ ყუბანისპირეთსა და კავკასიონის ჩრდილოეთით მოსახლე ტომებს. კოლხები დარდანელის სრუტის გავლით უკავშირდებოდნენ ეგეოსის ზღვისპირეთს, ასევე კოლხები აღწევდნენ ხმელთაშუა ზღვის კუნძულებამდეც. კერძოდ, მეფე აიეტის დას - კირკეს ვხვდებით ხმელთაშუა ზღვის კუნძულზე, რომელსაც კირკეს სამპტივცემულოდ ეწოდა "კირკეიონი". კოლხები ჩართული იყვნენ საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში. კერძოდ, კოლხეთზე გადიოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელი მსოფლიო მნიშვნელობის ცნობილი სავაჭრო-სატრანზიტო გზის მონაკვეთი* (წერილობით დაფიქსირებული ძვ.წ. II ს-დან – XVII ს-მდე).

კარტოგრაფია

ქართველ ტომთა გარე სამყაროსთან ურთიერთობას ხაზს უსვამს ქართველ ტომთა მიერ კარტოგრაფიის უძველესი ხელოვნების ცოდნა. აპოლონიოს როდოსელი თავის "არგონაუტიკაში" ლაპარაკობს კოლხეთში ე.წ. "კირბების" ანუ რუკების არსებობის შესახებ, რომელზედაც აღნიშნული იყო ზღვისა და ხმელეთის გზის მაჩვენებლები

---

14. Н.П. Писаревский, Местные традиции колебростроения и мореплавания в Понте эксюнсе, იხ: Кавказ и средиземноморие,ТБ., 1980, ст .168.

15. გ ქავთარაძე. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები, კავკასიოლოგიური სერია,II,2006, გვ.15.

16. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ.,1970, გვ. 214, 765.

17. ო.ჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზის ხალაეებთან, თბ.,2006, გვ. 353-354;

* ტრანსკონტინენტალური გზა ინდოეთიდან კასპის ზღვამდე არსებობდა წინაელინისტური ხანიდან, რომელიც ხორციელდებოდა ამუ-დარიის (ოქსოსის) მეშვეობით ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის, სურამის უღელტეხილის, მდ. ფასისი (რიონ-ყვირილა) გავლით აღწევდა შავ ზღვამდე. შემდეგ უკავშირდებოდა შავიზღვისპირა და მცირე აზიის ქალაქებს. ძველ დროში ბერძნები ფასისს "კოლხთა ემპორიონს" ანუ სავაჭრო ადგილს უწოდებდნენ. (სტრაბონი, XI,2,17). ო.ლორთქიფანიძე. ეაჭრობა შავ ზღვაზე – "აბრეშუმის გზის" ისტორიული წინამძღვრები. იხ: ჟურნალი "ძიებანი", თბ.,1999, გვ. 26. IX საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები; Кавказ и средиземноморие, Тб .,1980, стр., 5, 65.

(ნიმუში ინახებოდა გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) [18]. კ. რიტერის გამოკვლევის თანახმად კარტოგრაფიის ხელოვნებასთან დაკავშირებით იგი წერს, რომ "კარტოგრაფიის ხელოვნების გამოგონების პატივი სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ-ვაჭართა შორის" [19].

მეღვინეობა

საქართველო მეღვინეობის სამშობლოდ არის აღიარებული [20]. როგორც უძველეს წარსულში, დღესაც ღვინო ზოგიერთ ძველი პერიოდის წერილობით წყაროებში (ხეთური) "vin" ქართული სახელწოდებითაა აღნიშნული. ქართველი ეთნოსი ცნობილია მეღვინეობის უძველესი ტრადიციითა და ყურძნის ჯიშის ენდემური სახეობებით. ეს დასტურდება სხვადასხვა ნიეთიერი საბუთებით: თიხის ქვევრებით, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ფიალების არსებობით. აღმოჩენილი ბაგინეთში (ძვ.წ. IV–III ათასწლეული), ჭობისხევში, ვანში, ალაზნის ველზე, ურბნისთან (ძვ.წ. III ათასწლეული), ასევე მოძიებული თიხის ორიგინალური ღვინის ჭურჭელით, რომელსაც აქვს ნასვრეტებიანი ფილტრი ჩენჩოს შესაჩერებლად; კახეთში, სოფელ მელაანთში აღმოჩენილი მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკებით (ძვ.წ. II ათასწლეული), გამოკვეთილი ფალოსითა და ხელში ყანწის გამოსახულებით [ფოტო- №4]; ამის მსგავსი ქანდაკება ნაპოვნია სოფელ წებელდაში (ახ.წ. II ს.); ასევე შულავერში აღმოჩნდა ყურძნის მტევნებით შემკული ღვინის ჭურჭელი (ძვ.წ. 7 000 წ.); ბაჯალლო ოქროსგან არის დამზადებული სხვადასხვა თელით შემკული ღვინის თასი (ძვ.წ. II ათასწლეული); გარდა ამისა, ვერცხლის ფირფიტისაგან დამზადებული ღვინის ჭურჭელი (ძვ.წ. II ათასწლეული), რომელზედაც გამოსახულია 23 მამაკაცის ფიგურა სასმისებით ხელში [ფოტო- №5]. მასზე ასახულ გამოსახულებებს სარიტულო სცენად მიიჩნევენ.

ოქრომჭედლობა

ძვ.წ. III ათასწლეულის ქართველი ხელოსნების ნიმუშების გამოირჩევა დამოუკიდებელი თვისობრიობით, რითაც ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშები განსხვავდებიან სხვა კულტურებისაგან დახვეწილი ფორმით, რთული ტექნიკური შესრულებითა და მასალით — უმაღლესი ხარისხის ოქროსაგან

---

18. აპოლონიოს როდოსელი "არგონავტიკა, აკ.ურუშაძის თარგმანი,თბ.,1948,გვ.16.

19. ალ.ჭყონია, ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტომათია საქართველოს ისტორიის უძველესი დროიდან ბაგრატიონთა გამეფებამდე, ტფ.,1896, 124.

20 ზ. ქოქრაშვილი, ქართული ფენომენი. ღვინო და ღვინის ღვთაება ბადაგონი,თბ.,2004; ქართული სამჭ. ენციკლოპედია,VI, გვ.635.

დამზადებული ნივთებით. ასეთებია მაგალითად: ძვ.წ. III ათასწლეულით დათარიღებული ოქროს ლომის ქანდაკება [ფოტო- №6], ნაპოვნი სოფელ წნორის ყორღანში; პოლიქრონული ოქროს თასი (ძვ.წ. II ათასწლეული) აღმოჩენილი სოფელ ბედენში; მომცრო ზომის, ძვ.წ. II ათასწლეულით დათრიღებული კუს ფიგურებიანი ე.წ. წერტილოვანი ორნამენტით შესრულებული მძივი და მხოლოდ ქართული სახელოვნებო სტილური ნიშნებით გამორჩეული ე.წ. სხივანა (სხივის ფორმის) საყურე. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ნივთი აელენს მხოლოდ ქართულ არეალში შექმნილ თვისებებს [21]. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდის ქართული ხელოვნების ნიმუშების (ოქრომჭედლობა, კერამიკა) ანარეკლს ვხვდებით კაკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ე.წ. ყობანური და მაიკოპური კულტურების ნიმუშებში.

დამწერლობა

ქართველი ეთნოსი მონაწილეა მსოფლიო დამწერლობის განვითარების ყველა ეტაპისა. მათ შორის არის: 1. პიქტოგრაფიული დამწერლობა, აღმოჩენილი თრიალეთის ყორღანებში, ზურტაკეტის პლატოს ქვაზე, ასევე თრიალეთის ზეგანზე, სოფელ ბეშთაშენში ადრებრინჯაოს ხანის თიხის ჯამზე ნაკაწრებისა და სოფელ ოზოშიორის ჯამზე შესრულებული გეომეტრული ნიშნების სახით; 2. იეროგლიფური ანუ ხატოვანი (სიმბოლო-ნიშნებით აზრის გადმოცემა) დამწერლობის ნიმუშის არსებობის შესახებ მიგვითითებენ ძველბერძენი ავტორები, როდესაც ისინი წერენ ე.წ. "კოლხური ოქროდამწერლობის" შესახებ[22]*. XX საუკუნეში კუნძულ კრეტაზე წარმოებული გათხრების შედეგად ინგლისელმა ჯ.ჰელაარტმა აღმოაჩინა თიხისაგან დამზადებული მრგვალი ფორმის დისკი, რომელიც "ფესტოს დისკოს"

---

21. О. Лорткипанидзе, Наследие древней Грузии, Тб.,1989;

22. ილია ანტიოქელი(ძვ.წ.VII ს), პალეფასტე(ძვ.წ. III-II ს), ამალიანოს როდოსელი(ძვ.წ. II ს), სარაქს პერგამონელი (II ს.), სენდა (I ს) ლაპარაკობენ ცხენის ტყავზე – "ოქროს სანბისზე" ჩაწერილ კოლხური დამწერლობის არსებობაზე, სადაც იყო ოქროს მიღების წესი. ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება ამირანის გორაზე ნაპოვნი თიხის ჭურჭელზე არსებული პიქტოგრაფიის ნიმუში. XX ს-ში სპერანეთში, კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილ იქნა თიხისაგან დამზადებული ე.წ. "ფესტოს დისკო". ხატოვანი (სიმბოლური) დამწერლობის აღნიშნული წერილობითი ძეგლი აღმოჩნდა "კოლხური ოქროდამწერლობის" ნიმუში, გაშიფრული ქართველი მეცნიერის გია კვაშილავას მიერ. ოი ქართულ ენაზე განყობილი არქაული საგალობელია, დათარიღებული ძვ.წ. 2500-1500 წწ// იხ. გ. კვაშილავა, ფესტოს დისკოს კოლხური დამწერლობა, ჟურნ. "ეკეკი ეაზისა", თბ., 2007,№1-2., მისივე ნაშრომი, The faistos disk - kolhide gold skrirt, ჟურნ: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი,VIII,თბ.,2006; გ. კვაშილავა, განმარტებები ფაზისი-ფოთის ადგილმდებარეობის შესახებ. იხ. კრებული ცოტნეიდელი,II, თბილისი-ფაზისი, 2005-2008, გვ.76; გ.ელიავა, ქართული ანბანის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები, მარტვილი-ქუთაისი., 1999; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ.219,235.

(ძ.წ. 2500-1500 წ.წ) [ფოტო- №7] სახელწოდებითაა ცნობილი. იგი აღმოჩნდა ფაქტობრივი მტკიცებულება "კოლხური ოქროდამწერლობის" არსებობისა. ამოკითხული ქართველი მეცნიერის გია კვაშილავას მიერ. მისი აზრით აღნიშნული დამწერლობის სახელწოდება – "კოლხური ოქროდამწერლობა" მომდინარეობს თვით დამზადების ტექნოლოგიიდან, რომლის დროს თიხის დისკოზე სიმბოლო-ნიშნების გადატანა ხდებოდა ოქროსაგან გაკეთებული ყალიბის საშუალებით. პელასგური დამწერლობა (იგივე კორიბანტულ-კაბირული) არსებობის შესახებ ლაპარაკობენ ლიტერატურული წყაროები. კერძოდ, დიოდორე სიცილიელის "ისტორიულ ბიბლიოთეკაში" ლაპარაკია ვინმე ლინოსის მიერ ფრიგიულად წოდებული დამწერლობით შეთხზული პოეზიის შესახებ (Diod.Sic.III,67). ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ძველ წყაროებში ხშირად ხდებოდა ალრევა მცირე აზიაში მცხოვრები ფრიგიელებისა და ქართველი ტომების შორის. ტაციტუსის მიხედვით პელასგურ დამწერლობას იყენებდნენ ეტრუსკებიც. [23].

მუსიკა

"ფესტოს დისკო" არის ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში კოლხურ ენაზე შექმნილი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტი, მიძღვნილი დიდი დედაღვთაება "ნენასადმი", რომელიც ბერძნულ სამყაროში რეა-კიბელეთი არის ცნობილი. ძვ.წ. VI–V სს. ქალაქ ფოთში იდგა დიდი დედისადმი მიძღვნილი ქანდაკება მუსიკალური საკრავით (კითარით) ხელში. ქსენოფონტე (ძვ.წ. IV წ.) კოლხეთში მოსვლისას აღნიშნავს ქართველი ტომის – მოსინიკის უჩვეულო სიმღერა-გალობის შესახებ. ტერმინი "მუსიკის" და ქართველი ტომის "მოსინიკის" სახელწოდებათა შორის შეიძლება დავინახოთ ურთიერთმსგავსება (მოსი-(ნი)-კა – მუსიკა). აღსანიშნავია, რომ "ნენასადმი" მიძღვნილი უძველესი სიმღერა-გალობა შემორჩენილი აღმოჩნდა შუასაუკუნეებშიც ათონის მთაზე. კერძოდ, ბერძენი მგალობლები ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობელის შესრულების დროს ისინი მისამღერს მღეროდნენ მათვის გაუგებარ ენაზე. მისამღერში ხშირად ისმოდა სიტყვა "ნენანა". გ.ჭელიძე წერს: "ნენანა" – ნანა მეგრულად (გურულად) დედაა. მისი როგორც ფონეტიკური ბგერდება (ნ,ე,ნ,ა,ნ,ა), ისე მისი სემანტიკის შინაარსობლივი გაგებაც "ჩვილისადმი სიმღერას" აღნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ისრაელთა ძველი საცხოვრისი მართლაც გარემოცული იყო (განსაკუთრებით ჩრდილოეთი) ქართველური ტომებით, ხოლო კონტინენტური საბერძნეთი ხომ წინაბერძნული, კერძოდ, კოლხურ-პელაზგური კულტურის წიაღს წარმოადგენდა" [24].

---

23. ВДИ, 1947, №3, стр. 286; Etrusci ante habuere litteras Pelasgicas quae sunt Cadmeis antiquiores (Drak.ad Liv.I,34)

მედიცინა

წერილობითი წყაროების საფუძველზე სამეცნიერო დასკვნებით დგინდება, რომ ქართული მედიცინა არსებობდა ძ.წ. II ათასწლეულიდან, კერძოდ, კოლხეთი განთქმული იყო ბალახებისაგან დამზადებული სამკურნალო წამლებით. ძველი ბერძნული წყაროები აღნიშნავენ კოლხი მეფის ასულის – მედეას, და მისი შვილის, ილა მერმერის, დედის – ჰეკატესა და მამიდის – კირკეს მიერ მცენარეებისაგან წამლის მომზადების ხელოვნების ცოდნის შესახებ. აქედან გამომდინარე, დარგის სახელწოდებას "მედიცინას" უკავშირებენ კოლხეთის მეფის ასულის სახელს – მედეას. აღსანიშნავია, რომ ძ.წ. II ათასწლეულის – მედეას ეპოქის არქეოლოგიური, პალეანთროპოლოგიური (ძვლოვანი) მასალა იძლევა იმ ზოგიერთი ავადმყოფობის სურათს, რომელსაც მკურნალობდნენ კოლხეთში. ამის მტკიცებულებაა თრიალეთის და ბეშთაშენის სამარხებში აღმოჩენილი, ძ.წ. II ათასწლეულით დათარიღებული სამკურნალო მცენარეების შესანახი ჭურჭელი.

მცენარეების სამკურნალო საშულებად გამოყენება მიგვითითებს ქართველ ტომთა შორის ძ.წ. II ათასწლეულიდან მაინც ე.წ. ფიტოტერაპიული დარგის არსებობაზე. გარდა ამისა, ცნობილია, რომ საექსპორტოდ კოლხეთიდან გაქონდათ წამლის მოსამზადებელი ნედლეული – სელის ზეთი. საქართველო იყო ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანი, რომელმაც დაინერგა სელის წარმოება. კოლხეთში ქსოვის კულტურას 4-5 ათასი წლის ისტორია გააჩნია. აქ არსებობდა ე.წ. "სარდონული სელი", რომელიც თავისი ხარისხით იმ პერიოდის ეგვიპტურს უწევდა კონკურენციას. [25].

ხალხური მანუფაქტურა (ქსოვა, ქარგვა)

აღსანიშნავია, რომ ძ.წ. I ათასწლეულის ქობულეთის სამარხში აღმოჩნდა წმინდად დართული შალის ნართები. გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ცხერის მომცრო ზომის ქანდაკების არსებობა მიუთითებს მის აქტუალობაზე. აღმოჩენილი იქნა ასევე სელისაგან დამზადებული კოლხური ფულის (კოლხური თეთრის) ჩასადებად განკუთვნილი ქისა. საქართველოში, ფიქვნარში, წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლინდა კვირისთავი (საქსოვი ჩხირები) და

---

24. გ მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, შოთა, ჯვარცმა და ამაღლება უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი, თბ., გ. ფელიზ. ქართველები კაცობრიობის კარიბჭესთან, თბ.,2004, გვ.28.

25. საქართველოს არქეოლოგია, თბ1959,გვ.248; მშენგელია, უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა, თბ.,1979; მარჭომიშვილი, კირკეს სახის ფუნქციური და მენტალური ასპექტები, კრებ: არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა,თბ.,1999; ილიადა,XI, 740-741.

25. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ.286; თაყაიშვილი, პერიოდიტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ.,1960, გვ.73.

ჰორიზონტალური ფორმის საქსოვი დაზგები. გარდა ამისა, ძვ.წ. I ათასწლეულში ქართველებისათვის ცნობილი იყო ე.წ. "ლობური ქსოვა", რომელიც ადრებრინჯაოს ხანიდან იღებს სათავეს [26]. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ცნობილია, რომ საუკეთესო ხარისხის ხელი მოპყავდათ აჭარაში, ლიკანაში (ჭოროხის მხარე)[27].

საღებავის წარმოება

ქართველი ეთნოსის მიერ საღებავის წარმოება ექსპორტის განსაკუთრებული საგანი იყო. (ჰეროდოტ,I,203). მაგალითად, ბაგინეთის სამარხში აღმოჩენილია კოლხური გაუხუნებული ქსოვილი, რომელიც 1800 წ. იდო მიწაში [28]. გარდა ამისა, კოლხ მედეას უკავშირებენ თმის შესაღებ საშუალების გამოგონებას. კლიმენტი ალექსანდრიელი წერს: "კოლხმა მედეამ, აიეტის ასულმა პირველმა გამოიგონა თმის ღებვა" [29].

ამდენად, ძვ.წ. II ათასწლეულიდან მაინც (ბერძენი არგონავტების მოსვლისას), კოლხთა დიდი გაერთიანების პერიოდიდან, ქართველები ცხოვრობდნენ იმ დროის ცივილური სტანდარტების შესაბამისად: უკვე არსებობდა არა მხოლოდ გამოსაკვებად საჭირო ნადირობის, თევზაობის, მარცვლეულის შეგროვებისა და ადამიანის სხვა საქმიანობის საწყისი ფორმები, არამედ საკმაოდ განვითარებული დარგები: მიწათმოქმედება, მეტალურგია, ჰქონდათ დამწერლობა (იეროგლიფური-ხატოვანი), მედიცინა, საფეიქრო საქმე, მელვინეობა, ნავიგაცია (ზღვაოსნობა), რომლითაც ისინი უკავშირდებოდნენ გარე სამყაროს. ო. ჯაფარიძე არისტოტელეს (ძვ.წ. 384 – 422 წწ.) "ცხოველთა ისტორიასთან" დაკავშირებით გამოყოფს სოციალურ პირობებს: "საგანგებოდ აღნიშნავს ფასისის ძროხების შესახებ, მათ გარეგნულ ნიშნებზე და წველადობაზე. აქვე ლაპარაკია კოლხური ფუტკრისა და თაფლის შესახებ" [30]. თავისთავად გარე სამყაროსთან ურთიერთობა ნიშნავდა ადამიანურ კონტაქტებსაც, რომლებიც ძირითადად ხორციელდება საერთაშორისო ენის საშუალებით. აღსანიშნავია, რომ უძველეს ათასწლეულებში საერთაშორისო ენა იყო აქადურ-ბაბილონური, ხოლო ძვ.წ. II ათასწლეულში შუმერების გაქრობას მოჰყვა აქადურ-ბაბილონური ენის არამეული ენით ჩანაცვლება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ხალხი – ქართველები

---

26. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 97.
27. ნ.კასხიძე, ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2000.
28. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 99.
29. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, გვ.341.
30. ოჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ.,2006,გვ26.

ჩართული იყენენ ახლოაღმოსავლეთში საერთაშორისო ენად მიღებული არამეული ენის ენობრივ სისტემაში*. გარდა ამისა, ქართველები ეუფლებიან ბერძნულს – ძ.წ. II ათასწლეულიდან ბერძნებთან უშუალო კონტაქტის შედეგად. აქედან გამომდინარე, კოლხეთ-აიას სამეფოს ცხოვრების მაღალი დონე ქმნიდა პირობას, რომ ქართველ ადამიანს ეფიქრა თავის ჯანმრთელობასა და გარეგნობაზეც. კერძოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძ.წ. II ათასწლეულში მცხოვრები კოლხი მედეა ფლობდა მკურნალობის ხელოვნებას. ამდენად, ფიტოტერაპიის დარგს საქართველოში გააჩნია უძველესი ტრადიცია. მედეა წამლების გარდა ამზადებდა ნელსაცხებლებს და ასევე კოსმეტიკურ საშუალებებს.

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ბერძენი ლოგოგრაფები თავისი "ისტორიების" წერისას ზოგჯერ ცვლიდნენ ტომთა, ქვეყნების, სახელმწიფოების სახელწოდებებს და ამ სახით შეაქონდათ თავიანთ თხზულებებში. ამავე დროს, უძველეს წყაროებში ზოგ შემთხვევაში არის მითითებები ამ ცვლილებათა შესახებ, სადაც წარმოდგენილია მითითებები როგორც ძველი, ისე ახალი სახელწოდებებისა. ასე მაგალითად, ბერძნებმა შეცვალეს კოლხეთის თავდაპირველი სახელწოდება – "აია". კოლხთა სამეფოს ზოგი ბერძენი ავტორი მოიხსენიებს "ტიტენოსურ აიად", რაც მდინარე ენგურის ერთ-ერთი შენაკადის – "ტიტას" აღმნიშვნელია. ცვლილებები ჩანს ცალკეული ქართველი ტომის სახელთან დაკავშირებითაც. ქართველებს ბერძნები "გეორგიანელებად" (მიწათმოქმედ ხალხად) მოიხსენიებენ. საინტერესოა საკითხი პირველი ქართული სახელმწიფოს – "აია-კოლხეთის სამეფოს" საზღვრების შესახებ რა ცნობებს ცნობებს გვაწვდის ბერძნული ისტორიოგრაფია. ძ.წ. VI ს-ის მოღვაწე, ისტორიის მამად აღიარებული ჰეროდოტე თავის "ისტორიაში" საყურადღებო მასალას იძლევა კოლხეთის სამეფოს საზღვრების შესახებ. იგი აღწერს მოსახლეობის განსახლების თანმიმდევრობას: "მეწამული ზღვიდან (წითელი ზღვა) შავ ზღვამდე ცხოვრობდნენ სპარსელები, მიდიელები, სასპერები და კოლხები. ამით აღმოსავლეთით არის მეწამული ზღვა,

---

* არამეული ენა სემიტური ენის ერთ-ერთი განშტოება, ძ.წ. VII–IV სს. გავრცელებული იყო უზარმაზარ ტერიტორიაზე: მდინარე ნილოსიდან ურიმის ტბამდე (ირანი). მას იყენებდნენ არა მარტო სემიტური მოდგმის ხალხები: არამეელები, ებრაელები, არაბები, არამედ არასემიტებიც: ირანელები, უიღურები, მონღოლები.(იხ. გ. წერეთელი, არამეული ენა საქართველოში, ჟურნ. "მაცნე". ისტორია-არქეოლოგიის სერია, 1959,№10). აღსანიშნავია, რომ ბიბლიის პირველი წიგნი – ძველი აღთქმა ანე ხალდეი წერილი დაიწერა ებრაულზე და არამეულზე. მისი ადრეული თარგმნებიდან (ლათინური, სირიული, კოპტური, სომხური) დასახელებულია ბიბლიის ქართული თარგმანიც. ბიბლიის II წიგნი (ახალი აღთქმა) დაწერილია ძ.წ. III–II სს. ბერძნულ ენაზე. (ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია თბ.,1988, გვ. 334). მსოფლიოში არამეული ენის გავრცელებისას შეიქმნა მისი 7 დიალექტი. მათ შორის საქართველოშიც, რომელიც ე.წ. "არამაზელით" არის ცნობილი. დადასტურებული ახ.წ. II ს-ით დათარიღებულ ქ. მცხეთაში აღმოჩენილ სტელაზე.

ხოლო ჩრდილოეთისაკენ — კასპიის ზღვა და მდინარე არაქსი" (IV,37) [31]. გარდა ამისა, ბერძენი ავტორი განმარტავს მიდიელების სახელწოდებას: "მიდიელები ეწოდათ კოლხიდელი მედეას სახელის მიხედვით (VII,62)" ანუ ლაპარაკია აიეტის ქალიშვილის — მედეას* სამეფლობელოს შესახებ. ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ნ. ფოფხაძე მედითის სამეფოსთან დაკავშირებით, საიდანაც ვიგებთ, რომ ცნობილი იყო მედეას სახელწოდებიდან მომდინარე "მედითის ტბა" — ამჟამინდელი კასპიის ტბის სახელწოდებით. მედიის (შემდგომ კასპიის) ტბის მიმდებარე ნავთობის საბადოებს ძველთაგანვე "მედეას ნავთობს" უწოდებდნენ [32]. რაც შეეხება ქართველ ტომებს — სასპერებს, ცნობილია, რომ ისინი სპერის ოლქში (ტაო—დღევანდელი. თურქეთი) მცხოვრები ქართველებია. "ტაოში" დაედო სათავე ქართველთა სამეფო საგვარეულოს — ბაგრატიონების დინასტიას. როგორც ვნახეთ, ჰეროდოტეს სპარსელების შემდგომ დასახელებული ჰყავს მხოლოდ ქართველი ტომები, რომელთა ტერიტორია ვრცელდებოდა ისტორიული საქართველოს მთელ სივრცესა და მიმდებარე ტერიტორიებზე, კასპიის ზღვამდე. აღსანიშნავია ასევე ჰეროდოტეს ცნობა, რომელიც უკავშირდება კოლხეთს, კერძოდ, ჩრდილოეთით: სვანეთის (მთისა და ბარის) ტერიტორიაში შემავალ "კოლიკს" და მის მიმდებარე "კორაქსის" (დღევანდელი სოხუმი)(Her, fr.105,186), სამხრეთით: დღევანდელ აჭარას, შავშეთს, კლარჯეთს (მოსხიკთა ქვეყანა-დღევანდელი თურქეთი).

ამდენად, ძ.წ. II ათასწლეულიდან კოლხეთის დიდი გაერთიანების შემდგომ, "კოლხეთის სამეფო" იყო უძველესი ადრემონარქიული ტიპის სახელმწიფო, რომელსაც გააჩნდა სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანი: ჰყავდა მეფე, ჰქონდა

---

*კოლხი მეფის ასულის მედეას სახე ბერძენი მწერლების მთავრობის ნყარო იყო. მედეას დამადების ადგილი იყო ქალაქ კუტაია (ქუთაისი). ბერძნულ ლიტერატურაში არსებობს მედეას ხიყვარულის ისტორიის 200-ზე მეტი ვარიანტი. ეერიპიდეს "მედეადან" მომდინარეობს მედეას უარყოფითი სახის შეთხზვა. ისტორიული რეალობა საპირისპირო ფაქტებს გვაწვდის, კერძოდ, მედეას შვილები არ დაუხოცავს. ცნობილია მედეას ეაეიშვილის მერმეროსისა და შეიშვილის ოლას შესახებ, რომელიც წამალმომცოდნე იყო. //აკ.ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბ.,1964, გვ.17. ჰეროდოტეს (ძ.წ. V ს.). "ისტორიაში" ოგი დადებითი თვისებებით არის წარმოჩენილი, როგორც კეთილი, კაცთმოყვარე პიროვნება; საყურადღებოა, რომ ბერძენი მწერლები დიდრე ხიყლილი (ძ.წ. I ს.), ამალიდორე (ძ.წ. I ს.) აღწერენ კორინთელების მიერ მედეას შვილების დახოცვას. პავსანია (ახ.წ. I ს.) "ელადის აღწერისას" აღნიშნავს კორინთელების მიერ მედეას ძეგლის დაგებას, ერთგვარი მომანინების მიზნით. // ცგოგაური, არგონავტიკის კვლევის ზოგიერთი ასპექტი. იხ. არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა. აკ. ურუშაძის დაბადების 80 წლისადმი მიძღვნილი შრომების კრებული, თბ.,1999, გვ.16; გუსაკაძე, დასავლეთ ამერკავკასია ძ.წ. III ათასწლეულში, თბ.,1993.

31. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ.,1958.

32. ნ. ფოფხაძე, კიდევ ერთხელ ქართველი ერის წარსულის დამტრობა-დამახინჯებაზე. გაზეთი "ლიხკერია", №52, 7 XI, 2008.

თავისი დამწერლობითი სისტემა – "კოლხური ოქროდამწერლობის" სახით, ჩართული იყო საერთაშორისო საჯარო ურთიერთობაში: შავიზღვისპირეთში არსებული პორტებითა და მდინარეებზე გადებული უამრავი ხიდით (სტრაბონ, XI.), გააცნდა თავისი ვალუტა – კოლხური თეთრის [ფოტო – №8] სახით, აღინიშნებოდა მიწათმოქმედების, მეტალურგიის, მედიცინის, ხელოსნობის მაღალი დონე. ამდენად, შავიზღვისპირეთში ჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფო – კოლხეთის სამეფოს სახით, აკმაყოფილებდა უძველესი პერიოდის განვითარების მაღალი დონის სტანდარტებს. გარდა ამისა, ქართველი ეთნოსის მიერ შექმნილი "კოლხური კულტურა", რომელიც გამოირჩეოდა თვითმყოფადი კულტურული ნიშნებით, ვრცელდებოდა მთელ დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე მის მოსაზღვრე მხარეებშიც: ჩრდილოეთ კავკასიასა და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ბერძენი ჰეკატეს ცნობით, კოლხეთში შექმნილი მრავალფეროვანი ნივთიერი მასალაში (ძვ.წ. II ათასწლეული) წარმოდგენილი იყო მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნებით. კოლხური კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია კოლხური ცულით, საომარი იარაღით – მასრაგახსნილი შუბისპირებით; გრეხილრკალიანი საყურით, სადაც საყურეს რგოლის ბოლო დახვრეტილია; რომბისებრფირფიტიანი დიადემებით; მხოლოდ კოლხეთისათვის დამახასიათებელი სხივანა საყურეებით; გავარსის ფილიგრანული ტექნიკით შესრულებული ბურთულებიანი (ე.წ. ცვარას) ნაკეთობებით. აქედან გამომდინარე, ეს და მსგავსი ნივთიერი მასალა კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ქართველ ტომთა მიერ შექმნილი კოლხური კულტურა არ არის ბერძნული კულტურის ნიადაგზე აღმოცენებული, არამედ იგი არსებობდა შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიების (ძვ.წ. VII ს.) გაჩენამდე. ამასთან დაკავშირებით, შეგვიძლია დავიმოწმოთ რ. გორდეზიანის "მედიტერანულ-ქართველური მიმართებების" მესამე წიგნი, სადაც ბერძნების ქართველთა მიწაზე მოსვლასთან დაკავშირებით მეცნიერი აღნიშნავს: "არგონავტების მიზანი იყო დიადი საწმისის მოპოვება", რომლის ეტიმოლოგია უკანასკნელ ხანამდე არ იყო დადგენილი". აქ ლაპარაკია ცნობილ "ოქროს საწმისთან" დაკავშირებულ მოვლენაზე, რომელიც ერთგვარი გასაღებია შავიზღვისპირეთსა და ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთობის გასარკვევად. კერძოდ, გორდეზიანი მიუთითებს "ოდისეაში" ცხვრის ტყავის ხსენების შესახებ, სადაც ბერძენ ავტორს იგი "ოქროს საწმისის" მნიშვნელობით არა აქვს მოხსენიებული. აქედან გამომდინარე, საქმე გვაქვს წინაბერძნულიდან შემოსულ სიტყვასთან. ბერძნების მოსვლამდე იგი ქართველ მიგრანტებს უნდა შეეტანათ ეგეიდაში ძვ.წ. II ათასწლეულში, რადგან ეგეიდასა და შავიზღვისპირეთს შორის საზღვაო კავშირი დარდანელის სრუტის გავლით უკვე გეიანბრინჯაოს ხანაში არსებობდა. ეს

მტკიცდება ტროაში წარმოებული გათხრების შედეგებით[33]. ამდენად, კოლხეთსა და მიკენურ სამყაროს შორის კონტაქტის ფაქტი კიდევ უფრო ამყარებს შეხედულებას "ფესტოს დისკოს" ქართული წარმომავლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მონაცემთა გათვალისწინებით ოთარ ლორთქიფანიძე "ოქრომრავალ კოლხეთს" ცივილიზაციის კერად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, ქართველთა მიერ შექმნილი "კოლხეთის სამეფოს" არსებობა მსოფლიო კულტურის ისტორიაში სახელმწიფოებრიობის შექმნის კიდევ ერთი ადრეული ნიმუშია. აღსანიშნავია, რომ "კოლხეთ-აიას" ქართველ ტომთა ამ დიდი გაერთიანების გარდა თანამედროვე საქართველოს საზღვრებს გარეთ იყო ქართველურ ტომთა სხვა გაერთიანებები. კერძოდ, მცირე აზიაში, შუამდინარეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კუნძულ კრეტაზე, კვიპროსზე, პირენეისა და აპენინის ნახევარკუნძულზე. სამომავლო სამეცნიერო კვლევები საბოლოოდ გააქარწყლებს მათდამი ჰიპოთეზურ დამოკიდებულებას და წარმოგვიდგენს სრულყოფილ სურათს, როდესაც უძველესი ათასწლეულების წინ არსებულ ქართულ კულტურას ჩამოსცილდება არასწორი განსაზღვრა – უძველესს ათასწლეულებში კავკასიის რეგიონალური კულტურის მნიშვნელობისა, რადგან ე.წ. "კავკასიის რეგიონის" ხსენებისას (ტერმინი კავკასია პირველად გვხვდება ძვ.წ. VI ს-ში ესქილეს "მიჯაჭვულ პრომეთეში") უნდა იქნას გათვალისწინებული კულტურულ-ისტორიული წანამძღვრების ქრონოლოგიური მონაცემები. კერძოდ, თანამედროვე რეალობაში არსებული კავკასიონის რეგიონში შემავალ სახელმწიფოთა ისტორია და მათი წარმოშობის თარიღი. რაც შეეხება სახელწოდება – "კოლხეთის" წარმომავლობას. აქ უნდა იქნას დადგენილი "კოლხეთისა" და "აიას" სახელწოდებათა იდენტურობა. ამ შემთხვევაში ჰომეროსის "ისტორიის" გათვალისწინებით ირკვევა, რომ ჰომეროსი "აიას" კოლხიდად არ იცნობს. "აიას" ტრანსფორმაცია საბოლოოდ უნდა მომხდარიყო ძვ.წ. VIII ს-ის შემდგომ [34]. ეს ის პერიოდია, როდესაც ბერძნულ ტომებში ფინიკიური ანბანის საფუძველზე შეიქმნა ბერძნული ანბანი და მის შემდგომ ბერძნები იწყებენ "ისტორიების" წერას, რომლის დროს ისინი ხშირად დამოუკიდებლად ცვლიან ისტორიულ რელობასთან დაკავშირებულ სახელწოდებებს, რომელიც თანამედროვე რელობაში ხშირად გაუგებრობას იწვევს.

---

33. რ. გორგაზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, III, თბ.,2007, გვ.446,487,490; Stritter G, Memorie.1897,vol I, 56.

34. ო. ლორთქიფანიძე, კოლხური ეთნოკულტურული სისტემა, იხ. კრებული: ქართული ხალხის ეთნოგენეზი, თბ.,2000, გვ.18;















უძველესი ქართველი ტომები

• • •

ცნობილია, რომ უძველეს ეპოქებში ადგილი ჰქონდა დიდ გლობალიზაციურ პროცესებს ხალხთა გადასახლებების სახით, რაც XXI საუკუნის ადამიანისათვის სრულიად წარმოუდგენელი მოვლენაა, ასევე ხდებოდა ხალხთა დიდ გაერთიანებათა გაყოფა, ან, პირიქით, მცირე ერთეულების შერწყმა და ახალ გაერთიანებათა წარმოქმნა. ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც დაუზუსტებელ ინფორმაციასთან გვაქვს საქმე, რომელიც ხშირად ჰიპოთეზების სახითაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, ამოუხსნელი მიზეზებით ყალიბდებოდა სრულიად განსხვავებული ცივილიზაციის კერები. ასე მაგალითად ჩვენთვის ცნობილი ეგვიპტის, შუმერის, ჩინეთის, ინდოეთისა და სხვა კულტურები, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობდნენ ახალი კულტურების შექმნას.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება თავდაპირველი ანუ საწყისი კულტურის შესახებ: უმრავლესობის აზრით, ეს არის ანატოლია, კერძოდ, ჯ. მალაარტის მიერ სამხრეთ ანატოლიაში* (თანამედროვე თურქეთი) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის (ძ.წ. VII ათასწლეული, ნეოლითის ხანა) საფუძველზე განმტკიცდა შეხედულება კულტურულ-ენობრივი ერთიანობის გავრცელების თავდაპირველი ზონის შესახებ [1]. გ. ქავთარაძე წერს: " ანატოლია* ძველი სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული მხარე იყო. თვალსაჩინოა მისი წვლილი კაცობრიობის ისტორიაში, კერძოდ, საკვებწარმოებითი ეკონომიკის, სპილენძისა და რკინის, მეტალურგიის, პროტოურბანული საზოგადოების, დედაღვთების კულტის წარმოქმნა-ჩამოყალიბებაში" [2]. ასევე არსებობს შეხედულება ხმელთაშუაზღვისპირა აუზის როგორც საწყისი ისტორიის შესახებ. გარდა ამისა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ძველ სამყაროში არსებულ

1. რ. გორდეზიანი, წინაპრობანული და ქართველური თბ.,1987, გვ.13.

* ანატოლია – თანამედროვე თურქეთის აზიური ნაწილი. (ბერძნულად აღნიშნავს განთიადს, მზეს, აღმოსავლეთს). "ანატოლია" მცირე აზიის აღმნიშვნელად პირველად გამოიყენა X ს-ში ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა, ხოლო სახელწოდება "მცირე აზია" – V ს. ისტორიკოსმა პაგანოს ორიოსელმა იგი დასახელა აზიის კონტინენტის რომაული პროვინციის განსასხვავებლად. ანტიკური ხანიდან ცენტრალური ანუ შიდა ანატოლიის უდიდესი ნაწილი "დიდ კაპადოკიად" და პონტოს კაპადოკიად სახელდება. IV ს. ანტოქიელი არქიეპისკოპოსი "ეკლესია ღვთა განმარტებაში" წერს: "კაპადოკიელთა ძველი სახელი მესხებია". კაპადოკია იხსენიება ბიბლიის დაბადების შესაქმეთა წიგნში, ასევე, " მოქცევაი ქართლისაჲ" X ს-ის უცნობი ქართველი ავტორი კაპადოკიას ახასელებს ქართლის პირველი მეფის, აზოს სამშობლოდ. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსით იბერები და მესხები ანატოლიური წარმოშობის არიან. იხ. ქართული საბჭ. ენციკლოპედია,I,თბ.,1976, გვ.77; გ.ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ.,1985;

2. გ. ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველ ტომთა განსახლების საკითხისათვის, 1985, გვ.4.

ხალხთა გადასახლებების შესახებ ანუ რა მიმართულებებით ხდებოდა ხალხთა მიგრაციები. თ. გამყრელიძემ ვ.ვ. ივანოვთან [3] ერთობლივად წამოყენა ვერსია ინდოევროპელების აზიიდან მოსვლის შესახებ. ფ. შახერმაიერის თვალსაზრისით, ძ.წ. VI ათასწლეულის დასაწყისიდან ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან დასავლეთისაკენ ხალხთა ინტენსიური მიგრაციის შედეგად ხმელთაშუა ზღვის რეგიონში (ეგეოსის აუზი) მკვიდრდებიან არაინდოევროპული კულტურის მატარებელი ეთნოსები. თვით შუამდინარეთის (მესოპოტამია, ადგილი მდინარეებს — ეფრატსა და ტიგროს შორის) ცივილიზაციას, კერძოდ, შუმერულ კულტურას, მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს ანატოლიიდან აღმოცენებულად. არსებობს მოსაზრება შუმერული კულტურის თანამედროვე კავკასიის რეგიონიდან გავრცელების შესახებ. აზრთა ერთიანობაა შუამდინარეთში (თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე) ძ.წ. IV ათასწლეულში შუმერების მოსვლის შესახებ, სადაც მათ დახვდათ სხვა მოსახლეობა (პროტოშუმერები), რომელთა წარმომავლობასთან დაკავშირებით კონკრეტული პასუხი არ არსებობს.

მსოფლიოში ცივილიზაციის შექმნის საწყისი პერიოდიდან შავიზღვისპირეთი ჩართული იყო ხმელთაშუაზღვისპირა აუზში მიმდინარე პროცესებში. ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ ჩატარებული გამოკვლევების, კერძოდ, ძველი წერილობითი წყაროებისა და განსაკუთრებით ძველბერძნული ლიტერატურის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ძველ კულტურულ სამყაროში ქართველი ტომების არსებობის გარკვევა, რომელთა უძველესი სახელწოდებები იმ სახით დღეს არც ერთ ადგილობრივ ქართულ დიალექტსა თუ კუთხეს არ შემორჩენია. მათ შორის არიან ქართველ ტომთა შემდეგი სახელწოდებები: ხალიბები (ხალდები), თუბალები (თობალები), მოსინიკები, ქაშქები, მაკრონები (სანები), მუშქები (იგივე მოსხები, მოსოხები), კორაქსები, კარდუხები, სუბარები, ჰენიოხები, დოლიონები და სხვანი, ასევე სახელდება უძველესი ქართველი მონათესავე ტომები: ქალდეველები, პელასგები, ეტრუსკები, ალაროიდები. ამ უკანასკნელთა მიმართ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. ტომის წარმომავლობის დასადგენად სამეცნიერო ლიტერატურაში — იგივე რუკებთან მიმართებისას, ხშირად დიდ დაბრკოლებას ქმნის გამოყენებული ტერმინი "კავკასიის" დასახელება, რომლის დროს გაურკვეველია თურომელი ეთნოსია მასში ნაგულისხმევი. ეს გაუგებრობა გამოწვეულია იმ

---

3. Т. В. Гамкрелидзе, Реконструкция индоевропеского проязыка гипотеза объ азиятской прародине индоевропенцев ex oriente lux, იხ. Кавказко ближневосточний сборник, Тб., 1988, ст. 44; Р. Гордезиани Эгейская культура бронзовой эпохи; Тб., 1987; გ.ფირცხალავა, უძველესი ახლაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ.,2002; რ.ფირცხალაური, მელიტერატულ-ქართველური მიმართებები, I ნაწილი, თბ.,2007, გვ.152.

მიზანმიმართულებით, როდესაც საბჭოური კალკიდან მომდინარე ეთნიკური წარმომავლობას არ ენიჭებოდა არავითარი მნიშვნელობა, უფრო მეტიც, ხშირად ეს ხდებოდა სწორედ ეროვნული იდენტურობის გადასაფარავად, რომელის დროს საგულდაგულოდ წაშლილი იყო ქართველთა კვალი. სამწუხაროდ დღესაც მეცნიერებს შორის შეუთანხმელობისა, დარგთა შორის არაკორდინირებულად წარმოებული გამოკვლევების შედეგად საბოლოო ჯამში ზარალობს ისტორიული სიმართლე და ამიტომაც ქართულ რელობაში არ დაწერილა ფუნდამენტალური ნაშრომი "ქართული კულტურის ისტორიის" სახით, ამიტომაც ერთიან კულტურულ პროცესებში დღემდე არ არის შეფასებული არც წინა ქრისტიანული და ქრისტიანული პერიოდის ქართული კულტურა, რომელიც გასცემს ჯეროვან პასუხს ჩვენ ისტორიულ წარსულთან მიმართებისას: ქართული ისტორიული საზღვრების, ეთნიკური შემადგენლობის, ქართული ხელოვნების ნიმუშების კუთვნილების დადგენისას და სხვა ჩვენს მიმართ წამოყენებული პრეტენზიების დასაცავად. წარმოდგენილი ნაშრომი ერთგვარი მცდელობაა ქართველ ტომებთან დაკავშირებული სამეცნიერო შრომებში გაფანტული ინფორმაციის თავმოყრისა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე ადრეული ცნობა ქართველ ტომებთან დაკავშირებით, კერძოდ, შუამდინარეთში ქართველთა კვალის არსებობის შესახებ მიეკუთვნება ძვ.წ. VII-VI ათასწლეულებს. კერძოდ, ვგულისხმობთ განათლებით ისტორიკოსის, საქართველოს პატრიარქის კირიონ II-ის გამოკვლევას [4], რომელიც არის გამოხმაურება 1877 წ. ქ. ბასორაში წარმოებული გათხრების შედეგებისა. იგი ეხება შუამდინარეთში მცხოვრები ქართველთა მონათესავე ტომის — ქალდეველის განსახლებას. გარდა ამისა, ძვ.წ. III-II ათასწლეულებში მცირე აზიიდან ხალხთა დიდ მიგრაციას უკავშირდება სხვადასხვა ქართველი ტომის გადასახლებები, რომლებიც სხვადასხვა სახელწოდებით არიან მოხსენიებულნი. კერძოდ, კონტინენტური საბერძნეთის — პელასგები, თანამედროვე იტალიის — ეტრუსკების, პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ესპანელი იბერების ანუ მათი მემკვიდრეების ბასკების ქართველთა მონათესავე ტომები. მათ ქართველურთან ნათესაობას ამტკიცებს ლექსიკური, ანთროპოლოგიური, ლიტერატურული წყაროები, ასევე თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომების ალაროიდების ანუ თეთრი ალოფილების არსებობა. წარმოგიდგენთ ზოგიერთ ქართველ ტომთა ჩამონათვალს, რომელთა შესახებ არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

---

4. Кирион II, Значение раскопок в Хвалдее для начальной истории Картвел, იხ. გაზეთი "ერის ლირსება", თბ.,2006, გვ.18; აღნიშნული დოკუმენტი ინახებოდა საქართველოს სახელმწიფო არქივში და იგი მოძიებული იქნა ლენინა სუმბათის მიერ, რომელიც ქეყნდება შემოკლებული სახით.

სიტყვა "ხალიბ" ძველბერძნულად ფოლადს ნიშნავდა. პეკატე მილეთელი ხალიბს მელითონე ტომად ასახელებს. არიანე ნიკომედიელის მიხედვით ხალიბები აღიარებული არიან მსოფლიოში მელითონეობის, კერძოდ, მეტალურგიის შემქმნელებად [5] ხალიბების რკინა უკანგავი იყო, რადგან გამოდნობისას მას უმატებდნენ ცეცხლგამძლე მიწას. ხეთურ პერიოდში (ძ.წ. II ათასწლეული – ძ.წ. XIII–XII სს.) ხალიბების საცხოვრებელი იყო ხეთების სამეფო*. ისინი ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ხეთების სამეფოს შექმნამდე (ე.ი. ძ.წ. II ათასწლეულამდე). კერძოდ, არნ. ჩიქობავა მცირე აზიაში მცხოვრები ხეთების წინარე ხათების წარმომავლობასთან დაკავშირებით, არქეოლოგიის, მითოლოგიის, ფოლკლორისტიკისა და სხვა სამეცნიერო დისციპლინების გათვალისწინებით ასკვნის "ხათები არიან ქართველთა წინაპრები და შესაბამისად ხათური ენა არის წინაქართული, რომელიც დღეისათვის ასახულია ინდოევროპულ ხათურ ანუ ნესიტურად დაწერილ ტექსტებშიც" [6]. რომელი ავტორი კალიელესი (ძ.წ. 87-54 წწ.) არგონავტებთან კავშირში ასახელებს რკინის მომპოვებელ ხალიბებს [7]. ხალიბონები სტრაბონის მიხედვით იგივე ხალიბებია (Srabon, XII, 3-20), რომელთა შესახებ ლაპარაკია ჰომეროსის "ოდისეაში (Homeros,XII, 59-74). ძ.წ. IV ს-ში ბერძენი ქსენოფონტეს მოსელისას კოლხეთში, ქ. ფასის სათავესთან, იქ მას დახვდა ხალიბები, ტაოხები. პეკატე მილეთელით, ხალიბები ცხოვრობდნენ ჭოროხის ხეობაში.

---

5. А. Иссен, К вопросу с древнешей металургии на кавказе, стр. 199;

* ხეთები ძ.წ. III-II ათასწლეულებში ბინადრობდნენ ცენტრალურ ანატოლიაში (მცირე აზია). ლაპარაკობდნენ ნესურ (ქანესურ) ანუ ხეთურ ენაზე. ხეთები (ანუ ნესიტები) ჩამოყალიბდნენ არანდოევროპული ანუ პროტოხეთური(წინარეხეთური) მოსახლეობასთან შერწყმის გზით. სახელწოდება "ხეთი" წარმოიქმნა პროტოხეთური წარმოშობის გეოგრაფიული მნიშვნელობის ტერმინიდან – "ხათი", რომელიც თავდაპირველად მხოლოდ პროტოხეთების აღმნიშვნელი იყო. არსებობს მეცნიერთა აზრი პროტოხეთების ქართველური ტომის წარმომავლობასთან დაკავშირებით. ხეთებმა შეითვისეს და გამაკეთარეს პროტოხეთების კულტურული მიღწევები, მაგრამ ენა ნესიტური (ხეთური) დიტოვეს. შემონახულია აქადურ ლურსმნულზე შესრულებული ძ.წ. XVIII ს-ის სამეფო ანალები. ხეთების სამეფოს (ძ.წ. II ათასწლეული – ძ.წ. XII ს). დაცემის შემდეგ ხეთის მოსახლეობა გაქრა (მის მემკვიდრეებად მიიჩნევენ კარიელებს, ლიუელებს). ძ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში ხეთებს უწოდებდნენ სამხრეთ ანატოლიაში, ჩრდილოეთ სირიასა და პალესტინაში მცხოვრებ ტომებს. ბიბლიის ქართულ თარგმანში ხეთები მოხსენიებულნი არიან როგორც "ქეტელნი" (ქეთანა), ძენი ქეტისნი". ხეთური "ლინ" ქართულად ლენის აღნიშნავს, ხოლო ხეთური "ურეს" (მეჯოველი) ქართულად – "ურიოს"// იხ. ქართული საბჭ. ენციკლოპედია, XI, თბ.,1987, გვ.453.; გრ. გიორგაძე, ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1999,.გვ 171; გრ. გიორგაძე, უძველესი - ახლაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმოშობა, თბ.,2002.

6. აკ.ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბ.,1964,გვ97.

თუბალები

სახელწოდება თუბალი (იგივე თობალები, თაბალები, ტიბარენი) პირველად მოხსენიებული ძ.წ. IX ს-ის ასურულ წყაროებშია: სალმასარ II-ის (ძ.წ. 859-824) შავი ობელისკის წარწერაში. სარგონ III-ის ლურსმნული წარწერიდან ვიგებთ, რომ თუბალები მდინარე ევფრატის დასავლეთით ცხოვრობდნენ. მის მეფობაში მოხდა ქაშქების, თუბალების, ხილაქუს ხალხთა გადასახლება. გარდა ამისა, სხვა ასურულ წყაროებში საუბარია სარგონ I-ის მიერ ქართველი ტომის — მუშქების განდევნის შესახებ. მუშქებისა და თუბალების მეფენი მოკავშირეები იყვნენ. ძველი ასურული ლურსმნული წერილობითი წყაროები მელითონე თუბალების განსახლების ადგილად კაპადოკიას (მცირე აზია) მიიჩნევს [8]. ასურული წყაროები თუბალებს ანტიკური ხანის დიდ კაპადოკიაში ათავსებდნენ. კერძოდ, თუბალის ქვეყანა მდებარეობდა დიდი კაპადოკიის დასავლეთ სექტორში (თანამედროვე გურუნ-შაჰრი-პოზიდან ჩრდილოეთით). XIX ს-ში ძველი ასურული წერილობითი წყაროებით გამოვლინდა ცნობები მცირე აზიაში ძ.წ. II-I ათასწლეულში მცხოვრები ქართველთა წინაპრების დიდი გაერთიანებები — ბიბლიური თუბალისა და მეშეხის (მუშქები) შესახებ, ასევე, იოსებ ფლავიუსი წერს თობელებთან დაკავშირებით: "თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ" [9]. ამდენად, ქართველი ტომის — თუბალის მიგრაცია ხდებოდა შუამდინარეთსა და ანატოლიას შორის. თობელები ანუ ტაბალები დასახელებულნი არიან იბერთა წინაპრებად [10]. ასევე, იოსებ ფლავიუსი გადმოსცემით "თობელებმა დააფუძნა თობელები, რომელსაც ახლა იბერები ეწოდებათ" [11].

---

7. არნ. ჩიქობავა, დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი, თბ.,1998, გვ.29.

8. თ. მიქელაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ლოკალიზაციისათვის, იხ. ჟურნალ: მაცნე, ისტორიის-არქეოლოგიის სერია, №3. თბ.,1966, გვ.126. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ.,1970, გვ.317; გეორგიკა, I, თბ.,1961, გვ. 271; კრებ: ძველი ისტორიის საკითხები, 1970: 6. ხაზარაძე, თობალის ქვეყნის ადგილმდებარეობისათვის, გვ 64.; Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб .,1959, გვ37-39.; ს. ჯანაშია, შრომები, ტ.III, თბ.,1959, გვ.63,70; ნ.ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ.,1978.

* A – 1108 ხელნაწერი, გელათური ბიბლია — 26,32,36,38; G. Graffin,Patrologia orientalis, XXIX, 5, gv.770)

9. Древневосточные материалы по истории народов Закавказия:: Г .А, Меликишвили Наири-Урарту, Тб .,1955, ст .73-74; ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზი, თბ.,2006, გვ.16.

10. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ1951, გვ.3: "გეორგიკა", IV,1,გვ.37; Chr.Paschale, ed Dindorfius,II,237.

11 "გეორგიკა".I, გვ271

–ქაშქები

ქაშქებს ხეთების სამეფოს (ძვ.წ. II ათასწლეული) წინარე მოსახლეობათ მიიჩნევენ (გრ.გიორგაძე, თ. მიქელაძე, კ. თოფურია). ქაშქი კოლხური (მეგრულ-ჭანურ-სვანური) წარმოშობის ტომია. ეს ჰიპოტეზა დამყარებულია შუამდინარეთსა და ანატოლიას შორის ენობრივ და ონომასტიკურ მასალაზე. ნ. ხაზარაძე ქაშქების განსახლების ტერიტორიას აქცევს კოლხური ბრინჯაოს კულტურის გავრცელების არეალში [12]. ძვ.წ. III ათასწლეულს უკავშირდება ბოღაზქოიას არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ძვ.წ. XVII ს-ის ხეთური ლურსმნული წარწერები, სადაც ლაპარაკია იქ მცხოვრებ ქაშქებთან კოლხების ნათესაობის შესახებ. ხეთურ ლურსმნულ ტექსტებში მოხსენიებულ ქაშქებს ჰქონდათ ერცელი ქვეყანა პონტოს ტერიტორიაზე. ძვ.წ. XV-XII სს-ის ხეთურ ტექსტებში დასახელებულია ქაშქური ტოპონიმი. ქაშქები მოხსენიებული არიან ასირიულ, ხეთურსა და ეგვიპტურ წარწერებშიც. ქასქები ლაპარაკობდნენ პროტოხეთურ ენაზე (იბერიულ-კავკასიურზე) [13]. ქაშქები მცირე აზიაში თამაშობდნენ განსაკუთრებულ როლს. ქაშქები ქმნიან დიდ გაერთიანებას, რომელიც ასევე "ანების" სახელით იყო ცნობილი, კერძოდ, არსებობს გარკვეულ მეცნიერთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქაშქთა გაერთიანება ზოგადად არა მხოლოდ ქაშქის ტერიტორიას მოიცავდა, არამედ იგი იყო საერთო სახელი სხვადასხვა ტომთა გაერთიანებისა. ქაშქები ხეთების იმპერიის დაცემისთანავე დაიძრნენ სამხრეთისაკენ. სწორედ ამ პერიოდისათვის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის მუშქის ქართველური ტომი.

– –მუშქები

ქართველი ტომის – "მუშქის" მიერ შექმნილი დიდი გაერთიანების შესახებ სხვადასხვა დროისა და სახის ინფორმაცია არსებობს: გარკვეულ მეცნიერთა აზრით, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში მუშქების განსახლების არეალი იყო ზემო ეფრატთან, მდ. არცაანის შესართავთან; ასევე მუშქები ცხოვრობდნენ მცირე აზიის ჩრდილო -აღმოსავლეთ ნაწილსა და ხეთების სამეფოს ტერიტორიაზე. გრ. გიორგაძის გამოკვლევის თანახმად, მუშქების განსახლების ადგილი იყო ჩრდილოეთ შუამდინარეთის ჩრდილოეთით მდებარე ერცელი ტერიტორია, რომელშიც სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (თანამედროვე ტერმინოლოგიით) – სამხრეთ-დასავლეთი

---

12. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ.,1984, გვ73; ნ.ხაზარაძე, სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, თბ.,2005, გვ.313.

13. გრ. გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმნული ტექსტები ქასქების (ქაშქების) და ახეშლარების ეთნიკური წარმოშობისათვის, თბ., 2000,გვ.104. Древневосточные материалы по истории народов Закавкази:: Г. А, Меликишвили, Наири-Урарту, Тб.,1955, ст. 73.

ამიერკავკასიაც შედიოდა. ამაზე მეტყველებს მათი 50-წლიანი ბატონობა ფაქტიალზის, ფუსუნდუშზისა და ქათმუხის ქვეყნებზე. [14]. ძვ.წ. XIII–XII სს-ში მოხდა მუშქების მიგრაცია. სირიული წყაროების თანახმად მათ გადაინაცვლეს ჩრდილოეთი მესოპოტამიისაკენ, ნაწილი კი თანამედროვე საქართველოს სამხრეთით დასახლდა. ბერძნები მათ მოსხებს უწოდებდნენ. მუშქებმა და მათმა შთამომავლებმა დიდი როლი ითამაშეს ქართლის სამეფოს შექმნაში. ქართველთა მონათესავე ტომების, კერძოდ, თუბალისა და მუშქის ნათესაობის შესახებ გვეუბნება ძვ.წ. VII–V სს-ის ასირიული ლურსმნული წარწერები, ასევე, ჰეკათეს მიხედვით კოლხები და მეშეხები (მუშქები) ერთმანეთს ენათესავებიან. ეფორნისა და ბროკჰაუზენის ენციკლოპედიაში ლაკონურად არის გადმოცემული ინფორმაცია ძველ ქართველ ტომთა შესახებ. კერძოდ, ძვ.წ. VII–V სს-ის ასურულ ლურსმნულ წყაროებში ნახსენებია ქართველი ტომები – თუბალი და მუშქი. ბიბლიური წინასწარმეტყველები – მოსე და იეზიკიელი იცნობენ ქართველურ ტომებს – მეშეხსა (მესხებს) და თუბალს. ისინი ეწეოდნენ ვაჭრობას ფინიკიასთან [15]. ეს არის ერთ-ერთი ნიმუში ქართველი ტომების ურთიერთობისა ძველი სამყაროს მსოფლიოს იმ წარმატებულ ხალხთან, რომლებმაც მსოფლიოს აჩუქეს ანბანური ბგერითი დამწერლობა, ასევე ერთ-ერთი ფუძემდებლები მსოფლიოში წარმატებული ნავიგაციისა – თავისი შორეული ზღვაოსნობით, ცნობილები როგორც ხმელთაშუა ზღვის აუზში ხელსაყრელი ვაჭროურთიერთობის სისტემის დამნერგავები. საინტერესო პარალელთან გვაქვს საქმე, როდესაც გავიცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ, განსხვავებით ქართველებისაგან, ამგვარი წარმატებული ქვეყანა ძვ.წ. II საუკუნისათვის ფინიკია მხოლოდ რომის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად მოიხსენიება. გრ. გიორგაძის თანახმად მუშქთა ძირითადი საცხოვრებელი ისტორიული სამხრეთი საქართველოა. განსაკუთრებულად საინტერესოა მუშქთა ისტორიასთან დაკავშირებით გრ. გიორგაძის გამოკვლევა ქართველ ტომთა ანატოლიაში (კაპადოკიაში) სახლობის შესახებ [16]. ანატოლიასთან დაკავშირებით გ. ქავთარაძესთან ვკითხულობთ: "ძვ.წ. IV–III ათასწლეულებში ჩრდილოეთ და ცენტრალური ანატოლიის ძეგლებზე (ალაჯა ჰიუქი, იქიზთეფე, ბუიქ გიულიჯექი და სხვა) გვხვდება საქართველოს არქეოლოგიური მასალების ხანგრძლივი დროის განმავლობაში დამახასიათებელი ნიშნები. ძვ.წ. II ათასწლეულში ცენტრალურ ანატოლიაში ქართველების ყოფნაზე მიგვანიშნებს მორფოლოგიური და ლექსიკური

14. გრ. გიორგაძე. უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ.,2002, გვ.124.;

15. Энциклопедический словарь, т. IX, ст.795

16. გრ, გიორგაძე. უძველესი ახლოაღმოსავლური .ოგიეე. გვ.125.

დამთხვევები ხათურ (პროტოხეთურ) და ანატოლიურ (ინდოევროპულ-ხეთურ) ენებს შორის. ძ.წ. I ათასწლეულში ანატოლიაში უპირატესად ქართველური წარმოშობის ტომები იყვნენ. ხეთური და ასურული ეპიგრაფიკული მონაცემებით" [17]. ისტორიკოსი ვ. გოილაძე ძ.წ. XII ს-ის ასურული ლურსმნული წყაროების საფუძველზე წარმოგვიდგენს მუშქების მიგრაციის მთელ ისტორიას, როდესაც მუშქთა ერთი ნაწილი ძ.წ. 676 წ. ურარტუსთან მარცხის შემდგომ დაიძრა ჩრდილო- დასავლეთისაკენ, ხოლო ძირითადი მასა დარჩა ადგილზე. სწორედ მათ შთამომავლებს ეწოდათ კაპადოკიელები*. კაპადოკია მოიცავდა მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილს: დასავლეთით მდინარე პალისამდე (ყიზილ-ირმაქი), სამხრეთით – თავრიზის მთებამდე, ჩრდილოეთით – შავ ზღვამდე. სახელწოდება"კაპადოკია" მუშქთა ქვეყანამ მიიღო ძ.წ. 546 წელს, რაც სპარსულად "თეთრი ცხენების ქვეყანას"აღნიშნავს [18]. ცნობილია კაპადოკიაში მცხოვრები სამი ქართველი ძმის მოღვაწეობის შესახებ, მათ შორის გაბრიელი წერდა ლათინურ, ბერძნულ, სირიულ ენებზე. ძმების შობლიური ენა იყო მუშქური ანუ ქართული (ვ. გოილაძე). ურარტუში მუშქების შთამომავლებს ახ.წ. VI-ის სირიელი ავტორი "ურტებად" იხსენიებს, რომლებსაც შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული ტრადიცია. ცნობილია, რომ მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში (კაპადოკიაში) – ანატოლიაში არსებობდა მუშქების ანუ ქართველების მიერ ძ.წ. XII ს-ში შექმნილი დიდი გაერთიანება, რომელიც მახლობელ აღმოსავლეთში რკინის წარმოების ერთ-ერთი ძლიერი კერა იყო. კაპადოკიელებისა და მოსოხების ანუ მუშქების იგივეობაზე წერს ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი (დაახლოებით ახ.წ. 37), ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი (280-360), ბიზანტიელი ,ისტორიკოსი თეოდორე კვირელი (IV ს.), კათალიკოსი კირიონი, ამბროსი ხელაია (XX ს.). მუშქებს მიაწერენ სხვადასხვა მიმართულებით გადანაცვლებას, მათ შორის, მუშქებს ეხვდებით თუბალების მეზობლად ეგეოსის ზღვასთან [რუკა – № 1] ანატოლიის ამ მცირე მონაკვეთზე უნდა აღინიშნოს სხვადასხვა ქვეყნებისა და ტომების მონაცვლეობა, მათ შორის მეცნიერთა გამოკვლევების შედეგად საბოლოოდ დადგინდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ფრიგიელების მუშქებისაგან განსხვავება. ცნობილია, რომ ძ.წ. VIII ს-ში, მუშქთა დაცემის შემდგომ, მათი ტერიტორია დაიკავეს ფრიგიელებმა, ხოლო

---

17 . გ.ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ.,1985, გვ.140; თ. ყაუხჩიშვილი, პიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ1965,გვ. 25.\

18. ვ. გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, 2001;. ზ. ბატიაშვილი, კაპადოკია, თბ.,2004.

* "კაპადოკია" ქრისტიანულ პერიოდში იქცა დიდ ქრისტიანულ ცენტრად. კაპადოკიაში მოღვაწეობდნენ ქრისტიანული მოძღვრების თეოლოგები გრიგოლ ნაზიანზელი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნოხელი (ლაპარაკია მათი არბერძნული წარმოშობის შესახებ). კაპადოკია არის ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოს სამშობლო, სამშობლო წმ. გიორგისა.


აღმოსავლეთი მთიანი აზია ქრისტეშობამდე I ათასწლეულის დასაწყისს

ძ.წ. VIII ს-ის 70-იან წლებში მუშქები ურარტულთა და კიმირიელთა შემოსევების გამო კელავ იძულებულები იყვნენ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადაენაცვლათ. ისინი დასახლდნენ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის სამხრეთით და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ ახ.წ. XIII საუკუნეშიც კი, სომეხი ისტორიკოსის ცნობების თანახმად, სომხების მიერ დაკავებულ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთან ურთიერთობისათვის, მათ თარეიმანი სჭირდებოდათ. ჩვეულებრივ, სამცხელსა და მცხეთელ მესხებს მცირეაზიელი მუშქების მემკვიდრეებად მიიჩნევენ. ამდენად, ძ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით დადასტურებულია ცენტრალურ ანატოლიაში მოსხების (იგივე მუშქების, მოსხების) არსებობა. მცხეთაში დამკვიდრებული მუშქი მოსახლეობა ხეთურ-მცირეაზიური კულტურული ტრადიციების მატარებელი იყო. ამას მოწმობს იბერიის სამეფოს წარმართული საკულტო პანთეონის ანატოლიური ხასიათი. ხეთური წარმომავლობისაა წარმართული კერპები: არმაზი და ზადენი. არსებობს მოსაზრება მცხეთის ღვთაებების – გაცის და გას (გაიმის) მცირეაზიულ ღვთაებებთან: ატისა და კიბელესთან საინტერესოა, რომ ძველი ბერძნული წყაროები მუშქებს ზოგჯერ "მესქინებს" უწოდებენ. დასახლებულია მათი თავდაპირველი საცხოვრებელიც – ევქსინის პონტოს სანაპირო. შემდეგ ისინი კაპადოკიელები გახდნენ, ბოლოს კი ისევ ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლეს. [19]. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ჰეკატე მილეთელის "დედამიწის აღწერის" ფრაგმენტი შემოინახა ახ.წ. IV ს-ის ლექსიკოგრაფ სტეფანე ბიზანტიელის "ეთნიკურმა ლექსიკონმა", სადაც მოსხები (მუშქები) კოლხურ ტომად არის მიჩნეული. ამდენად, ქართველი ტომი – მუშქი მოიხსენებოდა სხვადასხვა სახელწოდებებით: როგორც კაპადოკიელები, მოსოხები, მოსხები, ურტები, მესქინები. ძ.წ. XII ს-ში მუშქთა დიდი გაერთიანება ცნობილი იყო როგორც მახლობელი აღმოსავლეთის რკინის წარმოების ძლიერი კერა.

სუბარები და კარდუქები

ქართველი ტომი სუბარი (სუბართუ) ცხოვრობდა ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით. მისი განსახლების არეალი იყო ქალაქი ურპა. აღმოსავლეთმცოდნე გრ. გიორგაძეს კარდუქების განსახლების არეალად მიაჩნდა ტერიტორია მდინარე ტიგროსამდე. ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელის სარდალს, სელევკ ნიკატორეს საქართველოში შემოსელისას ახლდა კარდუქების (ქართუების ან ქორთუების) მამასახლის არამის შვილი აზო. გრ. გიორგაძის აზრით, ქართლის პირველი მეფეები: აზო და ფარნავაზი კარდუქები ანუ ქართველები იყვნენ. [20]

მოსინიკები და მაკრონები

მოსინიკებსა და მაკრონებს ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე "ანაბაზისში" ქართველ ტომებად ასახელებს. ისინი ამზადებდნენ უჩვეულო თეთრი ფერის სპილენძს, რომლის დროს კალას ნაცვლად მადანში უმატებდნენ ე.წ. განსაკუთრებულ მიწას (თუთიის კარბონატს). ბერძნული წყაროები მოსინიკებს მიიჩნევდნენ ხალიბების მონათესავე ტომებად. [21] ქსენოფონტე ხაზგასმით აღნიშნავს მოსინიკების მიერ უჩვეულო სიმღერების შესრულების უნარის შესახებ. მოსინიკები პონტოს მთიანეთში ცხოვრობდნენ და სახელი მიიღეს იმ ხის კოშკების გამო, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ (Arg,II,1015). გარდა ამისა, ჰეკატე მილეთელის "დედამიწის აღწერიდან" ვგებულობთ შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ქართველი ტომების – ტიბარენების, მოსინიკების, მაკრონების შესახებ. სტრაბონის მიხედვით, მაკრონებს ეწოდებოდათ სანები. ისინი ცხოვრობდნენ ტიბარენებსა და ქალდებთან ერთად ტრაპეზუნდში [Strabon, XII,3,18]. საინტერესოა, რომ თანამედროვე ტრაპეზუნდის მხარეში მცხოვრებ მათ შთამომავლებს ახსოვთ თავიანთი ქართული წარმომავლობა [22]. ივ. ჯავახიშვილის აზრით მაკრონები იგივე მეგრელები არიან [23].

კორაქსები და ჰენიოხები

კორაქსები ცხოვრობდნენ კოლხების მახლობლად. რაც შეეხება ჰენიოხებს, ისინი სახლობდნენ შავიზღვისპირეთის სამხრეთით: ტრაპეზუნდამდე. ცნობა ჰენიოხებთან დაკავშირებით არსებობს ბერძენი ლოგოგრაფოსის ქსენოფონტეს (ძვ.წ. IV ს.) საისტორიო თხზულებაში "ანაბაზისში" (ანაბაზისი,IV,82). ჰენიოხები*– ქართველი ტომების "იგანიეხების" ბერძნულ-რომაული სახელწოდებაა. ივ. ჯავახიშვილი თავის "ქართველი ერის ისტორიაში" ჰენიოხების შესახებ შემდეგ ცნობებს წარმოგვიდგენს: "ავენიუსი (ახ.წ. IV ს.) ჰენიოხების შესახებ წერს როგორც შავიზღვისპირეთიდან პონტოს სამეფოდან მოსულებზე, ხოლო ანტიკური გადმოცემით ჰენიოხები ლეკედომიაში მცხოვრები პელასგებია"[24]. ქართველ ტომთა შესახებ საყურადღებო

---

19. გ.ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ.,1985.

20. გრ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსი და ქართველთა წარმომავლობა, თბ.,2002.

21 თ. მიქელაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ლოკალიზაციისათვის, ოფუ, გვ. 127.

22. ჯ. გოლაძე, ფოუ, გვ.73.

23. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ.,1913, გვ.38.

* ჰენიოხი (ჰენი მეგრულად ცხენია) მსგავსი სიტყვა "ჰენიხორ" მეგრულად გადახლეულს ნიშნავს. იხ. აკვასალია,ქართველთა უძირესი წინაპრები, პირველყოფილ კულტურასთან დაკავშირებით, ტფ.,1927,გვ.391.

24 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951. გვ.401.

ცნობებს გვაწვდის ძ.წ. IX–VIII სს-ის მიჯნით დათარიღებული, ქალაქ არზრუმის მიდამოებში აღმოჩენილი, ურარტუს მეფე მენუას სახელზე ლურსმნულით კედელზე ამოკვეთილი რამდენიმე წარწერა. იგი ეხება ურარტუს მიერ დიდი ქართული გაერთიანების "დიაოხის" წინააღმდეგ წარმოებულ ლაშქრობებს. წარწერაში დასახელებულია დიაოხის დასახმარებლად გამოსული რამდენიმე ქართველი ტომი, მათ შორის: ლოსა (ლაზები), ვიტერუხები (ოძრახე), ქათარზა (კლარჯნი), იგანიეხები (პენიოხები). წერილობითი წყაროები ასევე გვაუწყებენ ურარტუს მეფის არგიშტ I-ის წარმოებულ ლაშქრობისას ქართველთა დიდი გაერთიანების – დიაოხის წინააღმდეგ ქართველ ტომთა გაერთიანებულ ბრძოლას [25]. ძ.წ. XII საუკუნიდან ხეთების სამეფოს დაცემის შემდგომ ხდება ხალხთა ინტენსიური მიგრაცია, რომლის დროს მდ. ეფრატის სათავეში თავს იყრის ქართველ მიგრანტთა ახალი ნაკადი. ეს იყო ერთ-ერთი პირობა ძ.წ II ათასწლეულიდან ცნობილი ქართველთა დიდი გაერთიანების "დაიანეს" გაძლიერებისა (დედაქალაქი შაშილუ) [26]. გ. მელიქიშვილის თვალსაზრისით პენიოხი სვანური ტომია [27].

ამდენად, III –II ათასწლეულებში ქართველთა მრავალრიცხოვნებასა და მაღალგანვითარებულ კულტურის მიღწევებზე ლაპარაკობს ძველბერძნული წყაროები, რომელთა განსახლების ადგილია არამარტო თანამედროვე საქართველოს ტერიტორია, არამედ კონტინენტური საბერძნეთი. იგი კოლხთა მეფის, აიეტის საბრძანებელი ყოფილა. სწორედ ძ.წ. II ათასწლეულში კოლხეთში მომხდარი მოვლენების შესახებ აღწერენ ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში შესრულებული მნიშვნელოვან თხზულებების სახით ძ.წ.VI–V საუკუნეებისა, ასევე მის შემდგომ მოღვაწე ბერძენი და რომაელი ავტორები. ბერძენი ავტორები საბერძნეთის მიწაზე მოსახლე ქართველებს პელასგებად მოიხსენებენ. ამაევ დროს მათ იციან იმის შესახებ, რომ ერთიან ქართულ წარმომავლობაში არსებობდა სხვადასხვა ტომები. ამასთან დაკავშირებით ბერძნულმა წყაროებმა შემოგვინახა პელასგური ანუ ქართული წარმომავლობის უცნობ ტომთა სახელწოდებები. ასე მაგალითად ჰომეროსთან მოხსენიებულია ქართველი ტომი "ფეაკი", სადაც აღინიშნება მათი კულტურის მაღალი დონე. "ფეაკები" ცნობილნი იყვნენ როგორც კარგი ზღვაოსნები

---

25. ლ. გორგაძიანი, არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა, თბ. 1999. გვ. 22; . О. Лорткипанидзе, Наследие древней Грузии, Тб.,1989.

26. ჯ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში,ოფიციალ.123; ქართული საბჭ. ენციკლოპედია, X, თბ.,1986, გვ. 448.; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 507; გ. ქაჯაია,ძ, ანატოლიაში მცხოვრები ქართველი ტომები,ოფიც. გვ 10-11.

27. Г .А, Меликишвили, К истории древней Грузии, Тб .,1959, ст. 113.

28. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი, ოფიც. გვ. 140-142.



და ხომალდმკეთებელნი. ჰომეროსით მათ ეკავათ კუნძული სქერია, რომელსაც უფრო ადრე "მაკრისი" რქმევია, როგორც ქართველი ტომების მაკრისებისა და ხალიბების ნამოსახლარი. ამასთან დაკავშირებით აკ. ურუშაძესთან ეკითხულობთ: "მაკრონების, მაკრისის სახელწოდება აღნიშნავდა გრძელს, რომელმაც შემდგომ მიიღო სახელწოდება კუნძული "ევბეა", რომელიც იყო ქართველ ტომთა დასახლების ადგილი" [28]. კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე ქართველ ტომთა "პელასგების" ნამოსახლარების გარკვევისას უნდა იყოს გათვალისწინებული რამოდენიმე ტოპონიმის არსებობა. ასე მაგალითად, პელასგურ ტომს მიაკუთვნებენ "დოლიონებს". აპოლონიოს როდოსელის მიხედვით "დოლიონები" მოსახლეობდნენ მცირე აზიაში მდინარეების: ესეპესა და რინდაკის შუა მდებარე მხარეში [29]. დოლიონების კოლხ-პელასგურ წარმომავლობის შესახებ ლაპარაკობენ ბერძნული წყაროები, როდესაც დოლიონების დასახლების ადგილად დასახელებულია თესალია და თრაკია. გრამატიკოს-ისტორიკოსი კონონი თავის "მოთხრობებში" წერს, რომ დოლიონები პელასგები იყვნენ და თესალიიდან ელინებმა გამოაძევეს. თესალიიდან აყრილმა დოლიონებმა, მაკრონების ტომის მსგავსად, მცირე აზიაში – კოლხეთის გარშემო დაიდეს ბინა [30].

XX-XXI საუკუნეებში შექმნილ უცხოურსა და ქართულ სამეცნიერო გამოკვლევებში თანდათან მყარ საფუძველზე დგება ქართველთა მონათესავე ტომების, კერძოდ, შუამდინარეთში მცხოვრები ქალდეველების, პირენეის ნახევარკუნძულზე (თანამედროვე ესპანეთში) – ბასკების, კონტინენტურ საბერძნეთის მოსახლე წინაბერძენი ტომების – პელასგების, თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები – ალაროიდების (ალოფილების) ქართველურ ეთნოსთან მიმართების საკითხი, ასევე ენობრივი მსგავსება გამოვლინდა თანამედროვე იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეტრუსკულსა და ქართველურს შორის. [რუკა – №2]

ქალდეველები

ქართველთა ტომის – ქალდების (იგივე ქალდეველები, ხალდები) კვალი ჩანს შუამდინარეთში ძვ.წ. VII-VI ათასწლეულებში. კირონ II კათალიკოსი შუამდინარეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგებთან დაკავშირებით წერს: "ლუარდის გათხრებმა დაადასტურა ჩვენი წინაპრების ქვემო მესოპოტამიაში, სპარსეთის ყურესთან – კარდუნიაში, არსებობა ქრისტეშობამდე VII–VI ათასწლეულებამდე, ასევე უფრო ჩრდილოეთით მდებარე ქალაქებში: ერიდუ, უბე, ტელო, ლარსა, ერე, სუბა(შუში), ქუთა, არბეხა, ქალახი (ნინეეიის ქვეით), წმინდა

29.აპოლონიოს როდოსელი " არგონავტიკა", I, 952-1022.

30. აკ.ურუშაძე, ძველი კოლხები არგონავტების თქმულებებში, იგივე, გვ.144.

ქალაქი იარეხი, სადაც იდგა ქალღმერთ ნანას ტაძარი. ქალდებმა პირველებმა გამოიგონეს ლურსმნული დამწერლობა [31]. ძვ.წ. I საუკუნის ბერძენი მოღვაწე სტრაბონი (დედით კოლხი) თავის "გეოგრაფიაში" ასევე მიუთითებს ტრაპეზუნდში მცხოვრებ ქალდებზე. აკ.ურუშაძის თანახმად, ძვ.წ. I ს-ში ქალდებს ვხედავთ სპარსეთის ყურის სანაპიროზე, მდ. ტიგროსისა და ევფრატის ქვემო დინების რაიონში. ისინი ლაპარაკობდნენ არამეული ენის ერთ-ერთ დიალექტზე [32]. ამდენად, ისტორიამ იცის შუამდინარეთში არსებული ბიბლიური "ქალდეის" (ერაყის ტერიტორია) შესახებ, საიდანაც წამოვიდა პირველი ებრაელი პატრიარქი – აბრაამი და შავიზღვისპირეთის სამხღეთ-აღმოსავლეთში "ქალდეის" შესახებ. მათი გენეტიკური კავშირისა და ერთიანი უძველესი არეალის დადგენა აკრძალული იქნა საბჭოთა ცენზურის მიერ.

პელასგები

ძველბერძნული ლიტერატურიდან ცნობილია პელასგი ტომების ქართული სახელწოდებები, მათ შორის აპოლონიოს როდოსელი ქართველ ტომს – მაკრონებს, პელასგურ ტომად იხსენიებს [33]. ბერძნულ წყაროებში მაკრონების ანუ პელასგების უფრო ძველი სახელია დაცული – მაკრისელები ანუ მაკრელები. როდოსელმა პოეტმა მაკრისელების ლაშქარი პელასგურად მოიხსენია "ვინაიდან ისინი (მაკრისელები) ევბეიდან არიან გადმოსახლებული. ევბეა ანუ მაკრისი, ქალკედონისი, ახალანდელი ნეგროპონტი (ეგრიბოსი) მდებარეობს მახლობლად პელოპონესისა, რომელსაც ძველად "პელასგისი" ერქვა" [34]. ამდენად, პელოპონესი იგივე პელასგისი ძველად ქართველი ტომების საცხოვრებელი ადგილი ყოფილა. საინტერესოა, რომ ბერძნები პელასგებად იხსენებენ არა მარტო ქართველებს, არამედ კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე (და ახლომდებარე კუნძულებზე) მცხოვრებ სხვა ტომებსაც. ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე (ძვ.წ. VI ს.) თავის "ისტორიაში" წერს ბერძნების შესახებ: "ხოლო ათინელები, სანამ პელასგებს ეპყრათ დღევანდელი ელადად წოდებული ტერიტორია, პელასგები იყვნენ და ეწოდებოდათ კრანები. მეფე კეკროპის დროს იწოდებოდნენ კეკროპებად, ხოლო,

---

31. დ.ზუმბაძე, ქალდეაში წარმოებული გათრების მნიშვნელობა ქართლთა საწყისი ისტორიისათვის.(კრიტონ II არქივში მოძებული გამოკვლევის მოკლე მიმოხილვა)// თვალოგიურ-საზოგადოებრივი გაზეთი "ერის ღირსება", თბ.,2006,19-20.

32. აკ. ურუშაძე, იგივე, 1964, გვ.123; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, X,1986, გვ. 448.; თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ.,1965,გვ25; ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, ქართველთა წინაპრების ისტორია ბიბლიური ადამიდან იესომდე, თბ.,1994,გვ.33;Л. Вулих, Ур Халдеев, М .,1961.

33. რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ.,1985,გვ.144.

34. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები ქართველი ტომების შესახებ, თბ.,1968; იხ. Herod,VII,94.

როდესაც მმართველობა ერეხთეუსმა დაიმკვიდრა, დაერქვათ ათენელები, ხოლო, როდესაც ჯარის უფროსად იყო იონი, ქსუთოსის ძე, ათენელებს მის მიხედვით ეწოდათ იონიელები. ათენელები, ვიდრე ელადას დაიჭერდნენ, თვითონაც პელასგები იყვნენ, ხოლო იონიელებს, ვიდრე ისინი პელოპონესზე ცხოვრობდნენ, პელასგები და ეგიელები ეწოდათ". [35].VIII,44].ჰეროდოტეს აზრით, მთელ ელადას წინათ პელასგია ერქვა (Herod, II, 56). ეოლიელები და იონიელები პელასგური სუბსტრატის მქონე ბერძნულ ტომებად არიან დასახელებული. უფრო გვიანდელ ხანებში ისინი მცირე აზიის დასავლეთი (ეგეოსური) სანაპიროს ჩრდილოეთსა და ცენტრალურ – პელასგურ ოლქებს იკავებენ. ჰეროდოტე იუწყება, რომ დოდონაში პელასგთა სამლოცველო იყო (Herod,II,52). ჰომეროსიც თესალიის არგოს "პელასგურ არგოს" უწოდებდა (Hom, II, 681-684). ეფოროს კვიმელი (ძვ.წ. IV ს.) პელოპონესის ნახევარკუნძულს "პელასგიას" უწოდებდა. თ. ყაუხჩიშვილი ჰეროდოტეზე დაყრდნობით განმარტავს კონტინენტური საბერძნეთიდან პელასგების გაქრობის მიზეზს: "ელინური ტომი გამოეყო პელასგურს. ელინური ტომი გაიზარდა იმიტომ, რომ მას შეუერთდა მრავალი პელასგური ტომი. ელინთა ღმერთების სახელები, რაც ეგვიპტური არაა, პელასგურია (Herod, II, 50-52). პელასგები ათენში იყვნენ და აქედან ისინი ატიკელებმა გააძევეს. ამის მიზეზად ჰეკატე შემდეგს ამბობს: "პელასგებმა კარგად მოუარეს ასამდე უვარგის მიწას, რალაცად აქციეს, ათენელებს ეს შეშურდათ და მოუნდათ ეს მიწები, ამიტომ გაგდესო" [35]. ამდენად, პელასგი, ერთი მხრივ, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ქართველი ტომის – მაკრონის (მაკრისი) და, მეორე მხრივ, სხვადასხვა ტომის კრებითი სახელია. საინტერესოა ბერძნულ წყაროებში რას ნიშნავს სიტყვა "პელასგი". სამეცნიერო ლიტერატურაში პელასგის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით არსებობს შემდეგი განმარტებები: 1. ბერძნულ-რუსულ ლექსიკონში მითითებულია, რომ პელასგები ანუ "Pelasgos" ნიშნავს ზღვისპირეთში მაცხოვრებლებს. იგი "არგოს" ძველი დასახელებაა [36]. კიდევ უფრო ზუსტ ინფორმაციას გვაწვდის ძველბერძნული ლექსიკონი. კერძოდ, "Pelazo" – ნიშნავს მოხეტიალეს, გადმოსახლებულს [37]. დოდონოსის მიხედვით, პელასგები თესალიაში მცხოვრებად ტროას ომის მონაწილე

---

35. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები ქართველი ტომების შესახებ, თბ.,1968; Herod,VII,94;VIII,44.

36. თ. ყაუხჩიშვილი, იგივე.

37. Греческо Русский словарь, Москва .,1991 (1891,) стр. 967;

38. იოანე სტამატაკის, ძველბერძნული ლექსიკონი, ათენი, 2000, გვ.794. ამ ინფორმაციის მოწოდებისათვის დიდ მადლობას ვუხდი ნშ. მიქაელ მთავარანგელოზის დიაკვანს მამა კახაბერ კურტანიძეს.

ხალხია, რომელიც ცხოვრობდა მცირე აზიაში. ჰეროდოტეს მიხედვით, პელასგები დაპირისპირებაში არიან ბერძნებთან და ისინი ანატოლიიდან მოსულები არიან [38]. საინტერესოა, თუ როდის მოვინენ ქართველი ტომები კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე? რ.გორდეზიანი თავის ნაშრომში მიგვითითებს: "დიონისიოს ჰალიკარნასელის (ძვ.წ. I ს.) ცნობით, პელასგები კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე მოვიდნენ ტროას ცნობილ ომამდე (ძვ.წ. XIII ს.) 17 თაობით ადრე, ე.ი ქართველთა მიგრაცია კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე უნდა მომხდარიყო ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ მეოთხედში [39]. ბერძენ ისტორიკოს ჰეროდოტეს (ძვ.წ. V ს.) თავის "ისტორიაში" მოხსენიებული ჰყავს პელასგები, რომლებიც ახლაც ცხოვრობენ ტირსენთა ზემოთ, კრესინში და რომლებიც ოდესღაც ანატოლიიდან მოსულები იყვნენ. პელასგთა თავდაპირველი მიგრაცია ანუ განსახლების თავდაპირველი არეალი იყო საბერძნეთის პელოპონესი, მათი ერთი ნაწილი ეპირედან ზღვით გაემგზავრა იტალიასა და სხვა რეგიონებში. პელასგებს იქ დაუარსებიათ დასახლებები, კერძოდ, ანტიკურ წყაროებში მითითებულია პელასგური გეოგრაფიული სახელწოდებები: სპინა, კორტონა, ქალაქი გილა, კერე. რ. გორდეზიანი ასე წარმოგვიდგენს პელასგთა გავრცელების არეალს: " პელასგთა გავრცელების საზღვრები ანტიკურ წყაროთა მცირე აზიის სანაპირო: აპენინის ნახევარკუნძული (პოს შესართავიდან უმბრიისა და კამპანიის ჩათვლით, ვიდრე ბრუტიუმამდე), სამხრეთით — კრეტა, ჩრდილო დასავლეთით — თრაკია, მაკედონია და ეპირე" [40]. პელასგთა ოდინდელი სამკვიდრებელი ყოფილა კორინთო (ეფირე), კერძოდ, ძველი წყაროების: ევმელოსის, ეპიმენიდეს, სიმონიდეს, ლიკოფრონესა და სხვათა ცნობებით, იგი პელიოსის ძის, აიეტისა და მისი შთამომავლების საგამგებლო მხარე ყოფილა. იასონი და მედეა კორინთოში ჩადიან როგორც თავიანთ ქვეყანაში. უძველესი ბერძნული წყაროები პელასგების გაჩენას კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე უკავშირებს კოლხი კირკეს (მედეას მამიდა) გადასახლებას დასავლეთში [41]. ბერძენ ავტორთა ცნობებით, ელინთა (ბერძენთა) აღმავლობამდე ეგეოდაში წამყვანი ადგილი ეკავათ პელასგებსა და სხვა არაელინ ტომებს (ლელეგები, კავკონები, კურეტები, კარიელები). ძველბერძენი ლოგოგრაფი პელანიკე მითილენელი (ძვ.წ.480-395) თავის თხზულება "ფოროდონში" ამბობს, რომ " ნანოს მეფობის დროს ელინების მიერ უწინ პელაზგებად წოდებულნი განდევნილნი იყვნენ იტალიაში" [42]. აღსანიშნავია, რომ ბერძნები კარგად იცნობდნენ თავიანთი

---

39. რ. გორდეზიანი, მედიტერანულ- ქართველური ურთიერთმიმართებანი, III, იგივე, გვ.443.
40. რ. გორდეზიანი, იგივე, გვ. 446,448.
41. რ. გორდეზიანი, იგივე, გვ. 449.
42. ა.ჟ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი,იგივე, გვ. 109,272, ასევე, 17, 122, 123, 130-133, 136-139, 321.

სამშობლოს წინარე მოსახლეობას – პელასგებს, რომლებთანაც ხანგრძლივად თანაარსებობდნენ. ჰომეროსის მონაცემებით, კუნძულ კრეტაზეც სხვა ტომებთან ერთად ცხოვრობდნენ პელასგებიც (Hom.,Od.,XIX,175-177). გ.ქავთარაძის ნაშრომში თავმოყრილია შემდეგი ცნობები: "ძვ.წ. I ს-ის გეოგრაფი სტრაბონი აღნიშნავს განსაკუთრებულ ყურადღებას ევბეელთა, იგივე პელასგების მიმართ, რაც უკავშირდება ძველბერძნულ მწერლობაში გავრცელებულ შეხედულებას კავკასიასა და სამხრეთ შავიზღვისპირეთში პელასგების (ეგეიდების წინაბერძენი მოსახლეობა) მიგრაციის შესახებ. ანტიკურ ლიტერატურაში აღმოსავლეთი და სამხრეთი შავიზღვისპირეთი განიხილება როგორც ეგეოსური სამყაროდან ცალკეული მითოსური პიროვნებებისა თუ მთელი ტომების გადმოსახლების არეალად. ეს არის პონტოსპირეთში ბერძნული კოლონიების დაარსებისა და მათში ეგეოსის ზღვის აუზიდან წამოსული ბერძენი მოსახლეობის ჩასახლების პერმანენტული პროცესი. ბერძნული ცნობების მიხედვით, ხალხთა დიდ გადასახლებებს ადგილი ჰქონია (ე.ი. ძვ.წ. VIII-VII ს-მდე) წინაკოლონიურ პერიოდში და მათში მონაწილეობა უპირატესად წინაბერძენ მოსახლეობას – პელასგებს მიუღიათ. სტრაბონის მიხედვით, პელასგი ყველაზე ძველი ტომია, რომელიც საბერძნეთში ბატონობდა (Strabon,VII,VII,10). სტრაბონი აღნიშნავს პელასგთა განსახლებას მთელ საბერძნეთში, განსაკუთრებით, მათს სიჭარბეს ეოლიელთა შორის – თესალიაში (Strabo,V,II,4). სტრაბონი წერს, რომ ჰომეროსი პელოპონესს ,ისევე, როგორც მთელ ელადას (საბერძნეთს), "არგოსს" უწოდებდა (Strabo, VIII,V,II,4). ესქილესა და ევრიპიდეს (ძვ.წ. V ს.) მიხედვით პელოპონესის არგოსი – პელასგური მიწაა (Strabo,V,II,4). ჰეროდოტესთან დაცულია ცნობა, რომ ათენელებისათვის აკროპოლი პელასგებს აუგიათ (Herod.,VI,137). მისი ნაშთები დღესაც შემორჩენილია. კერძოდ, დიდი ლოდებისაგან ნაგებ, ე.წ. ციკლოპური წყობის კედელს "პელასგური გალავანი" ეწოდებოდა [43]. პარალელურად გვინდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძვ.წ. III ათასწლეულის ციკლოპური შენობების მთელი სისტემა, კერძოდ, წალკის რაიონში, სოფელ საბეჭდავის ნამოსახლარში, ასევე, თრიალეთში, მესხეთ-ჯავახეთში [44]. როგორც აღინიშნა,

---

43. გ.ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის. თბ., 1985, გვ. 12, 16-17, 121.

44. Т. Н, Чубинашвили, О Из взаимоотношениях кавказа (куро-аракской) переднеазиятской культурой в III тысячилетия до н. э. Тб .,1964, ст. 8.

ბერძნულ ტრადიციის მიხედვით პელასგთა ძირითადი სამკვიდრებელი იყო თესალია და კრეტა. ჰომეროსის "ოდისეაში" დასახელებულია ქალაქ კნოსოსში მცხოვრები პელასგები ("ოდისეა",XIX,172-177). ამდენად ქართველ ტომებს ჰქონიათ ამგვარი ნაგებობების აგების გამოცდილება. ბერძენ ტომთა მძლავრობასთან ერთად პელასგები მატერიკიდან სულ უფრო მეტად ინაცვლებდნენ კუნძულებისაკენ. ისინი შედარებით დიდხანს, დაახლოებით ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე, ინარჩუნებდნენ ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილს. ამდენად, ძველბერძნული ლიტერატურული წყაროების მონაცემებით, კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე ძვ.წ. II ათასწლეულში ბერძნების მოსვლამდე მოდიან ქართველი ტომი მაკრისელები (მაკრელები), რომელიც პელასგებად არიან ცნობილი. კერძოდ, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მკვიდრი ტომები იყვნენ კიდორები და ეტეოკრეტელები, ასევე ეგეიდაში ბერძნების გაბატონებამდე იქ ცხოვრობდნენ კოლხი პელასგები და ლელეგები, კავკონები, კურეტები, კარიელები. ამავე დროს მათი მრავალრიცხოვნებისა და პრივილეგირების გამო სახელწოდება "პელასგი" აერთიანებდა ყველა იმ ტომს, განსაკუთრებით მათ, ვინც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადმოსახლებულად ითვლებოდა, მათ შორის იყვნენ ბერძნებიც. გარდა ამისა, ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე კონტინენტურ საბერძნეთს "პელოპონესად" იხსენიებს. ათენებისათვის ცნობილი აკროპოლისი პელასგებს აუგიათ, რომელსაც დღესაც "პელასგური გალავანი" ჰქვია. რ. გორდეზიანის თქმით ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში მოსულ პელასგებს არამარტო ბერძნული ენასა და კულტურაზე მოუხდენია გავლენა, არამედ ძველი სამყაროს მრავალ რეგიონზე.

—ეტრუსკები

"ეტრუსკის" სახელის მსგავსი სიტყვა არსებობს ქართველურ დიალექტში – მეგრულში. კერძოდ, სიტყვა "გეგნეტრუსკუ" აღნიშნავს გადასახლებულს, ასევე რ. გორდეზიანი მიუთითებს ბერძნულ წყაროში აღნიშნული "Tusci"-ს შესახებ, როგორც ქართული ტომის "თუშის" სახელწოდება ძვ.წ. II ათასწლეულში აპენინის ნახევარკუნძულზე (თანამედროვე იტალია) ალპებიდან ადრიატიკის ზღვის გავლით გადმოსახლდა სხვადასხვა ეთნოსი. ამ დროისათვის იქ მკვიდრდებოდნენ იტალიკების ინდოევროპელი ტომები. მათ შორის ძირითადად იყვნენ ლათინელები, ოსკები, უმბრები, საბელები (საბიანები), ილირები და სხვანი, რომლებიც შეერივნენ მკვიდრ ტომებს: ლიგურებს, სიკანებს. ძვწ. VIII–VI სს-ში აქ სახლდებიან

45. გ. გვასალია, ქართველთა უძორესი წინაპრები. პირველყოფილ კულტურასთან დაკავშირებით, ტფ., 1927, გვ.58; რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური, თბ.,1980, გვ.60.

ბერძნებიც [46]. ჰესიოდეს "თეოგონიაში" დაცულია ცნობა კოლხი მეფე აიეტის დის – კირკეს შესახებ, რომელმაც ძლევამოსილი ოდისეესისაგან შეა აგრიოსი, ლატინოსი და ტელეგონოსი. ისინი ცხოვრობდნენ ძალზე შორს, წმინდა კუნძულთა სიღრმეში და ბატონობდნენ ეტრუსკებზე (ტირსენებზე). პლუტარქე ამას გვიმოწმებს ჩვენთვის უცნობ, უძველეს წყაროებზე დაყრდნობით. იგი წერს, რომ ძველი ცნობებით რომი დაფუძნებულია საბერძნეთიდან ლტოლეილი პელასგების ან კოლხთა წინამძღოლობით აიეტის დის, კირკეს ეაეის – რომანოსის მიერო. აპენინის ნახევარკუნძულის ჩრდილოდასავლეთ დასახლებას ეწოდებოდა ეტრუსკია. არსებობს ქართველთა მონათესავე უძველესი ტომების – პელასგებისა და ეტრუსკების შესახებ სხვადასხვა სარწმუნო ცნობა, კერძოდ, რ. გორდეზიანი თავის ნაშრომში – "არგონავტები, ბერძნული მითიური სამყარო, თხრობა და კომენტარები" წერს "აიას (კოლხეთის) ქვეყანა – ეფირეესთან, ანუ წინაბერძენი ტომების გავრცელების ერთ-ერთ ძირითად რეგიონთან არის დაკავშირებული. კირკეს (მედეას მამიდა) სამეუფეო, კოლხიდიდან დასავლეთით მისი გადასახლების შემდგომ, ტირსენიის, ანუ ეტრუსკების ქვეყანაში მდებარეობდა, ხოლო პასიფაე – აიეტის ეაეი (მედეას ბიძა), "კრეტის" მეფე ხდება – მინოსის შემდეგ. პლუტარქეს გადმოცემით, პელასგური წარმომავლობის ტირსენები (ეტრუსკები) ჯერ თესალიაში მოსახლეობდნენ, მერე ლიდიაში გადასახლდნენ, ლიდიიდან კი იტალიაში გადავიდნენ. რომაელი ისტორიკოსი ვარონი (ძვ.წ. I ს.) წერს, რომ რომის იმპერიის შექმნამდე აპენინის ნახევარკუნძულზე (იტალია) ცხოვრობდნენ ეტრუსკები და გარკვეული ხანი რომზე ბატონობდნენ" [47]. თავად სახელი რომი – Ruma პელასგურ-ეტრუსკულია და ნიშნავს "ხბოების ქვეყანას". ქართველი ტომები აპენინის ნახევარკუნძულზე გადასახლებულან ტროას დაცემის (ძვ.წ. XIII ს.) შემდეგ. იტალიის ისტორიულ ასპარეზზე ეტრუსკები გამოჩნდებიან ძვ.წ. II-I ათასწლეულის მიჯნაზე. მათი ენა ძირითადად ჩამოყალიბდა ქართველური მიგრაციის შედეგად [48]. ე. კობახიძე ეტრუსკული ლექსიკის ანალიზის შედეგად ადგენს, რომ ეტრუსკულში ქართული კვალი ჩანს არქაულ პლასტებში, ხოლო ბერძნული და ლათინური ელემენტები უფრო გვიანდელია [49]. პელანიკე ლესბოსელი (ძვ.წ. V ს.) "ფოროდონში" წერს: "ნანას მეფობის დროს ელინების მიერ პელასგები განდევნილ იქნენ, მაშინ მდინარე სპინეტთან, იონიის უბეში, მათ დაწვეს ხომელდები

46. Всемирная история,I, M ,1955, стр. 628.

47. Всемирная история,I, Москва 1955 стр. 629.

48. რ. გორდეზიანი, მელიტერანულ-ქართველური მიმართებები, III, გვ402.

49. ეკობახიძე, აღმოსავლეთი და დასავლეთი ეტრუსკულ რელიგიაში (ლინგვისტური ანალიზი), იხ. საქართველოს არქეოლოგია, იგივე, გვ 180.

და აიღეს ქვეყნის შუაგულში ქალაქი კრეტინო, მერე აქედან დაიძრნენ და დასახლდნენ ეგრეთ წოდებულ ტირსენიაში". აკ. ურუშაძესთან ვკითხულობთ: პელასგები გააძევეს ელინებმა ნაწილი ტირსენიაში (Iტალიაში) გადაიხვეწა და ტირენების სახელი მიიღო. უწინ პელასგებად წოდებულმა ტირენებმა (იგივე ეტრუსკებმა) ის სახელი მიიღო, რომელიც ახლა აქვთ, მიიღეს მას შემდეგ, რაც იტალიაში დასახლდნენ. აქვე ვკითხულობთ: "საკუთარ ენაზე მეტყველი პელასგების გარკვეული რაოდენობა ამ მხარეებში დარჩა მის შემდეგაც, რაც იქ ელინები დამკვიდრდნენ თესალიის ველზე ე.წ. პელასგოიტისში, მაკედონიის სანაპიროზე — ნოსზე, ლესბოსზე და ქიოსზე, მცირე აზიაში — ტროასა და არეოპინდიტის სანაპიროსზე [50]. ლუტარქე უძველწეს წყაროებზე დაყრდნობით ლაპარაკობს ქალაქ რომის დაარსების შესახებ საბერძნეთისა და ლტოლვილი პელასგების ან კოლხთა წინამძღოლის აიეტის დის კირკს ვაჟის რომანოსის მიერ ("რომულესი, თ.2). გარდა ამისა, მ. სერგიევის ნაშრომში ვკითხულობთ, რომ აპენინის ნახევარკუნძულის გეოგრაფიული სახელთა დიდი ნაწილი ეტრუსკული წარმომავლობისაა. ასეთია სახელი — Roma, ასევე მდინარის სახელწოდება — Tiberis, Tuscus amnis [51].

თანამედროვე იტალიის უძველესი მოსახლე ტომების — პელასგებისა და ეტრუსკების გადმოსახლებასთან დაკავშირებით რ. გორდეზიანთან ვკითხულობთ: "ანტიკური ცნობების მიხედვით იტალიაში მცხოვრები პელასგები და ეტრუსკები ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ. პელასგები უფრო ადრე (ტროას ომამდე) მოსულან იტალიაში, ეტრუსკები კი უფრო გვიან (ომის შემდგომ) — ანატოლიიდან, როგორც ამას ძველ ავტორთა უმეტესობა აღიარებს. ძველი "ეტრურია" მართლაც უნდა არსებულიყო, კოლხ კირკესთან დაკავშირებული ძველი ბერძნული ცნობაც ამაზე მეტყველებს. ჰესიოდეს მიხედვით (თეოგონია 1011-1016) კირკემ, ჰელიოსის ასულმა, სულიერად ძლიერ ოდისევსისთან შეკავშირებულმა, შვა აგრიოსი და ლათინოსი და ტელეგონოსი. ისინი ძალზე შორს, წმინდა კუნძულთა სიღრმეში ყველა სახელოვან ტირსენელებზე მეფობდნენ" [52]. ამასთან დაკავშირებით მოვიხსენიებთ კრეტას. როგორც ცნობილია, კრეტა ძვ.წ. II ათასწლეულში წინაბერძნული მინოსური კულტურის გავრცელების ძირითადი რეგიონი იყო. ამ მიმართებით სრულიად ბუნებრივია ე.წ. "კოლხური ოქროდამწერლობის" ნიმუშის XX ს-ში კუნძულ კრეტაზე აღმოჩენა, რომელიც თანამედროვე მეცნიერებაში

50.აკ. ურუშაძე, იგივე, გვ.109,111.

51. М .В, Сергиев, Введение в романское языкознание, М., 1951, стр. 39.

52. რგორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები,III, თბ.,2007, გვ401-402,448.

"ფესტოს დისკოს" სახელით არის ცნობილი. საქმე ისაა, რომ, თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით (რ.გორდეზიანი) ძვ.წ. III–II ათასწლეულებში მოკიბაზე თანამედროვე კავკასიის ფარგლებიდან ქართველურ ტომთა ერთი ნაწილი ეგეიდაში გადასახლდა, რაც აქ პელასგური ეთნოსის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. შემდგომ აქედან მოხდა ქართველი ტომების ერთი ნაწილის კუნძულ კრეტაზე, ხოლო მეორე ნაწილის იტალიაში გადასახლება. ამის საფუძველია ე.წ. წინაბერძნულ, მინოსურსა და ეტრუსკულ ენობრივ მონაცემებში მნიშვნელოვანი, აშკარად ქართველური ელემენტების გამოყოფა და ამასთან, ბერძენ ავტორთა წერილობითი წყაროების ინფორმაცია. ამ მხრივ რ.გორდეზიანი ეტრუსკული ენის ყოველმხრივი შესწავლისა და ენობრივი კონტექსტის: ხეთურ-ლუვიერის, ბერძნულის, ლათინურის, იტალიკურის, ფინურ-უნგრულის, თურქულის, სემიტურის გათვალისწინებით შემდეგ დასკვნას წარმოგვიდგენს: "ეტრუსკული ენა – ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის თვალსაზრისით ყველაზე მეტ და ყველაზე სისტემურ მიმართებას ქართველურ ენებთან (ზანური, სვანური) გვიჩვენებს. ეტრუსკული ენა ჩამოყალიბებულია ანატოლიურ-ეგეოსურ რეგიონში ქართველური მიგრაციის შედეგად". გარდა ამისა, რ. გორდეზიანი ანტიკური წყაროების მონაცემებისა და მის მიერ ჩატარებული ეტრუსკულ-ქართველური ენების შეპირისპირების საფუძველზე იძლევა პრეისტორიული იტალიის მოსახლეობაში რამდენიმე შრის არსებობის ამსახველ გრაფიკულ სურათს. კერძოდ, ენების დიფერენციაციის მხრივ ბრინჯაოს ხანაში ეგეიდა-ანატოლიის რეგიონში არის ერთიანობა მინოსურ-ანატოლიურ-პელასგურისა, რომლის ფორმირებაში განმსაზღვრელი როლით მონაწილეობდა ქართველური კომპონენტი [53]. ძვ.წ. VIII ს-ში კონტინენტური Iტალია მოექცა ბერძნული კოლონიზაციის არეალში, ხოლო ძვ.წ. IV ს-ში "ეტრუსკია" იტალიის მე-7 რეგიონის გახდა [54]. არის ცნობები, რომ ეტრუსკები მონაწილენი იყვნენ ცნობილი "ზღვის ხალხთა კავშირისა". მათს ტრადიციაში არსებობდა მდედრობითი სქესისადმი განსაკუთრებული პატივისცემა. საყურადღებო ფაქტია, რომ დღემდე შემორჩენილი ეტრუსკების მიერ ბერძნული ანბანით შესრულებული ძვ.წ. VII–VI სს. ათი ათასამდე წარწერა, შინაარსობრივად ბევრი მათგანი გაუშიფრავი რჩებოდა, რადგან მასში სხვა ენობრივი შინაარსის სიტყვები იყო ჩადებული. ქართველმა მეცნიერებმა ეტრუსკულისა და ქართული სიტყვების შეადარებისას დაასაბუთეს მათ შორის დიდი შინაარსობლივი მსგავსება.

---

53. რ. გორდეზიანი, ტ. III, იგივე,460.

54. ქართული სამჭ. ენციკლოპედია, IX, თბ.,1985, გვ.462.; Всеобщая история, Москва, 1955, стр. 610.

აღსანიშნავია, რომ ეტრუსკებმა იტალიის კონტინენზე შემოიტანეს მდიდარი კულტურული ტრადიცია. ამავე დროს, აღმოსავლეთიდან მოსული ეტრუსკები ადგილობრივი (წინაიტალიელი) მოსახლეობისათვის ითვლებიან ბერძნული ანბანის გადამცემებად. [55]. ეტრუსკული ანბანი ფინიკიურ-ბერძნულის ვარიანტია, ნაწილობრივად იგი ასახავდა ეტრუსკული ბგერათა სისტემას [56]. ეტრუსკები ჰეროდოტეთი აღმოსავლეთიდან, კერძოდ ლიდიიდან (მცირე აზია) მოსულები არიან, ხოლო პელანიკე ლესბოსელის მიხედვით ეტრუსკები ეგეიდის წინაბერძნული (პელასგები) მოსახლეობაა [57]. საინტერესოა ეტრუსკულისა და ქართველურის შინაარსობლივი დამთხვევები. მათ შორის ყოფით მეტყველებაში გავრცელებული სახელწოდებები: teta – დედა, papa – პაპა (ბაბუა) cvil – ჩვილი (ბავშვი) და სხვა. რომაელი ავტორი პომპოუს ტროგუსი (ახ.წ. I ს.) წერს იმის შესახებ, რომ კოლხები როგორ დაედევნენ არგონავტებს, მათ მსგავსად მთათა და უღელტეხილებით გადასვლისას თავიანთი მხრებით ზიდეს თავიანთი ხომალდები და ადრიატიკის სანაპირპზე – აქვილაში (ზემო იტალია) დასახლდნენ [58]. ქართველური კომპონენტის არსებობას იტალიაში უკავშირდება ძ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე დაწყებულ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიიდან ქართველ ტომთა მიგრაციას, რომელიც ძ.წ. II ათასწლულებიდან ეგეოსური, დასავლეთ-შედიტერანული ცალკეული კულტურების და ენის შექმნაში მიუღია მონაწილეობა. (რ. გორდეზიანი). ქართველ მეცნიერთა გამოკვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა ამ ტექსტების წაკითხვა და ქართველთა ნაკვალევის აღმოჩენა თანამედროვე იტალიის ტერიტორიაზე. ამდენად, "პელასგებისა" და "ეტრუსკების" სახელწოდებებს ერთი და იგივე მნიშვნელობები აქვთ. კერძოდ, ორივე შემთხვევაში ისინი "გადასახლებულებს" აღნიშნავენ.

ბასკები

ესპანეთში მცხოვრები "იბერების" ანუ ესპანელი ბასკებისა და საქართველოში მცხოვრები "იბერების" ნათესაობის შესახებ აღინიშნებოდა უძველეს საუკუნეებშიც. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მათი თავდაპირველი საცხოვრისისა და მიგრაციის შესახებ. კერძოდ, ძ.წ. I საუკუნის მოღვაწეს, სტრაბონს ამის თაობაზე შემონახული აქვს ჰეროდოტესა (ძ.წ. IV ს.) და აპოლიდორეს (ძ.წ. II ს.) ცნობები. ამგვარი

---

55. რ. გორდეზიანი, III, იგივე, გვ

56. რ.გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური,თბ.,1985,გვ. 9.

57 П. Кречмер, Тирренские надписи лемнюской стены. В сборнике: Тайны древних письем. Проблемы дешифровки. Сборник статьей, М .,1976, ст. 336.

58 აკ, ურუშაზე, ძველი კოლხეთი, იგივე, გვ102, Ustini Epitome, historiarum Philippicarny Pomopei Trog, post Ruell, end Seel Lips. 1935; Я. Бурнан, Б. Моухов, Загадочные Этруски, Москва., 1970.

ხასიათის ინფორმაცია არის ასევე აპიანესთან (ახ.წ.II ს.), მოგვიანებით სოკრატე სქოლასტიკოსთან (ახ.წ.IV–V ს.). ბასკთა და ქართველთა მსგავსება-განსხვავებასთან დაკავშირებით სხვადასხვა პერიოდის ცნობებია თავმოყრილი არქეოლოგ-ისტორიკოსის, ოთარ ჯაფარიძის ნაშრომში – "ქართველი ერის ეთნოგენეზის სათაურებთან", საიდანაც გამოვყოფთ შემდეგ მონაცემებს: ორივე იბერიის ანუ ბასკთა და ქართველთა ერთობა არსებობდა თანამედროვე საქართველოს სივრცეში. საერთო ქართველური ერთობის დაშლა მოხდა ძვ.წ. V–IV ათასწლეულებში საერთო ქართველურისაგან ზანურის, სვანურისა და ბასკურის გამოყოფისას [59]. ბასკების გადასახლება დაკავშირებულია ნეოლითის პერიოდის ხალხთა მიგრაციასთან აღმოსავლეთისაკენ, რომლის შედეგად დასავლეთ ევროპაში გავრცელდა მეურნეობის ახალი ფორმები [60]. ასე მაგალითად, ეთნოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ უძველესი კოლხური ხორბლის ერთ-ერთი ჯიში "მახა" აღმოჩნდა თანამედროვე ბასკებთან. ამდენად, პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებმა ქართველებმა წინარეესპანელ აბორიგენ მოსახლეობაში შეიტანეს მიწის დამუშავებისა და ხორბლის ენდემური ჯიშის – "მახას" მოშენებისა და მოსავლის აღების საკუთარი ტრადიცია. პროფესორმა შუტტენმა ესპანეთში წარმოებული გათხრების დროს, რომაული ფენის ქვევით გამოავლინა იბერიული პერიოდის უამრავი განსხვავებული ფორმის კერამიკული ნაკეთობები, რომელიც ორნამენტაციის თვალსაზრისით კეიპროსულის გავლენით არის შესრულებული. აღსანიშნავია, რომ ბასკების ქვეყანაში სპილენძის ძველ საბადოში დაღუპულ მელითონეთა ნაშთებზე ჩატარებული ანთროპოლოგიური შესწავლა მათ წარმომავლობას კავკასიას უკავშირებს. გარდა ამისა, გენეტიკური გამოკვლევების შედეგად დადგინდა სხვაობა ბასკებსა და მათ გარშემო მცხოვრებ ევროპელებს შორის, სისხლის შემადგენლობის თვალსაზრისით. კერძოდ, ევროპელთაგან მხოლოდ ბასკების 50% გააჩნია (როგორც ქართველებს) რეზუს უარყოფითი ჯგუფის სისხლი [61]. რაც მთავარია, ესპანეთის ბასკურ სოფლებში არსებულ წეს-ჩვეულებებში დღესაც იგრძნობა საქართველოსთან (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს სოფლების) მსგავსება. ქართულმა აგიოგრაფიამ შემოგვინახა ცნობა ქართველთა არსებობის შესახებ ესპანეთში,

---

59. ო ჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზი, თბ2006; Янг Браун, Когда Баски потеряли контакт с остальным племенем, (Roczniku Orieutalistyczniu, t. XVIII,z.2), 1993, стр. 35.

60. Ш. В, Дзидзигури, Ю. В, Зыцарь, О состоянии гипотезы баско-кавказского языкого родства. ენ: მაცნე . ენისა და ლიტერატურის სერია, №2,თბ.,1983, გვ.145.

61. Фон Лихтенбергер, Доисторическая Греция, М.,1903,стр.174; P. Paris, L' essai l'et et l' industrie de l'Espanie primitive,II,Paris,1904; P. Солларес, Язык, генетика, археология, ВДИ, 3, Москва ,1998., стр. 125.

კერძოდ, გიორგი მთაწმინდელის აგიოგრაფიულ თხზულებაში — "იოანესა და ეფთიმეს ცხოვრება" (XI ს.), საუბარია ათონელი მამების — იოანესა და მისი ვაჟის, ეფთვიმეს შესახებ, რომელთაც სურდათ იოანეს ბიძაშვილის, ერობაში სახელგანთქმული მხედარმთავრის - თორნიკე ერისთავის სულის მოსახსენებლად "სპანიად" ანუ ესპანეთში გამგზავრება, რადგან, როგორც გიორგი მთაწმინდელი წერს: ქართველების "არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრი არიან მუნ" [62]. როგორც ჩანს, ნაწარმოების დაწერის დროისთვისაც ანუ ახალი წელთაღრიცხვის XI საუკუნისათვის ესპანეთში კიდევ ცხოვრობდნენ ქართველები, რომელთანაც თანამედროვე საქართველოს ფარგლებშო მცხოვრებ ქართველებს მათთან ჰქონიათ კონტაქტი. აქედან გამომდინარე, ქართველ ტომებს პირინეის ნახევარკუნძულზე გადასახლებისას მიაკუთვნეს ბასკების, ანუ "ესპანელი იბერების" სახელწოდება. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში ესპანეთში ეგეოსური კულტურის შეღწევასთან დაკავშირებით არსებობს მეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრება ქართულ-ბასკური ურთიერთობის შესახებ. კერძოდ, მსგავსება ჩანს ენობრივი თვალსაზრისით, ასე მაგალითად, ქართულში სიტყვა — "ერი", ბასკურში — herri, erri აღნიშნავს სოფელს, ქვეყანას, ხალხს; ქართულში — "კორძი", ბასკურად — i-korzirin ნიშნავს ამოზნექილს; ქართულში — "მაყვალი", ბასკურში — maguri; ქართულში — "ბაღლი", ბასკურში — zak(h)ur და სხვა [63]. გ. ჭელიძე წარმოგვიდგენს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების საფუძველზე ბასკ-ქართველთა მსგავსების ფაქტობრივი მონაცემების მთელ ნუსხას, კერძოდ, 1965 წ. ბასკიაში გაითხარა 5 000 წ წინანდელი საბადო და აღმოჩნდა 40-მდე თავის ქალა, არქეოლოგ ფუსტოს დასკვნით, საქმე გვაქვს "კავკასიოდების" რასის გვიანდელ ვარიანტთან. გარდა ამისა, წარმოჩენილია მსგავსების ფაქტობრივი მასალა ტოპონიმების თვალსაზრისით. ასე მაგალითად სახელწოდება "ლენტეხური" — იგივე სახელწოდება აქვს ნავსადგურს გიბრალტარის სრუტეში, ასევე "ადგილი ხისანი" — აჭარაში არის ბთა "ხისანი"; მსგავსებაა არქიტექტურულ ფორმებში: ოდასახლების, ბანიანი აივნების, სახლის შიდამოჭყობილობის სახით, ოდაში შუაცეცხლის — კერიას არსებობით, თავისი ატრიბუტებით; გარდა ამისა, მსგავსება ჩანს არქაული ეროვნულ ტანსაცმელში (უპირატესად ხევსურულის მსგავსი), ბასკეთში დღესაც გვხდება გურული ნალია (საქათმე), ასევე ქვიტკირის ხიდი, რომელიც გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა მხარეში: აჭარაში, საინგილოში, კახეთში; საოცარი

---

62. გიორგი მთაწმინდელი, იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება, იხ: ქართული პროზა, I, 1981, გვ384.
63. რ. გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური ურთიერთმიმართებები, III, გვ. 423-424.
64. გ. ჭელიძე. ქართველები კაცობრიობის კარიჭეესთან, იგივე, გვ.43.

მსგავსება ჩანს ბასკურ სუფრასთან მიმართებისას, სადაც მზადდება მჭადი, საცივი; გარდა ამისა, სამეცნიერო თვალსაზრისით ბასკ-ქართულ სიტყვათა შეკერებისას მსგავსება ჩანს: ფონეტიკურ-გრამატიკული (ბრუნვის ნიშნების ფუძეზე დართვა), ზმნაში სამი სახეობის გამოკვეთის, ზმნების გარდამავლობა-გარდაუვალობის, წინადადების სამი სახეობის: მარტივი, თანწყობილი, ქვეწყობილის არსებობის თვალსაზრისით. წარმოდგენილ მონაცემთა საფუძველზე გ.ჭელიძე აკეთებს შემდეგ დასკვნას, რომ "ბასკური, ისე როგორც ეტრუსკული (წინაიტალიური), წარმოადგენს ე.წ. ეგეოსური, ანუ მედიტერანული ენის, იგივე კოლხ-პელასგური ოჯახის ცოცხალ ტოტს პირენეის ნახევარკუნძულზე" [64]. გ. ქავთარაძესთან ვკითხულობთ: "ენათმეცნიერების ეს მიღწევები ახალ პერსპექტივას შლის არქეოლოგიის წინაშე მოპოვებული მასალის ხელახალი ინტერპრეტაციისათვის. ინგლისელი არქეოლოგი ჯ. მელაართი იმის გათვალისწინებით, რომ მცირე აზია-ეგეიდაში (განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში) ნეოლითის შემდგომ პერიოდში არ შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც აქ ენის შეცვლას შეიძლება დაუკავშირდეს და რადგანაც წინაბერძნული ენის გავრცელების მთელ ამ რეგიონში მეტნაკლები ლინგვისტური ერთიანობა უნდა ყოფილიყო ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ტომების გამოჩენამდე, გამოთქვამს ვარაუდს, ანატოლიის უძველესი მეურნეობის, ნეოლითური ჩათალ-ჰუიქის, ჰაჯილარის და ჯან ჰასანის მოსახლეობას, ენის შემორჩენის შესაძლებლობის შესახებ გეიანბრინჯაოს ხანის კრეტაზე" [65]. ამდენად, არქეოლოგიური და ენათმეცნიერული გამოკვლევები საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნას კულტურული ურთიერთობა ეგეოსურსა და ქართველურ სამყაროსა შორის, კერძოდ, წინაბერძნულის (პელასგურის), ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხთა (ეტრუსკთა, ბასკთა), ანატოლიის მკვიდრთა (ჩათალ-ჰუიჯის, ჰაჯილარის, ჯან ჰასანის მოსახლეობის), კრეტაზე მცხოვრებთა და ქართველური (მეგრულ-სვანურის) ენების მსგავსებით.

ალაროიდები

"ალაროიდი" იყო თანამედროვე საქართველოს სამხრეთით მცხოვრები ტომი. დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილმა ე.წ. ვანის სამარხების წარწერებმა გამოაელინა უძველესი ქართველების შრე, კერძოდ, ქართველი ტომის — ალაროიდის იგივე ალოფილის (თეთრი ალოფილი) განსახლება თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე წერს: "ალაროიდები და სასპერები შეიარაღებულნი იყვნენ როგორც კოლხები". ს. ქვარიანის გამოკვლევაში, რომელიც ეხება საქართველოს უძველეს კულტურის საკითხებს, მითითებულია

65. გ.ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ.,1985,გვ.12.

მორგანის ნაშრომი – "მეცნიერული მისია კავკასიაში, განხილვა არქეოლოგიური და ისტორიული". ამ ორტომიანი ნაშრომის პირველ ტომს ასეთი სათაური აქვს – ტომი პირველი "ლითონთა პირველი ხანა რუსეთის არმენიაში", მეორეს ტომს ეწოდა – "კავკასიის ხალხთა სათაეის გამოკვლევა", სადაც უძველესი კულტურის შემქმნელებად ავტორი ასახელებს "თეთრ ალაროიდებს" როგორც ქართველთა წინაპრებს. ვანის ტბის მიდამოებში თიხის ფირფიტების აღმოჩენას სომეხმა სწავლულებმა ძველი ცივილიზაციის ერთგვარი გასაღების სტატუსი მიენიჭეს – როგორც მტკიცებულება ვანის მიდამოებში მცხოვრები უძველესი სომხური კულტურის ფაქტობრივი მტკიცებულებისა. ვანის აღმოჩენაშთან დაკავშირებით ევროპელი მეცნიერს, მორგანს განსხვავებული შეხედულება გააჩნია. იგი წერს: "თეთრი ალოფილების არსებობა უკავშირდება ქართველ ტომებს." იგივე თვალსაზრისია გამოტანილი 1882 წ. სეისისა და გასტერის სამეცნიერო ნაშრომში, რომელიც ეხება ასევე ვანის მიდამოებში აღმოჩენილ ე.წ. ვანის წარწერების ამოკითხვას. კერძოდ, ევროპელი სწავლულების აზრით ვანის* აღმოჩენებმა დაასაბუთა შემდეგი: "ქართველი ტომი – "ალაროიდი" ანუ "თეთრი ალოფილი" ცხოვრობდა ვანის მიდამოებში" [66]. საყურადღებოა, რომ ტერმინი "არარატი", "ალოროდიდან" წარმოქმნილად არის მიჩნეული. ამასთან დაკავშირებით ს.სვანიძე იძლევა შემდეგ განმარტებას: "ალაროიდი" – ეს იგივე ფორმაა, რაც "არაროდი" ან "არარატი". აღსანიშნავია, რომ ძველ სპარსულში (ეგვიპტურშიც) ასო "ლ" და "რ" ურთიერთისაგან არ განსხვავდებოდა. (აქედან "ა-რ-ა-ოროდისა" და "ა-ლ-ა-ოროდის" იდენტურობა). გარდა ამისა, ბიბლიაში (მეფეთა, II 19,37; ისაია, 37,38) მითითებულია, რომ "არარატი" ან "აირატი" მთა კი არ არის (თანამედროვე გაგებით), არამედ ნოყიერი აირატის ველია. იერონიმეს კომენტარებში ეკითხულობთ:

---

66. С Сванидзе Материалы по истории Алароидзских племён, Тб.,1937, стр.10.

*ვანის წარწერები – მეცნიერების მიერ "კავკასია" ალიარებულია როგორც მცირე აზიის უძველესი ისტორიის გასაღები. ორიანტალისტებისა (მოშენი, რიტტერი, საისი, ენგატტერი, ლენორმანი, მორგანი) და ლინგვისტების ამოკითხვის შედეგად თანამედროვე სომხეთის ტერიტორია სჭერიათ არარატელებს ანუ იგივე ალაროიდებს, ქართველთა მონათესავე ხალხს. ი. დიაკონოვი ურარტუს სამეფოს ტერიტორიაზე სომხების დასახლებასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ პროტოარმენები აქ სახლობენ არა უადრეს ძ.წ. XIII საუკუნისა და ძ.წ. VI საუკუნეებს შორის.// И. М, Дьяконов, Предистория Армянского народа, Ереван, 1968. ახლანდელი ვანის ტერიტორიის მიმდებარე სიერცეში სომხები ძ.წ. VII საუკუნემდე არ ჩანან და მათ აქ არავითარი უძველესი კულტურა არ შეუქმნიათ. // იხ. ს. ქეარიანი, ქართველთა უძველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში, ტფ.,1900,გვ.34-35,57; გ. ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველ ტომთა განსახლების საკითხისათვის, იგივე, გვ39.

"Ararat region camprestris per qui Araxcs fluit" ("არარატი სწორი ზედაპირის მონაკვეთია, რომელზედაც გადის მდინარე არაქსი)" [67]. ამდენად, თანამედროვე საქართველოს სამხრეთით. კერძოდ, სომხეთის ჩრდილოეთი ტერიტორია ქართველთა სამფლობელო იყო. ურარტუს სამეფოს (ძვ.წ. IX–VI სს.) დაცემის შემდგომ ძვ.წ. VI ს-ში აქ ძლიერდება მცირე აზიიდან მოსული სომხური ტომი. ქართველ ტომთა განსახლების დადგენის მიზნით ქართველი არმენოლოგებისაგან საჭიროება მოითხოვს ახალი არგუმენტაციებით განმტკიცდეს ტერმინი "ალაროდი", ასევე განიმარტოს სახელწოდება "ბიანილი", რადგან ერთ შემთხვევაში ძვ. წ. IX საუკუნისათვის ასურელები "ბიანილის სამეფოს" ურარტად მოიხსენიებენ, ხოლო მეორე შემთხვევაში "ბიანილი" სომხურ ძლიერ გაერთიანებად არის დასახელებული. რაც შეეხება სახელწოდებას " არმენია". სტრაბონი თავის "გეოგრაფიაში" წერს: " არმენია" სახელდებული ყოფილა არგონავტ არმენოსიდან, რომელიც თესალიის ქალაქ არმენიონიდან წამოსულა (Strabo.,X,8;XIV,12). რადგანაც სამშობლო გენეტიკური მეხსიერებიდან იწყება, ამიტომ მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს ნებისმიერი პერიოდის ქართველთა დასახლების საზღვრები – თავიანთი ფესვების ძიებისას. ამ შემთხვევაში ვანის ტბის ტერიტორიასა და მის გარშემო სივრცეში აღმოჩენილი ნივთიერი საბუთების წარმომავლობის დადგენისას უპირველესად უნდა იქნას გათვალისწინებული ქრონოლოგიური ჩარჩო. კერძოდ, როდის დასახლდა სომხური ეთნოსი აღნიშნულ ტერიტორიაზე, კონკრეტულად ვანის ტბის მიდამოებში. ამასთან დაკავშირებით გ. მელიქ'შვილი დოკუმენტურ წყაროებზე (სალმასარ III წარწერა) დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ვანის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ურარტუს სამეფოს (ძვ.წ. IX– ძვ.წ. VI სს.) ეწოდებოდა ასევე "არამალეს მხარე" [68], შესაძლოა იგი უარარტულზე ძველი სახელწოდება იყოს. ურარტულ ენას ენათესავება ხურიტული. წერილობითი წყაროების მიხედვით ხურის ენაზე მოლაპარკე ტომები ცხოვრობდნენ ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრამდე ვანის ტბის განლაგებული ოლქებში და ზაგროსის მთიანეთში [69].

ამდენად, აღნიშნული წერილობითი წყაროები მიგვითითებენ უძველეს ათასწლეულებში ქართველ ტომთა განსახლების ერცელი არეალის შესახებ,

---

67. ს.ქარიანი, ქართველთა უძველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში, თბ.,1900 წ; J. dev Morgan:Mission scientifiqui au Caucase". Etudes archeologiques. 2 vol. Paris, 1889; ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის საკითხთან, თბ2006. 53. С. М, Аивазян, К некоторым вопросам истории и металургии Армян, Ереван-Москва .,1967, стр. 23.

68. Г А Меликишвили, Наири-Урарту ,Тб.,1954.

69. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ.,1988, გვ.188.

რომელიც შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს: ეს არის უპირველესად თანამედროვე საქართველოს ტერიტორიული საზღვრები, შუამდინარეთი (ერაყი), მცირე აზია ანუ ცენტრალური ანატოლია (კაპადოკია – დღევანდელი თურქეთი), კონტინენტური საბერძნეთის ტერიტორია, ხმელთაშუა ზღვის კუნძულები: კვიპროსი, კრეტა, აპენინის ნახევარკუნძულის ჩრდილო აღმოსავლეთი (იტალია), პირინეის ნახევარკუნძულის ჩრდოლო-აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი (ესპანეთი). ქართველ მელითონელთა კვალს ეხედებით ჩრდილოეთი კავკასიის გავლით ცენტრალურ ევროპაში (ჩეხეთში, დუნაის ნაპირები). აქედან გამომდინარე, ქართველი ტომები მუდმივ კონტაქტში იმყოფებოდნენ სხვადასხვა ეთნოსებთან. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ახალ გეოგრაფიულ არეალში მოხვედრილი ქართველი მიგრანტები იქ ამკვიდრებდნენ ისტორიული სამშობლოდან წამოღებულ გამოცდილებას. ქართველმა ტომებმა მსოფლიოს უშურველად აჩუქეს მაღალგანვითარებული მეტალურგია, მათ შორის ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში მცირე აზიაში მცხოვრები ქართველები რკინის დამზადების პირველმწარმოებლებად გვევლინებიან.

ქართველი ტომები მსოფლიო მიგრაციულ პროცესებში.

ქართველ ტომთა წარმოდგენილი საცხოვრებელი ადგილების გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია უპირობოდ ვაღიაროთ, რომ ქართველები აქტიური მონაწილეები იყვნენ ძველი პერიოდის მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესებისა. აქვე იბადება კითხვები: ქართველთა დიდ მიგრაციულ პროცესებში ჩართვა იყო თუ არა გამოწვეული სამკვიდრებელი ადგილის მოპოვების აუცილებლობით, რომელიც უკავშირდება იმ პერიოდის მსოფლიოს წარმატებული ქვეყნის მოთხოვნებს, თუ იგი ქართველ ტომთა განსახლების არეალი იყო. კერძოდ, მცირე აზია, შუამდინარეთი და ხმელთაშუა ზღვის აუზი, სადაც ჩანს ქართველ ტომთა ინტენსიური გადაადგილება; ასევე საინტერესოა, რაში გამოიხატებოდა ქართველთა მიგრაციების არსი და უძველეს ათასწლეულებში ქართველთა თავისთავადობა, ანუ არსებობდა თუ არა ძ.წ. VII ათასწლეულში ქართველისათვის განსაზღვრული ერთგვარი "ნიშა", რომლითაც იგი წარმოადგენდა ქართველის მისიას მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე. ამგვარი კითხვები XXI საუკუნეში მცხოვრები ადამიანისგან თხოულობს უპირველესად კონკრეტული ფაქტობრივი მასალის მოხმობას და, რაც მთავარია, სათანადო დასკვნებს.

ძნელია უძველესი ათასწლოვანი წარსულის ზუსტი გაანალიზება, მაგრამ არსებობს არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროებზე დაყრდნობით ქართველი და უცხოელი მეცნიერების გამოკვლევების შედეგად მიღებული სხვადასხვა შეხედულებები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოვთქვათ მოსაზრება ქართველთა ადგილის შესახებ კულტურულ მსოფლიოში.

უპირველესად აღვნიშნავთ ძ.წ. VI-V ათასწლეულებში რამდენიმე კულტურულ-ენობრივი არეალის ანუ ერთიანობის არსებობას: 1) ეგეოსური სამყაროს არსებობა, რომლის წარმოქმნისას მასში უნდა გაერთიანებულიყო ეგეიდა-ანატოლიის რეგიონი; 2) მესოპოტამიურ-პროტოქართველური, რომელიც მოიცავდა სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიას [1]; 3) ანატოლიურ-მესოპოტამიურ-პროქართველური ერთიანობა (ბ. კუფტინი), რომელიც გამოიხატა არქიტექტურისა და საინჟინრო ხელოვნების — კონკრეტულად მტკვარ-არაქსისა და ანატოლიის სხვადასხვა რეგიონისა, ასევე ეგეოსური სამყაროს არქიტექტურულ ფორმებს შორის მსგავსებაში [2]. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა შემდეგი დასკვნა: ძ.წ.V–IV ათასწლეულებში აღინიშნება კავშირები ანატოლიასა და მესოპოტამიას შორის და ანატოლიურ-მესოპოტამიურ-პროტოქართული ერთიანობის არსებობისას.

---

1. რ. გორდეზიანი, მულტერანულ -ქართველური მიმართებები,III,თბ.,2007, გვ405.
2. А. И, Джавахишвили, Строительное дело и архитектура расселении южного Кавказа, V-III тысяч. до н. э. Тб .,1973.

ძ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისში მესოპოტამიურ-პროტოქართველური ერთიანობა იშლება და ცალკე გამოიყოფა შუმერული ენა [3].

ხალხთა მიგრაციებთან დაკავშირებით არსებობს დიდი რაოდენობა ევროპული სამეცნიერო შრომებისა. მათ შორის აღვნიშნავთ ფრანგი მეცნიერის, ს. ფერის მოსაზრებას ძ.წ. V–III ათასწლეულებში ხალხთა დიდი მიგრაციების შესახებ: ჩრდილოეთიდან (პონტო-კასპია-არალი) დასავლეთისაკენ, რომლის დროს, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ათვისების შემდგომ, მათ სამი მიმართულებით განაგრძეს სვლა: აღმოსავლეთით – მცირე აზიისაკენ, დასავლეთით – იტალიისა და ესპანეთისაკენ, სამხრეთით – საბერძნეთისა და კრეტასაკენ. ამ გადასახლებისას მოხდა მიგრანტთა ახალ ბუნებრივ პირობებთან არა მარტო შეგუება, არამედ საკუთარი ტრადიციების შენარჩუნებაც. [4]

ქართველების გარე სამყაროსთან ურთიერთობის ფართო ქსელის არსებობას ადასტურებს წერილობითი წყაროები (შუმერული, ხეთური, ასურული, ურარტული, არამეული, განსაკუთრებით, ბერძნული), ასევე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. მათში ჩანს დიდი მიგრაციული პროცესების კვალი. რ. გორდეზიანი იტალიაში მცხოვრები ეტრუსკების კავკასიიდან მოსვლის დასამტკიცებლად ეფუძნება კავკასიურ (ქართველურ), ეტრუსკულ, შუმერულ ენობრივ შესატყვისობებს და ასკვნის: "არსებობდა მოსახლეობა, რომელიც ერთ დროს კავკასიიდან მესოპოტამიისა და მცირე აზიის გაყოლით სამხრეთ ევროპაში (ბასკეთის გავლით) აფრიკამდე გავრცელებულა. მათგან შუმერებს, კარიელებს, წინაინდოევროპელ მცირეაზიელებს მათი ლექსიკის ერთი ნაწილი შეუთვისებიათ" [5]. საინტერესოა ამ საკითხზე ფრ. შახერმაიერის მოსაზრება, რომლის თანახმად "ძ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისიდან სამხრეთ-დასავლეთი ანატოლიიდან (ან ჩრდილოეთი მესოპოტამიიდან) დასავლეთისაკენ მიმდინარეობს მრავალრიცხოვან ხალხთა გადასახლება. ამ ხალხებმა მთელ აზიასა და და ეგეოსის ზღვის აუზს მოჰფინეს თავიანთი ენა და კულტურა, s(s) და nth/nd სუფიქსებზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელწოდებანი". ამ ხალხთა არაინდოევროპულ ენას შახერმაიერი აღნიშნავს ტერმინით: ეგეოსური. მისი აზრით, იგი დღევანდელ კავკასიურ ენებს ენათესავებოდა. ძ.წ. IV ათასწლეულის დასასრულისათვის თითქმის მთელი წინა აზია, ბალკანეთის ნახევარკუნძული და ეგეოსის ზღვის კუნძულები ამ ენაზე (ენებზე) მოლაპარაკე ხალხით იყო დასახლებული.... მისი თვალსაზრისი

3. რ. გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, III, გვ.405.

4. S. Ferri, Citta etrusche cin due nomi Lincei-Rendiconti morali , 1954, Ser.VIII, vol.IX, fasc. 5-6, იხ. რ.გორდეზიანი, მედიტერანულ ქართველური მიმართებები, II, თბ.,2007, გვ20.

5. რ. გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, წინაპირობული, II, გვ.20.

აღმოსავლეთიდან ნეოლითში (ძვ.წ. VII-VI ათასწლეულები) დაწყებული მიგრაციების შესახებ გაამყარა ჩათალ-ჰუიუკის რეგიონში წარმოებულმაჯ. მელაარტის ბრწყინვალე გათხრებმა [6].

სამწუხაროდ, ქართულ მეცნიერებაში სხვადასხვა დარგობრივი ინფორმაციის საფუძველზე არ შედგენილა ერთგვარი სახელმძღვანელო — თანდართული რუკით, ქართველი ტომთა განსახლების სრული სურათის წარმოსადგენად. ეს კი დიდ გაუგებრობას იწვევს უძველესი წარსულის მონაპოვრების აღმოჩენისას: მათი წარმომავლობის განსაზღვრისა და მსოფლიო ცივილიზაციაში მათი წვლილის აღიარების თვალსაზრისით. ამ მხრივ ფასეულ ინფორმაციას გვაწვდის უძველესი საზოგადოების ცხოვრების მოწყობისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დარგი — მეტალურგიის ისტორია. ის მოიცავს ქართველების გარე სამყაროსთან ურთიერთობის, მიგრაციის, მათი მსოფლიო ცივილიზაციაში მონაწილეობისა და როლის შესახებ უტყუარ ფაქტებს. გარდა ამისა, ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე ღირებულია საზოგადოების ყოფითი ცხოვრების მნიშვნელოვანი — მიწათმოქმედების, მეთუნეობის დარგების ჩასახვა-განვითარების ანალიზი. ქრონოლოგიური დაცვის პრინციპით წარმოგიდგენთ ქართველი ტომების განსახლების, მათი მიღწევებისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის სურათს:

ძვ.წ. VII ათასწლეული

ჯ. მელაარტის მიერ მცირე აზიაში არქეოლოგიური აღმოჩენების (ძვ.წ. VII ათასწლეული) საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნები, რომელიც უკავშირდება მსოფლიოში მეტალურგიის არსებობას, სადაც მითითებულია მცირე აზიაში მცხოვრები ხალიბების, თუბალებისა და მოსინიკების წვლილის შესახებ [7]. გ. კვირკველია თავის მონოგრაფიულ ნაშრომში — "უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ" წარმოგვიდგენს უცხოელ მეცნიერთა მელითონეობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. მათი განხვავებული შეხედულებების მიუხედავად, არსებობს ერთიანი მიდგომა სახელმწიფოთა განვითარებისა და მასში მცხოვრები ხალხის კულტურული დონის გაუმჯობესების საქმეში, უპირველესად მეტალურგიის უდიდესი მნიშვნელობის მიმართ. მეტალურგიის ისტორიის გათვალისწინებამ გამოავლინა უძველეს ათასწლეულებში არსებული ის მიგრაციული პროცესები, რომელთა მეშვეობით მყარდებოდა ხალხთა შორის მნიშვნელოვანი სავაჭრო-კულტურული ურთიერთობები. გარდა ამისა, არქეოლოგიური აღმოჩენებისა

---

6. რ. გორგუზიანი, ოგიე, II, გვ.21-22; Fr,Schachermeyr,Das agaische Neolithikum,Lund,1964,S

7. J.Mellart, Gatal Hujuk (A Neolithic Town Anatolia), London,1967, gv.22,79,212,217,218.

8. გ. კვირკველია, უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ.,1976, გვ. 24-25.

და ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე მეცნიერებმა (რ. ფორბსი, ე. პერცფელდი, ჰ. ფინი, რ. ვირხოვი, ჰ. კარპენტერი, შტ. პშეეორსკი, რ. დიუსო, ეულერის, ო. შრადერის) გაარკვიეს ცალკეული მადნის: სპილენძის, თითბრის, რკინისა და სხვა მეტალების წარმომავლობა. საინტერესოა, თუ რა სახელწოდებები აქვს ევროპაში ცალკეულ მადანს. ასე მაგალითად, სპილენძ-თითბერი ევროპაში ასე გამოითქმის – messing, massing, mossonz, mossinocki და სხვა, რომელშიც მცირე აზიაში მცხოვრები ქართველი ტომის – მოსინიკის სახელი ჟღერს. სპილენძის აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინი კი ასე იკითხება – "khaldi" (ხალდი), რომელიც კვლავ მცირე აზიაში მცხოვრებ ქართველ ტომს ხალიბებს ანუ ხალდებს უკავშირდება. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბერძნებმა ქართველებისაგან – ხალიბებისაგან არა მარტო ფოლადის დამზადების ხელოვნება შეითვისეს (ამიტომაც ეძახდნენ ბერძნები მას "ხალიბოკოს", ანუ ხალიბებისაგან ნასწავლს), არამედ სპილენძის მიღება და მისი გამოყენების წესი. საკითხი დგას შემდეგნაირად: მსოფლიოში რა გზით ვრცელდებოდა მეტალურგიის ექსპორტი? მეცნიერთა დასკვნებით, ეს იყო გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მათ შორის სახელდება მეტალურგიული ექსპორტის ევროპაში სამი მიმართულებით მისი გატანა: 1. ეგეოსის ზღვისაკენ; 2. კვიპროსზე; 3. რუსეთის სტეპებისაკენ. ყველაფერი ეს ეფუძნება ძ.წ. III ათასწლეულით დათარიღებულ არქეოლოგიურ მასალის აღმოჩენებს: სპილენძ-ბრინჯაოს ნივთების (ქინძისთავები, სატევრის პირები, ისრის პირები) სახით. ამ შემთხვევაში კვიპროსი აღმოჩნდა მეტალურგიის ცოდნის გავრცელების ერთგვარი შუალედური რგოლი, სადაც იგი მცირე აზიიდან კვიპროსზე გადმოსახლებულმა ემიგრანტებმა მოიტანეს და შემდეგ იგი ვრცელდებოდა ხმელთაშუა ზღვის აუზში. ძველი რომაელი ავტორები პლინიუსი, ლარგიუსი, პალადიუსი, ვიტრუვიუსი, სკრიბონიუსი წარმოგვიდგენენ ამ თვალსაზრისის დამადასტურებელ ცნობებს. გარდა ამისა, კვიპროსიდან მეტალურგიის ექსპორტი მიემართებოდა უფრო შორს: ეგეოსის აუზში, კუნძულ კრეტაზე, ეგვიპტეში, სირიაში, პალესტინაში. ამ მხრივ საინტერესოა ჩვენს დრომდე მოღწეული ლურსმნული დამწერლობით შესრულებული და შემდეგ ამოკითხული თუთმოს III-ის "ანალები" და ე.წ. ამარნას 33-ე, 35-ე, 36-ე წერილები [8]. ცნობა პონტოს რაიონში მცხოვრები წარმატებული მელითონე ქართველი ტომის – "ხალიბების" შესახებ გვაუწყებს ლექსიკური მონაცემები: მათ მიერ მეტალურგიაში სპილენძის მიღების ახალი მეთოდისა და ტყვიისაგან საუკეთესო ხარისხის ვერცხლის მიღების ტექნოლოგიის გამოგონების შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა ენობრივი მონაცემების გაანალიზება. რ. ფორბსის მონოგრაფიაში ვერცხლი "varkil"-ად მოიხსენიება. აღსანიშნავია, რომ ქართულ დიალექტებში არსებობს ვერცხლის აღმნიშვნელი

სიტყვა – "ვარჩხილ" მეგრულში, სვანურში კი "ვერჩხილ"-ით მოიხსენება. რაც შეეხება "ფოლადს", მას უწოდებენ "chalibikos-სს" (ძველ აღმოსაელეთში "pulard-სს") [9]. აქაც ქართული ტომის, ხალდების სახელწოდება ჟღერს. სამეცნიერო ლიტერატურაში ირანი აღიარებულია მეტალურგიის ერთ-ერთ უძველეს კერად. საინტერესოა, რომ სპილენძ-ბრინჯაოს დამუშავებით სახელგანთქმულ ირანში (განსაკუთრებით, მის ჩრდილოეთით) გაერცელებული იყო ფოლადის წარმოების აღმნიშვნელი ტერმინი – Puluadi, რომელიც ლექსიკურად ქართული სიტყვის – "ფოლადის" მსგავსია. ირანის აზერბაიჯანის – არანსბარანისა და ყარაჯა დაღის ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა ურარტული წარწერა. იგი ეკუთვნის ურარტუს მეფე სარდური II-ს (ძვ.წ. 764-735 წწ.), სადაც წერია: " ღვთაება ხალდი დაიძრა სალაშქროდ თავისი იარაღით, დაამარცხა კადიაუ, მთის ქვეყნის პილადიის მეფე. ხალდი ძლიერია, კიდევ უფრო ძლიერია ღვთაება ხალდის იარაღი" [10]. ამდენად ირკვევა, რომ ირანში მეტალურგიის დარგში ტექნოლოგიური სიახლენი ხალდებისგან არის შეთვისებული. იგივეს ამტკიცებს კიდევ ერთი ინფორმაცია: მეფე დაითის დროს (ძვ.წ. X ს.) ებრაელები ფლობდნენ რკინის იარაღს, რამაც დიდად შეუწყო ხელი ჩრდილოეთით სირიაში დაპყრობით ომებში მათს გამარჯვებას. რაც შეეხება რკინის გამოდნობის მეთოდს, იგი ებრაელებს ხეთელმა მეომრებმა გააცნეს. [10]. აქვე აღვნიშნავთ, რომ სწორედ მცირე აზიაში – ხეთების სამეფოში (ანატოლიაში, იგივე კაპადოკიაში) ცხოვრობდნენ მელითონე ქართველი ტომები. გარდა ამისა, საინტერესოა, რა სახელით იცნობდნენ ევროპაში თითბერს? იგი ევროპულ ენებში ასე გამოითქმის: გერმანულში – **messing**, ანგლო-საქსურში – **mastiling**, ძველ ნორვეგიულში – **messing**, პოლონურში – **mosiandz**. ეს სახელწოდებები ადასტურებს თითბრის აღმომჩენი ქართველი ტომის – მოსინიკის ვინაობას. თავად მადნის სახელი – "თითბერი" ქართული წარმოშობისაა: თუთ-ფერი, ე.ი. მთვარის ფერი (მეგრულში თუთა მთვარეა) [11]. გ. კვირკველიასთან ერთად ეკითხულობთ აბდულ-ყასიმ-აბდალაჰ-იბნ-ალი-მუჰამედ-იბნ-აბუ-თაჰირის 1301 წლით დათარიღებული სპარსული ხელნაწერის – "ტრაქტატი ქიმიურის (ფაიანსის)" შესახებ, სადაც მოხსენიებულია სპილენძისა და თითბრის აღმნიშვნელი ტერმინი "თუბალმე", რომელშიც ჩანს ქართველი ტომების – თუბალებისა და მოსინიკების სახელები. "თუბალ-მეს" სახელწოდება ჩანს ირანულშიც, როდესაც ირანელები

---

9. R.Forbsi, Metallurgy, გვ.172. L. Aitcison,A history, გვ. 46, 253.

10. Г. Мелиншвили, О некоторых наименованиях металов. Вестник Древей истории, Москва., стр 123.

11. ს. გასალია, ქართველთა უძველესი წინაპრები. თბ., 1927, გვ.28; 13,36.

ითვისებენ მალალი ხარისხის სპილენძ-ბრინჯაოს დამზადების ხერხს. საინტერესოა, რომ სწორედ ირანის გავლით შეაღწია ჩინეთში პონტოს რაიონიდან თითბრის წარმოების ხელოვნებამ. თითბრის გვიანდელი ჩინური სახელწოდებაა "tutan", რაც არაბულ-სპარსულში "tutiya-ს" (თითბერს) ნიშნავს. [12] მადნეულის სახელწოდებათა ქართულ წარმომავლობასთან დაკავშირებით აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ "კაკობრიობის წინსვლისათვის აუცილებლად საჭირო მადნების სახელები ან ქართველი ტომებისაგან არის შეთვისებული, ან არადა მათი სატომო სახელებისაგან არის წარმომდგარი" [13]. ამდენად, მცირე აზიაში მცხოვრები ქართველი მეტალურგი ტომების სახელწოდებებთანაა დაკავშირებული მეტალურგიული ტერმინები. რაც შეეხება თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მეტალურგიის არსებობას. ამ მხრივ შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: ძ.წ. VI–IV ათასწლეულებში, ენეოლითის პერიოდში, იწყება ე.წ. ციური ჭედვის (და არა გამოდნობის) ტექნოლოგიის გამოყენებით თვითნაადი სპილენძის დამუშავება. ამის დასტურია თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ენეოლითური ხანის არუხლოს, შულაველრის, წოფის ნამოსახლართა განათხარი მასალა. ამიტომაც ამ პერიოდს სპილენძის ხანასაც უწოდებენ. ძ.წ. IV–III ათასწლეულების მიჯნაზე (ე.ი. 5 000 წლის წინ), ბრინჯაოს ხანაში, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომები იწყებენ სპილენძის შენარევიანი მადნიდან (ან შენარევის გზით), მიღებული მასალის გამოდნობით, ახალი ლითონის – ბრინჯაოს მიღებას [14]. ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომები დამაჯერებელ ცნობებს გვაწვდის ქართველი ტომების ხალიბების, მოსინიკების, თობალების, მუშქ-მესხების მნიშვნელობის შესახებ არა მარტო მსოფლიო მეტალურგიის განვითარებაში, არამედ მეტალურგიის როგორც დარგის ჩამოყალიბებაში შეტანილი დიდი წვლილის შესახებ. ამის თქმის საფუძველს მათ აძლევთ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გამოვლენილი ნეოლითის, ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის (ძ.წ. VII – I ათასწლეულების) ძეგლები. ამ მხრივ საგულისხმოა ბორის კუფტინის მიერ თაკის გამოკვლევაში ჩართული რუკა, სადაც არის წარმოდგენილია ქართველების მიერ ფოლადისაგან დამზადებული ცულის გავრცელების არეალი, რომელიც ძ.წ. III–II ათასწლეულებით არის

---

12. გაფარაკელია, უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მეტალურგიობის შესახებ, თბ.,1976, გვ.38-39.

13. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია,I, თბ.,1913, გვ.78,80.

14. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ.,1970, გვ. 26., 147.

დათარიღებული. აღნიშნულ რუკას "გორდონ ჩაილდის სამკუთხედს" ეძახიან [15]. [რუკა –№1] აღიარებულია, რომ მეტალურგიის როგორც დარგის არსებობა ნიშნავს მისი მწარმოებელი ერის მიერ ცეცხლის მოპოვების ცოდნას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ადამიანი ხელოვნური გზით ცეცხლის აღმოჩენას 400 000 წლის წინათ დაეუფლა [16]. მელითონეობასთან დაკავშირებით 1927 წ. გამოცემულ ალექსანდრე გვასალიას ნაშრომში "ქართველთა უშორესი წინაპრები. პირველყოფილ კულტურასთან დაკავშირებით", უაღრესად საყურადღებო მინიშვნას აკეთებს: "მეტალურგიული მრეწველობის განვითარება, რომელ ხანაშიც არ უნდა იყოს, უცეცხლოდ შეუძლებელია და ეს უშუალოდ გვაფიქრებინებს, რომ ქართველ ტომებთა წინაპრებს ცეცხლის აღმოჩენის სფეროშიაც, სხვა ხალხთა შორის, პირველობა უნდა ეკუთვნოდეს" [17]. გ. ჭელიძე ამირან-პრომეთეს მითის კაცობრიობისათვის ცეცხლის ზეციდან ჩამოტანასთან დაკავშირებით წერს: " ამირანი, რომელმაც გაიარა ჯერ კავკასიური, შემდეგ წინაბერძნულ-პელასგური ხალხურ-შემოქმედებითი ლაბორატორია და ბოლოს ტრანსფორმირებული მოხვდა ბერძენ მწერალთა თხზულებებში. გავრცელებულია აზრი, რომ ორივე პერსონაჟი იტაცებს ცეცხლს ანუ პერსოფიცირებულ ქალ-ელვას: ამირანი ჭექა-ქუხილის ქალიშვილ-ელვას – ყამარს, პრომეთე ჭექა-ქუხილის ქალიშვილ-ელვას – ელვა-ათენას. ერთი და იგივეა სასჯელის ზომაც – ქედზე მიჯაჭვა და მისი აღსრულების ადგილიც – კავკასიაა. რატომ უნდა მიეჯაჭვათ პრომეთე კავკასიის ქედზე თუ ის ბერძენი გმირი იყო. საქმე ისაა წარმომობით ბერძნულ მითთან არა გვაქვს საქმე". [18].

ამდენად, არქეოლოგიური და ლექსიკური მონაცემებით, ასევე ძველბერძნული წერილობითი წყაროების საფუძველზე მტკიცდება, რომ მეტალურგიის დარგის ჩასახვა უკავშირდება ქართველებს [ფოტო – 2] [ფოტო -3]. უნდა აღინიშნოს ქართველ ტომთა ერთი განსაკუთრებული თვისობრიობა – მათ მიერ ამ დარგის აღმოჩენა-განვითარების ცოდნა უშურველად იქნა გავრცელებული და იგი უძველესი ეპოქის ყველა წარმატებული ქვეყნის საკუთრება შეიქნა. გარდა ამისა, მეტალურგია აღმოჩნდა ის სფერო, რამაც საშუალება მოგვცა დამაჯერებელი არგუმენტაცია წარმოგვედგინა მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველ ტომთა როლის,

---

15. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII-B, თბ.,1944.გვ.297. იხ: Б Куфтин К вопросу о древнейших корнях грузинской культуры.

16. В. Никольский, Очерки первобытной истории культуры, М., 1923, стр. 42.

17. აგვასალია, ქართველთა უშორესი წინაპრები. პირველყოფილ კულტურასთან დაკავშირებით, ტბ., 1927, გვ26.

18. გ. ჭელიძე, ქართველები კაცობრიობის კარიბჭესთან, თბ.,2004, გვ.64-65.



ასევე, მათი განსახლების არეალის დასადგენად მცირე აზიაში (ანატოლია-კაპადოკიაში). ამასთან, ქართველ ტომთა წვლილმა მეტალურგიაში განაპირობა ძვ.წ. VII–V ათასწლეულებში, ნეოლითისა და ენეოლითის ხანაში, მათ მიერ საკუთარი "ნიშის" დამკვიდრება, ასევე ახალი აღმოჩენების გავრცელების მიზნით ქართველების მონაწილეობა დიდ მიგრაციულ პროცესებსა და კულტურულ ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი მონაცემები, კერძოდ, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერის არსებობა, ასევე მცირე აზიაში ქართველ ტომთა: ხალიბების, თობალების, მოსინიკების მიერ მეტალურგიის ჩასახვა-განვითარება ლაპარაკობს იმაზე, რომ ძვ.წ. VII ათასწლეულისათვის ანატოლია (კაპადოკია) თანამედროვე საქართველოს ტერიტორიასთან ერთად იყო ქართველ ტომთა განსახლების ადგილი. ქართველი მეცნიერები არქეოლოგიური აღმოჩენებისა და წერილობითი წყაროების საფუძველზე მიგვითითებენ ასევე ძვ.წ. VII ათასწლეულიდან ქართველი ტომების არსებობის შესახებ შუამდინარეთში. კერძოდ, დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე – ქალაქ ბასორში ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებული არქეოლოგიური აღმოჩენები ლაპარაკობენ ქართველი ტომის, ქალდეველის (ქალდები) ყოფნასთან დაკავშირებით (კირიონ II). მსოფლიოს დიდი ნაწილის რადიოკარბონული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ნეოლითის ხანაში – ძვ.წ. VII–VI ათასწლეულებში არსებობდა ე.წ. უკერამიკო პერიოდი მაგრამ უკანასკნელი აღმოჩენების შედეგად ძვ.წ. VII–VI ათასწლეულით თარიღდება საქართველოს შავიზღვისპირეთში (აჭარაში) აღმოჩენილი კერამიკული ჭურჭელი [19].

ძვ.წ. VI–V ათასწლეულები

ამ პერიოდით თარიღდება ქართველ ტომთა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი აუცილებელი დარგის მეთუნეობის ანუ კერამიკული (keramikos, ბერძნულად – თიხა) წარმოების ფართოდ გავრცელება. აღსანიშნავია, რომ ქართველ ტომთა ნამოსახლარებში აღმოჩენილი ნივთიერი მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამ კულტურას დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონი ჰქონია. კერძოდ, საქართველოში (აჭარაში) მეთუნეობის არსებობა ძვ.წ. VII–VI ათასწლეულებში არის დაფიქსირებული. საქმე ეხება შემდეგს: თიხის გამოწვის წესების დაუფლებამდე, პრეისტორიულ ხანაში, ძირითადად მზადდებოდა სარიტულო დანიშნულების მცირე ქანდაკებები, ასევე ჭურჭლად გამოიყენებოდა თიხისაგან

19. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, ბათუმი, 2000, გვ.127.

დამზადებული ყოველგვარი ღრუსხეულიანი საგანი. ამ ადრეულ ეტაპზე შემუშავდა ბუნებრივი თიხის დამუშავების განსაკუთრებული ტექნოლოგია — მცენარისაგან დაწნული კალათების გარედან თიხით შელესვა და შემდგომ ამ წნულის მოცილების მიზნით მისი ცეცხლში დაწვა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა, რომ ნეოლითური ხანის ადამიანი აითვისებდა ბუნებრივ თიხაში საჭირო მინარევების დამატების გზით ისეთი ნაერთის მიღებას, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ე.წ. მორგვზე მის ამოყვანასა და მისთვის სასურველი ფორმის მიცემას. პირველყოფილი საზოგადოების მოთხოვნამ განაზღვრა თიხის გამოყენებისა და მისი დამზადების წესი. კერძოდ, ძვ.წ. 3500 წელს შუმერებმა გამოიგონეს სამეთუნეო მორგვი, რომელზედაც ადამიანმა შეძლო ამოეყვანა სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ნივთი. ცეცხლზე გამომწვარი თიხის ჭურჭელი პირველად გაჩნდა ადრეული ნეოლითის ხანაში ძირითადად ადრემიწათმოქმედ საზოგადოებაში: აღმოსავლეთის ქვეყნებში, ხმელთაშუაზღვის სანაპიროსა და ევროპის კონტინენტზეც. ამ მხრივ საინტერესოა ლ. ვულლის მოსაზრება, "ქალდეების ურის" შესახებ, რომელიც ეხება მეთუნეობის დარგს. მისი აზრით მეთუნეობა არ იყო ადგილობრივი (ანუ შუამდინარული) წარმოშობის. ევროპელი მეცნიერი ელამისა და ქვემო მესოპოტამიის ტერიტორიებზე კერამიკული ნაწარმის აღმოჩენის საფუძველზე ასკვნის, რომ მათ ჰყავდათ ერთი და იგივე წინაპარი [20]. შესაძლოა იგი იყოს ანარეკლი ძვ.წ. V ათასწლეულში ანატოლიურ-პროქართულ-პროშუმერულ ერთიანობის არსებობისა.

ამდენად, საქმე გვაქვს კერამიკული წარმოების ორ პერიოდთან. თავდაპირველად, კერძოდ, ნეოლითის ხანაში პრიმიტიული საშუალებებით — უმორგვოდ ხდება თიხის ნივთების დამზადება. თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, თეთრიწყაროს, შულავერის, ირმისის ნამოსახლარში აღმოჩენილი ნივთების მეცნიერული კვლევის საფუძველზე დგინდება, რომ ამ პერიოდისათვის თიხას ურევდნენ დანაყილ ოფსიდიანს, დაფხვნილ ბაზალტს, ქვიშას, და იშვიათადად ორგანულ მინარევს: ნამჯასა და ბზეს, ცხოველურ ნაერთს. ამ მინარევებისაგან დამზადებულ თიხის გუნდას დებდნენ ჭილოფზე და „კალათისმაგვარ ფორმას ამოლესავდნენ თიხით. ამ წნულების მოშორების შემდეგ ცეცხლისაგან დამწვარი თიხა იღებდა რუხ-მოყავისფრო, მოწითალო ან მოყვითალო ფერს. ფორმით იგი მრგვალძირიანი და ქილისებური იყო. რაც შეეხება საკითხს: ამ უმნიშვნელოვანესმა დარგმა — მეთუნეობამ, რაში ჰპოვა თავისი გამოყენება: 1. ე.წ. მორგვის გარეშე მზადდებოდა პრიმიტიული ჭურჭელი და სარიტუალო ქანდაკებები; 2. სამეთუნეო მორგვის გამოგონებამ შესაძლებელი გახადა სხვადასხვა სამომხმარებლო ნივთების

---

20. Л. Вулли, Ур Халдеев, М.,1961, ст. 23.

დამზადება. ეს იყო საყოფაცხოვრებო ჭურჭელი, სამშენებლო და სამეურნეო მასალა: კრამიტები, მილები, სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ნივთები;. 3. ადამიანს როდესაც გაუჩნდა მოთხოვნილება თავისი აზრის ჩაწერისა, მან გამოიყენა თიხის მასალა პატარა ზომისა და სწორი მართკუთხა ფორმის თიხის ფირფიტები. ეს იყო პერიოდი*, სანამ ჩინელები ახ.წ. 100 წელს გამოიგონებდნენ ქაღალდს. თიხის ფირფიტებზე თავდაპირველად აზრი გადმოიცემოდა პიქტოგრამების ანუ ნაკაწრების, ასევე იეროგლიფების ანუ სიმბოლოების, ე.წ. პირველყოფილი დამწერლობის სახით. გარდა ამისა, მოგვიანებით თიხაზე შესრულდა ახალი ტიპის დამწერლობის ნიმუში, რომელსაც მეცნიერები "ხაზოვან – A-ს" უწოდებენ. ამ დამწერლობის წაკითხვა დღემდე ვერაკინ შეძლო [ფოტო - №4-]. რაც შეეხება ქართველთა მონაწილეობას პირველყოფილი დამწერლობის ჩასახვა-განვითარებაში. მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში დამწერლობის წარმოშობის სხვადასხვა შეხედულებებთან დაკავშირებით არსებობს თეორია დამწერლობის საწყისად არაინდოევროპული ენების მიჩნევისა. კერძოდ, ფინიკიური მარცხლოვანი დამწერლობის საფუძვლად დასახელებული იქნა კრეტული ნიშნები. იგი ეხება ფეტერის თეორიას ფინიკიურამდელი დამწერლობის შესახებ, ასევე ლაპარაკია ჩრდილო ეტრუსკული დამწერლობის შესახებ, რომელიც შეიცავს წერტილოვან სისტემას ანუ ფარულ ნიშნებს. ჯერ კიდევ ეგვიპტეში, შუამდინარეთში, ეგეოსურსა და კავკასიის არეალში (ძვ.წ. III ათასწლეულის მტკვარ-არაქსის კერამიკის მოხატულობა) იყო მცდელობა გეომეტრიული გამოსახულებებით ანუ ფარული ნიშნებით ინფორმაციის გადაცემისა. აღსანიშნავია, რომ კრიპტები ანუ ფარული ნიშნები შემორჩენილია თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე – ხევსურეთსა და ფშავში, სვანეთსა და მესხეთ-ჯავახეთში. ხელოვნებათმცოდნე გ.გიგაურის მიერ გაკეთდა შუამდინარეთის, კრეტა-იბერიულისა და ხევსურეთ-თუშეთის ფარული ნიშნების გრაფიკული ცხრილი [21][ფოტო – №5] მასში გამოვლენილია ის ერთიანი სისტემის არსებობა,

---

* ქაღალდის შემოღებამდე (ანუ თიხის ფირფიტებისა) ჩასაწერად ხმარებაში იყო პაპირუსი. პაპირუსის ქართული თარგმანია – "ჭილი", რომელის სახელწოდება პირველად გვხდება ბიბლიის ქართულ თარგმანში. პაპირუსი ანუ ჭილი მზადდებოდა მცენარისაგან. მასზე ტექსტი იწერებოდა შავი და წითელი მელნით. თავდაპირველად პაპირუსის საწერ მასალად გამოყენება მოხდა ეგვიპტეში. ჭილზე შესრულებული ტექსტები გვხვდება ძვ.წ. III ათასწლეულიდან. ახ.წ. IX ს-მდე. პაპირუსზე დაწერილი ძეგლები შემორჩენილია ეგვიპტურ, ლათინურ, კოპტურ, არაბეულ ენებზე. ევროპაში გვხვდება ახ.წ. XI საუკუნემდე. ქართულ ხელნაწერებმა შემოგვინახა პაპირუსზე შესრულებული რამდენიმე ნიმუში: შენახული სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში და საქართველოში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცარცლებული ახ.წ. IX–X სს. ეს არის ე.წ. ჭილ-ეტრატის იადგარი და ახ.წ. IX ს-ის ფსალმუნი. // ქართული საბჭ. ენციკლოპედია, XI, თბ.,1987, გვ399-400.

21. გ. გიგაური, ფარული ნიშნები (სკრიპტები)ბ და ასომთავრული, ფურნ. მნათობი, №3-4.თბ.,2004.

რომელიც მეტყველებს უძველეს ეპოქებში კულტურული კავშირებისა და აზრის გაგების მარტივ სისტემის არსებობაზე. უძველესი ქართული კერამიკული ნაწარმის მეშვეობით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ქართველი ტომების კულტურულ ურთიერთობებს გარე სამყაროსთან. კერძოდ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (თეთრი წყარო, არუხლო, წოფი, აფხაზეთის შავიზღვისპირეთი) გავრცელებული იყო თხელკედლიანი, კარგად გამომწვარი, ზოგჯერ აშკარად წითლად შეღებილი, ზედაპირნაპრიალებული ჭურჭელი, რომელიც დიდ მსგავსებას ავლენს აღმოსავლეთ ანატოლიაში, ვანის ტბის მიდამოებში ნაპოვნ თიხის ჭურჭელთან [22]. გარდა ამისა, ირანულ- ჩრდილოეთ-მესოპოტამიურ (ჰალიფურ) კულტურულ ურთიერთობებთან გვაქვს საქმე თანამედროვე საქართველოს ფარგლებში აღმოჩენილი ბზენარევი ჭურჭლის სახით. ამ მხრივ გამოირჩევა წოფის ნამოსახლარში, იომირის გორასა და ე.წ. ვორონცოვის გამოქვაბულში ნაპოვნი მასალა. აქ აღმოჩნდა სფეროსებური მუცლის, დაბალი, ძაბრისებური ყელის მქონე, უთუოდ, ჩარხზე დამზადებული აგურისფერი მოხატული კერამიკა [23],ასევე ქართველი ტომების მიერ შექმნილი ნეოლითური ხანის კერამიკული ნაწარმი მსგავსებას ავლენს ჩრდილოეთ მესოპოტამიაში გავრცელებულ ე.წ. ჰასუნას ტიპის უძველეს თიხის ნიმუშებთან [24]. თანამედროვე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ენეოლითური კერამიკის ერთ-ერთი ჯგუფია ე.წ. ძაბრისებური ყელის მქონე კერამიკა. გარდა ამისა, ძირითადად დასავლეთ საქართველოში: ე.წ. სამელიე და სამერცხლე კლდეებში, ვორონცოვის გამოქვაბულში, კოლხეთის ჩრდილოეთით აღმოჩენილ იქნა რამდენადმე განსხვავებული — მორუხო-მოწითალო ფერის სფერული ან კვერცხისებრი მუცლის მქონე ვიწროძირიანი კერამიკა. სწორედ ამ ფორმის კერამიკული ნაწარმი ავლენს სიახლოვეს ე.წ. მაიკოპის კულტურის კერამიკულ ნიმუშებთან. ისინი ქართული კერამიკის გაელენით არის შექმნილი. ამაზე მეტყველებს სამეცნიერო დასკვნები, რომლთა მიხედვით ე.წ. მაიკოპური კულტურის კერამიკული ნაწარმი ქართულთან შედარებით უფრო გვიანი პერიოდით თარიღდება. ამდენად, შეიძლება ვილაპარაკოთ ქართველთა მიერ მეთუნეობის ტრადიციის გატანაზე ჩრდილოეთ კავკასიაში. გ.ავალიშვილთან ვკითხულობთ: "მჭიდრო კონტაქტები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და დნეპრისპირეთთან შეიმჩნევა ენეოლითის ხანაშიც". [25] გარდა ამისა, ენეოლითური ხანის ძეგლებს მიეკუთვნება

---

22. Т. Н, Чубинашвили ,К. Х. Кушнарева, стр. 359.

23. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ.138.

24. И. Г, Нариманов, Древнейшая земледельческая культура Закавказия, გვ.126;

25. გ.ავალიშვილი,საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა ძველი ლიფარის ხანაში, თბ.,2004,გვ.48.

დასავლეთ საქართველოში (აჭარა), ოკრიბის ნამოსახლარში (ახალსოფელი) აღმოჩენილი სხვადასხვა დანიშნულების იარაღები. მათ შორის მიწისა და ხის დასამუშავებელი კაჟისა და ქვის ქანებისაგან დამზადებული ხელსაწყოები, ნამგლისპირები, შუბისპირები, დანები. [26].

აქედან გამომდინარე, ქართველ ტომებს უკავშირდება ძ.წ. VII ათასწლეულიდან მიწათმოქმედების, მეტალურგიული დარგების ჩასახვა-განვითარება, მათ შორის მცირე აზიაში (ანატოლია) მცხოვრებ ქართველ მეტალურგთა ტომებს შორის. გარდა ამისა, ძ.წ. VI–V ათასწლეულებით დათარიღებულ ქართველი ტომების ნამოსახლარებში ნაპოვნი მასალის საშუალებით დადასტურდა თანამედროვე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მეთუნეობის ძლიერი კერების არსებობა: ოდისში, კისტრიკში, ანასეულ II-ში, გურიანთაში, ასევე ყვირილის ხეობასა (სამელიე, სამერცხლე კლდეები, ძუძუანის გამოქვაბული, საგვარჯილე) და სენაკის (აბედათი) რაიონში მოძიებული ნივთიერი საბუთების სახით [27]. როგორც აღინიშნა, უძველეს კერამიკულ ჭურჭელზე შესრულებული გეომეტრიული ნახაზები შეიძლება განისაზღვროს როგორც ცივილური ტომებს შორის ურთიერთობის საშუალებად, რომელიც ხდებოდა ფარული ნიშნების (სკრიპტების) ერთიანი სისტემის საფუძველზე. ენეოლითური (ძ.წ. VI-V ათასწლეულები) გვიანი პერიოდისათვის თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე (იმერის გორა, გუადიხუს მთაზე, ცხინვალთან, საგვარჯილე) დარიშხანიანი სპილენძისაგან დამზადებული ნაკეთობანი ერცელდებოდა ანატოლიაში (ქიულთეფე, ტეხუთა). ამდენად, ადგილობრივ ტომებს ენეოლითურ ხანაშივე უცდიათ მადნისეულები ლითონის მიღება.

ძ.წ. IV ათასწლეული

ძ.წ. IV ათასწლეულით ათარიღებს ლ. ვულლი მცირე აზიაში (კაპადოკიაში) ხეთების (იგივე ხირბეთ-კერაკის ტომის) მოსვლას, რომელთა მიგრაცია მოხდა კავკასიიდან შემოვლის გზით (სამხრეთიდან) ჩრდილო მესოპოტამიით, პალესტინისა და სირიის გაელით. ამ ფაქტს იგი ადასტურებს ტაბალა-ელ-აკრადას არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე [28]. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შეეხებით ქართულ–შუმერული ურთიერთობის საკითხს, რაც ქართულ სამეცნიერო

26. ფურნ: ძიებანი, სმა არქეოლოგიური კვლევის კულტურის ცენტრი, თბ.,2001, №8, გვ.16,23. (ლ. ნიფარაძე, გ.ჩიქოვანი)

27. XVI საუკუნეური სესხის მასალები მიძღვნილი 1966 წ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისათვის, ის., ტ. ჩუბინაშვილის, გ.ფოროლიას, გ.ფუსკაძის, შ. ბარამიძის, გ.ლორთქიფანიძის მოსსენებები;. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ136-137, 141.

28. JL Вулли, Забытое царство, М.,1986. ст. 27. C. Leonard Woollte,F forgotten kingdom, N, I.,1968.

ლიტერატურის განსაკუთრებულ თემას წარმოადგენს. ამ მხრივ საინტერესოა გავარკვიოთ, თუ რას ემყარება მეცნიერთა მოსაზრება ანატოლიურ-პროტოქართველურ-მესოპოტამიური დიდი გაერთიანების არსებობა. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მეცნიერთა სხვადასხვა პოზიციისა – ხალხთა კულტურების წარმოშობისა და კულტურული ურთიერთობათა საკითხების მიმართ, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ერთიანი აზრი უდიდესი ცივილიზაციის მატარებელი ხალხის – შუმერების* შუამდინარეთში ძვ.წ. IV ათასწლეულში მოსვლის თაობაზე. ნ. ფოფხაძე გვამცნობს კოლუმბიის უნივერსიტეტის ენციკლოპედიაში ძვ.წ. 3400 წლით თარიღებულ ლურსმნულ წერილიბით ძეგლებში აღწერილ "ქიანა-ენგურის" (ქი-ენ-ქი-ური, იგივე ენგურის – ძვ.წ. IV ათასწლეული) ქვეყნისა და მისი დედაქალაქის "ურის" არსებობის შესახებ, რომელიც მდებარეობდა მდინარე ბურანუნუს (ბერძნულად ევფრატის) ქვემო წელში. დედაქალაქმა "ურიმ" შემდგომ შეიცვალა როგორც სახელწოდება, ისე ადგილმდებარეობა. მას ეწოდა "კლხ" (კოლხა) და მდებარეობდა მდინარე იდიგანის (ბერძნულად ტიგროსის) შუა წელში. "ენგურის" ქვეყნის ენა იყო ემეგრისი, რომელშიც სიტყვა "ერი" იყო ეროვნების აღმნიშვნელი. აქ ლაპარაკია ქიანა-ენგურის მეფის, ურ-ენგურის შესახებ, რომელიც მოღვაწეობდა ძვ.წ. 2100 წელს. მან პირველმა შეადგინა კანონთა წიგნი და სახელი გაითქვა მოსარწყავი სისტემის შექმნით. "ენგურის" ქვეყანაში აღინიშნება თანასწორუფლებიანობა მამაკაცსა და ქალს შორის. უმაღლეს ღვთაებად ითვლებოდა ქალღვთაება ნინა-გალი (ნინა). დღემდე შემონახულია [ფოტო – №6] ენგურის ქვეყნის მეფის ურ-ენგურის (2100 წ.) ბარელიეფი, დათარიღებული ძვ.წ. XI ს-ით, რომელიც ლურსმნულ წარწერებთან (ძვ.ს. XIV ს.) ერთად ინახება ბრიტანეთის მუზეუმში [29]. აღსანიშნავია, რომ შუმერულ ენაში შენარჩუნებულია სხვა კულტურის მატარებელი ხალხის სახელწოდებები, მათ შორის ცნობილი ქალაქის – ურის სახელწოდება. ის

---

*. შუმერები შუამდინარეთში (ერაყის ტერიტორია) მოვიდნენ ძვ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისში. მათ ცივილიზაცია მოიცავს ძვ.წ.IV – II ათასწლეულებს, რომლებმაც მცირე ფართობზე (15 000 კვ.კილომეტრი) ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულს შექმნეს ცივილიზაცი: მსოფლიოში პირველი დამწერლობითი სისტემა (პიქტოგრაფიული, იეროგლიფური), საფუძველი ჩაუყარეს მიწათმოქმედებას, იცოდნენ მეტალის (სპილენძის) გამოდნობა, შექმნეს ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების დარგები. იხ. Домокош Варга, Древний восток, Будапешт.,1985; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ.,1988, გვ.39-67.

29. ნ. ფოფხაძე. ქრისტესშობამდელი რელიგიური რიტუალები ენგურ//ქართეს ქვეყანაში (ლურსმნული წარწერების მხედვით). იხ. კრებული: ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხი, თბ.,2006. გვ.214; მისივე. "ქართეს – ოქროს ვერძის გაბრენისათვის", იხ. ქართული ონომასტიკა,II, თსუ,2001, გვ.183.

არ არის შუმერული წარმოშობის, არამედ უკავშირდება პროტოშუმერებს, კერძოდ, შუამდინარეთის ტერიტორიაზე შუმერების მოსელამდე მცხოვრებ ხალხს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ არსებობს სამეცნიერო შრომები, სადაც წარმოდგენილია ღრმა საფუძვლები შუმერულ ქართველური ურთიერთობისა. შუმერებთან – ამ უძველესი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხთან, რომლებმაც, მიუხედავად თავისი ხანმოკლე ისტორიისა – 1500 წლიანი არსებობისა, მსოფლიოს განვითარების უდიდესი იმპულსი შეპმატეს. ამერიკელი მეცნიერი ს. კრამერი აღნიშნავს შუმერული ასტრალურ-მითოლოგიური თემატიკის გავრცელების შესახებ ქრისტიანულ მწერლობაში, კერძოდ, ბიბლიაში [30]. აღსანიშნავია, რომ შუმერებმა შემოიღეს პირველი წერილობითი ფიქსირებული ენა – ლურსმნული დამწერლობის სახით. შუმერული ცივილიზაცია გახდა იმპულსი სხვადასხვა ხალხის, მათ შორის, ბაბილონური, ასურული, ხეთური, ელამური კულტურების ჩამოყალიბებისათვის. შუმერულ-ქართულში არსებული პარალელების საფუძველზე რ. გორდეზიანი ასკვნის, რომ ეს არის ანარეკლი (საერთო-ქართველური ენის ჩამოყალიბებამდელი) იმ რეალობისა, რომლის დროს შუმერები და ქართველები დიდი ენობრივი ერთიანობის მემკვიდრენი იყვნენ, ასევე ძვ.წ. II ათასწლეულით დათარიღებული ქართული ხელოვნების ნიმუში (გულსაკიდი) სიახლოვეს ამჟღავნებს მესოპოტამიაში (შუამდინარეთი), ურუქში აღმოჩენილ აქატის კულონთან [31]. კულტურული სიახლოვე ჩანს შუამდინარეთში მცხოვრებ ქალდეველებთან, კერძოდ, ქალდეაში (ერაყი), ბასორში 1887 წ. ფრანგების მიერ წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა შესაძლებელი გახადა გვეძებნა ძვ.წ. VII–VI ათასწლეულებში ქართველთა კვალი მესოპოტამიაში. ქალდეველების, როგორც ქართველთა წინაპრების შესახებ წერს კათალიკოსი კირიონ II. [32]. აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა გამოკვლევების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ შუმერების ენა არ უახლოვდება უძველესს ენათა არც ერთ ჯგუფს (სემიტურს, მესოპოტამიურს, ინდოევროპულს). ამავე დროს, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი აღიარებს ქართულისა და შუმერულის სტრუქტურულ ნათესაობას. [33]. აქედან გამომდინარე, "ქართლის ცხოვრებაში" მეფე ფარნავაზის ცნობის მიხედვით ქართული დამწერლობა ძვ.წ. IV საუკუნეში კი არ იწყება, არამედ იგი

---

30. С. Н, Крамер, История начинается в Шумере, М ,1956, ст. 8.

31. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ.193, 147.

32. Кирион II, Значение Раскопок в Халдее для начальной истории Картвел (Грузии). იხ. გაზეთი: "ერის ღირსება",2006, 21 აპრილი; დ.ზემლიანი, ქალდეაში წარმოებული გათხრების მნიშვნელობა ქართლის ნაწყისი ისტორიისათვის, გაზ. "ერის ღირსება" 2006.

33. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, ოქუ, გვ.39-67.

მწერლობის არსებობის მიმანიშნებელია ფაქტია, რადგან ქართული ანბანის შექმნას გაცილებით შორეული ფესვები გააჩნია*. აღსანიშნავია, რომ ქართულისა და შუმერულის სიახლოვის ერთ-ერთი ნიშანია ანბანური მსგავსება. კერძოდ, ქართული ასომთავრული ანბანი იწყება შუმერული სიტყვა ("ან"-ით), რომელიც მთვარის მსგავსია. საინტერესოა ასევე წრეში ჩახაზული ჯვრის წარმომავლობა, რომელიც შუმერულში მზის სიმბოლოს აღმნიშვნელია. საყურადღებოა, რომ მეგრულმა შემოინახა შუმერის შესატყვისი სიტყვა "შუმ", რაც წმინდა ღვინოს, სასმელს აღნიშნავს. შუმერულსა და ქართულ ენაში (სვანურსა და მეგრულში) შემორჩენილია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები. არსებობს შუმერულ-ქართულ სიტყვათა შეთანხმების უამრავი ნიმუში, მათ შორის სვანურმა შემოინახა 400-მდე სიტყვა, რომელიც მსგავსებას ავლენს შუმერულთან. წარმოგიდგენთ შუმერულ–ქართულ (მეგრულ-სვანურს) სიტყვათაშეთანხმებისა და შუმერულ(აქადური)-ქართულის შინაარსობლივი მსგავსების რამოდენიმე მაგალითს:

შუმერული	სვანური	მეგრული	ქართული
მარე	მარე		= კაცი
ქინანა		ქინანა	= ქვეყანა
დი	დი		= დედა
იერე	იერე		= ვილაცა
ფეშ	ფაშა		= დაღლა
ეზენ	ეზერ		= კარგი
ადაბ	დაბ		= ყანა
გურუშ	გურუშ		= მდაბიო
შუ	ში		= ხელი
ენლილი	ლილე		= ღვთაება
ბარბოა	ბარ-ბარ		= მზის ღვთაება
აგურუ (აქადური)			= აგური
ტიხ (აქადური)			= ტიხარი
მარუნ (აქადური)			= მარანი
შარ (აქადური)			= შარა [34].

* სომები მეცნიერები არასწორ ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას ქართული ანბანის წარმომავლობისა და სახეობათა შესახებ. მათი მტკიცებით ქართველებს ანბანი შეუქმნა ახ.წ. V ს-ში სომეხმა – მესროპ მაშტოცმა. ეს ინფორმაცია გავრცელებული იქნა ევროპაში. კერძოდ, 1966 წ გერმანულ ენაზე გამოიცა იოჰანეს ფრიდრიხის წიგნი და შემდეგ იგი ითარგმნა რუსულ ენაზე. იხ. Иоганес Фридрих, История письма, М. ,1979, глава VI, стр.148, სადაც ეკითხულობთ: "სომხური გადმოცემის თანახმად, ქართული

ანბანი ორი სახეობისაა". აქედან გამომდინარე, წიგნში არ არის მოთხრობა ქართული ანბანის სამი სახეობის შესახებ: ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულის შესახებ. მათ შორის არ არის ნახსენები უძველესი (ძ.წ. IV ს-მდე ადრინდელი) ასომთავრული ანბანი. XX ს-ში იტალიელმა არქეოლოგმა ეორჯიოლიუს კორბომ იერუსალიმში აღმოაჩინა პეტრე იბერის მიერ დაარსებული ქართული მონასტრის ნანგრევების სტელაზე ასომთავრულით შესრულებული წარწერა, დათარიღებული ახ.წ. V ს-ით, ამავე პერიოდს ეკუთვნის ბოლნისის სიონის ასომთავრული წარწერა. // Virgilio Corbo O.F.M, Gli scali di KH.siyar el-ghanam campo dei pastori e I monastery dei dintorni, Jerusalemme, 1955.

34. რ.ფიორელიანი,ბულტერანულ-ქართველური მიმართებები, I, თბ.,2007,გვ. 152.; ზ. ქაფიანიძე, თ. მიქაბერიძე, კაკაბრეთის პირველი ანბანი, თბ.,2002,გვ.34; ძველი აღმოსავლეთის ისტორია,თბ.,1988,გვ.18-19; ნ.ხაზარაძე, საშრომი კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, თბ.,2005.

ქართულ-შუმერული ურთიერთობასთან დაკავშირებით ლაპარაკია იმ ასტრალური მოვლენების საიდუმლოებების შესახებ, რომლებიც შუმერულშია ჩადებული. ეს ეხება ანბანის საკითხებს, ასევე სხვადასხვა სიტყვათშეთანხმებებს. ასე მაგალითად: "ენ-ლილი" – სვანურში ლილედ ითქმის, რომელიც ჰაერისა და სივრცის ღვთაების აღმნიშვნელია, შუმერულში სიტყვა "არბარა" მზის ღვთაებას ნიშნავს, სვანურში – "ბარ-ბარ" ნაყოფიერების ღვთაების მნიშვნელობით იხმარება. გარდა ამისა, თანამედროვე ქართულ რეალობაში გვხდება სრულიად გაუცნობიერებელი სიტყვები, რომელიც ქართულ მეტყველების უმორესი სილრმეებიდან მომდინარეობს. ასე მაგალითად, ხალხური სიმღერის მისამღერი "ერეხელი ვარ და". "ერეხი" შუმერის ქალაქ "ურუკის" უძველესი სახელწოდებაა. ამდენად, ქართული ენა დღემდე ინახავს შუმერული ენის ლექსიკურ ერთეულებს. რამაზ პატარიძე თავის გამოკვლევაში – "ქართული ასომთავრულის" ანბანთან დაკავშირებით წერს: "ასომთავრულ ანბანში დაძლეულია უძველესი ასტროლოგიური და კალენდარული პრობლემები: ესოდენ სრულყოფილი კალენდარული სისტემა კალენდრის ისტორიამ არ იცის. არც ერთ ერს ისტორიულ წარსულში არ შეუქმნია იმდენად სრულყოფილი ანბანური დამწერლობა, როგორც ქართული ანბანური დამწერლობაა". [35].

ძ.წ. III ათასწლეული

ეს არის მსოფლიო დიდი მიგრაციების პერიოდი: განსაკუთრებული მიმოსვლა აღინიშნება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ძ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში შუამდინარეთს იკავებენ სირიის უდაბნოდან მოსული სემიტები. სემიტებმა მსოფლიო ცივილიზაციის ამ კერაში განაპირობებს კიდეც (II ათასწლეულისათვის) შუმერების ქალაქ-სახელმწიფოების ერთგვარი მსხვრევა. როგორც ცნობილია, უძველეს ეპოქებში წარმოქმნილი ცივილიზაციის კერების გაქრობისას კულტურული მონაპოვრები რჩება სხვა კულტურებში. ასე მაგალითად, შუმერებთან შერწყმის შედეგად სემიტებმა შეითვისეს შუმერების მიღწევები, რომლის საფუძველზე შეიქმნა ცნობილი აქადის

35. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ.,1985, გვ.77.

კულტურული კერა. ამავე პერიოდში (აღრეული ბრინჯაოს ხანაში), ჩვენამდე მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომები მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობებს ამყარებენ სხვადასხვა კულტურულ ცენტრთან: 1)სამხრეთის ქვეყნებთან – განსაკუთრებით, შუამდინარეთთან, ასევე ეგვიპტესთან. გარდა ამისა, აღინიშნება მტკვარ-არაქსის კულტურაში მონაწილე ქართველ ტომთა კავშირი ეგეოსურ სამყაროსთან, განსაკუთრებით გამოღავნებული ხაინეინრო საქმესა და არქიტექტურაში [36]. გარდა ამისა, კულტურული კავშირები ძლიერდება წინა აზიასთან; 2) ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოს ქართველი ტომები გამოდიან კულტურის ერთგვარ გადამცემებად – ჩრდილოეთით მცხოვრები ტომების მიმართ. კერძოდ, კავშირი აღინიშნება თანამედროვე უკრაინისა და სამხრეთ რუსეთის ველების მოსახლეობასთან [37]. ამგვარი კულტურული ურთიერთობის ანარეკლია ე.წ. სკეითური ხელოვნება და განსაკუთრებით მაიკოპური კულტურა*; 3) ამავე პერიოდში ჩანს ქართველების ურთიერთობა დასავლეთით წინაევროპელ ხალხებთან [38]. ამასთან დაკავშირებით რ. გორდეზიანთან ვკითხულობთ: "გვიანინდოევროპულ დიალექტებში შესამჩნევია ქართველური შრის გაჩენა, რომელმაც თავისი კვალი დატოვა განსაკუთრებით ბალტურ-სლავურ, თრაკიულ, გერმანიკულ და ზოგიერთ სხვა ენებსა თუ ენათა ჯგუფებზე. როგორც ჩანს, ბერძნული ენის ე.წ. ქართველიზმების ერთი ნაწილი სწორედ ამ მოძრაობასა და ქართველური ელემენტების გავრცელებას გვიანინდოევროპელ მედიატორებთან არის დაკავშირებული"..."ანტოლიიდან ეგეიდაში აღწევს მეორე ნაკადი ქართველოვანი ემიგრანტების, რომელთაც შეაქვთ ქართველური კომპონენტი: ეგეიდაში იქმნება ეგეოსურ-ქართველური ენობრივი ერთიანობა" [39]. არქეოლოგიური კვლევების

---

36. А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура населения южного Кавказа V-III тысячилетия до нашей эры Тб 1973.

37. გ. ალალიშვილი, საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა ძველი ლითონის ხანაში, თბ.,2004, გვ48.

* მაიკოპის კულტურის შექმნის არეალად დასახელებულია რუსეთის ფედერაციაში შემავალი ადიღეთის ავტონომია. კრასნოდარის მხარეში მდებარეს (ყუბანი) ნაპირზე, ქ. მაიკოპის ტერიტორიაზე (აქედან სახელწოდება) აღმოაჩინეს ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრის (აღრინდელი ბრინჯაოს ხანა) არქეოლოგიური ნიმუშები: ხალენძის მრავალნაირი იარაღი, ეურცხლისა და ოქროს ჭურჭელი, ხარისა და ლომის ფიგურები. მაიკოპის კულტურასთან დაკავშირებით არსებობს თვალსაზრისი მისი ურთიერთობისა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან// ქსენციკლოპედია,VI, თბ.,1983, გვ.362-363.; მაიკოპის კულტურის წარმოშობას უკავშირებენ ხმრეთის გავლენას, კერძოდ, ალიბეთის კულტურას. // ო. ჯაფარიძე, ქართული ერის ეთნოგენეზის საკითხთან, თბ.,2006, გვ. 275.

38. გ.ალალიშვილი, საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურა ძველი ლითონის ხანაში, იგივე, გვ17.

39. რ. გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, III, გვ. 429. 40.

შედეგად აღმოჩენილი იქნა ადრებრინჯაოს ხანის ფენა, სადაც კერამიკის ზოგი ფორმა უახლოვდება მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურათა ადრეული პერიოდის ჭურჭელს. ეს არის ანარეკლი ძვ.წ. III ათასწლეულში ქართველი მელითონეების მიგრაციისა ევროპაში, კერძოდ, ქართველი ტომების ურთიერთობისა ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნოსებთან. როგორც აღინიშნა, მეტალურგიის ჩასახვამ ბიძგი მისცა გარე სამყაროსთან ქართველ ტომთა ფართო კულტურულ-საეკონომო ურთიერთობებს, კერძოდ, ხმელთაშუა ზღვის აუზში გამოჩნდა ლითონი, რომელსაც რუსული გამოცემის "მსოფლიო ისტორია" უკავშირებს კავკასიას. [40]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძვ.წ. III ათასწლეულისათვის ამ მნიშვნელობის რეგიონი, კერძოდ "კავკასია" მსოფლიოში არ არსებობდა და ამავე გაგებით არ არსებობდა არც კავკასიელი**. ქართველ ეთნოსთა გარე სამყაროსთან ურთიერთობას ამტკიცებს ძვ.წ. III ათასწლეულში ქართველ ტომთა: ხალიბების, თობალების, მოსინიკების მიერ მეტალურგიის დარგში დანერგილი ის ტექნოლოგიური სიახლენი, რომლითაც მათ ფასდაუდებელი როლი შეასრულეს კულტურული მსოფლიოს განვითარებაში. XX საუკუნის 40-60- ანი წლების უცხოელ მკვლევართა შორის ჩამოყალიბდა აზრი ევროპაში მეტალურგიის აღმოსავლეთიდან შემოსვლასთან დაკავშირებით, კერძოდ, ძვ.წ. 2 500- 2000 წწ. ერთდროულად დაიწყო მეტალურგიის მიღწევათა ათვისება: 25000 წ. — ესპანეთში (ზღვით), ცენტრალურ ევროპაში, უნგრეთში; 2200-2000 წწ. — სპილენძის

---

40. Всеобшая исторія, Москва., 1955,

* სიტყვა "კავკასია" პირველად მოხსენებულია ძვ.წ. VI .ს-ში ესქილეს ტრაგედიაში "შეკაკვული პრომეთე", სადაც ბერძენი პრომეთე რატომღაც ქართველ ტომთა მიწაზე — კავკასიონის ქედზეა მიჯაჭვული. საქართველოს სამხრეთით მდებარე სომხეთის შესახებ ჰეროდოტე (ძვ.წ. V ს.) ეთნოგენეზთან დაკავშირებით წარმოგვიდგენს მათ თავდაპირველ განსახლების არეალს: "ფრიგიელები, როგორც მაკედონელები ამბობენ, იწოდებოდნენ ბრიგებად, მთელი ის ხანა სანამ ევროპელები იყვნენ და მაკედონიის მეზობლად ცხოვრობდნენ, ხოლო აზიაში რომ გადასახლდნენ მიწაწყალთან ერთად სახელიც გამოიცვალეს — ფრიგიელები დარქვეს. არმენიელები, რომლებიც ფრიგიელებისაგან მომდინარეობენ, ფრიგიელების მსგავსად იყვნენ შეიარაღებულნი"(VII,73). იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ.,1987, გვ. 111-112. ძვ.წ. VI ს-ში ბოლოს სპარსულ წარწერებში ურარტუ "არმენიად" იხსენიება. იხ. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ.,1988,გვ359. სიტყვა "არმენია" მომდინარეობს ტროას მონაწილე გმირის არმენოსის სახელწოდებიდან. "კოლხეთის სამეფოსა და "იბერიის სამეფოს" არსებობის პერიოდში სამხრეთით მდებარე სომხეთის (ჰაია,არმენია) სახელმწიფო ჩამოყალიბდა ძვ.წ. VI–IV სს., მათი მოსაზღვრე კავკასიის ალბანეთის (თანამედროვე აზერბაიჯანისა და დაღესტნის სამხრეთი ტერიტორია, იბერიის სამხრეთამდე) სახელმწიფოს ჩამოყალიბება შედგა ძვ.წ I ს-ში, დედაქალაქი კაბალა, კასპიისპირეთში — აზერბაიჯანი (ადარბადაგანი), სახელმწიფო ჩამოყალიბდა ძვ.წ IV ს-ში. მდიკონოვი წერს: "ურარტუს ნაწილში დასახლდნენ მცირე აზიიდან მოსული სომხები, მიუხედავად აზრთა ხვადასხვაობისა აქ ცხოვრობდა ქართველი ეთნოსი: ან მოსხები, ან სასპერები, ან კასპიოელები."// М Дьяконов, Очерк истории древнего Ирана, М, 1997,с.57.

ათვისება, კარპატებში, სლოვაკეთში, აღმოსავლეთ ალპებში, ბალკანეთში, ბოპემიაში, საქსონიაში, 21000 წ. — პოლონეთში, 2000 წ. — იტალიაში, შემდგომ ინგლისში (ძვ.წ. II ათასწლეულში), რომლის დროს ინგლისი ქვის ხანიდან პირდაპირ ბრინჯაოს ხანაში გადაეიდა. მეტალურგია აქ ესპანეთიდან მოსული ემიგრანტებისაგან იქნა ათვისებული. ამასთან დაკავშირებით აიჩისონი წერს: "ყველაზე დიდი ეფექტი მოახდინა ბრიტანეთის მეტალურგიაზე იბერიამ (ესპანეთი)" [41]. ევროპელ მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მეტალურგიის თავდაპირველი კერის თაობაზე. ასე მაგალითად გარკვეულ მეცნიერთა აზრით, ეს არის ახლო აღმოსავლეთი, ირანი ან მცირე აზია, აქ მცხოვრები ქართველი ტომები, მოელ მსოფლიოში აღიარებული. არიან ფერადი ლითონებისა და რკინის პირველ მწარმოებლებად. კერძოდ, რ.ფორბსი და ლ.ეიჩისონი ევროპაში მეტალურგიის გავრცელებას უკავშირებენ აღმოსავლეთს, კერძოდ, ქართველური მოდგმის ტომებს: ხალდებს (ხალიბებს), თუბალებსა და მოსინიკებს. გ.კვირკველიას მონოგრაფიულ შრომაში — "უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ" წერს: "დიდძალი არქეოლოგიური მასალასა და კლასიკური ხანის ავტორების ცნობებზე დაყრდნობით რ.ფორბსი მიდის იმ დასკვნამდე, რომ პონტოს რაიონი, სადაც ცხოვრობდნენ ხალიბები, თუბალები და მოსინიკები, წარმოადგენს მრავალი ფერადი ლითონისა და რკინის სამშობლოს" [42]. მეცნიერთა აზრთა სხვაობა ძირითადად გამოწვეული უნდა იყოს ქართველ ტომთა საცხოვრებელი არეალის საზღვრების დაუზუსტებლობით, ანუ სად და რომელ სივრცეს მოიცავდა ქართველ ტომთა დასახლება. მეტალურგიის ისტორიის ცნობილი მკვლევრის, რ. ფორბსის აზრით, ეს ადგილი იყო პონტოს რაიონი. ქართველ ტომთა გარე სამყაროსთან კულტურულ-საავჭრო არეალის დასადგენად უმნიშვნელოვანესი საკითხია ეგვიპტესთან კულტურული ურთიერთობის გარკვევა. "ძველი აღმოსავლეთის ისტორია" საინტერესო მასალას იძლევა ეგვიპტის როგორც ერთ-ერთი მდიდარი და ძლიერი ქვეყნის შესახებ, სადაც დაფიქსირებულია ის ბუნებრივი სიმდიდრე რასაც ფლობდა ეგვიპტე. ასევე დასახელებულია ის ქვეყნებიც საიდანაც შემოქონდა სხვადასხვა იმპორტული მასალა: საივილუერო ქვები — ნუბიიდან (თანამედროვე ეთიოპია), პუნტიდან (თანამედროვე სომალი) — სპილოს ძვალი, ლეოპარდის ტყავი, ძვირფასი ხის ჯიშები, უცხო სანელებლები

---

41. გ. კვირკველია, უცხოელი მეცნიერების უძველესი ქართველი მელითონეების შესახებ, თბ.,1976.

42. გ. კვირკველია, უცხოელი მეცნიერები ქართველ ტომების მელითონეობის შესახებ, თბ.,1976, გვ. 9-10; იგრძელიშვილი, სპილენძის ძველი მეტალურგიის ისტორიული საკითხისათვის საქართველოში, იხ. ჟურნალი: მაცნე, ისტორიისა-არქეოლოგიის სერია, №3,თბ.,1966.

[43]. ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას იძლევა ეგვიპტის ისტორიის რუსული გამოცემა [44], სადაც ლაპარაკია ძ.წ. XX–XVIII სს-ში (ძ.წ. III–II ათასწლეულის მიჯნა) ეგვიპტის პაპირუსზე შესრულებული მითის შესახებ: "ხომალდის დალუპვას გადარჩენილი კაცის ამბავი". იგი ეხება შორეულ მაღაროებში ფარაონის მიერ გაგზავნილი კაცის ისტორიას, ასევე დასახელებულია ძ.წ. XVI ს-ის ეგვიპტური წყარო, რომელშიც ნახსენებია ე.წ. "ფუტის "ანუ ღმერთების მხარე, როგორც მდიდარი მეტალურგიული კერების ადგილმდებარეობა. საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო მასალას გვაწვდის მამა აეთანდილ გიორგობიანი, რომელიც ტერმინ "ფუ(ს)ტის-თან" დაკავშირებით მიგვითითებს ბიბლიაში ("ძველი აღთქმა") ამ სახელწოდების არსებობის შესახებ. კერძოდ, "ფუტი იყო ნოეს შვილის ქამის ძე (დაბადება, 10-6), ასევე "ფუტიელი ხალხი" ნახსენებია იეზეკიელთან (27-10), იერემიასთან (46-9), ნაუმ წინასწარმეტყველთან (3-9). გარდა ამისა, დასახელებულია თეოდოსი განგრელისა და ეპიფანე კონსტანტინოპოლელის ცნობები ფუ(ს)ტების შესახებ, .რომელთა მიხედვით ფუ(ს)ტები სახლობდნენ კოლხეთის ჩრდილოეთ მთიანეთში და ისინი ანდრია პირველწოდებულს მოუქცევია ქრისტიანობაზე [45]. "ფუ(ს)ტები" ნახსენებია არიან ასევე "ტამპლიერების" (ტავრების) სახელწოდებით. ეს უკანასკნელნი სახელდებიან არგონავტების მიერ ოქროს საწმისის მოტაცებასთან დაკავშირებით, რომლის დროს მინიშნებულია მედეას მიერ "ტავრულ დიალექტზე" საუბრის შესახებ [46]. გარდა ამისა, "ტავრების" (ტალების) სახელწოდება უკავშირდება არა მარტო ძველ აღთქმას, არამედ მცირე აზიაში არსებულ ხეთურ სამყაროსაც [47]. შემორჩენილია ტერმინ "ფუ(ს)ტისთან" დაკავშირებული უამრავი სახელწოდებები, რომელშიც იგულისხმება ძველ ქართულ სამყაროში არსებული სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი მნიშვნელობები, კონკრეტულად კოლხეთის კულტურამდელი არსებული, ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ტერმინოლოგია. მათ შორის ქალაქ ფოთის (მეგრულად "ფუთას") სახელწოდება. აქედან გამომდინარე, ქართველ ტომებში არსებობდა კოლხურ კულტურამდელი (დაახლოებით ძ.წ. II ათასწლეულამდე) ერთიანი კულტურული ტრადიცია, რომლის მემკვიდრე გახდა კოლხეთი. ამ მხრივ უძველესი ეგვიპტური პაპირუსები იმ რეალობასთან გვაკავშირებს, რომელიც ასახავდა კოლხეთში ბერძნების მოსვლამდელ – ძ.წ. II ათასწლეულებამდელი პერიოდის

---

43. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, ოფუ, გვ. 118. 45. მამ აეთანდილ გიორგობიანი, "ხომალდის დალუპვას გადარჩენილი კაცის ამბავი", ეერნალი: "ცოტნეფელი, II, თბილისი-ფაზისი, 2005-2008, გვ.58; გეორგიკა, I3, თბ.1941, გვ.38,57.

46. აკ. ურუშაძე, ოფუ, გვ. 392.

47. Г Меликишвили, Вопросы древнего народа, №1, стр. 8-9,

ისტორიულ რეალიებს. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია არა მარტო გარე სამყაროსთან ქართველთა კულტურული ურთიერთობის გარკვევისათვის, არამედ ეგვიპტოლოგიის როგორც ცალკე არსებული დარგის შესწავლის თვალსაზრისითაც. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმ ისტორიულ ფაქტებთან, როდესაც ეგვიპტელები უპირისპირდებიან ბერძნებს ქართველ ტომთა მეტალურგიის ექსპორტზე გავლენის მოსაპოვებლად. კერძოდ, კოლხეთიდან მეტალურგიული ცოდნისა და გამოცდილების გატანის თვალსაზრისით. სწორედ ამ ინტერესებს ისახავდა მიზნად ძ.წ. II ათასწლეულში არგონავტების მოსელა კოლხეთში. საინტერესოა ასევე ქართველ ტომთა გარე სამყაროსთან ურთიერთობა წინარეევროპულ სამყაროსთან. საკითხი დგას შემდეგნაირად: როდის შედგა კულტურული კავშირები თანამედროვე კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხსა და ევროპის უძველეს მოსახლეობას შორის? მნიშვნელოვანია, რომ ევროპის ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ნაწილებში აღმოჩენილ, ძ.წ. III ათასწლეულით დათარიღებულ, ჩეხეთში აღმოჩენილ სამარხში, შეინიშნება მსგავსება ადრეული ბრინჯაოს პერიოდის კავკასიურ ნაწარმთან, კერძოდ, მეტალისაგან დამზადებულ ხელოვნების ნიმუშებთან. ამდენად, III ათასწლეულის მეორე ნახევარში ევროპაში ვრცელდება ამიერკავკასიური მეტალურგიული იმპორტი. [48] საქართველო, როგორც მეტალურგიის კერა, უშუალო მონაწილე იქნებოდა ამ პროცესებისა. თ გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიერ წამოჭრილია პრობლემასთან დაკავშირებული საკითხი – ინდოევროპელების კავშირის შესახებ აზიასთან, ისინი ამ შემთხვევაში ეყრდნობიან ლექსიკურ შესატყვისობებს: უძველესი მცენარეული ჯიშის, შრომის იარაღების, მელვინეობის სახელწოდებათა მსგავსებებს [49]. მაგალითად, ესპანეთში გავრცელებულ "მახას" ხორბლის ჯიშის სამშობლოდ თვლიან საქართველოს (ნ.ვავილოვი). ინგლისელი ს. პიგოტე ევროპაში სატრანსპორტო საშუალებად ბორბლების გამოყენებას უკავშირებს კავკასიის გავლით ზემო მესოპოტამიას, კერძოდ პროტოშუმერებს. რაც შეეხება მეთუნეობის დარგს: ძ.წ. III ათასწლეულში ძირითადად ვრცელდება შავპრიალა და მონაცრისფრო კერამიკა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკა მიგვითითებს ამ კულტურულ კავშირებზე, რომელიც არსებობდა შუამდინარეთთან. ამ მხრივ ქართველი მეთუნეები კავკასიის ჩრდილოეთ ქვეყნებში შუამდინარული კერამიკის გამავრცელებლების როლსაც თამაშობდნენ. გარდა ამისა, ჩრდილოეთ კავკასიაში ვრცელდებოდა ქართველი მეთუნეების თიხის დამუშავების ტექნოლოგია და თიხის ნაწარმის სხვადასხვა სტილისტური ნიშნები [50]. ძ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში, მეტალურგიის

---

48. გ. ავალიშვილი, საქართველოს სოციალური სტრუქტურა ბელი ლითონის ხანა, თბ.,2004,გვ.48.

49. Т. Гамкрелидзе, В Иванов, op.cit. გვ.17.

50. გ.ფეფუკიშვილი, თეთრიწყაროს ნასოფლარი, თბ.,1978, გვ.112.

განვითარების პირობებში, ქართველი ეთნოსი ჩართული იყო ე.წ. ძველ ასურულ საეკონომიკო სისტემაში. ეს დადასტურებულია ქიულთეფე-კანესში (ანატოლია) აღმოჩენილი წერილობითი ძეგლების საფუძველზე. ასურეთთან ვაჭრობის ერთ-ერთი საგანი იყო კალა, ხოლო სანაცვლოდ კავკასიიდან, მათ შორის, თანამედროვე საქართველოდან, გადიოდა ოქრო და სპილენძი. ქიულთეფე-კანესში აღმოჩენილი საბეჭდავებისა და თრიალეთის ვერცხლის ჭურჭელზე მოცემული გამოსახულებების მსგავსების საფუძველზე ჩამოყალიბდა აზრი ქართველების ასურულ კოლონიებთან სიახლოვის შესახებ [51]. თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე – ბეშთაშენში, კვარცხელებში, ოზონში, გუდაბერტყაში მოპოვებული განათხარი ნივთები მოყვანილობა-ფორმის მხრივ ემსგავსება წინააზიურ ხელოვნების ნაწარმს, კერძოდ, ძ.წ. III ათასწლეულის კერამიკულ ჭურჭელს. საინტერესოა, რომ ძ.წ. III ათასწლეულის ნამოსახლარებში შეინიშნება სახლის ორი ტიპი: 1.) სახლის მრგვალი არქიტექტურული ფორმა: აღმოჩენილი ამირანის გორაზე, ქვაცხელებსა და გუდაბერტყაში, რომელითაც, თ. ჩუბინაშვილის თვალსაზრისით, მსგავსება ვლინდება მესოპოტამიურ ნაწარმთან [52]. 2). აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება სწორკუთხა ფორმის სახლები. ამ მხრივ იგი შუა აზიურ-ეგეოსურ სამყაროსთან იჩენს სიახლოვეს. უძველესს არქიტექტურულ სახეობასთან გვაქვს საქმე თრიალეთში, მესხეთ-ჯავახეთში, წალკის რაიონში ციკლოპური ტიპის ნამოსახლარების აღმოჩენისას, როგორც თავდაცვითი ნაგებობა. ასე მაგალითად, სოფელ საბეჭდავის ნამოსახლარი შეიცავს რამდენიმე ჰექტარ თავდაცვით ნამოსახლარს, რომლის კედლები ბაზალტის დიდი ლოდებით არის ნაგები. აღსანიშნავია, რომ თავდაცვითი ნაგებობა განსაზღვრული იყო ასევე საცხოვრებლადაც [53]. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ციკლოპური ნაგებობები ემსგავსება ამ პერიოდში კონტინენტურ საბერძნეთში ქართველი ტომის – პელასგების მიერ აშენებულ სახლებს, რომლებიც დღემდე "პელასგურის" სახელით არის ცნობილი.

საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაირკვას: თუ ძ.წ. III ათასწლეულისათვის როგორ არის წარმოდგენილი ევრაზიის კონტინენტის იმ რეგიონში ხალხთა მიგრაცია და კულტურული ურთიერთობები, განსაკუთრებით იქ, სადაც ნავარაუდევია ქართველ ტომთა არსებობა. რ.გორდეზიანთან ეკითხულობთ: "მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ხალხთა მიგრაციას პონტო-კასპია-არალის მხრიდან დასავლეთისაკენ, რომელიც

---

51. ო. ჯაფარიძე, ქართული ერის ეთნოგენეზის საკითხებთან, თბ.,2007, გვ348.

52. Памятники мирового искусства. Искусство древнего востока, Москва.,1968 стр. 43.

53. Т. Н, Чубинашвили, О взаимоотношениях кавказских куро-аракских культур с переднеазиатской культурой в III тысячилетия до нашей эры, Тб .,1984; საქართველოს არქეოლოგია, თბ.,1959, გვ. 79.

ძ.წ. V–III ათასწლეულებში მიმდინარეობდა. ამ ხალხებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულს (საბერძნეთი) მიაღწიეს და აქედან სამი მიმართულებით იწყეს გადასახლება: აღმოსავლეთით – მცირე აზიისაკენ, დასავლეთით – იტალიისა და ესპანეთისაკენ, სამხრეთით – საბერძნეთისა და კრეტისაკენ. თითოეულმა ამ ნაკადმა თავის ახალ სამშობლოში სულ სხვა წარმომავლობისა და კულტურის ტომთა შერევა განიცადა. მან გადმოსახლებული ხალხების ენათა დაშორება გამოიწვია, თუმცა მათ თავიანთი ოდინდელი ერთიანობიდანაც მაინც ბევრი რამ შემოინახეს."[54] დასკვნის სახით შეიძლება მოვიშველიოთ გრ. გიორგაძის თვალსაზრისი ძ.წ. III ათასწლეულში ქართველ ტომთა შესახებ. მეცნიერი აღნიშნავს კულტურული ურთიერთობების სხვადასხვა ხასიათის შესახებ. მათ შორის ქართველ ტომებსა და ძველაღმოსავლურ ეთნოსებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით, ქართველ ტომებთან მიმართებისას აღნიშნავს მყარად ჩამოყალიბებულ ეთნიკურ-ენობრივ ერთობასა და დამოუკიდებელ კულტურულ-ისტორიული ტერიტორიის არსებობას [55]. აღსანიშნავია, რომ კვიპროსი წარმოადგენდა შუალედურ რგოლს მცირე აზიიდან ევროპაში მეტალურგიის ცოდნის გატანისა. გ. კვირკველია წერს: "ევროპულ ენებში სპილენძის გავრცელებულ სახელწოდებას "Cuprum", ამ კუნძულის სახელისაგან მომდინარედ თელიან. მცირე აზიიდან კვიპროსზე გადმოსახლებულმა ტომებმა სულ მალე შეძლეს ამ კუნძულზე აღორძინათ მეტალურგია. ამას ისიც მოწმობს, რომ მათ იწყეს ნაწარმის უხვად გატანა უძველესი კულტურის მქონე ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ეგვიპტე, სირია, პალესტინა. სპილენძის ეგვიპტეში გატანის შესახებ ყველაზე ადრეულ ცნობებს შეიცავს თუთმოს III ანალები (ასევე ამარნას 33-ე და 35-ე წერილი)" [56]. ძ.წ. III ათასწლეულს მიეკუთვნება ასევე პონტოს რაიონში მცხოვრები ტომის – ხალიბის მიერ ვერცხლოვანი ტყვიისაგან საუკეთესო ვერცხლის მიღების მეთოდი. კერძოდ, რ. ფორბსი მიუთითებს მცირე აზიაში არსებულ ვერცხლის მდიდარ საბადოებისა და ვერცხლოვანი ტყვიის მადნების არსებობას, ასევე, პონტოში მცხოვრები ხალიბების მიერ მეტალურგიის ცოდნასა და აღმოჩენების შესახებ, რომლის დროს ვერცხლისა და ტყვიის რაფინირება პირველად შეიმუშავეს პონტოში ძ.წ. III ათასწლეულში. ხალიბების მეტალურგიის ცოდნა გავრცელებული იქნა ძველ აღმოსავლეთში (გარდა ეგვიპტისა), ასევე მცირე აზიიდან ეგეოსსა და კუნძულ კრეტაზე [57]. გარდა ამისა, ხალხთა მიგრაციებს უკავშირდება მეტალურგიის ისტორიაში ცნობილია ე.წ. "ლურისტანული ბრინჯაოს" სახელწოდება. ე.ხიდაშელი წერს –

---

54. რგორდეზიანი, მელიტერანულ ქართველური მიმართებები,ფუნ. III, გვ.420.

55. გრ. გიორგაძე, უძველესი აღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ.,2002,გვ.90.

56. გ. კვირკველია, ფუნ. გვ.23-24; R.Forbes, Metallurgy, გვ.172.

57. გ. კვირკველია, ფუნ.გვ. 27.

"ლურისტანზე* (ჰარსონი, კარკარანდი, ავდადკუბადი, მიმავანდი და სხა) გადიდოდა სავაჭრო გზები: ჩრდილოეთ გზის მონაკვეთი, რომლითაც აკავშირებდა კასპიის ზღვის სანაპიროს მესოპოტამიასთან, საზღვაო-საზმელეთო გზა – ხმელთაშუა ზღვისა და სპარსეთის ყურესთან, მთებით: ტალიშის კავკასიასთან (ნაკლებად ცნობილი). ბაბილონის კულტურის დამთავრებასთან ერთად ლურისტანზე იზრდება კავკასიური გავლენა" [58]. საკითხთან დაკავშირებით აღენიშნავთ ძვ.წ. III ათასწლეულში ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ხურიტების მოსვლას, რომლებიც ცხოვრობდნენ მესოპოტამიისა და სირიის ისტორიულ ადგილას, ხოლო ხურიტების მოსვლა მცირე აზიაში უფრო გვიანი მოვლენაა [59]. ამდენად, მცირე აზიაში, სადაც იყო ქართველ ტომთა განსახლების ადგილი, თავს იყრიდა რამდენიმე ენობრივი ჯგუფი. გარდა ამისა, ძვ.წ. III ათასწლეულში აღინიშნება ანატოლიისკენ ხალხთა მოძრაობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ამ დროისათვის ინდოევროპულ-ხეთურ-ლუვიური ტომები მცირე აზიაში იკავებენ წამყვან ადგილს. ამავე პერიოდში მცირე აზიაში მოდიან ასირიულებიც (მათ მიაღწიეს საბერძნეთს, ეგვიპტეს). გარდა ამისა, ჩრდილოეთიდან (რუმინეთის ტერიტორიიდან) ეგეოსის ზღვის აუზში თავს იყრიან სხვა ინდოევროპელი ტომებიც. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთ-ერთი ინდოევროპელი ტომის, ბერძნების მიმართება ეგეოსურ კულტურასთან. კერძოდ, თუ ნეოლითის ხანაში კულტურის ჩამოყალიბება უკავშირდება ხალხთა მოძრაობას სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიიდან დასავლეთისაკენ, ამ მიგრაციამ, ძვ.წ. III ათასწლეულში ითამაშა გადამწყვეტი როლი ეგეოსური კულტურის ჩამოყალიბებაში. ჯ.შახერმაიერის აზრით, ხალხთა მოძრაობა აღმოსავლეთიდან: ჩრდილოეთი მესოპოტამიიდან კილიკიის გაელით, მიემართება დასავლეთისაკენ, ასევე ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოსულებმა, ეგეოსის აუზში შექმნეს ნეოლითისა და ბრინჯაოს ეპოქები. აქედან გამომდინარე, ეგეოსური კულტურის შემქმნელებად მიჩნეულია არაინდოევროპელები, და მხოლოდ ამის შემდგომ მოდიან სხვადასხვა ინდოევროპელი ტომები, მათ შორის ბერძნებიც.

---

* ლურისტანი: ისტორიული ოლქი დასავლეთ ირანში. უძველეს დროში ლურისტანი დასახლებული იყო კასიტი ტომებით და შედიოდა ელამის სახელმწიფოში. სამხრეთ ირანელი ტომები დასახლდნენ ლ-ში ძვ.წ. X–IX სს. "ლურისტანის ბრინჯაო" ეწოდება ირანულ-კავკასიური ცხოველსახიანი სტილით შესრულებულ ბრინჯაოს ნაკეთობას.

58. ბ ხიდაშელი, ზოგიერთი საკულტო-რელიგიური პარალელები კავკასიასა და ლურისტანს შორის. იხ: კავკასიურ-ახლაღმოსავლური კრებული.III, თბ.,1970, გვ.85.

59 Дьяконов, Предисторие Армянского народа,იგივე, გვ.13

ძვ.წ. III–II ათასწლეულების მიჯნა

ამ პერიოდთან დაკავშირებით უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. III ათასწლეულში ჩამოყალიბებული ქართველ ტომთა ეთნიკურ-ენობრივი ერთობა (გრ.გიორგაძე), რომელიც გახდა საფუძველი ძვ.წ.ა. III–II ათასწლეულის მიჯნაზე, ეი. გვიანბრინჯაოს ხანისა და ადრერკინის პერიოდისათვის, ქართველ ეთნოსთა მიერ შექმნილიყო "კოლხური კულტურა". არქეოლოგიური გათხრების შედეგად დგინდება, რომ საქართველოს დასავლეთ სექტორში აღმოცენებული კოლხური კულტურა მოიცავდა თანამედროვე საქართველოს მთელ ტერიტორიას: დასავლეთი სექტორის – ფიჩორა, ტამიში, განმუხური, გზური-აბაჟუ, შეშულეთი და სხვა (მ.ბარამიძე); აღმოსავლეთი სექტორი: ხოლეგორა, ცხინვალი, ნაცარგორა და სხვა (დ. მუსხელიშვილი, ი.ღამბაშიძე). გარდა ამისა, ჩრდილოეთ კავკასიის ნამოსახლარების შესაწავლისას ე.წ. "ყობანური კულტურა" აღმოჩნდა კოლხური კულტურის ლოკალური ვარიანტი (ო.ჯაფარიძე, ა. რამიშვილი, ვ.კოზენკოვა). არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით (რ. რამიშვილი) ჩრდილო კავკასიაში კოლხური კულტურა ვრცელდება ძვ.წ. II ათასწლეულიდან. კერძოდ, ჯ. აფაქიძეს მიერ ლითონისა და კერამიკის ნაწარმის შედარების საფუძველზე გამოვლენილი იქნა კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში გავრცელებული ძველკოლხური კულტურის ეტაპობრივი განვითარების – ძვ.წ. XVII–XV სს. სქემა. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული შუაბრინჯაოს ხანის დასასრულისა და გვიანბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. XVIII–XII სს.) კერამიკულ ნიმუშებში, გასაოცარი მსგავსება ჩანს კონტინენტური იტალიის ტერამარინებისა (ხელოვნური ბორცვი) და კოლხური კერამიკის ნიმუშებს შორის. ჯ. აფაქიძე წერს: "განსაკუთრებით ემსგავსებიან ერთმანეთს ჯამები და ხელადები რქისებშვერილიანი თუ კოჭისებურ ბოლოებიანი დაბოლოებებით. ამგვარად, კოლხეთისა და პოს ხეობის ჭურჭლის ორნამენტაცია ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურ იდენტურობაში გადიოდა" [60]. გ. ქაუთარაძე ანტოლიის, ეგეოსურისა და ქართულ სამყაროს შორის ენობრივი, ეთნოგრაფიული მსგავსებების გამოვლენისას შენიშნავს, რომ "ეგეოსური (უფრო ფართოდ, მედიტერანული) და კავკასიური სამყაროს ურთიერთობის საკითხების კვლევას ახალი სტიმული ეძლევა წინაბერძნული (პელასგური) და ქართველური ენების სიახლოვის დამტკიცებისა და აგრეთვე სხვა ხმელთაშუა ზღვისპირეთულ ენებში (ეტრუსკული, ბასკური) კავკასიური (კერძოდ, ქართველური) ენებისათვის მახასიათებელი ელემენტების გამოვლენის შედეგად. ინგლისელი არქეოლოგი ჯ. მელაართი, იმის გათვალისწინებით, რომ მცირე აზიაში-ეგეიდაში (განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში) ნეოლითის შემდგომ პერიოდში არ

60. ჯ.აფაქიძე. გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია. სადოქტორო დისერტაციათ.,2002, გვ.287, (დამატება გვ.7).

შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც აქ ენის შეცვლას შეიძლება დაუკავშირდეს, და რადგანაც წინაბერძნული ენის მთელ ამ რეგიონში მეტნაკლებად ლინგვისტური ერთიანობა უნდა ყოფილიყო – ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ტომების გამოჩენამდე, გამოთქვამს ვარაუდს, რომ ანატოლიის უძველესი მეურნეების, ასევე ნეოლითური პერიოდის ჩათალ ჰიუკის, ჰაჯილარის, და ჯან ჰასანის მოსახლეობის, ენის შემორჩენის შესაძლებლობის შესახებ გვიანბრინჯაოს ხანის კუნძულ კრეტაზე.... დასაშვები უნდა იყოს ნეოლითური პერიოდის ანატოლიის მოსახლეობის შესაძლო კავშირის ვარაუდი ქართველურ სამყაროსთან, მითუმეტეს, რომ ანატოლიის ნეოლითის ძეგლებს არაერთი პარალელი ეძებნება ქართულ ეთნოგრაფიაში. საყურადღებოა, რომ, შესაძლოა, ამავე გარემოების სახარგებლოდ, მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჰოროხ-რიონული ანთროპოლოგიური ტიპი სადღეისოდ მხოლოდ ამ მდინარეთა მიმდებარე მხარეებშია შემორჩენილი. როგორც ირკვევა, ადრე ბევრად უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შეხამება, დღესაც თურქეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ვლინდება. კრეტაზე შემორჩენილი აღმოჩნდა ის ენობრივი ერთიანობის ანარეკლი, რომელიც არსებობდა ეგეოსური სამყაროსა და ქართველურის სიახლოვისას, გამოელენილი წინაბერძნულის (პელასგურის) და ქართველურ (მეგრულ-სვანურ) ენებს შორის მსგავსებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ხმელთაშუაზღვისპირულ (ეტრუსკულ, ბასკურ) და ქართველურ შორის მსგავსების გამოვლენისას, კერძოდ, მთელს ამ რეგიონში ინდოევროპული ენის გამოჩენამდე, აქ გავრცელებული იყო წინაბერძნული ენა, რომელიც ანატოლიის მოსახლეობის სალაპარაკო ენად შემორჩენილი იქნებოდა კუნძულ კრეტაზე" [61]. ამდენად, ჯ.მაჰერმაიერის გამოკვლევის შედეგებით, ინდოევროპელების გამოჩენამდე, ნეოლითის პერიოდიდან (ძ.წ. VI–V ათასწლ.) ანატოლიის, ეგეოსისა და ხმელთაშუაზღვისპირეთში ლაპარაკია ერთიანი ენობრივი არეალის შესახებ, რომელსაც ევროპელი მეცნიერი უკავშირებს ქართველურ ტიპს.

ძ.წ. III–II ათასწლეულის მიჯნაზე ეგეოსის ზღვის აუზში თავს იყრის სხვადასხვა კულტურული ტომები, მათ შორის იყვნენ ქართველებიც. კულტურათა დიალოგისა და სინთეზის საფუძველზე ყალიბდება ე.წ. ეგეოსური კულტურა*.

---

61. გ.ყაფარაძე, ანატოლიაში ქართველ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ.,1985, გვ.12.

* ეგეოსური კულტურა მოიცავს ეგეოსური ზღვის სივცეს, რომელიც მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბალკანეთისა და მცირე აზიის ნახევარკუნძულებსა და კ.კრეტას შორის. ეგეოსური კულტურა (კრეტა-მაკენური) ეს არის ბრინჯაოს ხანის (ძ.წ. III-II ათასწლეულები) კულტურა, გავრცელებული ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში (კონტინენტური საბერძნეთი, კ. კრეტა, ეგეოსის კუნძულები). ადრეულ ბრინჯაოს პერიოდში ე. კ-ის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა მცირეაზიული, ანრიული, ჩრდ. ბალკანური, ბერძნული და სხვა კომპონენტები. შუა ბრინჯაოს ხანაში აღინიშნება მინოსური კულტურის

დამახასიათებელია. ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. III-II ათასწლეულები) ეს რეგიონი გამოირჩევა მეტალურგიის, ხელოვნების ნიმუშებით; ადრეული ბრინჯაოს ხანის ე.წ. კოლადური ხელოვნების მცირე ზომის ქანდაკებები, გლიპტიკის ნიმუშები, არქიტექტურული და საინჟინრო ხელოვნებით, ფრესკული ფერწერით. ამ პერიოდში ჯ. კრეტა მთელ ეგეიდის კულტურულ-პოლიტიკური ცენტრი გახდა. დაწინაურდა ჯ. ფესტოსი და ქალინთა. გვიანი ბრინჯაოს ხანაში კრეტის კულტურამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ჯ. კრეტაზე ხმარებაში უნდა ფოინიკიურ იეროგლიფურ-სიტყვიერული დამწერლობა. განსაკუთრებით საინტერესოა ფესტოს დისკო, რომელ მატრიცებით ამოტეიფურია დამწერლობის სრულად უცნობი ნიშნები (ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი). // ქართული სამ. ენციკლოპედია, IV, თბ.,1979, გვ.5-6;

ეგეოსური კულტურის ცენტრად ითელებოდა კუნძული კრეტა, სადაც პელასგებმა მოიტანეს მიწათმოქმედების, მეტალურგიის, საინჟინრო საქმის და სხვა ტრადიცია. აქ ვრცელდებოდა ე.წ. ხაზოვანი A- ს დამწერლობა. ამდენად, ეგეოსის აუზი იყო კოლხურ-პელასგური ტომების გავრცელების არეალი. ეგეოსურ სამყაროსთან მიმართებაში საინტერესოა პ. უშაკოვის თვალსაზრისი ინდოევროპულ ენასთან დაკავშირებით. პ.უშაკოვი ინდოევროპული ენას ნესიტური ენიდან წარმოქმნილად მიიჩნევს, რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია ეგეოსურ და პროტოაზიულ სამყაროში გავრცელებულ ენებთან. რაც შეეხება მცირე აზიაში გავრცელებულ ხეთურ-ლუვიური ტომების მონათესავე ლიდიურ ენას, რომლებიც მცირე აზიაში ძვ.წ. II ათასწლეულში ცხოვრობდნენ (ძვ.წ. 546 წ. ლიდია სპარსელების დაპყრობის შედეგად გაქრა). ლიდიური დამწერლობის ნიმუშების გამოკვლევასთან დაკავშირებით (პ.მერიეკი, ე. ფეტერი, აპოიბეკი, რ. გუსმანი, ო. კარაუბა, ა. კამენპუბერი) საინტერესოა პ. უშაკოვის მოსაზრება, რომლის თანახმად ლიდიური უკავშირდება ეტრუსკულს. კერძოდ, იგი მიეკუთვნება იგივე ჯგუფს რაც კავკასიური ენებია, რომელიც ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ისეთ ინდოევროპულ ენებთან როგორიც იყო ხეთური. გარდა ამისა, მსგავსება ლიდიურს, ლუვიურსა და ქალდეურის ინდოევროპული ენების გრამატიკულ ფორმებთან ახსნილია ეგეოსურ სამყაროსთან კავშირის შედეგებით, სადაც ჩასახული იქნა ინდოევროპული ენები. ლიდიურ წარწერებში უშაკოვი ხედავს ისტორიულ და ტოპონიმიურ ანარეკლს, რომელშიც ჩანს არქაული ფორმები ეგეოსურის შეთანხმებისა ხეთურთან. გარდა ამისა, ლაპარაკია ლიდიდიელების წარმოშობასთან დაკავშირებით, რომლებიც "ზღვის ხალხების", მათ შორის ქაშქების დაშლის შედეგად წარმოიქმნილად თელის. ქაშქების გავრცელების არეალად სახელდება: სამხრეთ-აღმოსავლეთით — ასირიამდე, დასავლეთით — ლიდიის ტერიტორიისთან ერთად. ამავე დროისათვის შეინიშნება ეგეიდელებისა და ქაშქების ტომების შერევის პროცესი [62]. გ. მელიქიშვილი მცირე

62. П. Н, Ушаков, Эпиграфические памятники Лидия, Москва .,1997.

აზიაში არსებული ხეთების სამეფოს შესახებ გვითითებს გ.ვინკლერის მიერ 1906 წლის ქალაქ ხატტუშაში (თანამედროვე ბოღაზკოია, ანკარასთან ახლოს) გათხრების თაობაზე, სადაც აღმოჩენილი იქნა ხეთების სამეფოს არქივი, რითაც ზოგადი წარმოდგენა იქმნება მცირე აზიის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. არქივი შეიცავს სხვადასხვა ენაზე შესრულებულ ტექსტებს. მათ შორის ლაპარაკია ტომი "hattilis" შესახებ. ე.ფორერის აზრით იგი არის პროტოხეთური ტომი ქაშქა (kas-ga) [63]. "hattilis-ში" ჩანს ქართული ენის შესატყვისი ფორმა "შატილი".

ძ.წ. III-II ათასწლეულების კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე ქართველ მიგრანტებს – პელასგებს საბერძნეთში წამყვანი ადგილი ეჭირათ. ამ პერიოდისათვის ანატოლიაში ცხოვრობდა რამდენიმე ქართველი ტომი, რომელსაც ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ეგეიდასათან. ეგეოსურ სამყაროში ქართველთა ურთიერთობის შესახებ წარმოგვიდგენს არქეოლოგიური მასალა, კერძოდ, თავისებური კერამიკული ნაკეთობების აღმოჩენით: თრიალეთური შავ და წითელპრიალა კერამიკის სახით, რომელიც მოხატულია მარტივი გეომეტრული ფიგურებით – პირდაპირი და ტალღისებური ხაზებით, რომბებით, სამკუთხედებით, წრეებით, ჭადრაკისებული ორნამენტით. [64]. ქართველ ტომთა მონაწილეობის შესახებ ეგეოსურ კულტურის ჩამოყალიბებაში არსებობს ბერძნულ-ლათინური წყაროები. აქ ლაპარაკია ბერძნების მოსელამდე წინაბერძენი, ბალკანეთის კუნძულზე, მცირე აზიის დასავლეთითა და ეგეოსის აუზის კუნძულებზე, დასახლებული ხალხის მიერ ბრინჯაოს ხანის ეგეოსური კულტურის შექმნის შესახებ. ამ მხრივ, ვერგილიუსის "გეორგიკებში" (1,58 ტაეპი) აღნიშნული ქართველი ტომის "ხალიბების" კუნძულ ევბეიდან გადასახლება და ევმელიოსის "კორინთიკაში" კოლხეთის მეფის, აიეტის ეფირეს თავადაპირველ სამკვიდრებელად მოხსენიება, შემდეგ კოლხეთში მისი გადასახლება, რომელიც გვიანი პერიოდის მიგრაციის აღმნიშვნელი ფაქტია. როგორც ჩანს ეგეოსური კულტურის შესწავლა არის ერთგვარი გასაღები ძ.წ. III ათასწლეულში მთელ ამ რეგიონში – მცირე აზიის, ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ხმელთაშუა ზღვის აუზის, მათ შორის კრეტე-კვიპროსისათვისაც, ცალკეული კულტურული ცენტრების გამოკვლევის თვალსაზრისით. რ.გორდეზიანს წარმოდგენილი აქვს ამ პრობლემის კომპლექსური შესწავლის ერთგვარი პროგრამა [65]. გარდა ამისა,

---

63. Г. А, Меликишвили, Наири-Урарту, Тб 1954, стр. 70-73

64. M.AbramiSvili, In search of Metallurgy Origins-An Overview of South Caucasian Evidens; J.Apakidze, Westliche kontakte Kolxis-kultur nin 2 und Anfang des1. Jshrtausends, Phasis, 9, 2006,14.

65. რ.გორდეზიანი, "ილიადა" და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბ.,1970,გვ.180; რ.გორდეზიანი, ქართველურ-მედიტერანული, III, ოფეე, გვ.416.; S.Ferri, Citta etrusche con

due nomi Problemi di archeologia protostorica Lince-Rendiconti morali,1957, Ser.VIII,vol.IX,face,5-

პრობლემატურია ეტრუსკების საკითხი კონტინენტური იტალიის რეგიონში. ამასთან მიმართებით არსებობს უცხოელ მეცნიერების დაკვირვება ეტრუსკულ ელემენტთან დაკავშირებით, რაც დასაშვებს ხდის ეტრურიიდან ხალხთა გადასახლებას კავკასიაში, ან პირიქით კავკასიიდან იტალიაში

ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნას უკავშირდება მიგრანტთა ახალი ტალღის წარმოშობა, რამაც ხელი შეუწყო ეტრუსკული ენის ფორმირებას. აღსანიშნავია, რომ ქართველურ-წინაბერძნული-ეტრუსკული ენობრივი კავშირი გვიჩვენებს პელასგურ-ქართველური ენის ხვედრით წილს ეტრუსკულში. გარდა ამისა, კოლხთა და პელასგების იდენტურობის შესახებ ლაპარაკია არგონავტების თქმულების .კორინთულ ვერსიაში, ასევე, კიკლიკურ პოემაში "ექალიის აღება-ში", სადაც ქალაქი "კორინთო" პელასგების სამკვიდრებელია და აღნიშნულია კორინთოს კავშირი კოლხთა მეფის სამფლობელოსთან [66]. ამდენად, ძვ.წ. III–II ათასწლეულთა მიჯნაზე კონტინენტურ საბერძნეთში ჩამოყალიბებული პელასგური მოსახლეობა ერთ-ერთი წამყვანი ეთნიკური ელემენტი გახდა ეგეიდა-ანატოლიაში და საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი იტალიის, და რამდენადმე, ესპანეთის ზოგიერთ რეგიონში. კერძოდ, ძვ.წ. III–II ათასწლეულების მიჯნით განისაზღვრება პელასგი მოსახლეობის არსებობა ესპანეთში. აქედან გამომდინარე, ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნა უმნიშვნელოვანესი პერიოდია ეგეოსური და ხმელთაშუაზღვისპირა კულტურების ჩამოყალიბებაში. საგულისხმოა, რომ მიგრაციული პროცესებისათვის დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ცხენის გამოყენებას სატრანსპორტო საშუალებად. ცხენის მოშინაურებად ითვლება ძვ.წ. IV ათასწლეული. მათი კვალი მოძიებული იქნა მცირე აზიაში. კერძოდ დემიდჟი-ხიუუკეს, იარიკაეს, ნორშუნ-ტეპეს ნამარხებში, ამავე პერიოდში აღმოჩენილი იყო ასევე მესოპოტამიაშიც, ურუქში. მაგრამ ცხენის მეურნეობასა და სატრანსპორტო საშუალებად გამოყენება მოხდა ძვ.წ. III ათასწლეულში. ამდენად, ცხენის, ხარის შებმა ეტლსა და ურემში დიდ სიახლეს წარმოადგენდა, რომელიც უშუალო კავშირშია ბორბალის გამოგონებასთან. უძველეს პერიოდში ბორბალი აღქმული იყო როგორც მზის სიმბოლო: წინა აზიაში, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ბალკანეთზე, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ასევე, ქართულ სამყაროშიც. კავკასიაში ცხენი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში გავრცელდა. ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდება მთლიანი ხისაგან გამოთლილი ბობრბლიანი ურემის ნიმუშის არსებობა აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე. ქართველ ტომთან მიმართებისას საინტერესოა მცირე აზიაში, ანატოლიაში მცხოვრებ ხათების (ანუ

---

66. И. М, Дьяконов, Предистория Армянского народа, იგივე. გვ.31.

პროტოხეთებს) კუთვნილების პრობლემა. მოლაზქოიას არქივმა შემდეგი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა: ისინი მიეკუთვნებოდნენ ქართველურ ტომებს (ი.დიკონოვი) და III–II ათასწლეულის მიჯნაზე ისინი კიზუილ-ირმაკში ცხოვრობდნენ. მაგრამ ძ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ხათები დაიპყრეს ხეთებმა. ხეთური წარწერები შემორჩენილია აქადურ ენაზე შესრულებული ლურსმნული წარწერებით. ძ.წ. III–II ათასწლეულის მიჯნაზე პოლიტიკურ სარბიელზე ჩნდებიან სემიტები, რომელშიც მოიაზრება რამოდენომე მონათესავე ხალხის არსებობა. აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთი დარგი – სემეტოლოგია ამ ხალხის მოსვლას (ძ.წ. V–III ათსწლ.) ვარაუდობენ აფრიკიდან. ისინი არაბეთის ნ. კ-ის გავლით აზიაში დამკვიდრდნენ. მათ შორის დასავლეთ სემიტები ცხოვრობდნენ თანამედროვე ლიბანის – ფინიკიელების სანაპიროზე, სირიის ველზე, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ხოლო აღმოსავლეთ სემიტები ანუ აკადელები, რომელთაც ჩვენ უკეთ ვიცნობთ ასირიელებათ, ბაბილონებად, ცხოვრობდნენ მდინარე ევფრატისა და ტიგროსის შორის. ამდენად, გარკვეულ პერიოდში სემიტები ცხოვრობდნენ ხურიტების მეზობლად [67]. ხურიტები იყო ის ხალხი, რომლებიც ძ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ცხოვრობდა ვანის ტბის მიდამოებში და ზაგროსის მთიანეთში (თანამედროვე სომხეთის ტერიტორიზე) [68] ამდენად, ვანის ტბის არელაში მოძიებული, კონკრეტულად ძ.წ. III ათასწლეულის II ნახევრით დათარიღებული არქეოლოგიური მასალა ხურიტების მიერ შექმნილად უნდა ჩაითვალოს და არა მოგვიანო პერიოდში მოსული სომხური კულტურის ძეგლად.

ძ.წ. II ათასწლეული

ძ.წ. II ათასწლეული გამოირჩევა მსოფლიოში დიდი ცვლილებებითა და ახალი კულტურულ-საეკლესიო ურთიერთობებით. კერძოდ, ხმელთაშუა ზღვის აუზში თავის სიძლიერეს კარგავს ეგვიპტე, ფინიკია, ძ.წ. II ათასწლეულის ბოლოს ინგრევა ხეთების (ძ.წ. 2000-1195 წწ.) უძლეველი იმპერია. აღნიშნულმა ცვლილებებმა თავისი ასახვა ჰპოვა ქართველ ტომთა ცხოვრებაზეც. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ – საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, ყალიბდება ერთგვაროვანი კულტურის მქონე სივრცე, მათ შორის გამოირჩეოდა კოლხური კულტურის თავისებური ხელწერა. ძ.წ. II ათასწლეულში კავკასიონის ქედს იქით ანუ ჩრდილოეთ კავკასიაზე კოლხური კულტურის გაელენის პრობლემა ცალკე განხილვის საგანია, ასევე მნიშვნელოვანი

67. ქართული საჯ. ენციკლოპედია, IX, გვ. 283.
68. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, ოქიე, გვ. 188

საკითხია ძ.წ. II ათასწლეულში მცირე აზიის, ეგეოსური სამყაროსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით ამ არეალში მცხოვრები ტომების საკავშირო-კულტურულ ურთიერთობების განხილვა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მცირე აზიის რეგიონში ცხოვრობდა მრავალი სხვადასხვა წარმომავლობის ტომები, იქმნებოდა გაერთიანებები, სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიული საზღვრების დადგენა თანამედროვე ეტაპზე დიდ სირთულეებს უკავშირდება, განსაკუთრებით 72 მილიონიანი მოსახლეობით დასახლებულ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე. განემეორდებით და ეიტყვით, რომ ქართველი მეცნიერებთათვის დიდ სიძნელესთან იყო და არის დაკავშირებული აღნიშნულ ტერიტორიაზე ქართველთა ნაკვალევის აღმოჩენა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა სამი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინება: ფიზიკური (რასობრივი), ენობრივი და კულტურული მსგავსება-განსხვავებების დადგენა. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ენობრივი (ასევე კულტურული) ფაქტორის განსაზღვრისას საკმაოდ შესაძლებელია, რომ ამ არეალში მცხოვრებთა შორის ძირძველი ენა უმცირესობის როლშიც კი გამოდიოდეს. როგორც აღინიშნა, ძ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში მცირე აზიაში მოდიან ინდოევროპელი ტომები, რომელთა გაჩენამდე მათ ადგილას სახლობდნენ პროტოხეთური ტომები. გ. მელიქიშვილს პროტოხეთების ტომად მიაჩნია ქართველი ტომი – ქაშქი [69]. ამ მხრივ საინტერესოა ვოიტეხ ზამოროსკის გამოკვლევა, რომელიც ეხება ხეთების საიდუმლოების გახსნას. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ავტორის თვალსაზრისი პროტოხეთებთან მიმართებისას. მეცნიერი სვამს შემდეგი სახის კითხვას: ლაპარაკობდნენ თუ არა ხეთები ხეთურად?! ბოღაზკოიას სამეფო არქივის გაშიფრვისთან დაკავშირებით მეცნიერებს დიდი სიურპრიზი ელოდათ, რადგან მასში შემონახული ტექსტები იკითხებოდა სხვა ენაზე და იგი სრულიად არ ჰგავდა ხეთურს. კერძოდ, ისინი ლაპარაკობდნენ "hattili-ის" ენაზე (ანუ შატილის), ასევე ღვთისმსახურებისათვის სიმღერის ტექსტი სრულდებოდა ამ ენაზე, ამავე დროს ცალკეული ტექსტის ადგილები გადატანილი იყო ინდოევროპულზე. მეცნიერი ამ ენას არც სემიტურს და არც ინდოევროპულს აკუთვნებს. იგი ეარაუდობს, რომ ხეთების სამეფოს გაჩენისას იგი უკვე მკვდარი ენა იყო [70]. ამ არელაში ხეთების მიერ ძალაუფლების დაკარგვისას (ძ.წ. XIII ს. მე-2 ნახევარი) და ბაბილონის დაცემის შემდგომ (ძ.წ. 1595 ?.), მითანი ორი საუკუნის განმავლობაში აკონტროლებს მესოპოტამიას, მცირე აზიას და სირიას. მითანი იყო ინდოევროპული წარმოშობის ხალხისაგან შემდგარი დიდი გაერთიანება, რომლებმაც ძ.წ. 1550 წ.

---

69. გ. მელიქიშვილი, ქართული ერის წარმოშობის საკითხისათვის, თბ.,1953, გვ.11.
70. გრიგორგაძე, ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბ.,1999.

დაიპყრეს რა ხურიტები და ძ.წ. XVII ს-დან დასახლდნენ მათ ადგილას. ხეთების დაცემას მოყვა აგრეთვე ასირიელების წამოწევა. ჯ. ხეოუდის " მსოფლიო ისტორიის ატლასში" ვხედავთ ასირიელებისაგან დაპყრობილ დიდ ტერიტორიებს. ასირიელების ექსპანსია დაიწყო აშურაბატ I (ძ.წ.1353-1318) დროს, რომელმაც შემოიერთა მითანის დასავლეთი საზღვრები, დაიპყრო ხეთები და შექმნა დიდი იმპერია – ზემო ეფრატიდან სპარსეთის ყურემდე. აღნიშნულ "მსოფლიო ატლასში" გაპარულია შეცდომა, როდესაც ავტორი "მუშქებს" ფრიგიულ ტომად ასახელებს. აქ ლაპარაკია ძ.წ. 1165 წ. მუშქების ტომის შესახებ, რომელიც ანატოლიის სხვა ტომებთან, მათ შორის ქაშქებთან და ხურიტებთან ერთად იჭრებიან ზემო ეფრატის მიდამოებში. ამავე პერიოდში აღსანიშნავია პოლიტიკურ ასპარეზზე მომთაბარე არამეელების გამოჩენა, რომლებიც ძ.წ. XI ს-ში შეეჯახნენ ბაბილონსა და ასირიელებს, ხოლო ძ.წ. X ს-ში არამეელები მოხეტიალე ცხოვრებიდან გადავიდნენ ბინადარ ცხოვრების წესზე და საკმაოდ დიდ სივრცეზე შექმნეს წვრილ-წვრილი სამეფოები. საყურადღებოა, რომ არამეელებმა შეძლეს შეეთვისებინათ მესოპოტამიის მაღალგანვითარებული კულტურა, მაგრამ მათ შეინარჩუნეს თავიანთი ენა. აღსანიშნავია, რომ მესოპოტამიის მრავალწლიანი კულტურა გადაფარა სპარსეთის ძალაუფლებამ და ამის შემდგომ მთლიანად შეწყვიტა თავისი არსებობის პირვანდელი სახე [71]. ამდენად, ძ.წ. II ათასწლეულში მცირე აზიაში ხეთების ძლიერი სამეფოს დაცემისას ძალაუფლება გადადის ჯერ მითანის ხელში, ხოლო შემდგომ ასირიელების. ამავე პერიოდში აქ ჩანს მუშქთა ქართველი ტომი და პოლიტიკურ ასპარეზზე თავის განაცხადს აკეთებენ არამეელები.

ამდენად, მცირე აზიასა და შუამდინარეთს შორის არსებულ ტერიტორიაზე ხდება ძალთა მუდმივი გადანაცვლება და ახალი ტომების, გაერთიანებების ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის. მაგრამ მიუხედავად ამგვარი ისტორიული პერიპეტიებისა ადამიანის აზროვნების პროცესები თავისი გზით მიემართება და პარალელურად ადგილი აქვს კულტურის ახალ-ახალი მიღწევების დაბადებას. შესაბამისად, კულტურული კონტაქტების საფუძველზე ხდება ამ მიღწევების გავრცელება. კერძოდ, ძ.წ. II ათასწლეულში კულტურის ამ ეტაპზე ხდება რადიკალური ნაბიჯების გადადგმა: ჩნდება შუშა, გლაზირებული კერამიკა, აგური, ძ.წ. XIII ს-ის დასაწყისში იბადება რკინა, რომლის აღმოჩენა, უცხოელი და ქართველი გამოკვლევების საფუძველზე, მიეკუთვნება ანატოლიაში მცხოვრებ ქართველ ტომებს.

ძ.წ. II ათასწლეული ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების აქტიური ხანაა – ე.წ. ბრინჯაოს პერიოდი. ამ დროიდან ჩვენამდე მოაღწია მრავალრიცხოვანმა

---

71. Войтех Заморовский, Тайны Хетов, М.,1968, стр. 147.

ნივთიერმა საბუთებმა. ეს იყო საზოგადოების ცხოვრების უკვე საკმაოდ განვითარებული პერიოდი, რომელიც გამოირჩევა მატერიალური კულტურის ძეგლთა მრავალფეროვნებითა და სპეციფიკური სტილისტური ნიშნებით. ამავდროულად, საინტერესო მოვლენებით ხასიათდება ხმელთაშუაზღვისპირეთი, რომელზედაც დიდი გავლენა იქონია ეგეოსურმა კულტურამ. ეგეოსური (კრეტა-მიკენური) კულტურის ცენტრი იყო კუნძული კრეტა. ამასთან დაკავშირებით XIX ს-ის მეორე ნახევარში არქეოლოგებმა გ. შლიმანმა და ა. ევანსმა ნათელი მოჰფინეს მითოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებულ ჰიპოტეზებს, რომლის დროს, გარდა ტროას აღმოჩენისა (გისსარლიკის ბორცვი), კუნძულ კრეტაზე ნახეს მთელი ქალაქები. მათ შორის იყო ფესტოს სასახლე(ძვ.წ. XVIII ს.). ძვ.წ. II ათასწლეულში ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ეგეოსურ სამყაროსთან დაკავშირებით განსაკუთრებით ინტერესს იწვევს მეცნიერთა მოსაზრებები ამ არეალში არაინდოევროპელი ტომების განსახლების საკითხი. კერძოდ, XX ს-ის 20-იან წლების დასაწყისში ეტრუსკოლოგიაში წარმოიშვა თეორია ქართულ სამყაროსთან ეტრუსკების სიახლოვის შესახებ. ძველაღმოსავლურ წყაროებში კონტინენტური იტალიაში ეტრუსკები* ჩნდებიან ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. III ათასწლეულიდან ქართველი მიგრანტები ეგეიდაში გადმოსახლებისას ქმნიან ეგეოსურ-ქართველურ ერთიანობას – ანატოლიურ-პელასგური სახელწოდებით. ამ არეალიდან უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ხდება გადასახლება დასავლეთისაკენ. ამ ფაქტის ახსნისას რ.გორდეზიანი ასახელებს ძვ.წ. XVII- XVI სს-ში ეგეიდაში დიდ ეულკანურ ამოფრქვევას, რამაც ხელი შეუწყო პელასგების დიფერენცირებას და ეგეიდიდან ხალხთა მიგრაციას. დიონისიოს ჰალიკარნასელთან (ძვ.წ. I ს.) ვკითხულობთ იტალიაში პელასგუგური კოლონიზაციისა და აქ დაარსებული ქალაქების: სპინას, კორტონას, აგილას შესახებ. რ. გორდეზიანის აზრით: "ანტიკური ცნობების მიხედვით იტალიაში მცხოვრები პელასგები და ეტრუსკები ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ: ერთნი (პელასგები) უფრო ადრე (ჯერ კიდევ ტროას ომამდე) მოსულან იტალიაში, მეორენი კი უფრო გვიან (ომის შემდგომ) – ანატოლიიდან" [72].

---

* ეტრუსკული წარწერები თარიღდება ძვ.წ. VII ს-დან I ს-მდე. ახ.წ. I ს-ში იწყება ეტრუსკების ასიმილაცია რომაელებთან. ამ პერიოდში ეტრუსკული გამოიყენებოდა მხოლოდ საკულტო ენად, ხოლო ახ.წ. V-ს-დან დი ქრისტიანობამ განდევნა ხმარებიდან. საშუალოდ რომაელების მიერ: ეარრიერ ფლაკის მიერ ეტრუსკებზე შეკრებილი ახ.წ. I ს-ით დათარიღებული ხელნაწერი, ასევე იმპერატორ კლაუდიის 12 ნაწილიანი "ეტრუსკების ისტორია", კორნელი ლაბინიუნის "ეტრუსკული გრამატიკა" დაკარგულია.// Джон Хейвуд, Атлас всемирной истории, М .,2004 ,1.12.; Тайны древних письмен. Проблемы дешифровки. Сборник статьей, М .,1976, стр. 336.

72. რ.გორდეზიანი, შუალტერანულ-ქართველური მიმართებები,III, თბ/.2007. გვ.446,447, 450. ე. კობახიძე, აღმოსავლეთი და დასავლეთი ეტრუსკულ რელიგიაში. იხ: საქართველოს არქეოლოგია, თბ1959. გვ.180.

ამასთან დაკავშირებით ეტრუსკებზე წერენ სხვადასხვა დროის ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები: სტრაბონი, ვირგილიუსი, ჰესიოდე. ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული წყაროების საფუძველზე ცნობილია, რომ ძ.წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში ძველაღმოსავლურ წყაროებში ჩნდებიან ეტრუსკები და ყალიბდება ეტრუსკული ენა. ეტრუსკები ურთიერთობაში იყვნენ ეგეოსურ-მიკენურ სამყაროსთან*. ისინი ეგეოსის ზღვის აუზში ცნობილი იყვნენ ასევე როგორც ე.წ. "ზღვის ხალხის" კავშირის მონაწილენი, რომლებიც ერთი საუკუნის განმავლობაში აქტიურ როლს ასრულებდნენ ანტიკურ იტალიაში. ხმელთაშუა ზღვის აუზში (თანამედროვე იტალიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე) მცხოვრებლების – ეტრუსკების ანუ ეტრუსკული კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობის დადგენა კვლავ აქტუალურია. მათი ენა და ხელოვნების ნიმუშები სრულიად განსხვავებული არიან ამ რეგიონში მცხოვრები სხვა ეთნოსებისაგან. ბერძნული გადმოცემით, ისინი აღმოსავლეთიდან მოსულები არიან. ბერძნები მათ "ტისენებად", ლათინელები კი "ეტრუსკებად" (ან "ტუსკებად") მოიხსენიებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეტრუსკებისაგან ბევრი მიიღეს ელინელებმა, განსაკუთრებით კი იტალიაში დამკვიდრებულმა ინდოევროპელმა ტომებმა, რამაც საკმაო ასახვა ჰპოვა ლათინურ ენაში და განსაკუთრებით რომაულ კულტურაში. ასე მაგალითად რომაელებმა ეტრუსკებისგანვე გადმოიღეს სამეფო ატრიბუტიკა და სამეფო რეგალიების მოხმარება, ხელოვნების გამომსახველობითი და სტილისტური ნიშნები. თვით სახელწოდება "რომი" ეტრუსკულია და ეტრუსკულად "ხბოების ქვეყანას" აღნიშნავს. ცნობილია, რომ, ძ.წ. VIII საუკუნეში შექმნილი, რომის იმპერიის არსებობის სამი პერიოდიდან: მეფეთა, რესპუბლიკისა და იმპერიის, მეფეთა პერიოდის სამი მეფე – ეტრუსკული დინასტიის წარმომადგენელი ყოფილა, მაგრამ ძ.წ. VIII ს-ში ეტრუსკია იტალიის მხოლოდ მე-7 რეგიონის სახელწოდებით მოიხსენება [73]. აღსანიშნაია, რომ ქართველმა მეცნიერმა რ. გორდეზიანმა შეძლო ეტრუსკულსა და ქართველურს შორის ენობრივი მსგავსების დადგენა, რომლის

---

* ეგეოსური კულტურა: ეგეოსის ზღვის კულტურა მიეკუთვნება ხმელთაშუა ზღვის აუზის, ბალკანეთისა და მცირე აზიის ნახევარკუნძულისა და კუნძულ კრეტას შორის არსებულ სივრცეს. იგი არის ევროპიდან აფრიკასაკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიმავალის ხელსაყრელი გზა. ამ რეგიონში შექმნილ კულტურას ეწოდა "ეგეოსური" (ანუ კრეტა-მიკენური). ეს არის ძ.წ. III–II ათასწლეულების ბრინჯაოს ხანის კულტურა. XIX ს. II ნახევარში ჰ. შლიმანისა და ა. ევანსის არქეოლოგიურმა გათხრების შედეგებმა დამტკიცა ანტიკური ბერძნების (ჰომეროსი, ჰესიოდე და სხვა) ცნობების სიმართლე. კრეტაზე შექმნილმა ნეოლითის (ძ.წ. VII–VI ათასწლეული) პერიოდში ჩამოყალიბებულმა კულტურამ მხოლოდ ბრინჯაოს ხანაში მიიღო ჩამოყალიბებული სახე და გვიან ბრინჯაოს ხანაში მიაღწია თავის უმაღლეს განვითარებას// ქართული საბჭ. ენციკლოპედია, IV, თბ.,1979, გვ. 5.

73. ქართული საბჭ. ენციკლოპედია, VIII, თბ.,1984,გვ.434

საფუძვლები შეგვიძლია ვეძებოთ ქართველ ტომთა შეღწევისა ეგეოსურ სამყაროში. აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე მოღწეული ეტრუსკული წარწერები შესრულებულია ბერძნული ანბანით. თავის მხრივ ეტრუსკულსა და ქართველურ შორის მსგავსების დადგენა მოხდა სწორედ ბერძნული ანბანის მეშვეობით. კერძოდ, ეტრუსკულისა და ქართული სიტყვების შედარებისას გამოვლინდა ლექსიკური და შინაარსობლივი მსგავსება. რაც შეეხება თვით ამ მიგრაციისა და სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების საფუძველს – ეს იყო მეტალურგია. ენეოლითის ხანაში უკვე არსებობდა გარკვეული წარმატებული სივრცეები ან კერები, საიდანაც ხდებოდა ამ მნიშვნელოვან დარგთან დაკავშირებული ცოდნის ერთგვარი ექსპორტი. მათ შორის აპენინის ნახევარკუნძული (იტალია) დასავლეთი ევროპისათვის იყო ეპიცენტრი, სადაც ალმოერასა და კარტახენს შორის განლაგებული იყო მეტალურგიული სოფლების მთელი ჯაჭვი. აქედან მიემართებოდა ნაწარმის ნაწილი საფრანგეთში, ჩრდილოეთ ევროპასა და ასევე საბერძნეთში.

სამეცნიერო კვლევის განსაკუთრებული საგანია ქართველ ტომთა ისტორიული კავშირი კონტინენტურ საბერძნეთთან და ბერძნებთან. კერძოდ, კონტინენტური საბერძნეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ავტოქტონური ეთნოსებისა და იქ მოსულ მიგრანტთა პრობლემა. სტრაბონის (ძვ.წ. I ს.) მიხედვით კონტინენტური საბერძნეთის მკვიდრი მოსახლეობა იყო კიდორები და ეტეოკრეტელები. ანტიკური წყაროები ერთხმად აღიარებენ, რომ ბერძენთა ისტორიულ ასპარეზზე გამოჩენამდე ბალკანეთის ნახევარკუნძული, ეგეიდა, მცირე აზიის დასავლეთი და სამხრეთ დასავლეთი სანაპიროები დასახლებული იყო სხვა ტომებით, რომლებსაც წამყვანი ადგილი უნდა სჭეროდათ ამ რეგიონში ბერძნების დამკვიდრებამდე. ესენი იყვნენ: პელასგები, ლელეგები, კარიელები [74]. რ.გორდაზიანი წერს "ბერძნული მითოლოგიური ტრადიციის თანახმად, ელინთა აღმავლობა საბერძნეთში შედარებით გვიანდელი მოვლენაა და იგი ძვ.წ. XVI–XV საუკუნემდე ადრე არ უნდა დაწყებულიყო" [75]. ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ე.წ "პელადური კულტურის" წარმომავლობის გარკვევა. კერძოდ, უკანასკნელმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა გააქარწყლა ეარაუდი მისი დაკავშირება ბერძნულენოვან ტომთან, რადგან იგი უფრო ანატოლიიდან ხალხთა მოძრაობას უკავშირდება. ბულგარელმა მეცნიერმა ვ. გიორგიევმა საფუძველი დაუდო თეორიას პელასგების წინაბერძენ მოსახლეობასთან იგივეობის შესახებ. ჰ. კრეჩმეიერი წინაბერძენ სუბსტრატს არაინდოევროპელად, კერძოდ, კავკასიელთა ახლო ნათესავებად მიიჩნევს. ბერძნულ წყაროებში მითითებულია ბალკანეთის

---

74. ა.ა. ურუშაძე, ბელი ელლინი ბერძნულების ოქმელებში, თბ1964, გვ. 77.
75. რ.გორდეზიანი, მელიტერანულ-ქართველური მიმართებები, III, გვ. 77.

ნახევარკუნძულზე სხვადასხვა მიგრანტთა დაპირისპირებების შესახებ გამოწვეული დამწერლობის დამკვიდრებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დიოდორე სიცილიელის "ისტორიულ ბიბლიოთეკაში" გადმოცემულია ჰომეროსის წინანდელი (ეი. ძ.წ. V ს-მდე) პოეტების სახელებისა და მათი მასწავლებლის ლინოსის შესახებ. გაირკვა, რომ ისინი პელასგური ასოებით წერდნენ თხზულებებსა და ამ დამწერლობით თხზავდნენ სიმღერებს. ბერძენის, ვინმე ძნეობიოსის თანახმად მწერალი პელასგი ლიმნოსი მოკლული იქნა ბერძენი კადმოსის მიერ. კადმოსი დასახელებულია ბერძნული დამწერლობის (ფინიკიურ ანბანზე დაყრდნობით) შემქმნელად, რომელიც უპირისპირდებოდა პელასგური დამწერლობის გავრცელებას კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე [76]. ამდენად, კონტინენტუსი საბერძნეთის მიწაზე თავდაპირველად გავრცელებული იყო პელასგური დამწერლობა. როგორც აღინიშნა, ბერძენი ეთნოსი კონტინენტური საბერძნეთის ტერიტორიაზე მოსული ხალხია. მათი გადმოსახლება დასრულდა ძვ.წ. II ათასწლეულში. ბერძნული ენის შესახებ ჯ. ჩედვიკი წერს, რომ იგი ცნობილი იყო ძვ.წ. XIV საუკუნიდან. ბერძნული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში დიდი გავლენა იქონია მიკენურმა კულტურამ. კერძოდ, როგორც საბერძნეთს ევროპისათვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, ისევე საბერძნეთისათვის მიკენს. XIX საუკუნეში ავსტრიელმა პ.კრეჩმეიერმა ჩამოაყალიბა თეორია საბერძნეთის ტერიტორიაზერ ბერძნების (დიალექტების სახელწოდებების მიხედვით) შემოსევის სამი ტალღის შესახებ: იონელები – ძვ.წ. XX ს, აქაველები – XIV ს, დორიელები – XII საუკუნე. ადგილობრივ მოსახლეობასთან ბერძნების ასიმილაციის პროცესი ნელა მიმდინარეობდა. ბერძნული კულტურის აყვავების ხანაშიც კი ისტორიკოსები იხსენებენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხს, მათ შორის პელასგებს. ჯ. ჩედვიკს მიაჩნია, რომ ბერძნებმა შეითვისეს მინოსური დამწერლობა და მისგან გადმოიღეს დამწერლობის სისტემა თავიანთი ენის მისადაგების საფუძველზე განსაკუთრებით საყურადღებოა კრეტას დაპყრობის შესახებ ჩედვიკის თვალსაზრისი. კუნძული კრეტა დაპყრობილი იქნა XV ს-მდე. იგი ეჭირათ იმ ტომებს, რომლებიც ბერძნულად არ ლაპარაკობდნენ. ამ ენაზე მოლაპარაკე წერილობითი საბუთის უქონლობის გამო ჩედვიკი ვერ ახერხებს ინდეტიფიკაციას [76]. თ. მიქელაძე თავის გამოკვლევაში იხილავს შავ ზღვაზე ბერძნების გამოჩენის საკითხს. ბერძენი ტომების მოსვლა შავ ზღვაზე უკავშირდება ტროას ოშს (ძვ.წ. XIII ს.), როდესაც მთავრდება მიკენური ეპოქა და იხსნება გზა შავიზღვისპირეთისაკენ. ამ პერიოდში ეგეელი ზღვაოსნები მოდიან შავ ზღვაზე, რაც

---

76. ჯ. ჩედვიკი, მიკენური სამყარო, თბ.,1989, გვ.12; აკ.ურუშაძე, ოგივე; თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, ოგივე.

დადასტურებულია კოლხეთში აღმოჩენილი რკალისებური ფიბულით. მეცნიერი ამ პერიოდს მიიჩნევს ეგეოსური და კოლხური სამყაროს ურთიერთობის პერიოდად [77]. ამ მხრივ საინტერესოა ჯ. მელაარტის მიერ ჩათალ- ჰიუკის გათხრების შემდგომ ბერძნებთან დაკავშირებული დასკვნა: "ახლა ხომ აღარ უნდა გვეპარებოდეს ეჭვი იმაში, რომ საბერძნეთის სახით საქმე გვაქვს ნეოლითური და ქალკოლითური ფართოდ გადაჭიმული ანატოლიური კულტურის განაპირა პროვინციასთან. რადგან წინაბერძნული არაინდოევროპული შრის არსებობა ბევრისათვის სავსებით უეჭველი გახდა". ამასთან დაკავშირებით რ.გორდეზიანი აყალიბებს შემდეგ მოსაზრებას კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე სამი შრის არსებობის შესახებ: 1) უძველესი, რომელიც ასახავს ურთიერთობას სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიურ კულტურასთან; 2) ძ.წ. III–II ათასწლეულის მიჯნის უკავშირდება დასავლეთ კავკასიურ, უპირატესად ქართველური ტომების ნაწილის მიგრაციასთან; 3) გვიანბრინჯაოს ხანა ანარეკლია ეგეოსური ტომების კავკასიაში გადმოსახლებისა [77]. ა. ბესელია ძველი წელთაღრიცხვის ბოლო წლებში ბერძნების აღმნიშვნელ სიტყვას "ელინი" პელასგურს მიაწერს, რომელშიც ხედავს ქართული ენის ზმნის "მისიარულეს" ანუ iwil-ის საფუძველს, ბერძნული ტომების თავდაპირველი მდგომარეობის სახასითო აღმნიშვნელ სიტყვიდან გამომდინარეს [78]. როგორც აღინიშნა, რომ ბრინჯაოს ხანაში ეგეოსის ზღვის აუზში არსებობდა სხვადასხვა კულტურები. ამავე დროს, ხმელთაშუა ზღვის აუზში ლაპარაკია არაინდოევროპელი ეთნოსების არსებობის შესახებ, რომლებიც განსაზღვრულ ეტაპზე აცხადებენ პირველობის პრეტენზიას. კონტინენტური კონტინენტური საბერძნეთის ელინიზაცია იწყება დაახლოებით ძ.წ. XIV ს-დან (ე.ი. ძ.წ. II ათასწლეულის შემდგომ). ცნობილია, რომ კრეტა შუა ბრინჯაოს ხანაში (II ათასწლეული) გახდა ეგეიდას კულტურული ცენტრი. უნდა აღინიშნოს, რომ ძ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ეგეიდასთან კულტურული ურთიერთობა ჩანს თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი თრიალეთის დიდი ყორღანული კულტურის მასალებში, ასევე ქართველების მიერ ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთობის კონკრეტული ფაქტია კუნძულ კრეტაზე ზემოთ მოხსენიებული "ფესტოს დისკოს" არსებობა, რომელიც აღმოჩნდა "კოლხური ოქროდამწერლობის" ნიმუში.

ძ.წ. II ათასწლეულში ხდება კაცობრიობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი პროდუქტის – რკინის მიღება ე.წ. ხელოვნური ანუ გამოდნობის გზით. ეს მოვლენა

---

77 რ.გორდეზიანი, III, იგივე. გვ.22-23.

78. А. Беселия,Картвелы Ближний восток и средиземноморье, Тб.,2008, стр. 60; რ.გორდეზიანი, მელიტერანულ-ქართველური მიმართებები, I, თბ.,2007, გვ. 157.

ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლების მაჩვენებელია. არსებობდა სხვადასხვა აზრი რკინის წარმოშობი ხალხის შესახებ, რომელმაც კაცობრიობას შესძინა დიდი პოტენციის მქონე პროდუქტი. მასთან დაკავშირებით გ.კერკელიას მონოგრაფიულ შრომაში მოხმობილია გერმანელი მეცნიერის, რ. ფორბსის შეხედულება: "ძ.წ. XIII-XII საუკუნეებამდე აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში მზადდებოდა როგორც მეტეორიტული, ისე მადნისაგან გამოდნობილი რკინა, მაგრამ ამ პერიოდისათვის არ არსებობდა ფოლადის მიღების ტექნოლოგია, რომელმაც გადატრიალება მოახდინა რკინის წარმოებაში. დაუფოლადებელი რკინა სამეურნეო იარაღების დასამზადებლად ბრინჯაოს ვერ სჯობნიდა, რის გამოც ადამიანი ერიდებოდა მისგან ფართო წარმოებას. და აი, ძ.წ. XIV საუკუნეში, მცირე აზიაში, პონტოს რაიონში, კერძოდ, მდ. ჰალისის ხეობაში მცხოვრებმა ქართველებმა – ხალიბებმა (ხალდებმა) პირველად მთელ მსოფლიოში შეიმუშავეს ჯერ რკინის დაფოლადების, ხოლო შემდეგ კი ფოლადის მიღების ტექნოლოგია, რამაც დასაბამი მისცა საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენას რკინის ფართოდ წარმოებას აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ამდენად, პონტოს რაიონში მეტალურგიასთან დაკავშირებით მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი პრობლემები გადაწყდა" . ამავე აზრისაა მეცნიერი ჰეიხერპემი, რომელიც რკინის წარმოშობას უკავშირებს არა ევროპას, არამედ მცირე აზიაში, ხეთების იმპერიაში მცხოვრებ ხალდებს (ხალიბებს). ხალიბების წარმატებას აღნიშნავს ასევე ინგლისელი აიტსისონი, კერძოდ, ხეთების იმპერიაში მცხოვრებ ხალიბებს აკუთვნებს იგი რკინის მიღებას. ხელოვნური ანუ დაფოლადების გზით ხალიბების მიერ გამოგონილმა რკინის მიღებამ ქართველი ტომების მიგრაციის შედეგად გავრცელება ჰპოვა ეგეოსის ზღვის აუზში, იტალიასა და ესპანეთში [79]. ამასთან დაკავშირებით რ. გორდეზიანთან ვკითხულობთ: " ხმელთაშუა ზღვის ძირითადი რეგიონების – ეგეიდის, იტალიისა და ესპანეთის არქეოლოგიაში ძ.წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის ანატოლიური მიგრაციების დაშვების შესაძლებლობა სრულიად ნათელი ხდება" [80]. ქართველ ტომთა მიგრაცია ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე სივრცეში, კერძოდ, ბალკანეთის, აპენინის (იტალია) ნახევარკუნძულზე, კრეტაზე, ესპანეთში განმტკიცებულია ენობრივი მსგავსებითაც. ა.კალანდაძის თანახმად ცნობას ქართველების მიერ რკინის მიღების წესის შესახებ დღესაც ინახავს ეთნოლოგიური

---

79. გ.კერკელია, ოფუ. გაეალიშვილი, საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა ბელი ლითონის ხანაში, თბ.,2004; M. Abramishvili, In Search or Metallugy Origins-An Overview of South Caucasian Evidencs.

80. რ. გორდეზიანი V.Giorgiev, Voraviechishe Sprahwissenenschaft, Lf. .I-II, Sofia,1941, 145.

მასალა, რომელსაც ხალიბური რკინის მიღების წესს ეძახიან. კერძოდ, ის მიიღება რკინის მადანში ე.წ. "ფაშას" (პიროლუზიტის) შერევის შედეგად, რომლის დროს იწრთობოდა მაღალხარისხოვანი საფოლადე რკინა [81]. მეტალურგიული ნაწარმი საქართველოში ექსპორტის ძირითადი საგანი იყო. ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური აღმოჩენები. კერძოდ, რკინის დასამუშავებელი სახელოსნოები მეტწილად საკაჭრო გზების გასწვრივ იყო განთავსებული. მეტალურგიის დარგის განვითარებას მოწმობს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური აღმოჩენები კოლხური ცულისა და სპილენძისაგან დამზადებული თოხის სახით. ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდება ზემო იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე ნაპოვნი კოლხური ცულის საინტერესო ნიმუში, რომელიც ერთგვარი სინთეზია ყარსის ოლქის ანუ მეხჩის ციხის განძისა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კოლხური ცულის გავრცელებას ადასტურებს შიდა ქართლში მოძიებული მასალა. ქართლის სოფელ დოღლიაურშიც აღმოჩნდა კოლხური სპილენძის თოხები [82]. რკინის მიღებასთან დაკავშირებით.უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ბრინჯაოს ხარისხი დამოკიდებულია ორი ან მეტი ლითონის გარკვეული პროპორციით ერთმანეთთან შედნობაზე, მაღალხარისხოვანი რკინის ან ფოლადის მისაღებად საჭიროა რთული ტექნოლოგია: დანახშირბადება, მისი დაწურვისა და მრავალგზის გავარვარებისას ე.წ. წიდის გამოდევნება კვერვის გზით და ბოლოს, წრთობა. თანამედროვე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასე მაგალითად, ქვემო ქართლში ძვ.წ. XV–XIV სს-ის უამრავი ძველი სამთო გადამამუშავებული და საწური ქურების ნაშთებია აღმოჩენილი (რ. ბარამიძე, ი. გრძელიშვილი). რაც გაჩნია კერამიკის ნიმუშებს ძვ.წ. II ათასწლეულში ისინი ფორმისა და მოხატულობის თვალსაზრისით ავლენენ კავშირს ირანთან, მესოპოტამიასთან, მცირე აზიასთან [83]. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება რელიეფური სცენებით შემკული ვერცხლის ფურცლისაგან ნაჭედი თასი, რომელიც მიეკუთვნება თრიალეთის ბრწყინვალე ე.წ. ყორღანული კულტურას. თასზე ასახულია ქალღვთაება ნინდა (ნანა, იგივე იშთარი). იგი აღმოჩენილი იქნა ყარაშამბის მდიდრულ სამარხში (ნაირის რაიონი), საღაც

81.ა.კალანდაძე, ხოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, ხოხუმი, 1954, გვ.67.

82. დ. მუსხელიშვილი, ხოფლის ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, 1978, გვ. 17: ო.ლაბაშიძე, გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები სოფელ დოღლიაურიდან, მსკა, VI, გვ. 166. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ.251-253. A.History of Metals, London,1960, 84-85: თ.მიქელაძე, ძუბანი კოხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს შუიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ.წ. II–I ათასწლეული), თბ1974, გვ.42; მ. ნერეთელი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინეპოლი, 1924;

83. გ. მელიქიშვილი, ძუბანი საქართველოს კავკასიური და ახლოაღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ.,1999, გვ.444:

არსებობდა ქართველ ტომთა გაერთიანება "დაიანე" (იგივე დიაოხი, აიაენი, ტაოხი, ხაიასა), რომელიც შედიოდა ნაირის (ჩრდილო ასირიის, ვანისა და ურუმიის ტბების გარშემო ტერიტორია) ქვეყნებში. ასურეთისა და ურარტუს წარწერებში დაცულია ცნობები ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. I ათასწლულის პირველი ნახევრისა ვანისა და ურმიის ტბების გარშემო ერცელ ტერიტორიაზე დიაუხუს (ასურულად დაიანე) არსებობის შესახებ. დიაუხის გარშემო ერთიანდებოდა ის ძალა, რომელიც ურარტუს წინააღმდეგ იბრძოდა. ამიერკავკასიულად იყოს განსაზღვრული. საკურადღებოა, რომ გვიანდელ ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანებში კალიანი შენადნობის, რკინის წარმოება, სამეთუნეო მორგვისა და ცხენის მასობრივი გამოყენება იყო ხელშემწყობი პირობა ქართველ ტომთა გარე სამყაროსთან ურთიერთობისა – ქვეყანათა შორის სავაჭრო და შესაბამისად კულტურული ურთიერთობის სახით, ასევე მეურნეობაში მისი გამოყენების საფუძველზე სოციალური დონის ამაღლებისათვის.

ამდენად, ძვ.წ. II ათასწლეული უძველესი პერიოდის ერთ-ერთი წარმატებული ხანაა. ხმელთაშუა ზღვის აუზში (ეგოსის ზღვის, მცირეაზიისა და კუნძული კრეტა) წარმოქმნილი ე.წ. ეგეოსური კულტურა მოიცავდა სხვადასხვა კულტურების ერთიანობას, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი ტომებიც. სწორედ ამ პერიოდში მცირე აზიაში არსებული ქართველ ტომთა გაერთიანებებიდან (მუშქების, ქაშქების, დიაუხის) და თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე კოლხეთის სამწეფოდან ხორციელდებოდა მუდმივი მიმოსვლა – დარდანელის სრუტით ეგეოსის ზღვასთან მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებთან. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ეგეოსის აუზიდან მოხდა ხალხთა მიგრაცია კონტინენტურ იტალიის ტერიტორიაზე (დიონისიოს ჰალიკარნასელი ძვ.წ. I ს.), რომელიც სახელდება პელასგური კოლონიზაციით და არსდება ქალაქები: სპინა, კორტონა, აგილა (სტრაბონი, ვირგილიუსი, ჰესიოდე), ხოლო ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს ყალიბდება ეტრუსკთა დიდი გაერთიანება თავისი თვითმყოფადი კულტურით, თავისებური დამწერლობით – ფინიკიურ-ბერძნული ანბანის მოხაზულობითა და განხვავებული შინაარსით. აქედან გამომდინარე, ხმელთაშუაზღვის აუზში ინტენსიური მიმოსვლით გამოირჩეოდნენ არაინდოევროპელი ტომები, მათ შორის დიდი მოთხოვნა იყო ქართველი ტომთა მეტალურგიის ექსპორტზე (ჰეიხერჰემი, აიტისისონი). გარდა ამისა, შავიზღვისპირეთის მიმდებარე ტერიტორიაზე კოლხური კულტურის არსებობა იყო ერთ-ერთი წარმატებული ნიმუში ძვ.წ. II ათასწლეულში არსებული კულტურებისა. დიოდორე სიცილიელის თანახმად (ძვ.წ. I ს.) კოლხი კირკე ცხოვრობდა იტალიის ეტრთ-ერთ კონცხზე, რომელსაც დღემდე მისი სახელის მიხედვით "კირკეიონი" ეწოდება. ამასთან

დაკავშირებით გავიხსენოთ კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე ბერძნული დამწერლობის გავრცელებამდე არსებული პელასგური დამწერლობა. ბერძენი არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ კუნძულ კრეტაზე შექმნილი ეგეოსური კულტურის ერთ-ერთი განშტოება მინოსური კულტურა და მასთან დაკავშირებული მინოსური დამწერლობის ყველა სახე – იეროგლიფური (ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი), ხაზოვანი A (ძვ.წ. 1600 წ.) და B შემქმნელებად ინგლისელი არტურ ევანსი მიიჩნევს არაბერძნებს, უფრო მეტიც – არაევროპელებს, ხოლო ფ. შეხერმაიერი მათ მიკუთვნებს კავკასიურ ენებს. გარდა ამისა, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ბერძნული ანბანის შექმნამდე იქ ვრცელდებოდა შესაძლოა ხაზოვანი A-ს დამწერლობა, რომელზედაც წერდნენ კოლხ-პელასგი ლიმნოსი და მისი მოწაფეები, ამავე ენაზე ისინი თხზავდნენ სიმღერებს. სახელგანთქმული კრეტის მეფის მინოსის მეუღლე იყო კოლხი მედეას მამიდა პასიფაე, რომლის მეფობაში კრეტის აყვავების პერიოდს მინოსის კულტურა ეწოდა. გარდა ამისა, კუნძული ლემნოსის საბერძნეთიდან მოსული ტომების სამკვიდრებელი შეიქნა, სადაც პელასგებმა მოიტანეს მეტალურგიის ცოდნა [84]. როგორც აღინიშნა, რომ ქართველი ტომები მონაწილე იყვნენ ეგეოსური და მინოსური კულტურების შექმნაში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ მითი ძვ.წ. II ათასწლეულში ხმელთაშუა ზღვის გადმოსახლებული პელასგების ერთ-ერთ კუნძულზე დასახლებული აიეტის დის კირკესა*[ფოტო – 7] და მეფის ასულ მედეას შეხვედრის შესახებ, როცა დროს კირკე თხოვდა მედეას კოლხურ ენაზე ეამბნა მისთვის ყველაფერი. აპოლონიოს როდესელი წერს: "კირკეს სურდა მედეას პირიდან მშობლიური ხმა გაეგონა, მრისხანე აიეტის ასულმა კირკეს წყნარი ხმით უამბო ყველაფერი კოლხურ ენაზე". დიოდორე სიცილიელთან ეკითხულობთ – "მედეა კოლხური ენით გრძელი ლოცვის წარმოთქმას შეუდგა" [85]. როგორც ჩანს

---

84. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში,. თბ., 1964, გვ. 166-167,177; რ. გორდეზიანი, არგონავტები თბ.,2006, გვ. 79; თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ.,1965.

*კირკე კოლხეთის მეფის ასულის (ბერძნულში ცირცეა, რუსულ გამოცემაში გირგეა) მითი პოპულარული იყო ძვ.წ. VIII საუკუნეშიც ბერძენი და რომაელი ავტორების თხზულებებში. ძველბერძნულ ლიტერატურაში დაცულია შემდეგი ცნობები – ბერძნულ, ე.წ. კოლიკურ ეპოსში, "თეოგონიაში", პესიოდესთან, "ოდისეაში", "ილიადაში". აპოლონიოს როდოსელის "არგონავტიკაში არის ფრაგმენტი, თუ როგორ გადაიფარა მამამისმა, პელიოსმა კირკე დასავლეთში "ესპერიის ქვეყანაში", კერძოდ, ბერძნების ხომალდი აღწევს კუძეს. აქ, იტალიის ერთ-ერთ კონცხზე, რომელსაც დღემდე "კირკეონი" ეწოდება ბინადრობდა კირკე – აიეტის ღვიძლი და, პელიოსის ასული. რომის ნაციონალურ მუზეუმში ინახება კირკეს საკულტო ქანდაკება, შესრულებული ძვ.წ. I ს. I ნახევარში, პრაქსიტელის სტილში. იხ. მ. ერქომაიშვილი, კირკეს მითი და მისი ინტერპრეტაცია ანტიკურ ლიტერატურაში, თბ.,2002.

85. აპოლონიოს როდოსელი "არგონავტიკა", თარგმანი აკ. ურუშაძისა,თბ., 1948, გვ.174-5.

ქართველი მიგრანტები გადასახლებისას ინარჩუნებდნენ თავიანთ ენას. ეს ხდებოდა ეგეოსური სამყაროსა თუ ხმელთაშუაზღვისაპირეთის რაიონში მოხვედრისას, ანდა კიდევ უფრო შორს პირენეის ნახევარკუნძულზე მოხვედრისას, რომლის შედეგად არსებობს ბასკურ-ქართულ ლექსიკური მსგავსება გამოვლენისას. ასე მაგალითად, კონტინენტურ იტალიაში ეტრუსკულის არსებობას აღრიცხავენ ძ.წ. VII–I საუკუნეების მანძილზე. ამ ინფორმაციას ვიმოწმებთ ინგლისელ, გერმანელი, ფრანგი და იტალიელი მკვლევარების მიერ გამოცემულ კრებულიდან [86]. ქართველი მეცნიერები ძველბერძნულ ლიტერატურული თხზულებების (ძ.წ. VIII ს. – ჰომეროსი,ჰესიოდე; ძ.წ. VII–VI სს. პოეტი მიმნერნე; ძ.წ. VI-V სს. – პინდარე, ევრიპიდე; ძ.წ. III ს. – ლოკოფრანი, აპოლონიოს როდოსელი) გათვალისწინებით ფოლკლორისტიკაში წარმოგვიდგენენ დასკვნებს ბერძნულ ლიტერატურაში გავრცელებულ თემების – არგონავტების, ოქროს საწმისის, მედეას, კირკეს (ცირცეას) შესახებ, რომელსაც კოლხურ-პელაზგურ მითოსს უკავშირებენ. კერძოდ, გ.ჭელიძესთან ეკითხულობთ: " ქართულ-ქართველური სტრუქტურისა და სემანტიკისაა პელაზგურ-ეტრუსკული მითოლოგიაც, რომელიც შეისისხორცა, გადახარშა და შემოინახა ბერძნულმა ანტიკურმა ლიტერატურამ" [87]. ამდენად, ბერძნულმა სამყარომ შემოგვინახა მეტად საგულისხმო მასალა ჩვენი წინაპრების არსებობისა, ამავე დროს არის ის საკითხებიც, რომელიც ისტორიული სიმართლის დადგენის მიზნით მოითხოვენ ზოგიერთი ბერძნული წყაროს მონაცემების გასწორებას. ეს ეხება კოლხი მედეასთან დაკავშირებულ ბერძენი ტრაგიკოსის ევრიპიდედან მომდინარე მედეას ისტორიის არასწორ ინტერპრეტაციას, სადაც მედეა გამოყვანილია თავისი შვილების მკვლელად. იგივე ბერძნული წყაროების მონაცემებით ცნობილია, რომ მედეას იასონისაგან ნაშობი ორი შვილი ზრდასრულ ასაკშია მოხსენიებული. მათ შორის წამალთმცოდნე ქალიშვილი ილა-მერმერი, ასევე ცნობილია, რომ მედეას მეორე ქმრისაგან ჰყავდა კიდევ ერთი ვაჟიშვილი. მედეასთან დაკავშირებით ნ. ფოფხაძე მიგვითითებს პარიზში გამოცემულ არქეოლოგიის კრებულის გამოცემას, სადაც ჩართულია 2004 წ. საფრანგეთში, ქალაქ ნანტში გამოფენილი ძ.წ. VII ს-ით დათარიღებული შავ-წითელი თიხისაგან დამზადებული ლარნაკი, სადაც არის გამოსახული მედეა. მედეას კაბა გაფორმებულია ნაქარგობით, რომელშიც იკითხება ქართული წარწერა "აია" [88], ასევე ძ.წ. IV ს-ით

---

86. Тайны древних письмен проблемы дешифровки, М .,1976.

87. გ.ჭელიძე. ქართველები კაცობრიობის კარიჭესთან, ოგეუ, გვ. 64, 82.

88. ნ ფოფხაძე. კოლხეთის წარსულის ორიდ საკითხი. კოლხი მედეა ვაზის ჯიშის კერძოსით. კრებულში:

თარიღდება ვერცხლის ფულზე ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერა ფარნავაზ მეფის "კე"ი ფ"ზ" (კეისარი ფარნავაზი) აღსანიშნავად [89]. ჩვენთვის ალიან მნიშვნელოვანია თუ რა ხდებოდა საქართველოს მოშიჯნავე მხარეში ძ.წ. II ათასწლეულის ბოლოსა და ძ.წ.I ათასწლეულის დასაწყისში – მცირე აზიასა და მესოპოტამიის შულედურ რგოლში. გ. მელიქიშვილთან ეკითხულობთ: ვანის ტბისა და ურუმიის ტბის ("ზღვა ნაირის ქვეყნის") გარშემო ძ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში არსებობდა "ნაირის" (ასირიულ წყაროებში ასევე ეძახდნენ "ხუბუშკიის სამეფოს") დიდი გაერთიანება, რომელიც იყო ზოგადი სახელწოდება ვანისა და ურუმიის ტბებს შორის მასში შემავალი რამდენიმე ე.წ. სამეფოებისა. ასურულ წყაროებში ლაპარაკია ტუკულტი-ნინურტას წარწერაზე, სადაც მოხსენიებულია 43 ნაირის ქვეყნის მეფე (ARAB. I , 144,165), ტიგლატპასალარ I წარწერით – 60 მეფე (RAB. I,236,301,319), აშშუპეირპალ II – 250 "ნაირის" ქალაქის განადგურებაზე (ARAB.I,45,50). "ნაირის" ქვეყნის მდგომარეობა იცვლება მასში შემავალი ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების წარმოქმნით. ეს იყო "ურარტუს სამეფო", თუმცა სახელწოდება ნაირი კვლავ ძალაშია, დამტკიცებული ასირიის მეფის სარგონ II (ძ.წ. 722-705 წწ.) წარწერის მიხედვით (აქედან "ნაირი–ურარტუ"). სახელწოდება "ურარტუ" ადგილობრივი ხალხის "uridi"-საგან მომდინარედ მიიჩნევა. მასთან მიმდებარე მთების სახელწოდება "არარტი" სატომო სახელის – "ურიდის" მოთხრობითი ბრუნვიდან ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს [90]. ი. დიკონოვის თვალსაზრით ამ ტერიტორიზე ფრიგიული მონათესავე ტომის – სომხური ეთნოსის გამოჩენა გვიანდელი მოვლენას მიეკუთვნება. კერძოდ, ი. დიაკონოვის გამოკვლევა, რომელიც ეხება თანამედროვე საქართველოს სამხრეთით მიმდებარე ე.წ. "არმანსკოე ნაგორიეს" ანუ სომხეთის მთიანეთის ადგილობრივი ეთნოსის წარმომავლობის საკითხს ძ.წ. III–II ათასწლეულებში. დიაკონოვი ძველსომხურ ენას არ აკუთვნებს მთიანეთის ავტოხტონურ მოსახლეობასას – ხურიტების, ურარტუელების და სხვათა. აქედან გამომდინარე მეცნიერი მიიჩნევს, რომ სომხური გარედან არის შემოტანილი [91]. რაც შეეხება პელასგების საკითხს: მათი კავშირი ეტრუსკებთან და იბერიულ ტომებთან მტკიცდება ენათმეცნიერული, არქეოლოგიური მასალის გამოვლენისას, თავის მხრივ ქართველური წარმოშობის პელასგების როლი გამოიკვეთა ბერძნული

---

89. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თხზულებებში, იგივე, გვ.103.

90. Г ,А.Меликишвили ,Наири-Урарту, Тб .,1954, стр. 20-21.

91. И. М, Дьяконов, Предистория Армянского народа, Ереван., 1968, стр.9.

ეპოსისა და რომაულ სამყაროში არსებულ ადრეული პერიოდის ხელოვნების ნიმუშებში. კერძოდ, ანტოლიიდან წამოსულმა ქართველური წარმოშობის პელასგებმა კუნძულ კრეტაზე მოიტანეს მეზღვაურობის, მიწათმოქმედების, საინჟინრო საქმის და შუმერებთან უძველესი ურთიერთობის შედეგად ათვისებული მეურნეობის გაძღოლის საქმიანობა. გარდა ამისა, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ მიგრანტი პელასგები იყვნენ კრეტაზე ე.წ. ხაზოვანი A დამწერლობის შემომტანნი [92]. კონტინენტური იტალიის მიგრირებული პელასგებმა ქართველურ ტომების ახალი ტალღის შემოსვლისას შექმნეს იტალიის ტერიტორიაზე დიდი გაერთიანება "ეტრუსკია". ეტრუსკები გამოირჩეოდნენ იტალიაში მცხოვრებ სხვა ტომებისაგან განვითარების უფრო მაღალი დონით: ეს იყო მიწათმოქმედება, მელიორაცია, ლითონისა და რკინის წარმოება, კერამიკული და სამშენებლო საქმე, შესაბამისად საკაჭრო ქალაქების არსებობა. დღემდე შემორჩენილია იმ პერიოდის ეტრუსკული სასახლეები – თავისი მხატვრული და სკულპტურული გაფორმებებით, რომლითაც მათ ბადალი არ ჰყოლათ ანტიკურ ევროპაში [ფოტო – 8] . როგორც აღვნიშნეთ, იტალიის მუზეუმის ერთ-ერთ კოლექცია უკავშირდება კოლხურ კულტურას. ბერძნული კულტურისაგან ეტრუსკების შეკავშირება იწყება ძვ.წ. V ს-დან, ასევე ძვ.წ. IV–III სს-ში რომი ბერძნების გავლენის ქვეშ ექცევა, ხოლო ძვ.წ. I ს. მოხდა ეტრუსკების მთლიანი ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. ევროპაში ქრისტიანობის დამკვიდრებისას – ახ.წ. V საუკუნისათვის ეტრუსკული კვალი მთლიანად იშლება [93].

ძვ.წ. I ათასწლეული

ძვ.წ. I ათასწლეული ეს არის ერთგვარი გარდატეხის ეტაპი, როდესაც საერთაშორისო ასპარეზზე თავს იჩენს ის ქვეყნები, რომლებმაც შექმნეს თანამედროვე გეოგრაფიული სივრცის წინამძღვრები. ასე მაგალითად ამ პერიოდისათვის მცირე აზიაში ხეთების სამეფოს დაცემის შემდგომ, ახალი ეთნოსების გამოჩენის საფუძველზე, იქმნება რამოდენიმე გაერთიანება, შუამდინარეთში შუმერების ადგილს იკავებს სემიტური მოდგმის ხალხი, იქმნება ასურეთის (სირის) დიდი გაერთიანება, პოლიტიკურ ასპარეზზე ჩნდებიან არამეელები, წმა აზიაში გაბატონებას იწყებს ირანი, ძვ.წ. IX ს-ში წარმოიქმნება

---

92. Л. Беселия, Картвелы Ближний восток и средиземноморие, Тб .,2008, стр. 63.

93. Тайны древних письмен проблемы дешифровки М 1976 стр 339; ჯ. ფაჩეხ, გვიანბრინჯაოს და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურა და კულტურული ქრონოლოგია. (სადოქტორო დისერტაცია-დამატებით), თბ.,2002, გვ. 3.

ურარტუს სამეფო, ევრაზიის კონტინენტზე ძვ.წ. VIII-VII სს. პოლიტიკური ჰეგემონობას იკავებენ ბერძნები და ძვ.წ. III ს. წარმოქმნილი რომის იმპერია, ურარტუს დანგრევის (ძვ.წ. VI ს.) შემდგომ მის ტერიტორიაზე აღმოცენდება სომხეთის სახელმწიფო (ძვ.წ. VI ს), რომელიც ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს, ძირითადად ძვ.წ. II ს-ში, იტაცებს მის მოსაზღვრე "იბერიის სამეფოს" მიწებს, "ალბანეთის" ადგილს თანდათან ეპატრონებიან "აზერბაიჯანის" (ადარბადაგანის) და "იბერიის" (ძვ.წ. IV ს.) სამეფოები. ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს, "კოლხეთის სამეფოს" დასუსტების შედეგად წარმოიქმნება პატარ-პატარა გაერთიანებები და კავკასიის მთიანეთიდან ჩამოსახლებას იწყებენ ჯიქები (ადიღური ტომი). ამ ისტორიულ კატაკლიზმების შედეგად ძვ.წ. I ათასწლეულის ფარგლებში მცირე აზიასა და შუმდინარეთს შორის მცხოვრები უამრავი ტომი, გაერთიანება ისტორიულ წარსულში რჩება და მათი ენა, კულტურა, სხვა კულტურებში განაგრძობენ თავის არსებობას, რომელთა კვალის დადგენა დიდ სირთულებთან არის დაკავშირებული და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც. მსგავს პროცესებს ადგილი აქვს ასევე მცირე და წინა აზიის რეგიონებში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით, როდესაც ძლიერი გაერთიანებების დასუსტების შედეგად არსებობას იწყებენ ახალი ქვეყნები და სახელმწიფოები.

ქართველ ტომთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად ძვ.წ. I ათასწლეულიდან ადგილი აქვს პირობითად ორი კულტურული წრის ჩამოყალიბებას. კერძოდ, არქეოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე ძვ.წ. II ათასწლეულში – გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ პერიოდში, აღინიშნება საქართველოსა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე არსებული ერთიანი კულტურული ნიშნით განსაზღვრული ე.წ. თრიალეთის კულტურის დაქვითება, რის შემდგომ ქართულ საფუძვლებზე აღმოცენდება დასავლური (ანუ ე.წ. კოლხური) და აღმოსავლურ კულტურული არეალი. (რუსულენოვან წყაროებში "კოლხური კულტურა" ყობანური კულტურითაც არის მოხსენიებული). უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო ქართველი მეცნიერები (გ.ჩუბინაშვილი, შ.ამირანაშვილი, ო.ლორთქიფანიძე, ო.ჯაფარიძე, დ.ქორიძე, ე.ფოგაძე, ვ. ჯაფარიძე, თ. მიქელაძე, ა. გაბელაძე, შ.ასათიანი და სხვები), არამედ ამ საკითხით უშუალოდ დაინტერესებული რუსი არქეოლოგები: იმეშჩანინოვი, ბ. კუფტინი თელიდნენ, რომ საქართველოში ე.წ. ორი კულტურული არეალის დასახელებისას მათში ერთიანი კულტურული სივრცეა ნაგულისხმევი, როგორც ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილილებისა [94]. ძვ.წ I ათასწლეულისათვის ევრაზიის ტერიტორიაზე მომხდარი ცვლილებები იყო განმსაზღვრელი პირობა თანამედროვე საქართველოს ფარგლებში ქართულ ტომების თავმოყრისა, რომლის დროს საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩა

აუნაზღაურებელი რაოდენობა ქართველი მიგრანტებისა და იქ წარმოქმნილ ახალ კულტურათა არეალში მოხდა თანდათან მათი უცხო ეთნოსებთან შერწყმა და საბოლოოდ მათში ჩაკარგვა. სამწუხაროდ ქართული წყაროები ამის შესახებ ინფორმაციას არ იძლევიან. გარდა ამისა, მიმდინარე ცვლილებების ფონზე, ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებში ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების საფუძველზე, იცვლება ქართველ ტომთა გარე სამყაროსთან საურთიერთობო სივრცე და ურთიერთობათა ხასიათი. აღნიშნული მოვლენა განსაკუთრებით საყურადღებოა ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოთა, კერძოდ თურქეთის, სომხეთის, ირანის, საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთის არელში მცხოვრებ ქართველთა ნაკვალევის გამოვლენისას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ სამყაროში ისტორიოგრაფიის როგორც დარგის ჩამოყალიბისას მათ "ისტორიებში" აღინიშნება სახელწოდებათა შეცვლის ფაქტები, რომლებიც ართულებს საკითხთა კვლევას. გარდა ამისა, სირთულე არის აგრეთვე ქართველ ტომთა სავარაუდო საცხოვრისის გარკვევისას ფაქტობრივი მასალის არ არსებობის გამო. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დასახელდეს გერმანელი მეცნიერის 1898 წ. ჰ. ვიკნკლერმანის თეორია, რომელსაც მხარს უჭერდნენ მთელი რიგი მეცნიერები (ა.კიორტე, ემ. ფორერი, ი.ფრიდრიხი, ა.გიოცე და სხვანი), იგი ეხება ძ.წ. VIII ს–ით დათრიღებულ ძველბერძნული წყაროებში – "ფრიგიისა" და ასურულ ტექსტში – "შუშქების ქვეყნის" ერთგვარ დამთხვევებს. ამ თეორიის თანახმად გამოვლენილი იქნა მსგავსებები გეოგრაფიული მდებარეობის, აყვავების ხანის, ასევე მეფეების სახელწოდებათა მსგავსების თვალსაზრისით, რომლითაც ფრიგიად წოდებული გაერთიანება აღმოჩნდა ქართველ ტომთა – "მუშქთა" დასახლება [95]. სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე აღნიშნულია, რომ წერილობითი და არქეოლოგიური მასალების სრული უქონლობის გამო თითქმის არაფერი ვიცით ძ.წ. VIII ს-მდე არსებული პერიოდის მცირე აზიის ცენტრალურ, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთი ოლქების შესახებ, რომელიც მრავალი ახალი ტომების სამშობლო ხდება. მათ შორის სახელდება ძ.წ. VIII–VII სს. მცირე აზიაში წარმოქმნილი "ფრიგიული" კულტურა, სადაც მოსალოდნელი იყო ქართველ ტომთა ყოფნა. ამავე დროს, ფრიგიულ სამყაროში აღმოცენებული რელიგიურ პანთეონის სათაეში მდგარი "ღმერთების დიდი დედა – კიბელეს" პარალელს ვხედავთ კოლხურ სამყაროში: ქალაქ ფაზისის შესასვლელთან მდგარი "რეა-კიბელეს" ქანდაკების მიმართებასთან დაკავშირებით. ისტორიული წყაროების სიმცირით გამოირჩევა ასევე მცირე აზიაში

---

94. შანათიანი, ქართველი ტომები ძ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, (საკანდიდატო დისერტაცია), თბ.,1992.

95. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ.,1988, გვ. 258-259.

წარმოქმნილი დიდი გაერთიანება "ლიდია", რომლის შესახებ ძვ.წ. VII ს-მდე არაფერი არ არის ცნობილი. ძვ.წ. VII ს-ის არქეოლოგიური აღმოცენების საფუძველზე "ლიდიას" მჭიდრო საკაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა მცირე აზიის ხალხებთან, ეგეოსურ სამყაროსთან, საბერძნეთთან, ეგვიპტესთან სირია- ფინიკიასთან, ბაბილონთან. ცნობილია, რომ სპარსეთთან ომის შედეგად — მცირე აზიაში გაბატონებისათვის, ძვ.წ 546 წ. ლიდიამ შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა და ამიერიდან იგი აქამენიანთა სპრსეთის ერთ-ერთ პროვინციად იქცა.

ჩვენი კვლევის პრობლემიდან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლით, რომ მოკლე ექსკურსის სახით წარმოდგენილი იყოს ევრაზიის კონტინენტის ყველა ძირითადი ქვეყნების ისტორიული რეალიები, რომელთანაც უძველესი პერიოდიდან ქართველ ტომებს ჰქონიათ უშუალო კავშირი. ეს არის თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ცვლილებები, ასევე საბერძნეთის, რომის ისტორიულ-კულტურული ასპექტები, საქართველოს ისტორიის "მუდმივი თანამგზავრის" — ირანის კულტურულ-პოლიტიკური წარსული, ურარტუს სამეფოს ისტორია და მისი მემკვიდრეების. გარდა ამისა, ზოგადად შევეხებით, ხმელთაშუა ზღვის აუზში, შუამდინარეთში (თანამედროვე ერაყი), კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მოსახლე ტომებთან ურთიერთობების საკითხს.

მცირე აზიის ისტორიაში ძვ.წ. XII (ანუ ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან) VIII საუკუნემდე. "ბნელ ხანად" არის მიჩნეული. წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მასალების სიმცირის და სხვა მიზეზები გამო აქ რთულია დაიცვა ქრონოლოგიური პრინციპი. მათ შორის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ მცირე აზიაში უამრავი ტომების და გაერთიენებების პერმანენტული არსებობა-გაქრობა. როგორც ცნობილია, ძვ.წ. XII-ის შემდგომ ხანაში დასავლეთი და ცენტრალური მცირე აზია მრავალი ახალი ტომის სამშობლო ხდება. ამ ხანიდან განუწყვეტელი ნაკადით მიედინებიან ბალკანურ-თრაკიული მოდგმის ინდოევროპული ტომები: ფრიგიელები, თრაკიელები, მიზიელები, ბითვინიელები, ბერძნები (ეოლიელი, იონიელი, დორიელი ტომების). ძვ.წ. I ათასწლეულიდან მათთან თანაცხოვრობდნენ მცირე აზიის უძველესი მოსახლეობა: ხეთები, ლუვიელები და მათი მონათესავე ტომები ლიდიელები, კარიელები, ლიკიელები, პისიდიელები და სხვანი, ასევე, ხურიტული და სემიტური წარმომავლობის ტომები. მათ შორის, ძვ.წ. IX–VIII სს. ლუვიურ-იეროგლიფური წარწერების სიმრავლისა და მათი გავრცელების ფართო არეალის თანახმად, ძვ.წ. I ათასწლეულში აღმოსავლეთ მცირე აზიის სამხრეთ რაიონში ძლიერი იყო ლუვიური ეთნიკური ელემენტის არსებობა [96]. XIX ს-ში აღმოჩენილ ასურული წარწერებიდან ირკვა, რომ ძვ.წ. II-I ათასწლეულში მცირე აზიაში

96. ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, ოვიე. გვ.266.

არსებული "მეშეხისა" და "თუბალის" ქართველ ტომთა დიდი გაერთიანებების განადგურების შემდგომ, ძვ.წ. VIII-VII სს, ისინი დაიძრნენ შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთისა და თანამედროვე საქართველოს სამხრეთ ტერიტორიებისაკენ, ასევე ასურულ და ხეთურ წყაროებზე დაყრდნობით მათ მალე მიემეტნენ სხვა ქართველი ტომებიც: ქაშქები, ზემო მესოპოტამიიდან – კარდუხები (ქართუები). ამ უკანასკნელს კ.ფ. ლემან-ჰაუპტი უკავშირებს "ქართების" (იბერები) ჩამოყალიბებას, კერძოდ, ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოსული კარდუხებისა და მცირე აზიიდან მოსული მესხების (მუშქების) შერწყმის შედეგად. [97].

ძვ.წ. I ათასწლეულისათვის მცირე აზიაში გაძლიერებას იწყებს ირანი. აქედან მოყოლებული ჩრდილოეთ შუამდინარეთს, მცირე აზიას, სამხრეთ ამიერკავკასიას განაგებდა აქამენიდთა ირანი. აღნიშნული ცვლილებები გამოიხატა მცირე აზიაში მცხოვრებ ქაველ ტომთა მიმართაც, როდესაც ისინი იწყებენ ანატოლიიდან გადმოსახლებას. კერძოდ, ძვ.წ. VIII–VII სს. მიჯნაზე აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრობი დარჩენილი მუშქების გაერთიანება (იგივე ალზა) შედიოდა ანტიასურულ კოალიციაში. ძვ.წ. 676 წ. ურარტუსთან ბრძოლის შედეგად მუშქთა ქართველ ტომებმა დაიხიეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ, ხოლო დარჩენილმა მუშქებმა მიიღეს "კაპადოკიელების" (ირანულად "ლამაზი ცხენების ქვეყანა") სახელწოდება. საინტერესოა მცირე აზიაში ქართულ ტომების გაერთიანების – "მუშქების" შესახებ რა ცნობები არსებობს? როგორც აღინიშნა, "მუშქთა" დიდ გაერთიანებაზე ლაპარაკობს ძვ.წ. 1115-1070 წწ. დაოარიღებული ასურეთის მეფის ტიგლათფილესერის I-ის დოკუმენტი, სადაც მოხსენიებულია მდ. ეუფრატის მარცხენა მხარეზე მცხოვერები მუშქთა ვრცელი ტერიტორიის არსებობის შესახებ, რომლებიც, ძვ.წ. VI ს-დან "კაპადოკიელებად" წოდებულნი, დიდხანს ინარჩუნებდნენ თავიანთ ენასა და ტრადიციას [98]. ამ მხრივ საინტერესოა ე.წ. "ყარაშამბის ვერცხლის თასის" წარმომავლობის საკითხის გარკვევა. ყარაშამბის ვერცხლის თასი სტილისტური ნიშნებით უკავშირდება ძველაღმოსავლური კულტურის არა რომელიმე კონკრეტული ცენტრის გავლენას, არამედ რამოდენიმეს ერთად. კერძოდ, მასზე აღბეჭდილი სარიტუალო სცენები ანარეკლია შუამდინარეთისა და მცირე აზიის კულტურებთან კავშირისა [99] ძვ.წ. XII–VIII სს. ასურულ ლურსმნულ წყაროებში

97. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ.,1988, გვ249-250.

98. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ოცეე. გვ 320.; საქართველოს ისტორია. ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ.,1943, გვ.14.

99. ვ.ლ. ვაწაძე, იბერიის სამეფოს წარმართული ღვთაებები. თბ.,2007, გვ.87; გ.ქავთარაძე, საქართველოს სახელმწიფოს საკითხები. იხ. კავკასიოლოგიური სერია, II, თბ.,2006, გვ.IV,39.

დასახელებულია ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთით მდინარე ევფრატის სათავემდე მცხოვრები კიდევ ერთი ქართველი ტომის "დაიანეს" (დიაოხის) დიდი გაერთიანება. აღნიშნული თასი, აღმოჩენილი ამავე ტერიტორიის ფარგლებში (თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე), დღეს იგი სახელდება ამიერკავკასიურ ხელოვნების, კონკრეტულად სომხური კულტურის ნიმუშად. მაგრამ ისტორიული ქრონოლოგიის დაცვის პრინციპით "ყარაშამბას თასი" არ შეიძლება დაუკავშირდეს არც სომხეთის კულტურას და არც ამიერკავკასიურადაც არ შეიძლება მოიაზრებოდეს. იგი წარმოადგენს უძველესი ქართული ხელოვნების ნიმუშს. გ. ქავთარაძე მიიჩნევს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულისათვის ქართველი ტომები ცხოვრობენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილში. ქართველი ტომების ბინადრობაზე მიგვითითებს მორფოლოგიური და ლექსიკური დამთხვევები ხათურ (პროტოხეთურ) და ანატოლიურ (ინდოევროპულ-ხეთური) ენებს შორის [100]. ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისშიც ქართველი ტომები განაგრძობენ უძველესი პერიოდიდან მომდინარე ტრადიციას, როდესაც მცირე აზიაში ფარგლებში მცხოვრებთა მიერ ხდება მეტალურგიული ცოდნის ექსპორტი. კერძოდ, იტალიელი არქეოლოგი ს. ფოლტინი აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე ადგენს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულში მთელ ეგეოსის სამყაროში, იტალიის ჩათვლით, ფართოდ იყო გავრცელებული მცირეაზიური ფორმის ბრინჯაოს ნივთები, რომელიც შემოდიოდა თრაკიისა და შუა ბალკანეთის გზით. აღნიშნული მიგრაციული პროცესის არსებობას უკავშირებენ რკინის წარმოების ცოდნის გამავრცელებელ ხალხთა გადაადგილებას – აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ [101]. ქართული მეტალურგიის კვალს ეხედავთ უშორეს მხარეებშიც, რომლის დროს, ამ პერიოდისათვის ქართველი მეტალურგების მიერ მიღებული სიახლეების გამავრცელებლებად ქართველი ტომების გარდა გამოდიოდნენ აგრეთვე სხვა ეთნოსებიც.* ქართველ მეტალურგთა გამოცდილების შემდეგი სურათია წარმოდგენილი: მოსინიკების მიერ თითბრის წარმოები გავრცელებული იყო ირანში (ძვ.წ. VI ს), ჩინეთსა (ძვ.წ. VIII ს.) და ინდოეთში. ძვ.წ. I ათასწლეულებში პონტოს რაიონში მცხოვრებმა ქართველმა ტომმა – მოსინიკმა შეიმუშავა საუკეთესო თვისებების მქონე თითბრის წარმოების ტექნოლოგია, რომლის დროს მადანში ურევდნენ სპეციალურ მიწას ანუ მიწიანი თუთიის კარბონატს. არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით თითბრის წარმოების ხელოვნებამ პონტოს რაიონიდან ჩინეთში შეაღწია ირანის გავლით. თითბერი მცირე

---

100. გ.ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველ ტომთა განსახლების საკითხი, ibid.

101. S. Foitiny, Athens and the East Halltatt region, ameruikan jurnal of Archaelojy LXV, 1961, 283-0297.

აზიიდან ვრცელდებოდა ეგვიპტეშიც [102].

ძვ.წ. I ათასწლეულში ეგეოსურ სამყაროში მომხდარი ცვლილებების შესახებ აღნიშნავენ ქართველი (რ. გორდეზიანი) და უცხოელი (ე.ი. ფურნიე) მეცნიერები. ჰ. შლიმანის, ვ.დისფელდის, კ.ბლეგენის, ა.ევანსის არქოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინეს ბრინჯაოს ხანის ეგეოსური ზღვის კულტურა. მათ შორის 1900 წ. ა.ევანსის გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა კუნძულ კრეტაზე არსებული სხვადასხვა დამწერლობის სისტემით შესრულებული ფირფიტები, რომელიც მოწმობს ძვ.წ. I ათასწლეულში დამწერლობის ფართო გავრცელების შესახებ. რ.გორდეზიანი ამ მონაცემების საფუძველზე ბერძნული კულტურასთან დაკავშირებით აკეთებს შემდეგ დასკვნას: " ნათელი გახდა, რომ ძვ.წ. I ათასწლულის დასაწყისის ძველი ბერძნული კულტურა უფრო პრიმიტიული ადრეული საზოგადოების წიაღში კი არ აღმოცენებულა, არამედ მაღალგანვითარებული ეგეოსური ცივილიზაციის ნანგრევებზე". გარდა ამისა, მეცნიერთა გამოკვლევების შედეგად სწორედ ამ პერიოდიდან მოღწეული წერილობითი წყაროების საფუძველზე აღინიშნება ქართველური და წინაბერძნული ენების შეხვედრები ანუ საერთო მნიშვნელობის სიტყვათა არსებობა ქართულსა და ბერძნულ ენებს შორის, ასევე კერამიკული ნაწარმის შედარებისას. [103]

ძვ.წ. II–I ათასწლეულის მიჯნაზე, თავიანთი კულტურულ-პოლიტიკური გავლენების გავრცელების მიზნით, იწყება ბერძენ ტომთა აღმასვლა, რომელიც ხარისხობრივად და თვისობრივად განსხვავდებოდა მანამდე არსებული მსოფლიოში ცნობილი ერთგვარი კულტურული ექსპანსიისაგან: დაახლოებით ძვ.წ. 1459 წელს ბერძნები, ეგეიდაზე გავლენის მოპოვებისათვის, იკავებენ კრეტას, ხოლო XIV ს-ში, ეგეოსის ზღვის მცირე აზიის სანაპიროზე – მილეთს, ძვ.წ. XIV–XIII საუკუნეებში, ვაჭრობის განვითარების მიზნით ხმელთაშუა ზღვის აუზში არსდება ბერძნული ფაქტორიები, სადაც, განსხვავებით ფინიკიელებისაგან, ფაქტორიებს განაგებს არა ადგილობრივი წარმომადგენელი, არამედ ბერძენი. მაგრამ ბერძნების ძალაუფლების კიდევ მეტად გავრცელებას ხელი შეუშალა ძვ.წ. XIII ს-ში ბალკანეთში მცხოვრებთა მიერ მოწყობილმა ე.წ. ბარბაროსთა აჯანყებამ. რის შედეგად ძვ.წ.

---

* სოფეხი მეცნიერი ს.ჰ. ალაზანი თავის ნაშრომში, რომელიც ეხება სოფლეთის ძველ მეტალურგიის საკითხებს, აღნიშნავს, რომ ძვ.წ. XVIII–XVII ს-ში რკინა წარმოქმნილა ე.წ. "არმანსკუ ნაგორიეში". გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ მცირე აზიაში მცხოვრები "ხალიბები" აწარმოებდნენ რკინას. აქ სოფეხ მეცნიერს ქართველური ტომი "ხალიბი" სოფეხ მეტალურგ ტომად ჰყავს წარმოდგენილი// С. М, Аиазян, К некоторым вопросам истории и металургии древней Армении, Ереван-Москва .,1967, стр. 36.

102. გ.კურკელია, ოფუ.

103. რ.გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, თბ.,1988, გვ.21. მისსვე, ქართველურ-ფელიტერანული მიმართებები, III, გვ.147.

XII–IX სს. საქალაქო ცხოვრება ჩაკვდა და მთელ ეგეიდაში 300 წელი ისადგურებს ე.წ "ბნელი ხანა". ამას მოყვა მიკენური კულტურის მსხვრევა. ამ პერიოდისათვის ბერძენთა შორეულ ეაჭრობას აკანტროლებდნენ ფინიკიელები. მაგრამ მდგომარეობა მკვეთრად იცვლება ძვ.წ. VIII–VII სს. შემდგომ, როდესაც სხვადასხვა ბერძნული ტომები ერთიანდებიან ერთიანი ეთნიკური ნიშნით და მტკიცედ მკვიდრდებიან კულტურულ-პოლიტიკურ სარბიელზე, ხოლო ძვ.წ. VI–IV საუკუნეების ფარგლებში კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე აყალიბებენ ე.წ. ბერძნულ ცივილიზაციას. ამავე პერიოდში, ძვ.წ. VIII ს-ში, პოლიტიკურ ასპარეზზე ჩნდება რომი და ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეებში არსდება რომის იმპერია. სწორედ ბერძნულ-რომაული კულტურები გახდა საფუძველი ძვ.წ. IX-VIII – IV-V სს-ში მსოფლიო კულტურის ისტორიაში ანტიკური ხანის* არსებობისა, რომელმაც შეიძლება ითქვას შეცვალა, ამავე დროს განსაზღვრა მსოფლიოს კულტურული სახე, კულტურულ-პოლიტიკური ურიერთობათა ხასიათი და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ცივილიზაციის საწყისებს [104]. ამდენად, ძველი თელთაღრიცხვის ბოლოს ევრაზიულ სივრცეში იქმნება ახალი კულტურული სამყარო, რომლის ჰეგემონები ხდებიან ბერძნები და მათი გაელენის საფუძველზე ჩამოყალიბებული რომი, რომლის წინამძღვრებად შეიძლება დასახელდეს ძვ.წ. IX-VIII სს-ში ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ეგეოსური ზღვისა და მცირე აზიის დასავლეთით ბერძნული (ელინური) მრავალრიცხოვანი პოლისების შექმნა, ხოლო ანტიკურ პერიოდში ბერძნული სამყარო უფრო შორს გადის: ხმელთაშუა ზღვით – სიცილიისა და კვიპროსის კუნძულებზე, ასევე შავ ზღვაზე [რუკა – №9]. გარდა ამისა, ძვ.წ. VIII-VII სს. იტალიის კონტინენტზე აღინიშნება ბერძნული ორიენტაციის მიგრანტთა დიდი ტალღის მოსვლა, რის შედეგად მათ დასახლებას "დიდი საბერძნეთი" ეწოდა, რომელმაც ხელი შეუწყო იტალიის კონტინენტზე ეტრუსკული კულტურის პირვანდელი სახის გადაფარვასა და საბოლოოდ მის შეწყვეტას. ძვ.წ. IV-III სს, გარდა ათენისა, საგრძნობლად იმატა ბერძნული სამყაროს პერიფერიულმა

---

* ანტიკური კულტურა სამი ძირითადი სახის იყო: 1) ბერძნული – ძვ.წ. VIII–VI სს. კოლონიზაციის პერიოდის (საშრეთ იტალია და სიცილია, საშრეთ საფრანგეთის სანაპირო და აღმ. ესპანეთი ეგეოსის ზღვის თრაკიულ სანაპიროზე, დარდანელისა და მარმარილოს ზღვის ნაპირებზე და ბოსფორის სრუტეში – ახლანდელი სტამბოლი, ძვ.წ. VIII ს-დან შავი ზღვის სანაპირო – ავიდნენ ყირიმსა და ქერჩამდე რომლებიც ფაქტობრივად იყო დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოები ანუ დამოუკიდებელი პოლიტიკური პოლისები, გარდა, სირიისა, კოლხეთისა და სხვა); 2. ელინისტური – უკავშირდება ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს და ელინისტურ სახელმწიფოთა წარმოქმნას, რომლებიც იქცნენ ბერძნული და აღმოსალური კულტურების შერწყმის ცენტრებად; 3. რომაული – ძვ.წ. V ს-დან მეფეთა პერიოდიდან იწყება, მეოთხე მეფე ანკუს მარციუსის დროიდან. იხ რომაული კოლონიების პერიოდია// ქართული საბჭ. ენციკლოპედია, I, თბ.,1975, გვ.485-486; გ.ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველ ტომთა _, თბ.,1985, გვ.139.

104. Джон Хеввуд, Атлас Всемирной истории, Москва., 2004, стр 1.22

ფინიკიური და დიდი ბერძნული კოლონიზაცია ძვ.წ. XI–VI საუკუნეებში

ეგეოსი ზღვა
ეგეოსი ზღვა
ეგეოსი ზღვა

ქალაქებმა. მსოფლიოში ბერძნული სამყაროს პრიორიტეტის გაზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძ.წ. 334-328 წწ. პოლიტიკურ ასპარეზზე ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენას. მაკედონელის ხელში აღმოჩნდა სპარსულ-ირანული იმპერიისა და ეგვიპტის მნიშვნელოვანი ნაწილი. მისი ძალაუფლება გაერცელდა ასევე ინდოეთსა და შუა აზიამდე. როგორც ცნობილია, ე.წ. "ელინიზმის" გავლენამ მოიცვა სამი ათასწლოვანი ხანა. ამ პერიოდისათვის ხდება სხვადასხვა ბერძნული ტომების გადასახლება აღმოსავლეთში. სამეცნიერო წრეებში ზოგიერთი ავტორები "ანტიკურ კულტურას" ბერძნული ცივილიზაციის კულტურულ მონაპოვრად აღიარებენ [105]. ამავე დროს, არქეოლოგიურმა და ენათმეცნიერულმა მონაცემებმა ცხადყო, რომ თვით ბერძნული ცივილიზაციის შექმნაში მონაწილენი იყვნენ სხვა ეთნოსებიც. მათ შორის კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე მცხოვრები წინაბერძნული მოსახლე კოლხ-პელასგები. ისტორიული სინამდვილედან გამომდინარე, ელინუსტური ნაციონალური იდეით გამსჭვალულმა ყოველისმომცველმა ბერძნულმა მოძრაობამ გადაფარა წინარე კულტურული წინამძღვრები და ისინი უკვალად დაილექნენ ბერძნულ სამყაროში. ამავე დროს, ბერძნებმა შეძლეს სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობის ერთიან სისტემად გაერთიანება და თვისობრივად ახალი სახით მათი ჩამოყალიბება. ამ ნიშნით ბერძნული ცივილიზაცია თვითონ ხდება საფუძველი მსოფლიოში ახალი კულტურების ჩამოყალიბებისა. როგორც ჩანს პრიორიტეტობის პრინციპი უდევს საფუძვლად ზოგიერთი რუსი მეცნიერის თვალსაზრისს სლავური ანბანის – "კირილიცას" ბერძნულისაგან წარმოქმნილად გამოცხადებისას, თუ არ გავითვალისწინებთ ბულგარელი განმანათლებლების – კირილისა და მეფოდის წვლილს სლავური ანბანის წარმოქმნაში. ამდენად, "ბნელი ხანის" შემდგომ, ძ.წ. VIII ს-დან კონტინენტურ საბერძნეთის მიწაზე მცხოვრებმა ბერძნებმა კვლავ იწყეს აღმავლობა. ბერძნულ სამყაროში წარმოიქმნა საერთო ეროვნული ცნობიერება, რომელიც გამოისახა ერთგვარ ელინობაში. შესაძლოა ეს იყო ის არჩევანი, რომლითაც ბერძნებმა სამყარო გაყვეს: ელინებად, ანუ რჩეულ ერად, და ბარბაროსებად. საკუთარი პოზიციების დამკვიდრებისათვის ბერძნები ფინიკიური ანბანის გამარტივების საფუძველზე ქმნიან საკუთარ – ბერძნული ანბანს, ასევე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, და მის გარეთაც, ბერძნული ენისა და დამწერლობის გავრცელებით აყალიბებენ ერთგვარ პრეცენდენტს ბერძნული ცივილიზაციის აღიარებისა. ამდენად, ძ.წ. VI–IV სს. ბერძნული ცივილიზაციის არსებობის ფარგლებში მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა იწყებს განვითარების ახალ

---

105. Античная цивилизация, Москва, 1973, под редакции В. Д. Блаватской; რეკონსტრუქციანი, ბერძნული ცივილიზაცია, თბ.,1988.

ეტაპს. უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნებმა შეძლეს უძველესი კულტურული მონაპოვრების ერთ სისტემად ჩამოყალიბება, რის საფუძველზე ბერძნულმა კულტურამ შეიძლება ითქვას განსაზღვრა მეცნიერების სხვადასხვა დარგების არსებობა და ამით საფუძველი შეუქმნა ფუნდამენტალური სამეცნიერო დისციპლინების არსებობას. ამდენად, ძვ.წ. VII ს-დან საბერძნეთი გახდა ინოვაციისა და კულტურის ეტალონი. ამავე პერიოდისათვის, ძვ.წ. VIII ს-ში, ალენინის ნახევარკუნძულზე იქმნება ქ. რომი, რომელმაც ეტრუსკული და ბერძნული კულტურების საფუძველზე ძვ.წ. III ს-ში ჩამოაყალიბა იმპერია. ძვ.წ. III ს-დან რომის იმპერიის ძალაუფლება ვრცელდება დიდ სივრცეზე ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, პირენეის (ესპანეთი) ნახევარკუნძულიდან ამიკავკასიის ჩათვლით. ამიერიდან, ექვსი საუკუნის განმავლობაში, "რომი" იკავებს ევრაზიის კონტინენტზე პოლიტიკური ჰეგემონის პოზიციას, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბერძნული კულტურის მონაპოვრებს. ამდენად, ბერძნულ-რომაული კულტურების საფუძველზე ძვ.წ. 500-600 წწ. ანტიკური კულტურის შექმნას ევროპული სამყაროსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა.

ძვ.წ. I ათასწლეულის ფარგლებში, ისტორიულ პროცესებთან დაკავშირებით გვინდა შეეხოთ ზოგიერთ საკითხებს, რომელიც ძირითადად ეხება თანამედროვე რეალობაში არსებულ აღმოჩენებსა და გამოცემებს. როგორც აღინიშნა, ბერძნულ ლიტერატურაში აღნიშნულია პელასგებისა და კოლხების იდენტურობის შესახებ. კერძოდ, ლიტერატურულ წყაროებში ლაპარაკია დარდანელის სრუტის გავლით ეგეიდასა და შავიზღვისპირეთს შორის ინტენსიური საზღვაო კავშირის შესახებ. XIX საუკუნეში ძველი ისტორიის საკითხებით დაინტერესებული გერმანელი ბიზნესმენისა და მეცენატის, ჰაინრიხ შლიმანის მიერ 1873 წ. განხორციელებულმა ტროიას არქეოლოგიურმა გათხრების შედეგებმა განამტკიცა აღნიშნული ფაქტი. გარდა ამისა, ძველ წყაროებში აღნიშნულია, რომ ძვ.წ. I ათასწლეულში ეტრუსკები ბერძნებსა და რომაელებთან ერთად ქმნიდნენ ერთიან კულტურულ სივრცეს, რომელიც დღეს ანტიკურ-ელინურის სახელითაა ცნობილი. სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი წარმოგვიდგინა ჯონ ხეიუდმა "მსოფლიო ისტორიის ატლასში" უპირველესად გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ მრავალტირაჟიან, ფუნდამენტალურ, სხვადასხვა ენებზე შესრულებულ გამოცემებში არაფერის მთქმელი ინფორმაციაა შეტანილი ქართველებზე, რომელიც უპირველესად ჩვენი არაინფორმაციულობისა შედეგია. ამ მეტად მნიშვნელოვან გამოცემაში ქართველები ჩანან მხოლოდ ძვ.წ. IV ს-ში, რომლის დროს არაფერია მითითებული რაღაცა ტიპის მაინც გაერთიანების შესახებ. აღნიშნულია მხოლოდ შემდეგი: "კოლხეთი – 25 ბიჭი, 25 გოგო", რომელშიც, როგორც ჩანს, ჩართულია ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს (ძვ.წ.

IV ს.) "ანაბაზისიდან" ამოღებული ცნობა კოლხეთიდან ტყვეთა გაყვანის თაობაზე. ტექსტის ავტორ-შემდგენელს "მსოფლიო ატლასში" ევროპის კონტინენტის ყველაზე ადრეული ქალაქ-სახელმწიფოდ დასახელებული აქვს თანამედროვე იტალიის კონტინენტზე ჩამოყალიბებული ეტრუსკების დიდი გაერთიანება [106]. კერძოდ, ხეიუდს ეტრუსკები იტალიის მკვიდრებად ჰყავს გამოყვანილი, რომელთა კულტურა შემდგომი ეტაპია იტალიის კონტინენტზე არსებული ე.წ. "ვილანების კულტურისა". ხეიუდის მიხედვით არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე "ვილანების კულტურა" არსებობდა ძ.წ. IX ს-ში ტორენტოში, შემდეგ მან გადაინაცვლა ტოსკანაში, ხოლო რაც შეეხება "ეტრუსკულ კულტურას" იგი მას ძ.წ. VII ს-დან არსებულად მიიჩნევს. ცნობილია, რომ ჩრდილოეთ იტალიაში ძ.წ. VIII ს-ში მცხოვრები ეტრუსკები იყვნენ გამოცდილი მეზღვაურები, რომლებიც საკუთრო მიზნით ანხორციელებდნენ შორეულ მომოსელებს. ეტრუსკებს ხმელთაშუა ზღვაზე კონკურენციას უწევდნენ ბერძნები და ფინიკიელები. ამის გამო ეტრუსკებსა და ბერძნებს შორის არაერთი შეტეკება მომხდარა. რაც შეეხება იტალიკების ტომს ხეიუდი მათ ცენტრალური ევროპიდან მოსულებად მიიჩნევს. რომის ისტორიის სამი პერიოდიდან, მეფობის ხანის საინტერესო ფაქტია ხაზგასმული, როდესაც ავტორი ლაპარაკობს ძ.წ. 509 წელს რომის მეფის ჩამოგდების შესახებ, რომელიც წარმოშობით ეტრუსკი ყოფილა. ამდენად, გამოცემაში არაფერია ნათქვამი ევროპელ მეცნიერთა გამოთქმულ თვალსაზრისის შესახებ, რომლითაც ეტრუსკები უკავშირდებიან ქართველურ ტომებს. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპელმა არქეოლოგმა ე. შანტრმა პირველად შეამჩნია საერთო ნიშნები კავკასიურ და სამხრეთ ევროპის ტიპებს შორის. ქართული კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარი ბორის კუფტინი კოლხური კულტურის, კერძოდ კერამიკის ნიმუშებში პარალელებს ავლებდა დუნაისა და პოს (იტალია) მხარეში მოძიებულ კერამიკულ ნიმუშებთან. დღესაც ქართველი მეცნიერები დაინტერესებულნი არიან ქართული კვალის ძიებით. თ.მიქელაძე, ლ. ჯიბლაძე, მ. ბარამიძე ადგენენ კოლხურისა და იტალიაში მოძიებულ კერძოდ, კერამიკულ ნაწარმს შორის მსგავსებას. ამ მხრივ ჯ. აფაქიძე უაღრესად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის იტალიაში წარმოებული გათხრების შედეგების შესახებ. კერძოდ, 1999 წ. ივნისის თვეში მდ. პოს ხეობაში, მოდენას პროვინციაში, დაბა მონტალიეში აღმოჩნდა ნივთიერი მასალა, რომელიც ტოპოგრაფიის, დაგეგმარებისა და სახლმშენებლობის თვალსაზრისით პარალელს იჩენს კოლხურ კულტურასთან, ასევე მდ. პოს დაბლობში ტერამარების (ხელოვნური ნამოსახლარები) აღმოჩენებში კერამიკის ნაწარმი სიახლოვეს ამჟღავნებს კოლხურ

---

106. Джон Хейвуд, Атлас Всемирной истории, Москва., 2004, 1.25.

(ძვ.წ. XVIII–XII სს.) მასალასთან. რომის, მოდანას, ვერონას მუზეუმების დათვალიერებისას ჯ. აფაქიძე გამოყოფს ვერონას ძველი ისტორიისა და ბუნების მუზეუმს. აქ ავტორი აღნიშნავს იტალიაში აღმოჩენილ ე.წ. ტერამარების კერამიკულ ნიმუშებისა და კოლხური ორნამენტაციის მსგავსებებს [107].

პრობლემასთან დაკავშირებით აქტუალურია ირანის იმპერიის [რუკა – №10] რელიგიურ-კულტურული და პოლიტიკური თავისებურებების განსაზღვრა, რომელსაც ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს ქართველ ტომთა გარე სამყაროსთან მიმართების საკითხში დიდი დატვირთვა ეძლევა. ირანი საქართველოს ისტორიის ერთგვარი განუყოფელი თემაა. მაინც რას წარმოადგენდა ის ქვეყანა და რა კულტურის მარტარებელი იყო იგი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის დაპყრობის მუდმივ მცდელობაში იყო? ძველაღმოსავლური ხანის ისტორიის თვალსაზრისით გამოყოფენ ირანის სამ პერიოდს: ელამურს, მიდიურს და სპარსულ-აქამენიდურს. შესაშური ფაქტია, რომ ირანის ისტორიის თითეული ამ პერიოდის შესწავლისათვის ევროპელი მეცნიერებისაგან დიდი არქეოლოგიური საძიებო სამუშაობებია ჩატარებული. აქედან გამომდინარე, გარკვეულია ირანის კულტურის შექმნის საფუძვლები. აღსანიშნავია, რომ მათ . შორის ირანის ისტორიის ერთ-ერთ უძველეს შრეს – "ელამის კულტურას" საფუძვლად უდევს შუამდინარეთის (ერაყი) ცივილიზაცია. ამას მოწმობს ძვ.წ. III ათასწლეულიდან მესოპოტამიიდან მოსული შუმერული და აქადური ლურსმნული წარწერები, რომელმაც განდევნა ადგილობრივი ელამური დამწერლობითი სისტემა. შუმერული გაელენა ჩანს ელამელთა რელიგიურ პანთეონშიც. ელამელების ეთნიკური ვინაობისა და მათი ენის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები, მათ შორის გარკვეულ სიახლოვეს ხედავენ კავკასიურ ენებთან. რაც შეეხება მიდიურ პერიოდს: შუა აზიიდან მოსულმა "მიდიამ" (იგივე მადაი, სირო-მიდია) დაიჭირა კასპიის ზღვისპირა ოლქები. ალბანელებისაგან მას ჰყოფდა მდ. არაქსი. ძვ.წ. II ათასწლეულის წერილობითი წყაროებით "მიდია" გამოირჩეოდა მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელით. მათ შორის კავშირი ჩნდება ამიერკავკასიურ კულტურასთან. ძვ.წ. I ათასწლეულისათვის სწორედ მიდიის აღმოსავლეთ ზოლში ჩნდება ამ რაიონისათვის სრულიად უცნობი ირანული ელემენტი. ძვ.წ. IX–VII სს. მიდიაში (თეირანისა და ისპაპანის რაიონებში) შეინიშნება ირანული ელემენტის მოძრაობა. "მიდიის სამეფოში" შედიოდა მისგან დამოუკიდებლად არსებული "პერსიდია", რომელსაც ძვ.წ. VII ს-დან სათავეში უდგას აქამენიდთა საგვარეულო. მეცნიერთა აზრით აქამენიდური ხანის ირანის ლურსმნულ

---

107. ჯ.აფაქიძე. "გვიანბრონჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია". სადოქტორო დისერტაცია. თბ.,2002, (დამატება გვ.ბ 3-5).


მიდიელი
სპარსელი
სკვითეთი
ხაზარეთი
შავი ზღვა
ასპეთის ზღვა
ინდოეთი
ბაბილონი
ეგვიპტე
ინდოეთი
სპარსეთის
იმპერიის რუკა
სპარსეთი
სპარსეთი აქემენიანთა პერიოდში
სამეფო გზა

დამწერლობას საფუძვლად უდევს მიდიური დამწერლობა. ამდენად, ირანს გეოგრაფიულად უკავშირდებოდა დასავლეთ აზიის ანუ შუა აღმოსავლეთის საკმაოდ დიდი ტერიტორია [108]. ჯერ კიდევ დაუდგენელია როდის გამოჩნდა "პერსიდია" ირანის ტერიტორიაზე. საბოლოოს სპარსელებმა (იგივე პერსიდიელებმა) შესძლეს ირანის ერთიან სივრცეში მიდიასი და ლიდიასი შემოერთება. თუ გავითვალისწინებთ ირანის გამოჩენილი მეფეების — კიროს II და დარიოსის მოღვაწეობას, ირანი თავისი იმპერიის შექმნისას ორიენტირს ირჩევს კულტურული სამყაროს დასაპყრობად. ამ მიზნით იგი თავის გავლენას ავრცელებს ეგეოსურ სამყაროზე, იმორჩილებს მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროს, ბაბილონს, იბრძვის ეგვიპტისა და საბერძნეთის გაელენის მოსაპოვებლად. საბოლოოდ, ირანის იმპერიის შექმნისას სახელმწიფოს ცენტრი აღმოჩნდა მესოპოტამიას, ელამისა და სირიის არეალში, რაც განაპირობებდა ირანის განვითარებული კულტურულ სახის შექმნას. ამავე დროს კულტურულ-ეკონომიკური წინსვლის დამბრკოლებელ ფაქტორად ხშირად თვით ირანული ეთნოსი გამოდიოდა. ირანს, რომელშიც შედიოდა ბევრი არაირანული ელემენტი, უზარმაზარი ტერიტორიის შესანარჩუნებლად და დიდი რაოდენობა ხალხის ერთი მმართველობის ქვეშ მოქცევისათვის სჭირდებოდა კარგად ორგანიზებული სისტემა, რომელიც გამოიხატული იქნა საკაჭრო-ეკონომიკისა და რელიგიურ სფეროს დარეგულირებაში. ამისათვის დარიოს I-ის დროს გაიჭრა არხი, რომლითაც ნილოსი მეწამულ ზღვას შეუერთდა და ამით გაფართოვდა ირანის ვაჭრობ-სამიმოქცევო არეალი. გარდა ამისა, იმპერიაში შემავალი განვითარების არარერთგვაროვანი დონის მქონე ხალხის დასამორჩილებლად ირანმა შეიმუშავა ერთიანი რელიგიური სისტემა. კერძოდ, სავალდებულო ხდება აპურამაზდას, ანიპიტისა და მითრას კულტისადმი თაყვანისცემა. შემდგომ პერიოდში აქამენიდური ირანი აყალიბებს ოფიციალურ კულტმსახურებას, რომელიც ფორმირდება რელიგიურ მოძღვრებად — ზოროასტრიზმად, რომლის გავლენა ნაწილობრივ განიცადა საქართველომაც. გარდა ამისა, ირანს თავის იმპერიის სამართავად სჭირდებოდა ისეთი დამწერლობითი სისტემის არსებობა, რომელიც უპასუხებდა როგორც შიდა სახელმწიფოებრივ მოთხოვნებს, ისე გარე სამყაროსთან ურთიერთობის პერსპექტივას. ამიტომაც იმპერიაში გამოყენებული იქნა რამოდენიმე დამწერლობა: ირანული ლურსმნული — შექმნილი შუამდინარეთის ლურსმნული დამწერლობის საფუძველზე, ასევე ხმარებაში იყო აქადური (ბაბილონური), ხოლო საერთაშორისო ურთიერთობისას გამოიყენებოდა — არამეული დამწერლობა. ამდენად, სხვადასხვა კულტურათა გამოცდილების საფუძველზე შექმნილმა ირანის იმპერიამ შეძლო

108. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, ოგიე, გვ.258.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების მიღწევების შეთვისება. ასე მაგალითად ფასარგადას, პერსეპოლის, სუზას სასახლეებში წარმოდგენილია აქამენიდური ირანის არქიტექტურული სტილის მრავალი წყარო – მესოპოტამიის, ეგვიპტის, საბერძნეთის სამშენებლო ხელოვნების გამოცდილება. ძ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში ირანი ცდილობს დიდი გავლენის მოპოვებას აღმოსავლეთის საყაროზე. ნიშანდობლივია, რომ ძ.წ. I ათასწლეულების ბოლო პერიოდიდან მოწყებული ქართულ კულტურას გასდევს ირანულის გავლენა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, როგორც აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი აღნიშნავს, იგი შემოდის ერთგვარი "გაქართულების გზით". მათ შორის ირანულთან მსგავსებას ამყარებს საქართველოში მოიძიებული ძ.წ. VIII–VII სს-ით დათარიღებული ნახევარ რკალისებური საყურეს ნიმუში, აღსანიშნავია ასევე ძ.წ. VI–IV სს. დათარიღებული აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ნივთიერ მასალა, რომელშიც ჩანს ირანული ასევე ხმელთაშუაზრვისპირეთის (კეიროსი) სტილისტური ნიშნები. გარდა ამისა, ძ.წ. IV–IV სს–ით თარიღდება მცხეთაში, სამთავროს მონასტერთან აღმოჩენილი ირანულის გავლენით შექმნილი ხელოვნების ნიმუში. აღსანიშნავია, რომ ისტორიის მსვლელობის მანძილზე ირანის მიერ წარმოებულმა დაპყრობითმა ომებმა განაპირობეს ევრაზიის კონტინენტზე დიდი ცვლილებების შემოტანა. კერძოდ, ირანი ეპატრონება ძ.წ. XIII–XII სს. დაწინაურებულ ასურეთის სამეფოს და ძ.წ. IX ს-დან – ურატუს, რის შედეგად ასურეთმა ძ.წ. 615/05 წწ. შეწყვიტა თავისი არსებობა, ხოლო ძ.წ. VI ს. დამდეგიდან – ურარტუმ. ირანის ძლევამოსილობაზე უარყოფითი გავლენა იქონია პოლიტიკურ სარბიელზე ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენამ: ძ.წ. IV ს.30-იან წლებში ალექსანდრე მაკედონელი შეესია სპარსეთის სამეფოებს მცირე აზიაში, შემდეგ იგი გადადის სირიაში, პალესტინაში, ეგვიპტეში და იწყებს სპარსეთის გავლენის ქვეშ მყოფ სხვა ქვეყნებზეც შეტევას: მესოპოტამია, შუა აზია, და ბოლოს ინდოეთი. ამ შეტევის შედეგად სპარსეთის ძლიერი იმპერია ინგრევა. დაიშალა ასევე მაკედონელის უზარმაზარი იმპერიაც, რომელიც გაიყო რამდენიმე ელინისტურ სახელმწიფოდ. რაც შეეხება ქართველ ტომებს: ძ.წ. VI ს-ში სპარსეთის მეფეებმა დაიმორჩილეს ისტორიული კოლხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონი. აქ შეიქმნა სპარსეთის მე-19 სატრაპია, რომელშიც შედიოდნენ მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები (Herod. III, 37). ბერძენი ქსენოფონტე (ძ.წ. IV ს.), როგორც თვითმხილველი, წერს კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილიდან სპარსელებისათვის ხარკის სახით 200 გოგოსა და მიჭის გაგზავნის შესახებ. ამავე დროს, სპარსეთის გავლენის ქვეშ მყოფი ტრაპეზუნდში მცხოვრები ქართველური ტომები: კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მოსინიკები და სხვები არ ემორჩილებოდნენ სპარსელებს, ნახევრად დამოუკიდებელ მდგომარეობას

ინარჩუნებდა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა – იბერიის სამეფოში გაერთიანებული ტომები. აქამენიდური სპარსეთის გავლენა ჩანს საქართველოს მთიანეთსა, კოლხეთსა და განსაკუთრებით სოფელ საძეგურში ე.წ. "ახალგორის განძის" გათხრების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე, ალგეთის ხეობაში, სოფელ წინწყაროში აღმოჩენილი არქეოლოგიური შედეგებით [109]. ისტორიულ-პოლიტიკური მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლო წლებში ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოიქმნამ, როგორებიც იყო საბერძნეთის (კლასიკური პერიოდის) და რომის იმპერია, ურარტუს, ნაწილობრივ პონტოს, ირანის სახელმწიფოებმა დიდი ცვლილებები შემოიტანეს მსოფლიოს პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, რომელმაც თავისებური გავლენა იქონია ქართველ ტომთა მიგრაციულ პროცესებსა და ქართულ კულტურაზე.

ძვ.წ. IX-VI სს. სამხრეთ ამიერკავკასიისა და ირან-თურქეთის მომიჯნავე, ასევე ქართველ ტომთა დიდი გაერთიანების – "დიაოხის" ყოფილ ტერიტორიებზე, იქმნება ურარტუს ძლიერი სახელმწიფო. ენით ისინი ახლო იდგნენ ხეთებთან. ურარტუში არსებულა იეროგლიფური დამწერლობის, ასევე, ასურელებისაგან ლურსმნული დამწერლობის შეთვისების შემდგომ, მათ შექმნეს თავიანთი დამწერლობა, რომელშიც ლაპარაკია ქართველებზეც. ურარტუელები განსაკუთრებით გაწაფული იყვნენ ქვის თლაში: კლდეში ისინი კვეთდნენ არხებს, ციხე-ქალაქებს, დადასტურებული დედაქალაქ ტუშფაში – დღევანდელ ვანში აღმოჩენილი ნიმუშებით. ურარტუელთა ლითონის ნაწარმი გახდა ექსპორტის საგანი, რომელიც გაპქონდათ სირიაში, მესოპოტამიაში, წინა აზიაში. ურარტულ-ქართული კულტურული ტრადიციის ურთიერთგაზიარებას, ურთიერთშეღწევას აღნიშნავენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები. ქართულ მეტყველებაში შემორჩენილია ურარტული სიტყვები. ასე მაგალითად სიტყვა "ყირამალას", "თავდაყირას" ან "ყირაზე გადასვლას" აღმოსავლეთმცოდნეები უკავშირებენ ურარტულ სიტყვას "მიწას" ანუ "კირას", სადაც "ყირამა(ღ)ლა" აღნიშნავს "მიწა მაღლას", ასევე, ქართული სიმღერების მისამღერი სიტყვები: "ალალე" ურარტულად "მიწის ღვთაების" აღმნიშვნელია, ხოლო "ივრი ალალე", ურარტულად "ივრი" მეუფეს, ბატონს აღნიშნავს, "ალალე" სიძლიერის აღმნიშვნელია, ე.ი. "არი ალალე" ნიშნავს "მომეც ღმერთო სიძლიერე" [110]. თავის მხრივ ძვ.წ. VIII ს-დან ურარტუზე გავლენა იქონიეს ასირიელებმა. მაგრამ ძვ.წ. VI ს-ში რუსეთის ველებიდან სკვითებისა და ამიერკავკასიელი ტომების შემოჭრის შედეგად ურარტუმ შეწყვიტა თავისი არსებობა, რომელმაც გზა

109.Я. И, Смирнов, Аналгорский клад, ТБ „1934.

110. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ1988, გვ.334, 358.

გაუხსნა ქართულ ტომობრივ გაერთიანებას, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში "იბერიის სამეფოს" შექმნას.

ურარტუს დანგრევის შემდგომ ძ.წ. VI ს-ში საქართველოს საზღვრებთან ყალიბდება სომხეთის სახელმწიფო, თავისი სახეობებით (მცირე, დიდი და სხვა) [111]. ამ საკითხთან დაკავშირებით, ძველი კულტურების შემსწავლელმა დარგმა – ხეთოლოგიამ, ძ.წ. XIV–XIII სს-ში თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე დადგინა უძველესი ქვეყნების არსებობა: ხაიასა-აზი, იშუნა, შუპრია, კადმუხი, ტიბია, ბალლა, სადაც ცხოვრობდნენ აზიცები, სუბარები, ქაშქები. მათ შორის ქაშქები და სუბარები ქართველი ტომებია. რაც შეეხება ამ ტერიტორიაზე პროტოსომხური ეთნოსის გაჩენას დიაკონოვი მიიჩნევს არა უადრეს ძ.წ. XII საუკუნისა და ძ.წ. VI საუკუნის ფარგლებში [112]. ქართველ მეცნიერთა შორის დღემდე არ არის ზუსთად დაფიქსირებული ქართველ ტომთა დასახლების არეალი. ამ მხრივ, ქართველ არმენოლოგთა პირდაპირ მოვალეობად უნდა ჩაითვალოს სომხების მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე პირვანდელი ქართული სახელების დაფიქსირება და მათი ერთიან გამოკვლევაში თავმოყრა, რადგან XXI საუკუნეში მცხოვრებმა ჩვენმა მომავალმა თაობამ, მიუხედავად ტაბუდადებულ საკითხებისა, უნდა იცოდეს სიმართლე თავისი ქვეყნის ისტორიისთან დაკავშირებით. ისტორიული წყაროებით დადგენილია, რომ ძ.წ. II ს-ში "იბერიის სამეფოს" სამხრეთით მცხოვრებ ქართველ ტომებს ტიგრან II-ს მეფობაში ემუქრებათ გაძლიერებული სომხური სახელმწიფო. სტრაბონის გეოგრაფიაში ვკითხულობთ: "მოგვითხრობენ არმენიაზე, რომ პირველად ის პატარა ყოფილა. გაზრდილა არტაქსიასა და ზარიანდრის მეშვეობით, რომლებიც პირველად ანტიოქ დიდის სარდლები იყვნენ, ხოლო მერე, მისი დამარცხების შემდეგ, გამეფდნენ ერთნი – სოფენეს, აკისენეს, ოდომანტისსა და სხვა მხარეში, ხოლო მეორენი – არტაქსატის მიდამოებში. ამათ გაზარდეს ქვეყანა იმის ხარჯზე, რომ მეზობელ ხალხებს ჩამოაჭრეს ნაწილები: მიდიელთაგან – კასოპიანე, ფაენიტი და ბასოროპედა, იბერებს – პარიადნეს კალთები, ხორზენე, და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის. ქართველი ტომების ხალიბებისა და მოსინიკებისაგან წაიღეს კარეტინი და ქსერქსენე, რომლებიც მცირე არმენიის მეზობლად არიან, თუ მისი ნაწილები არიან: კატაონთაგან – აკილისინე და ანტიტავროსთან მდებარე ადგილები, სირიელთაგან ტარონიტი...." (Strabo,XI,14,5). ამდენად, სომხებს იბერებისათვის ჩამოუჭრიათ

---

111. Я .А, Манандян, О некоторых спорных проблемах истории и географии Армении, Ереван „1956, стр. 68.

112. დიაკონოვი, ოგიუ, გვ. 206.

პარიანდრეს მთის კალთები, ხორძენა და გოგარენი, რომელიც ძვ.წ. III ს-ში იბერიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. "გუგარენი" სომხური წყაროებში "გუგარქის" სახელწოდებით მოიხსენება. იგი ისტორიულად ქვემო ქართლში მდებარეობდა, ხოლო მის დასავლეთით მდებარე "ხორძენა" მოიცავდა ისტორიულად ქართულ მიწას, რაც შეეხება "პარხალს" იგი სომხურად "პარიადრით" მოიხსენება და მიემართებოდა მდ. ჭოროხის შესართავისაკენ. [113]. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას მიერ "საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე" შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის" ეს ეხება ძვ.წ. VI ს-ის დასასრულს, როდესაც სპარსეთის იმპერია ფლობს ვრცელ ტერიტორიებს, მათ შორის თანამედროვე საქართველოს სამხრეთით მდებარე სომხეთს. "სპარსეთის დამხობის შემდგომ, სომხები ალექსანდრესა (მაკედონელის) და სელევკიდების სამეფოს ქვეშევრდომები იყვნენ მაგრამ როცა ძვ.წ. 190 წ. სელევკიდების სამეფომ დაამარცხა განიცადა რომაელებისაგან, მას გადაუდგნენ მისი მმართველები სომხეთში, რომლებმაც ორი სამეფო დაარსეს. სომხური სამეფოები თავდაპირველად პატარა იყო, მაგრამ ისინი გაფართოვდნენ მეზობელ ქვეყნების მიწების მიტაცების ხარჯზე. კერძოდ, კოლხეთისა და იბერიისათვის მათ 5 ოლქი ჩამოუჭრიათ. იბერიამ ამ დროს დაკარგა სამი დიდი ოლქი — პარიადრის მთიანეთი, ხორძენა და გოგარენი, რომელიც მდებარეობდნენ იბერიისა და კოლხეთის საზღვარზე. ხალიბებისა და მოსინიკების თემებმა დაკარგეს თავისი აღმოსავლური რაიონები — კარინითი და დერჩენა. დერჩენა ახლანდელი დერჯანია, კარინეთი — კარნუ ქალაქის ანუ ერზრუმის ოლქი [114]. გარდა ამისა, ს. ჯანაშია კიდევ უფრო სამხრეთით მდებარე მხარეს — ხორძენასა და პარიანდრის ახლო მიმდებარე მთიანეთს, იბერიის სამეფოს უკავშირებს [115]. იბერიის ტერიტორიის სამხრეთით მდებარე მხარის ქართველთა კუთვნილების შესახებ დამოწმებულია სტრაბონის"გეოგრაფიაში", სადაც დაცული ცნობა ძვ.წ. II ს-ის ეკუთვნიას ბერძენ აპოლიდორეს, რომლის მიხედვით იბერებსა და არმენებს მდინარე არაქსი ჰყოფდა (Strabo, I, 3, 21).

ქართულთან მიმართებისას, ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ პერიოდში გამოვყოფთ (ანატოლიის ადგილას) პონტოს ქედის სამხრეთით ჩამოყალიბებულ პონტოს სამეფოს არსებობას, სადაც ბერძნებთან ერთად ცხოვრობდნენ ქართველი ტომებიც. ძვ.წ. II ს. პონტოს გაძლიერებას წინ აღუდგა რომი, რომელიც

---

113. Н. Адоиц, Армения в эпоху Юстиниана, СПб, стр. 62, 395. // ნარკვევები, გვ.457.

114. ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან XIX საუკუნემდე, თბ.,1943, გვ. 52.

115. ს.ჯანაშია, შრომები, II გვ.98.

აქტიურად ჩაერთო მცირე აზიის ქვეყნების საქმიანობაში და თელიდა მის ინტერესების სფეროდ. რომის წინააღმდეგ გამოსულმა პონტოს მეფემ მითრარიდატემ, ამ ბრძოლას აზიელთა საღვთო ომის ხასიათი მისცა, რომლის დროს რომი გამოდის გამარჯვებული. რომის იმპერიას სტრატეგიული თვალსაზრისით განსაკუთრებული დამოკიდებულება გაუჩნდა ამიერკავკასიის მიმართ. აქედან გამომდინარე საქართველო გახდა პონტოსა და რომს შორის სადაო სივრცე.

ძ.წ. VIII ს-ში წარმოქმნილი რომის იმპერია*, რომელიც ძ.წ. დასასრულს ფლობდა უზარმაზარ ტერიტორიებს, იგი ვაჭრობურთიერთობის ფართო ქსელს ამყარებს ბალტიისპირეთთან, არაბეთთან, შორეულ ინდოეთთან, მისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო გზაშესაყარზე მდებარე საქართველოში თავისი კუთვნილი მართველობითი სისტემის არსებობა, რომელიც კონტროლს გაუწევდა ჩრდილოელ მთიელთა მასობრივ ჩამოსახლების ტენდენციებს, ასევე სამომავლოდ, საქართველოზე გაელით ისახებოდა პერსპექტივა სავაჭრო-სატრანსპორტო ურთიერთობის დამყარებისა ჩინეთთან, შუა აზიასთან, ინდოეთთან. ამ მხრივ საინტერესოა პლინიუსის მიერ შემონახული რომაელი მარკუს ტერენციუს ვარონის ცნობა შედგენილი პომპეუსის ლაშქრობის შედეგების გათვალისწინებით. კერძოდ, აქ ლაპარაკია იმ საკარაუდო დროის მონაკვეთის შესახებ, რომლის შუალედში შესაძლებელი იქნებოდა რომის მიერ იბერიისა და კოლხეთის სამეფოების დაპყრობა. // Plin, NH, VI, 51-52). რეალურად რომაელი იმპერატორის პომპეუსის ლაშქრობისას

---

*ქალაქი რომი წარმოქმნა ძ.წ. VIII ს-ში პენინის ნახევარკუნძულზე (იტალია). ამ სახელწოდებით ძ.წ. III ს-დან ჩამოყალიბდა ძლიერი სახელმწიფო, რომელმაც დამორჩილა მთელი ევროპული კონტინენტი. კონტინენტური იტალიის ტერიტორიაზე ინდოევროპული ტომის – იტალიკების პირველი დასახლებები ჩნდება ძ.წ. X ს-ში. რომის ისტორიას გააჩნია სამი პერიოდი: 1. მეფეთა ხანიდან შემორჩენილია 7 მეფის სახელწოდება. მათ შორის დასახელებულია რომულუსი, ხოლო სამი უკანასკნელი მეფე ეტრუსკი იყო. მეფეთა პერიოდშივე ჩამოყალიბდა კლასობრივი საზოგადოება (პატრიციები და პლებეები); 2. რესპუბლიკურ ხანაში შეიქმნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. ძ.წ. IV ს-ში უმაღლეს მაგისტრატურაში დაწესდა პლებეების ხმის უფლება, ხოლო ძალუფლება სენატის ხელში იყო. კონტინენტური იტალიის მიწაზე ძ.წ. 265 წ. ბერძნული ქალაქების დამარცხების შემდგომ რომმა დაიქვემდებარა მთელი იტალია, ასევე მის საზღვრებს გარეთ. კართაგენთან 100 წლიანი ომის შემდგომ, იგი იმორჩილებს მაკედონიას, საბერძნეთისა და მცირე აზიის დიდ ნაწილს, აღწევს პირენეის ნახევარკუნძულს და იმორჩილებს იბერიელ ტომებს, პერგამონის სამეფოს. რომი მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო ხდება, რომელიც განაგებდა მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზს. 3. იმპერიის პერიოდი – ძ.წ. 27 – ახ.წ.ნ 193 წწ. რომის კულტურა ძირითადად შექმნილია რომის სახელმწიფოში შემავალი იტალიური (ლათინები, საბინები, ოსკები) და სხვა ხალხების (ბერძნები, პუნიკები, კელტები, იბერები) კულტურათა სინკრეტიზმის საფუძველზე. რომზე დიდი გავლენა მოახდინა ელინისტურმა კულტურამ, თავის მხრივ რომმა საფუძველი შეუქმნა მთელი რიგი ევროპული სახელმწიფოების კულტურებს. ძ.წ. III–II საუკუნეების მანძილზე ხდებოდა ლათინურ ენაზე ბერძნული ლიტერატურის თარგმნა. ძ.წ. I ს. რომის იმპერიის უმაღლესი აყვავების ხანა. // ქართული საბჭ. ენციკლოპედია, VIII, გვ.434-436.

ამიერკავკასიაში (ძ.წ. 65) მოყვა იბერიის დაპყრობა, განხორციელებული იქნა ასევე სტრატეგიული მიზანი: კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე გარნიზონების ჩაყენების სახით. კერძოდ, რომაელთა თავდაცვითი სისტემა არსებობდა დიოსკურიაში – (სებასტოპოლის), სადაც იდგა ცხენოსნების გარნიზონი, ასევე ფაზისში – 400 მეომარი, აფსარის(გონიო) სანაპიროზე – 600 რომაელი. ხელოვნებათმცოდნეების მიერ აღნიშნულია ამ პერიოდის ქართული კულტურაზე რომაულის გაელენის შესახებ. ასე მაგალითად, აღმოჩენილია დიონისეს წრის ნიღბები, ასევე რომაული სტილის ქანდაკებები, გავლენა აღინიშნება "ახალგორის განძის" – ქსნის ხეობის სოფელ საძეგურის (ლენინგორის რაიონი) აღმოჩენაში, ასევე ალგეთის ხეობაში, სოფ. წინწყაროში მოძიებული ნივთიერი მასალაში, რომაული კულტურის ანარეკლი ჩანს ვანის განათხარშიც. ახ.წ. II–III სს. პროკოპი კესარიელი აღწერს ქ. აფსაროსში (გონიოში) თეატრების, ჰიპოდრომების არსებობის შესახებ. რომაული კულტურის გაელენა იგრძნობა საყოფაცხოვრებო ნიმუშებში. ასე მაგალითად რომაულ სტილზე გამართულ აბანოების მშენებლობისას. რაც გააჩნია საკითხს, საქართველოზე რომის გაელენის პერიოდში "იბერიის სამეფოს" მდგომარეობას: ამ პერიოდისათვის იბერიის ფლობელობაში შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ტერიტორია, დასავლეთ საქართველოს მომიჯნავე ნაწილი, ასევე, ალბანეთის მოსახლეობის ნაწილი. აღსანიშნავია, რომ რომის იმპერია "იბერიის სამეფოს" არ მიიჩნევდა მხოლოდ იმპერიის პერიფერიად აღქმულ ქვეყნად, კერძოდ, რომაელი ისტორიკოსები ფლაეიუს არიანე, დონ კასიუსი წერენ II ს. დასაწყისში იბერიის მეფის ფარსმან II (ქველის) და რომის იმპერატორების: ანდრიანესთან და ანტონიუს პიუსთან მეგობრული ურთიერთობის შესახებ. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღსანიშნავია რომში, მარსის მოედანზე ქართველი მეფის – ფარსმანის ქანდაკების აღმართვა, სადაც რომის იმპერიის დედაქალაქში ქართველი მეფე თავის ამალასთან ერთად გაშლილი დროშით შედიოდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა იყო განმსაზღვრელი ფაქტორი მისი მუდმივი ჩართვისა მსოფლიო გლობალიზაციურ პროცესებში და ძირითადი პირობა ძლიერი იმპერიებისაგან საქართველოსადმი მუდმივი ინტერესისა.

ძველი წელთაღრიცხვის I ათასლეულის ბოლო ეტაპი გამოირჩევა თვისობრივად იმ პრობლემებით, რომელმაც გარდამტეხი მნიშვნელობა შეიძინეს საქართველოს ისტორიის განვითარების შემდგომდგომდროინდელ პერიოდზე. კერძოდ, ამ დროისათვის ქართველ ტომთა ლოკალიზება შედგა იმ ისტორიულ საზღვრებსა და გეოგრაფიულ სივრცეში, რომლითაც იგი, მისი ტერიტორიის დაუფლების მიზნით, შეიქნა მუდმივი ყურადღების ობიექტად და რომლისთვისაც ბრძოლა არ განელებულა. საკითხი დგას შემდეგნაირად: მაინც რა სტრატეგიული მნიშვნელობის

ტერიტორიის მფლობელია შეიქნა საქართველო, რომლისთვისაც ბრძოლა მას უხდებოდა და დღესაც უხდება მის შესანარჩუნებლად? უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ძ.წ. I ათასწლეულის ფარგლებში საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი გზების არსებობის აქტუალობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველო-ჩრდილო კავკასიის საკომუნიკაციო საშულებების განხილვა ანუ რა ინფორმაცია არსებობს კავკასიონის ქედზე გამავალი გზების შესახებ? ქართველი ტომების ცხოვრებაში კავკასიონის ქედის არსებობის საკითხი მეტად აქტუალურია, რომელსაც მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს არა მარტო ქართულ რელობისათვის, არამედ საზოგადოდ მის გარშემო მცხოვრები ტომებისა და ზოგადისტორიულ კონტექსტში მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით. ამ მხრივ, ძ.წ. I ათასწლული ქართველ ტომთა და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებთა ურთიერთობის უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდია, რომლის გარკვევა მოითხოვს არა მხოლოდ ისტორიულ-პოლიტიკური და ეთნიკური რელიების ანალიზს, არამედ ამ რეგიონთან დაკავშირებული ყველა სახის ფაქტობრივი მასალის გათვალისწინებას, რომელიც უნდა განიხილებოდეს შესაბამისი პერიოდის საერთო კულტურულ კონტექსტში, რადგან სწორედ კულტურული ფაქტორი წარმოადგენს. განმსაზღვრელ პირობას ძველი ეპოქის ფარგლებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და ტერიტორიული კუთვნილების ამოსაცნობად. ქართველ ტომებისათვის კავკასიონი არა მარტო დამცველი ზღუდე იყო, არამედ დამაკავშირებელი გზა შორეული მიგრაციისათვის. ამ პრობლემის აქტუალობაზე მიგვანიშნებენ არქეოლოგთა დასკვნები. კონკრეტულად ამ გზის გამოყენების არსებობაზე შესაძლებელია ვიმსჯელოთ ძ.წ. III ათასწლულიდან, როდესაც ევროპაში, ჩეხეთში (დევინის ნასახლარში) მოძიებული იქნა მეტალურგიული ნაშთები, ასევე იგი წარმოადგენდა გზას, რომლის საშულებით კოლხეთის სამეფოდან აღწევდნენ ჩრდილოეთ დნეპრისპირეთსა და ვოლგისპირეთში – განმტკიცებული კოლხური სტილის მსგავსი ბრინჯაოს ნაწარმის აღმოჩენებით. გარდა ამისა, იგი იყო უმოკლესი გზა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომებთან კონტაქტისათვის, რომლის მტკიცებულებას ვხვდებით ჩრდილოეთ კავკასიაში მოძიებული სხვადასხვა კულტურების ნივთიერ მასალის საფუძველზე. ამავე პირობით, საქართველოს შავიზღვისპირეთის ანუ "კოლხეთის სამეფოს" ჩრდილო-აღმოსავლეთით (თანამედროვე აფხაზეთი) და კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე საზღვრებისა და იქ მოსახლე ტომებთან ურთიერთობის საკითხი, თანამედროვე რელობის უაღრესად აქტუალური თემაა. რ. რამიშვილის თვალსაზრისით კულტურული კონტაქტი ჩრდილოეთ კავკასიასთან მყარდება ლიხისა და რაჭის ქედების გადასასვლელებით. ზ. კვიციანის მიერ სამიმოსვლო-სატრანზიტო გზის

აქტუალობა ძ.წ. II ათასწლეულებით არის აღნიშნულია, რომელიც ე.წ. კოლხურ-ყობანური კულტურების ურთიერთობის პერიოდს მოიცავს. ზ. კვიციანი ასახელებს სვანეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გამავალ 13 საუღელტეხილო მარშრუტს. მათ შორის სახელდება კლუხორის გადასასელელი (ზღვის დონიდან 2781 მ), რომელიც კოდორის ხეობიდან თებერდის ხეობაში ყველაზე ადვილად მისადგომად იყო მიჩნეული. ამ გზით სარგებლობდნენ ბერძნები, რომალელები, ბიზანტიელები და თურქები, რომელიც 1367 წელს გამოცემულ ვენეციურ რუკაზე იგი "უსახელო გზით" აღინიშნება. სვანეთის საკომუნიკაციო გზები ქმნიდნენ საკვანძო სისტემას – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მიმოსვლისათვის. ამავე დროს, იგი ხელსაყრელი გზა იყო შავ ზღვაზე გასასველელადაც [116]. საინტერესო ცნობა არსებობს შავი ზღვის გასწვრივ ყირიმთან საურთიერთობო გზის შესახებ, რომელიც დადასტურებულია არქეოლოგიური მასალის საფუძველზე. კერძოდ, ყირიმში, "ნიმფეის" არქაული ტაძრის გათხრისას, ძ.წ. VI საუკუნის მეორე ნახევრის ფენაში აღმოჩნდა კოლხური ე.წ. პითოსების (დიდი ზომის ჭურჭელის) ნამსხვრევები, კოლხურ ვერცხლის ("კოლხური თეთრი") მონეტებთან ერთად, ასევე პანტიკაპეის ექსპედიციამ აღმოაჩინა ძ.წ. VI–IV სს. კოლხური ქვევრებისა და დერგების ფრაგმენტები, იქვეა ნაპოვნი ძ.წ. VI ს. ჭრაქის ფრაგმენტი, რომელზედაც ამოკაწრულია წარწერა "kolxos" და მრავალი სხვა [117]. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა კოლხეთის ჩრდილოეთის ნაწილის დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიად აღიარებული, ისტორიული რეალიების წარმოდგენა, რომელიც ძ.წ. II საუკუნიდან სადაო სივრცე იყო ბერძნების, რომის იმპერიის, პონტოს სამეფოსაგან. საკითხთან დაკავშირებით გვინდა წარმოვიდგინოთ ინფორმაცია დღევანდელ საინტერენეტო ქსელში (vikipedia.ru) განთავსებული ბანიერ ნეტეორკის წერილი "კავკასია", სადაც თავი 5 ეძღვნება "დიოსკურია ანუ აკრძალული ქალაქები". ავტორს თავის 23 გვერდიანი წერილში აფხაზეთი ბერძნული ცივილიზაციის ნაწილად ჰყავს გამოცხადებული და უარყოფილია კოლხეთის სამეფოს არსებობა. უნდა შეგახსენოთ სწორედ ე.წ. აფხაზეთის ტერიტორია იყო ის სივცე, საიდანაც აღმოცენდა ძ.წ. III ათასწლულში ქართული ცივილიზაცია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ძ.წ. III–II ათასწლულის მიჯნაზე წარმოქმნილ კოლხური კულტურის კერად არის განსაზღვრული. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ცნობა შავიზღვისპირეთში ძველი

---

116. რრამიშვილი, ზ. კვიციანი, საქართველო-ჩრდილო კავკასიის საკომუნიკაციო სამუალები. კრებულში: კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები,VIII, თბ.,2000, გვ.53.

117. В. М, Скуднова, Находки колхидских монет и пифосов в Нимфее, ВДИ, М .,1952, №2, стр. 238-243

წელთაღრიცხვის ბოლოს 60-მდე სხვადასხვა ეროვნების არსებობის შესახებ, მათ შორის იყვნენ ინდოეთიდან მოსულებიც [118]. ამ ნიშნით, ისტორიულ სიღრმეებში ჩაუხედავ ნებისმიერ მსურველს შეუძლია აფხაზეთის სანაპიროზე პრიორიტეტის განაცხადის უფლებაზე ილაპარაკოს. ამავე დროს, უცხოელი ავტორის თამამი განაცხადი კვლავ შეგვახსენებს არაინფორმაციულობის შესახებ და ქართულ კულტურასთან დაკავშირებული სისტემური ანალიზის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების სესახებ კლავდიოს პტოლემაიოსი (ახ.წ. II ს.) თავის "გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში" წერს: "კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები, ზემოთ მდებარე ადგილებში – მანრალები (მეგრელები), რომლებიც ეკრიკიტის (ეგრისის) მცხოვრებნი არიან" [119]. პტოლემაიოსს მათ ზემოთ დასახელებული ჰყავს სვანების დიდი გაერთიანება, ხოლო კიდევ ზემოთ სახელდება მთიანი ნაწილი ე.ი. კავკასიონის ქედი. აფხაზეთის სანაპიროზე არტემიდორეს (ძ.წ. II–I სს.) მიხედვით დღევანდელი ნოვოროსიისკიდან ტუაპსემდე სანაპირო ზოლი ეკავათ კერკეტებს. იმავე ავტორის ცნობით ტუაფსეს სამხრეთით სოჭის რაიონამდე – სანაპიროს გასწვრივ ცხოვრობდნენ აქაელები, ხოლო აქაელებიდან სოხუმამდე – ჰენიოხები. ძ.წ. I საუკუნეში უნდა მომხდარიყო ადიღური ტომის – ჯიქების შემოსევა, რომლებიც დასახლდნენ კერკეტების ტერიტორიაზე [120]. მელიქიშვილის აზრით ჰენიოხები კოლხეთში მოსახლე სვანურ ტომად არის მიჩნეული, რომლებსაც ძ.წ. I საუკუნისათვის დიდი ტერიტორია ეკავათ. ისინი იყვნენ მეომარი ხალხი, რომლებსაც 200 000 მებრძოლის გამოყვანა შეეძლოთ. ამდენად, ბერძნული წყაროებით ძ.წ. I ს-ის ბოლოს კოლხეთის ტერიტორიზე იწყება არაქართული ტომის – ადიღების ჩამოსახლების პროცესი. ზოგადად გვინდა შევეხოთ იბერიის სამეფოს ურთიერთობას ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდებარე ტომებთან, რომლების, მიუხედავად კარგი მეომრული თვისებებისა, კულტურული დონით ბევრად ჩამორჩებოდნენ ქართველებს. ისინი ამ პერიოდისათვის ეწეოდნენ ნახევრადმომთაბარე ცხოვრებას. ეს იყვნენ სკვითურ-სარმატული ტომები, რომლებიც იბერიის სამეფომ გამოიყენა რომაელების წინააღმდეგ პომპეუსის ლაშქრობისას. რაც შეეხება ირანულენოვან სკვით-სარმატ-ალანთა ჩამომავლებს – ოსებს. ისინი კავკასიაში უფრო გვიან არიან შემოსულნი (ბაცბურ-ქისტურ ენაზე მეტყველი"ხაზართა" შთამომავლები). საქართველოს შავიზღვისპირეთში ძ.წ. II

---

118. ნ. კენჭოშვილი, ინდოეთი ქართულ წყაროებში, თბ.,1999.

119. ნ.ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსის, "გეოგრაფიული სახელმძღვანელო". იხ: "მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის",ბ.,1955,ტ.4; მისივე, ძველი ქართული მხარის – აფხაზეთის ისტორიისათვის, თბ.,2008.

120. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, § 5.ბ.

საუკუნეში — კოლხეთის სამეფოს დასუსტების შემდგომ პრიორიტეტი გადადის ბერძნების ხელში, რომლებსაც ძ.წ. VII საუკუნიდან შავიზღვისპირეთში ჰქონდათ თავისი ქალაქები. ამ მხრივ შავიზღვაზე გასასვლელი საქართველოს კიდევ უფრო მიმზიდველ ხდიდა.

ამდენად, ძველი წელთაღრიცხვის ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს — II–I საუკუნეებში საქართველოს გარშემო შემდეგ ცვლილებებს ჰქონდათ ადგილი: გაძლიერდნენ პონტოსა და სომხეთის სამეფოები. სომხეთის მეფემ, ტიგრან II პონტოსთან კავშირით გააფართოვა თავისი სამეფო მრავალი მიმართულებით — შეიერთა პართიის ჩრდილო-დასავლეთი მხარეები, ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანი, მისწვდა სირიასა და კილიკიის ნაწილს. პონტოსა და სომხეთის გაძლიერებას წინ აღუდგება რომი. ამავე დროს, პონტო ცდილობდა რომაელთა დაუდობელმა ექსპლოატაციით უკმაყოფილო ხალხის მიმხრობას. ამისთვის მითრიდატემ რომის წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლას აზიელთა საღმრთო ომის მნიშვნელობა მიანიჭა. მაგრამ პონტოს მეფის დესპოტია არანაკლები აღმოჩნდა რომის ძალაუფლებაზე. ოლოს, ძ.წ. 66 წ. პონტომ შეწყვიტა წინააღმდეგობა. შემდგომიწყება რომის საომარი მოქმედება სომხეთის, ალბანეთის, იბერიის წინააღმდეგ. პლუტარქეს, დონ კასიუსის გადმოცემით რომის წინააღმდეგ ბრძოლისას მოკლული იქნა 9 000 ქართველი და 10 000-ზე მეტი ტყვედ იყო წაყვანილი. ძ.წ. I ს. მე-2 ნახევარში, მიუხედავად რომში არსებული არამყარი მდგომარეობისა, რომმა დიდი ზიანი მიაყენა არა მარტო იბერიის სამეფოს, არამედ კოლხეთსაც. ქართველები ვერ შეურიგდნენ რომის ძალადობას. ამის უტყუარი მაგალითია, ყოფილი მონის, ვინმე ანიკიტეს მიერ, რომის იმპერატორ, ვესპასიანეს მეფობაში — ძ.წ. 69-ახ.წ. 79 წწ. ქართველთა აჯანყებისაკენ გამოწვევა. მათი აჯანყების შედეგად რომაელებისაგან გაიწმინდა ტრაპეზუნდი. მაგრამ იგი საბოლოოდ რომისაგან ჩახშული იქნა ქართველთა დამღუპველი გათიშულობისა და მიკერძოებულობის გამო. საბოლოოდ ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს კოლხეთის სამეფო აღარ წარმოადგენდა მთლიან ერთეულს, რომის პრიოვინციის სახითაც კი. მდგომარეობს ართულებდა ასევე უცხო მთიელ ტომთა მოძალება. მაგრამ ესტაფეტა გადაინაცვლებს აღმოსავლე საქრთველოში წარმოქმნილი "იბერიის სამეფოს" ჩამოყალიბების შედეგად. იბერიის მეფეთა სწორი პოლიტიკის შედეგი იყო, რომ პომპესუსის ლაშქრობის შემდგომ (ძ.წ. 65წ.), იბერიის სამეფო თანდათან თავისუფლდება რომის ძალაუფლებისაგან, რომლის დროს ქარტველმა მეფეებმა სწორად განსაზღვრეს რომის იმპერიის დასუსტება, რის შედეგად იბერიასა და როშს შორის მყარდება თანასწორუფლებიანი კავშირი. ამ დროს ჩაეყარა საფუძველი ნებაყოფლობით კავშირსა და ინტერესთა

თანხვედრილობას რომსა და იბერიას შორის [121].

ძ.წ. I ათასწლეულის ბოლო პერიოდი ქართველი ეთნოსისათვის დიდი დანაკარგების ხანაა. ეს ეხება უპირველესად ადამიანურ რესურსებს და მასთან ერთად დაკარგულ ტერიტორიებს. როგორც აღინიშნა, ძ.წ. I ათასწლეულის ბოლოს პოლიტიკურ ასპარეზზე წამოიზრდებიან ახალ-ახალი სახელმწიფოები. საქართველოს ისტორიის ნარკვევებში მოცემულია ძ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის რუკა, სადაც აღნიშნულია ქართველი ტომების ტიბარანების, ხალიბების, თუბალების, ტაოხების, სასპერების განსახლება მცირე აზიაში. აქვე მოხაზულია ე.წ. მცირე არმენიასა და თანამედროვე ერევნის შორის ალაროიდების განსახლების ადგილი. ამ პერიოდისათვის ქართველ ტომთა გარე სამყაროსთან სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობათა ფორმა იცვლება. გარდა ამისა, თანამედროვე საქართველოს ფარგლებში მომწყვდეულ ქართველ ტომებზე ადგილი აქონდა მუდმივ თავდასხმებს — ტერიტორიების მიტაცების მიზნით. საკითხთან მიმართების თვალსაზრისით ამ პერიოდის შემდეგი სურათია წარმოდგენილი: შავი ზღვისპირეთი ძ.წ. VII–VI სს. მოფენილი იყო ბერძნული ახალშენებით (დასავლეთიდან ჩრდილოეთამდე). ამ ეტაპზე კოლხეთის სამეფოში უკვე ბერძნული ახალშენები გამოდიან დამაკავშირებელ ფაქტორად გარე სამყაროსთან ქართველ ტომთა ურთიერთობისა, რომელიც იყო ერთგვარი ხიდი ქართველი ტომების ურთიერთობისა ანტიკურ სამყაროსთან. მ.ინაძესთან ვკითხულობთ: "დასავლეთ საქართველოს ნაქალაქარების არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად წინ წასწია ხმელთაშუაძღვისპირეთის ანტიკურინ ცენტრების, მათ შორის ათენისა და კოლხეთის ურთიერთდამოკიდერბულების საკითხის კვლევა. დადგენილია, რომ ძ.წ. VI ს. ბოლოს და ძ.წ. V ს-ის დასაწყისში სპარსელთა მიერ იონური ცენტრების განადგურების პერიოდში და ამის შემდგომ ხანაში ათენი გარკვეულ უპირატესობას აღწევს კოლხეთთან ურთიერთობაში, რის შედეგად მასში წამყვანი ხდება ანტიკური ნაწარმის ექსპორტი. მოკავშირეთა სახსრების გამოყენებისა და მათზე მეთვალყურეობის დაწესებასთან ერთად ათენს საშუალება ეძლევა ძ.წ. V ს-ის 30-იან წლების დასაწყისში ხელში ჩაიგდოს საღლებ-მიცემო ურთიერთობანი მთელ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და პონტოში და იგი თავის ფართო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს დაუქვემდებაროს." [122]. ამ პერიოდის სპარსეთ-ბერძნების დაპირესპირებისას უპირატესობა ეძლეოდა საზღვაო ფაქტორის გამოყენებას. კერძოდ, ადგილი აქვს ნავიგაციის განვითარებასთან დაკავშირებით

121.საქართველოსისტორიისნარკვევები,I,ტბილისი,გვ.434.

122. მ. ინაძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ.,1982, გვ.134-137.

ძლიერი საზღვაო ფლოტის არსებობას. სწორედ იგი გახდა უძველესი პერიოდიდან კოლხეთთან ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, როდესაც ბერძნებს კოლხეთის შავიძღვისპირეთიდან და პონტოს რაიონში მცხოვრებ ქართველ ტომებისაგან გაქონდათ გემთმშენებლობისათვის აუცილებელი საშენი მასალა, ოქრო, რკინა და ასევე კოლხი მონები. ამ მხრივ არსებობს ძ.წ. 415-414 წწ. დათარიღებული ათენის სასამართლოს აღმასრულებელი ოქმის სიაში კოლხი მონის საფასურის აღნიშვნა — 153 დრაქმა და სხვა [123]. მაგრამ საბოლოოდ ბერძნებმა კოლხეთში ფეხი ვერ მოიკიდეს, რადგან მათ ვერ შეძლეს პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევა, როგორადაც ეს მოხერხდა ჩრდილოეთ შავიძღვისპირეთში ბერძნული ორიენტაციის მქონე ბოსფორის სამეფოს წარმოქმნისას (დედაქალაქი პანტიკაპეა), რომელშიც შედიოდნენ არა მარტო ბერძნები, არამედ ბერძნული ორიენტაციის ელინიზირებული სკვითები, სარმატები, სინდები, მეოტები და სხვანი.

საქართველოსათნ მიმართების საკითხში ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა ასევე ირანი. კერძოდ, ძ.წ. VI ს-ში სპარსეთის მე-18 სატრაპიაში შემადგენლობაში შედის "იბერიის სამეფოს" სამხრეთი, ხოლო "კოლხეთის სამეფოს" სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი სპარსეთის მე-19 სატრაპიო ხდება, რომლის დროს ადგილი ჰქონდა პერმანენტულ შეტაკებებს სპარსელებთან. ამავე პერიოდში სამხრეთ საქართველოს საზღვრებზე მცხოვრებ ქართველიერ ტომს — კარდუხებს შეტაკებები ჰქონდა მის მეზობლად ჩამოყალიბებულ სომხეთის სამეფოსთან (არმენებთან). ქართველებს არმენებისგან ჰყოფდა მდ. კენტრიტი (თანამედროვე ბოთან-სუ). იქვე და ხალიბი, რომელიც სომხურ წყაროებში დასავლურ-ქართული ჭანების ტომის სახელწოდებით სახელდებოდა [124]. საქართველოს ტერიტორიის დაუფლების მიზნებიდან გამომდინარე, საბერძნეთისა და სპარსეთისაგან ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიის გულდასმით შესწავლას. ამას მოწმობს არა მარტო ლიტერატურული წყაროები არამედ ქართველი ტომების მიერ გზების გასწვრივ თავდაცვითი ნაგებობების და სხვადასხვა ქვეყნის ნუმიზმატიკური მასალის აღმოჩენები [125]. ამ მხრის ბერძენი სტრაბონის (ძ.წ. I ს.) მიერ თავის "გეოგრაფიაში" აღწერილია კოლხეთსა და იბერიაზე გამავალი გზების შესახებ, ასევე, ჩრდილო კავკასიასთან, აზეირბაიჯანსა და სომხეთზე გასასვლელი საარტერიო გზები, რომლებიც დღესაც აქტუალურად ითვლება. ამავე სტრაბონის მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე

---

123. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ 410

124. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, იგივე,416.

125. ო.ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავ ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო გზის შესახებ. კრებული: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIX, თბ.,1957, №3,გვ.380.

გადიოდა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის საავჭრო გზა, რომელიც ინდოეთიდან შავიზღვისპირა ქალაქებისაკენ მიემართებოდა, რომლის დროს შუა აზიის გამოელით ინდური საქონელი ჩამოქონდა კასპიისპირეთში, აქედან ალბანეთზე გაელით მტკვრის ხეობით დასავლეთ საქართველოში იტვირთებოდა (Strabon, Xi, 7,3.). კონტინენტური საბერძნეთისა და ასევე პონტოს რაიონში მცხოვრებ ბერძნებს კოლხეთიდან გაქონდათ ძირითადად გემთმშენებლობისათვის საჭირო მასალა, ასევე ოქრო, რკინა და სხვა ასევე კოლხი მონები. ამ მხრივ არსებობს ძ.წ. 415-414 წწ. დათარიღებული ათენის სასამართლოს აღმასრულებელი ოქმის სიაში კოლხი მონის საფასურის აღნიშვნა – 153 დრაქმა და სხვა [126]. სტრაბონის "გეოგრაფიაში" დაცულია წერილობითი წყაროები. მათ შორის ყველაზე ძველია პატროკლეს ჩანაწერები (ძ.წ. IV–III სს.). როგორც აღინიშნა გზების გასწვრივ დაარსდა ციხე-სიმაგრეები: უფლისციხე, წუნდა, ოძრახე, ასევე თავისი დატვირთვა ექონდა არმაზციხეს, სევსამორას, ბაგინეთს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სამხედრო თავდაცვითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად გაიზარდა მოთხოვნილობა საომარ აღჭურვილობაზე. კერძოდ, უკვე ძ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის ბოლოს ყოველგვარი იარაღი და საჭურველი საქართველოში მხოლოდ რკინისა იყო. ამ დროს რკინის ხარისხმა მიაღწია უმაღლეს დონეს: თავისი სიმაგრით, სისალითა და პირისმკვეთლობით. კალიანი შენადნობის წარმოებამ გაზარდა მეტალურგთა უსაფრთხოება და ნამზადის ხარისხი. კალამ და შემდეგ რკინამ მისცა ქართველ ტოპებს შესაძლებლობა დაემზადებინათ მაღალხარისხოვანი იარაღი და საჭურველი, რომლებიც თავისთავად გულისხმობდა მეურნეობისა და ქართველი ხალხის სოციალური ცხოვრების დონის ამაღლებას [127].

ძ.წ. VIII–VII სს. კიმირიელთაგან მცირე აზიაში მცხოვრები ქართველური ტომის – მესხების (მუშქების) განადგურების შემდგომ ისინი მოიწევიან საქართველოს სამხრეთ საზღვრებისაკენ. ჰეროდოტეს ცნობით აქამენიდური ირანის გაძლიერებისას სპარსეთის გამგებლობაში მოექცა სასპერები (პესპერები), ალაროიდებთან და მატიანებთან ერთად და იგი სპარსეთის მე-18 სატრაპიად ითვლებოდა (Herod, III, 94). "საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" ეკითხულობთ: "უფრო გვიან, ქსენოფონტეს დროს (ძ.წ. 401 წ.). ეს სასპერები (პესპერიტები, იბერები) დასავლურ-ქართულ (კოლხურ, როგორც ქსენოფონტე მათ უწოდებს "ფასიანებს") ტომებთან ერთად ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულში გაერთიანებულან, რომელსაც

126. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ 410

127. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 251,253. A. Mellart, History of metals, London,1960,84.

"დასავლეთ არმენია" ეწოდა. იგი მდ. ტელებოას (მურად-სუს) ჩრდილოეთით მდებარეობდა" [128]. აქედან გამომდინარე, ბერძნული "ფასიანებისაგან" განსხვავებით სპარსელებმა იგივე გაერთიანებას უწოდეს არმენია, რაც ადასტურებს წერილობითი წყაროების გადამოწმების საჭიროებას.

ამდენად, თანამედროვე საქართველოს საზღვრებში მცხოვრები ქართველი ტომებისათვის მათი საშობლო შეიქნა ქართველი ტომებისათვის ერთგვარ საბელისწერო თილისმად, რომელიც გამუდმებით ითხოვდა სულმოუთქმელ დაცვას. როგორც აღინიშნა, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის სტრატეგიული მნიშვნელობა გაცნობიერებული პქონდათ ბერძნებს, როდესაც ისინი ძ.წ. VII ს-ში შავიზღვისპირეთში აყალიბებდნენ კოლონიებს.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე საქართველოს ფარგლებში მცხოვრები დიდი სიერცისა და მრავალრიცოვანი ეთნოსის შთამომავლები — ქართველი ტომები, უკვე ძველი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან, ჩრდილო კავკასიის ტომებს იშველიებენ ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ, რაც საბოლოო ჯამში, მომავალი საქართველოსათვის, ბევრი პრობლემების წყარო შეიქნა. ამავე დროს, ძველი წელთაღრიცხვის მიწურულისათვის, ისტორიული რელობიდან გამომდინარე მუდმივ ომიანობაში მყოფ ქართველ ტომთა შორის ერთგვარ პარადოქსულ და ამავე დროს, ქართული ეთნოსისთვის დამახასიათებელ, მენტალური თვისებების ჩამოყალიბებსთან გვაქვს საქმე. მიუხედავად ისტორიული ძნელბედობისა, როდესაც ქართველ ეთნოს ყოველმხრიდან უხდებოდა თავის დაცვა, ქართველში არ ქრება აზროვნების პროცესი და საოცარი ერთგულება ერთხელ ჩამოყალიბებული კულტურული სახის მიმართ. სწორედ კულტურული სახის შენარჩუნება საბოლოოდ ჯამში თვითინდეფიკაციის დაცვით იყო გაზრებული, რომელიც მკვეთრად არის მოხატული ძ.წ. ბოლო საუკუნეების ოქრომჭედლობის ნიმუშებში. კერძოდ, ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს შექმნილი ოქრომჭედლობის ნიმუშებში შეიძლება დაკინახოთ თრიალეთისა და კოლხური კულტურების უშუალო გაგრძელება, ამავე დროს იგი ისეთი სრულყოფილებით არის შექმნილი, რომ ძნელია წარმოიდგინო, რომ იგი შექმნილი იყოს მუდმივი ბრძოლებისა და მუდმივი შფოთის დროის მონაკვეთში.

საკითხი დგას შემდეგნაირად: ძ.წ. I ათასწლეულში ქართულ კულტურაზე თუ იქნა ასახული გავლენა იმ კულტურებისა, რომლებიც ქართულ სამეფოებზე გავლენის მოპოვების მიზნით, ცდილობდნენ ერთგვარი კულტურული ექსპანსიის განხორციელებისას ქართველ ტომთა ცნობიერების გარდასახვას. ამ მხრივ

---

128. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, იგივე.

სხვადასხვა დარგებში არსებული სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველზე ზოგადად წარმოვიდგენთ თუ რას წარმოადგენდა ქრისტეშობამდელი საქართველო.



ძვ.წ. VI – IV ათასწლულები

ძვ.წ. IV – III ათასწლულები



ძვ. წ. III–II ათასწლეულები



ქართული სამყარო (ძვ.წ. VII – ძვ.წ. I სს.)

ძართული სამყარო (ძვ.წ. VII - ძ.ვ.წ. I სს.)

ქართულ სამეცნიერო წრეებში ქართველთა ეთნოგენეზის ანუ წარმომავლობის პრობლემა კვლავ აქტუალური რჩება. ცნობილ მეცნიერებს – ფრ. ჰომელს, ედ. აიერს, კიპერტს, ლემან-ჰაუპტს, ლენორმანს, ნ.მარს, დ.ტურაევსა და სხვებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ქართველი ტოპები მემკვიდრენი არიან შუმერების, ხეთების, ქალდეებისა და სხვათა. ამდენად, ქართველები ენათესავებოდნენ მსოფლიოს უძველესი კულტურის მქონე მოსახლეობას. XX ს-ში ჩამოყალიბდა რამდენიმე თეორია მსოფლიო ხალხთა ენობრივ სისტემაში ქართული ენის ადგილისა და სხვა ენებთან მიმართება-კუთვნილებასთან დაკავშირებით. მათ შორის აღსანიშნავია ნ. მარის ე.წ. "იაფეტური თეორია", ერთგვარი მსოფლიოს კავშირის იდეითა და მასში ქართულის უდიდესი როლის შესახებ. წარმოგიდგენთ ნ. მარის თეორიის სქემატურ მონახაზს. კერძოდ, წარღვნისაგან გადარჩენილი შთამომავლების: სემის, ქამისა და იაფეტის გენეოლოგიურ სქემას:

სემ	იაფეტ	ქამ
სემიტური	იაფეტური	ქამიტური
	ქართველურ – კავკასიურ – მედიტერანისტული	
	პელასგური ეტრუსკული	
	ბასკური	

ინდოევროპული

ქართველთა ეთნოგენეზთან დაკავშირებით ცნობილია ასევე გ. მელიქიშვილის, ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავას, თ. გამყრელიძის, რ. გორდეზიანის თეორიები. ამ მეცნიერებს აერთიანებთ ერთიანი შეხედულება – ქართველი წინაპრების დიდი საცხოვრებელი სივრცისა, და შესაბამისად, მათი მრავალრიცხოვნებისა და მნიშვნელოვანი წვლილის შესახებ მსოფლიო ცივილიზიციის განვითარებაში. ამ თეორიებს შორის სიმონ ჯანაშიას კონცეფცია წილად ხვდა დიდი გამოხმაურება, რომლის მიხედვით "უძველეს დროში, დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ, წინა აზიის უზარმაზარ მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთის, აპენინის და

საქართველო ქრისტეშობამდე პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში



პირენეის ნახევარკუნძულზე) ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. შემდეგ ამ მოდგმის ხალხთა ადგილსამყოფელი თანდათან იზღუდებოდა. ძვ.წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთა-სუბარები ქართველ ტომთა წინაპრები არიან ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიონამდე. საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნისათვის ჩამოყალიბდა კულტურის ორი წრე – დასავლური და აღმოსავლური, რომელიც ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამებოდა...." [1].

წარსულის ერთგვარი დაახლოების მიზნით ჩვენ გვინდა წარმოგიდგინოთ ყოფითი სურათი ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებში მცხოვრები ქართველისა. კერძოდ, ქრისტეშობამდელ საქართველოში რა ცვლილები განიცადა ძვ.წ. III ათასწლულიდან ცივილიზაციის საწყისებზე მდგარმა ქართველმა ეთნოსმა და "ოქრომრავალი კოხეთის" სამშობლომ, როგორი წესით ცხოვრობდა, აზროვნების რა საფუძვლების მატარებელი იყო უძველესი ეპოქის ქართველი, თუ რა წარმოდგენასა და რა დამოკიდებულებას აცლენდა სამყაროს მიმართ, რას ეთაყვანებოდა ანუ რელიგიის რა საფუძვლებს ემყარებოდა, როგორი სახის წარმართულ ტაძრებსა და საცხოვრებელ სახლებს აგებდა ივი, როგორ უდგებოდა ზოგადად ესთეთიკისა და სილამაზის საკითხებს, არსებობდა თუ არა ხელოვნების ტრადიცია: ცეკვა-სიმღერის სახით, როგორ იცვამდა, რა ჭურჭელს მოიხმარდა. აქედან გამომდინარე, გვაინტერესებს ისტორიულ ჭიდილში რა თვისებები ჩამოუყალიბდა ქართველს და არსებობდა თუ არა ამ უძველეს ხანაში თვითმყოფადი სახე ქართველისა.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველი ტომები მონაწილენი იყვნენ ცივილური საწყისების შექმნაში, რომლებმაც ევრაზიის კონტინენტზე მათ უშურველად გასცეს მეტალურგიასთან დაკავშირებული ცოდნა. ქართველი ტომებით დასახლებულ ვრცელ ტერიტორიებზე ჩნდებოდა ახალი კულტურები. მათ შორის ძვ.წ. II–I ათასწლეულებში, განსაკუთრებულად თანამედროვე თურქეთის არეალში, ასევე კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე, ქართველთა ტოტის არსებობისა იტალიასა და ესპანეთის მიწაზე, ან ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში სამხრეთ საქართველოს საზღვრებზე: ურარტუს სამეფოს გაჩენისას და სომხეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე. ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოების ჩამოყალიბებისას, იქ დარჩენილი ქართველი მოსახლეობა საბოლოოდ ერწყმოდა უცხო ეთნოსს. აქედან გამომდინარე, ძვ.წ. I ათასწლეულისათვის ქართველი ტომები უდიდესი დანაკარგის ფასად თანდათან თავს იყრიან თანამედროვე საქართველოს არეალში [რუკა – №1] და ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში ქართველი ეთნოსი იქცა მცირერიცხოვან ხალხად. ამ მხრივ საინტერესოა ძვ.წ. I

ათასწლეულისათვის რა ფიზიკური იერსახის მატარებელი იყო ქართველი: ანთროპოლოგიური მონაცემების საფუძველზე ცნობილია, რომ ქართველის ფიზიკური ტიპი დროთა განმავლობაში განიცდიდა ცვალებადობას. უკანასკნელ ცელას მიაკუთვნებენ ძვ.წ. I ათასწლულს, რომლის დროს, შინაგანი ევოლუციის საფუძველზე, ჩამოყალიბებულა ქართველის თანამედროვე ტიპი. მაბდუშელიშვილის აზრით ყირიმის ტერიტორიაზე მოძიებული პირველყოფილი ადამიანის ნაშთები მიეკუთვნებიან ე.წ. კრომანიონებს. გარკვეული მეცნიერთა თვალსაზრისით კრომანიონს ე.წ. "იბერიულ ტიპად" ასახელებენ [ფოტო – №2].

ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს ქართველ ტომთა შორის არსებულ ორ დიდ გაერთიანებაში – კოლხეთისა და იბერიის სამეფოებს გარე სამყაროსთან ურთიერთობის თვისობრივად განსხვავებული ფორმა შეინიშნება, რომელიც ბევრად იყო დამოკიდებული საგარეო პოლიტიკაზე. ამ პერიოდისათვის მსოფლიოში აღარ წარმოებდა ფართომაშტაბიანი მიგრაციული პროცესები, მაგრამ ადგილი ჰქონდა დიდი გაერთიანებების, ძლიერი სახელმწიფოებისა და იმპერიების წარმოშობას. ამასთან დაკავშირებით გაერცელებული იქნა მიწების აქტიური მიტაცება, რომლის დროს ხდებოდა მათი გავლენის სფეროში მოხვედრილი დაპყრობილი ხალხის კულტურათა ასიმილაცია. აქედან გამომდინარე, იცვლებოდა კულტურული ურთიერთობათა ხასიათი. ევრაზიის კონტინენტზე მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით, საქართველოს ფარგლებში პერმანენტულად წარმოებდა სხვა სახელმწიფოთა ან დიდ იმპერიათა შემოჭრის შედეგად უცხო კულტურის დანერგვის ტენდენცია. ისტორიული რელობიდან გამომდინარე, ამგვარ ფაქტს ადგილი ჰქონდა ქართველ ტომთა ტერიტორიებზე საბერძნეთის, რომის, განსაკუთრებით აქამედური (შემდგომში სეფიანთა) ირანის შემოჭრისას. ამავე დროს, მიუხედავდა არახელსაყრელი მდგომარეობისა, უძველეს ათასწლეულებში შექმნილი ქართული კულტურა ძველი წელთაღრიცხვის ბოლო წლებშიც არ ჰკარგავდა თავის თვითმყოფად სახეს და ერთგული იყო თავისი მემკვიდრეობისა. ამავე დროს, არქეოლოგიური ნიმუშების საფუძველზე კვლავ გრძელდებოდა ახლომდებარე სხვადასხვა ეთნოსებში ქართული კულტურული ღირებულების გავრცელების ტენდენცია. გარდა ამისა, ქართული კულტურის გავლენას ითვისებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის ბოლო პერიოდში ჩამოსახლებული ეთნოსები – ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიიდან და სომხეთიდან.

---

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ.97.

ამდენად, ძ.წ. I ათასწლეულში ქართველ ეთნოსთა საზღვრები თანდათან ლოკალიზდება და ჩნდება ერთგვარი ქართული სამყარო – თავისი ცხოვრების წესითა, ორიგინალური ფორმის, ფერის შერჩევა-შერწყმის თავისებური სტილისტური ნიშნებით. შესაძლოა სწორედ აუნაზღაურებელმა დანაკარგმა ეთნიკური ქართველი მიიყვანა ეროვნული თვიდეტიფიკაციის გაცნობიერებამდე და მის შენარჩუნება-დაცვამდე. მაინც რა იყო ძ.წ. I ათასლეულის ფარგლებში მოქცეული ეს ქართული სამყარო? ნაშრომის პრობლემასთან დაკავშირებით უპირველესად საინტერესოა საკითხი რა ენაზე ლაპარაკობდნენ ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელი წლებში მცხოვრები ქართველები? უძველეს ათასწლეულებში არსებული ერთიანი ქართველური ენის არსებობის შემდგომ ძ.წ. II ათასწლეულში მიეცა დასაბამი "ქართველური ენების ერთიანი ფუძე-ენის მქონე ეთნიკური მასის დიფერენციაციას. ამ დროს ფეხი გაიდგა ენობრივმა განსხვავებამ ქართველური ტომის ჩრდილოურ დაჯგუფებასა (სვანური ტომები) და სამხრეთულ დაჯგუფებას (ქართლისა და მეგრულ-ჭანური ტომები) შორის. ძ.წ. I ათასწლეულში ქართველ ტომებს უშუალო კონტაქტი ჰქონდათ ბევრ სხვადასხვა წარმოშობის ტომებთან" [2]. ამდენად, ერთიან ქართველურ ენის წიაღში წარმოიქმნება ქართველური დიალექტები. ამავე დროს, როგორც მსოფლიო ცივილურ პროცესებში მონაწილე ეთნოსს, ქართველები უნდა ჩართული ყოფილიყვნენ საერთაშორისო ენობრივ სისტემაში. ამ მხრივ საინტერესოა რა ენაზე შეეძლოთ ქართველებს ურთიერთობა სხვა ეთნოსებთან? აღიარებულია, რომ ხმელთაშუაზღვის აუზში შექმნილი კულტურებიდან ძირითადად შუამდინარეთი იყო მრავალი ტომებისათვის ცივილური საწყისების შექმნის საფუძველი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად, საერთაშორისო ენად მიღებული იყო შუამდინარეთში (ერაყი) შექმნილი აქადური ენა. მაგრამ ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ საუკუნეებში (ძ.წ. II ათასლეული), როდესაც აღარ არსებობდა შუმერული ცივილიზაცია და ეგვიპტემ, ფინიკიამ დაკარგა თავისი ძლიერება, საერთაშორისო ენად მიღებული აქადური შეცვალა (განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში) არამეულმა* ენამ. ამდენად არამეული იქცა საერთაშორისო საურთიერთობო ენობრივ საშუალებად და ძ.წ. VIII ს-დან ახლო აღმოსავლეთში იგი აღიარებული

---

2. ქართული საბჭ. ენციკლოპედია, ტ. II, თბ.,1981, გვ.49.

* არამეელები (ხირიელების ანუ "სურაის" ბერძნული სახელწოდება) სემიტური მოდგმის ხალხია, რ-ბმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ახლო აღმ. ხალხთა ისტორიაში. ძ.წ. XII-X სს-ში ისინი სახლდებიან ხირიასა და მესოპოტამიაში. ძ.წ. I ათასწლეულ. მე-2 ნახევარში არამეული ანბანი გაერცელდა მთელ ახლო აღმოსავლეთში. არამეული წარწერები ნაპოვნია: პალესტინაში, ასურეთში, ირანში, ამორკავკასიაში, კავკასიაში, ლიკიაში, ლიდიაში, კილიკიაში, ჩრდ.არაბეთში, ეგვიპტეში, ელამეთში, ინდოეთში. არამეული დამწერლობა საფუძვლად დაედო მთელ რიგ დამწერლობებს.

იყო ვაჭრობისა და დიპლომატიის ენად. აღსანიშნავია, რომ არამეული დამწერლობის ძეგლები აღმოჩენილია საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქალაქ მცხეთაში ნაპოვნია ორი სტელა, დათარიღებული ძვ. წ. II–I საუკუნით, რომელთაგან ერთი შესრულებულია არამეული დამწერლობით, ხოლო მეორე წარმოადგენს ბერძნულ-არამეულ ენებზე შემნილ ტექსტს, ასევე, დასავლეთ საქართველოში, შორაპანში, სოფელ ბორში აღმოჩენილი იქნა ანტიკური ხანის ვერცხლის პინაქი, რომელზედაც არის არამეული (არმაზული) წარწერა. მნიშვნელოვანი ფატია, რომ რომ საქართველოში აღმოჩენილი არამეულ ენაზე [3] შექმნილი ძეგლები წარმოადგენენ ე.წ. არამეული ენის ლოკალურ სახეობას. ცნობილია, რომ არამეულის ხშირი მოხმერების დროს მსოფლიოში წარმოიქმნილა 7-8 სახეობა – ერთგვარი ადგილობრივი არამეულისა, მათ შორის იყო საქართველოც, სადაც შეიქმნა არამეულის ე.წ. "არმაზული დამწერლობის" სახეობა (პირველად სოფელ არმაზში ნაპოვნი სახელწოდების მიხედვით). ქართველი ეთნოსის მიერ არამეული (სირიულ-ასურული) დამწერლობისა და მწერლობის დაუფლებას განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი აქვს ქრისტიანული პერიოდის ქართულ რეალობაში. რაც შეეხება ბერძნულ ენას. ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობამ და ძვ.წ. VII ს-დან კოლხეთის სანაპიროზე ბერძნული კოლონიების შექმნამ, კიდევ უფრო ინტენსიური გახადა ბერძნულ სამყაროსთან კულტურულ-სავაჭრო ურთიერთობის ხასიათი. ამდენად, ქრისტეშობამდე ქართველებს შეთვისებული ჰქონდათ ბერძნული ენაც: ვიერ კიდევ ძვ.წ. III-II ათასწლეულის მიჯნაზე კოლხ-პელასგების ცხოვრებისას კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე და შემდგომ კი შავიზღვისპირეთში ბერძნული სავაჭრო ქალაქ-ცენტრების დაარსებისას. ამიტომ იყო, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთში (ფოთთან) კოლხური აკადემიის (ახ.წ. II–III სს.) დაარსებისას იქ ქართველებთან ერთად სწავლა-განათლებას იღებდნენ ბერძნებიც.

უძველესი სამყაროს შეცნობის თვალსაზრისით საინტერესო ფაქტებთან გვექნება საქმე თუ მივყვებით იმ აზროვნების პროცესებს, რომელიც არსებობდა ძველი წელთაღრიცხვის პერიოდში ხალხთა წარმოდგენაში მის გარშემო არსებული სამყაროსა და მასში მიმდინარე მოვლენების მიმართ. აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ იმ უძველეს ეპოქებში ადგილი არ ჰქონდა თანამედროვე ადამიანის სამყაროში ერთგვარ გამიჯვნებს, როდესაც თანამედროვე ადამიანი მის გარშემო არსებულ მოვლენებს აღიქვამს ცალკეული შემეცნებების სახით: ასე მაგალითად ამინდს, კოსმოსს, წერის პროცესს, ან ცხოველთა სამყაროს, რელიგიასა და მასთან

---

3. კ. წერეთელი. არამეული ენა საქართველოში. კრებული: მნათობი, №6, თბ., 1966,გვ151; ქართული საჭ. ნციკლოპედია,I,გვ.537.

დაკავშირებულ რიტუალებსა და სიმბოლოებს (კვერთხი, ბარძიმი და სხვა). უძველესი ადამიანის ცნობიერებაში ყველაფერი ეს ერთიანი პროცესით იყო გააზრებული, რომლის დროს ყველა მოვლენა ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული და ერთმანეთისაგან გამომდინარეობით იყო გაცნობიერებული. სწორედ სამყაროსადმი ერთიანი აღქმის შედეგად იქმნება შუმერული დამწერლობა. ამ მოსაზრების განსამარტავად მივმართავთ უპირველესს ყოვლისა ბიბლიას. საკითხთან დაკავშირებით ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ნაშრომში გადმოცემულია ბიბლიაში აღწერილი ამბები, სადაც ვკითხულობთ: "ბაბილონის გოდოლის დაცემის შემდეგ ენათა აღრევის შედეგად წარმოქმნილი თავდაპირველი ხალხები გაფანტა უფალმა ღმერთმა დედამიწის ზურგზე" ...."დედამიწის ზურგზე გაფანტვის შემდგომ ადამიანებმა თანდათან დაივიწყეს თავიანთი წინაპრებისაგან გაგონილი და ნასწავლი გადმოცემები ღმერთზე. ჭეშმარიტი ღმერთის დავიწყების შემდგომ გავრცელდა ცრუმორწმუნოება, ზეციური და ქვეყნიური ქმნილებების თაყვანისცემა, ამიტომაც უხილავი ღმერთის მაგიერ თაყვანი სცეს მრავალ ცრუ "ღმერთებს", მათ გამოსახულებებს – კერპებს ემსახურებოდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ მათ. თანდათან კერპთაყვანისცემლად იქცა მსოფლიოს ყველა ხალხი, ამიტომაც უფალმა ინება დედამიწაზე ყოფილიყო ერთი ხალხი მაინც, რომელშიც დაცული იქნებოდა ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელსაც ეცოდინებოდა იგი და თაყვანს სცემდა მას და მხოლოდ მას. უფალმა ინება ასეთი ერი წარმოეშვა ერთი კაცის – აბრამის შთამომავლისაგან. აბრამი ჭეშმარიტი ღმერთის მადიდებელი იყო, წარმოშობით შუამდინარელი იყო, მისი მამის სამშობლო ქვეყანა იყო ქალდეა. ქალაქი ური. ამ დროისათვის ქალდეა ერქვა ქვეყანას მდ. ტიგროსიდან და მდ. ევფრატას შორის – თითქმის სპარესეთის ყურედან ბაბილონამდე (შუამდინარეთის ქალაქი). აქ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეპოქაში ჯერ შუმერები, შემდგომ ხურიტები და პროტოქართველების მონათესაეად მიჩნეული სხვადასხვა ტომები, სემიტებთან ერთად"[4], " ასე, რომ, ქალდეა არა მარტო აბრაამის წინაპართა სამშობლოა, ის ებრაელთა და ქართველთა პირველსამშობლოდანაც შეიძლება ჩაითვალოს" ..."აბრაამის მამის – თარრას – ქალდეველთა ურიდან გამოსვლის (დაბადება,11,31) დროიდან ქალდეა მართლაც ქართველთა წინაპართა ტომებით ყოფილა დასახლებული."..." დაბადებაში ნოეს ძის, იაფეტის შთამომავალთა შორის მოხსენიებული თობალი და მოსოხი – ქართველთა წინაპრებადაა მიჩნეული" [5].

---

4. ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, "ქართველთა წინაპრების ისტორია ბიბლიური ადამიდან იესომდე",თბ.,1994, გვ1; ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია,I,1951,გვ.403-404; ს.ჯანაშია,III,1959,გვ.195.

5. ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, იგივე, გვ.18,32,44.

რაც შეეხება კაცობრიობის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი ხაზოვანი ანბანური სისტემის წარმოშობას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ შუმერებმა ხაზოვანი ანბანური სისტემა შექმნეს ძვ.წ. IV ათასწლეულში. ამერიკელი არქეოლოგის ს. კრამერის მიხედვით შუმერული დამწერლობა გადმოიღეს ძვ.წ. III ათასწლეულში აქადში მცხოვრებმა სემიტებმა. მაგრამ თვით ანბანის შექმნის საიდუმლო ანუ რას ეფუძნებოდა ანბანის შექმნა – სემიტებისათვის უცნობი დარჩა. კერძოდ, ხაზობრივი ანბანში ჩამარხული კალენდარულ-ასტრალური, რელიგიური შინაარსი და მისი გრაფიკული გამომსახველობის გასაღები მათვის უცნობი დარჩა. ქართველ მეცნიერთა გამოკვლევების საფუძველზე დგინდება ქართულსა და შუმერულს შორის მსგავსება, როგორც ენობრივი თვალსაზრისით, ასევე თვით ანბანური სისტემის აგების თვალსაზრისითაც. კერძოდ, შუმერულსა და ქართულ ასომთავრულ ანბანს შორის არსებობს ურთიერთობის ღრმა საფუძველი. ამ მხრივ საინტერესოა ზურაბ ქაფიანიძის მიერ შემოთავაზებული ჩანახაზი, როგორც ერთგვარი ჩარჩო, რომელშიც თავსდება ყველა ასომთავრუკლი ანბანის ასო-ნიშანი – "ან"-იდან "ჰ"-ემდე. ეს არის რაჭასა და სამეგრელოში გავრცელებული ოთხკუთხა ფორმის, ჯვარედინად გადასერილი ერთგვარი გრაფა, რომელსაც "ბიქილას" [ფოტო–№3]ეძახიან. საინტერესოა, რომ ამგვარი ჩანახაზის ანალოგიური გამოსახულებას ეხედებით 1340 წლით დათარიღებულ ბიბლიაზე, სადაც ყდაზე გამოსახულია ბურგუნდიის ჰერცოგის, ფილიპე კეთილის მდივანი – ჟან მელო, რომელიც ნახატზე წარმოდგენილია ქალალდის გრაგნილზე წერის პროცესისას მისგან მარჯვნივ დევს ისეთივე გრაფიკული ნახაზებით შესრულებული ოთხკუთხა ფორმის ყუთი. ყუთის ზედაპირი დაფარულია იგივე "ბიქილას" ანალოგიური გეომეტრიული კვადრატული ფორმის ნახაზით. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ნახაზი იტევს მზისა და მთვარის კალენდრულ ანუ ასტრალურ ცოდნას. ეს იყო ერთი შეხედვით ის მარტივი კვადრატი, რომელიც იტევდა მასში განთავსებულ ყველა ასოს – გამომხატველს სხვადასხვა ანბანური ნიშნისა [ფოტო – №4]. სწორედ ამაში არის ის მსგავსება (ამავე დროს საიდუმლოება) შუმერულსა და ასომთავრული ქართულ ანბანებს შორის. კერძოდ, ასომთავრული ანბანის ყოველი ასო ჯდება კვადრატის გამოსახულებაში, ისევე როგორც შუმერულის. როგორც ცნობილია, კაცობრიობის პირველი წერილობითი ძეგლები აღმოჩნდა ქალაქ ურის ნანგრევებში, დათარიღებული ძვ.წ. 3 000 წ [6]. უძველესი თიხის ფირფიტებზე შესრულებული წარწერების ამოკითხვისას ამერიკელი მეცნიერის სემიულ ნოას კრამერის მიერ წაკითხული მოთხრობა ეხება დედამიწის გაჩენას, დედამიწის დაბადებას. საოცარია,

---

6. ს. ნ. კრამერი, ისტორია იწყება შუმერებიდან, გვ.16.

როცა ამ უძველესს ამბავსა და ანბანში ქართულ სამყაროსთან მსგავსი ერთი და იგივე ღვთაებები, მსგავსი ამბავია მოყოლილი: ანი-ქის, ლილეს, ასევე ამბავი სამყაროს გაჩენის შესახებ. აღსანიშნაია, რომ ძ.წ. 5 000 წლის თიხის ფირფიტაში შეგვიძლია ქართული ასომთავრულით ამოვიკითხოთ სიტყვა: ღარი, ქი (მეგრულად მიწა), ხარი. საკითხი დგას შემდეგნაირად: ქართულ რელობაში თუ არსებობს ნივთიერი მასალა ამ უძველესს პერიოდთან მიახლოებული ანბანის არსებობისა? ჯერ კიდევ ძ.წ. III ათასწლეულით თარიღდება ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის წინამძღვრები. კერძოდ, ამირანის გორაზე აღმოჩენილია თიხის ჭურჭელზე პიქტოგრაფიული წერის ნიმუში. აკადემიკოს შალვა ამირანაშვილიის მოსაზრებას იზიარებს რუსი მეცნიერი ბორის კუფტინი, როდესაც ქართველ ტომს "თობალებს" მიაწერს ხატოვანი (პიქტოგრაფიული) დამწერლობის შექმნას. რაც შეეხება ასომთავრული წარწერების არსებობის შესახებ, ძ.წ. II ათასწლეულით არის დათარიღებული კოლხური ცული, რომელიც აღმოჩენილი იქნა სოფ. ბრილში (რაჭა), ასევე იგივე ანბანურ ასოებს ვხედებით თრიალეთის თიხის ქოთანზე (ძ.წ. XVIII–XV სს), კოლხურ ოქროს ყელსაბამზე (ძ.წ. VI–V სს.) და წებელდაში (აფხაზეთი, 321 წ.) აღმოჩენილ ნივთიერ მასალაზე. ახალი წელთაღრიცხვის პერიოდში უკვე საყოველთაოდ ცნობილია V საუკუნეში შესრულებული ბოლნისის სიონისა და იერუსალიმის ქართველთა მონასტრის ქვაზე ამოტვიფრული ასომთავრულით შესრულებული წარწერები. ეს უკანასკნელი აღმოჩენილი XX საუკუნეში იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიუს კორბოს მიერ. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერს: "ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში მცირე აზიაში და არა საბერძნეთში უნდა ეძებოთ". როგორც ჩანს გამოჩენილი მეცნიერი გულისხმობდა ქალდების ანუ ქართების დამწერლობის პირველ ცდებს – გადმოცემულს ნიშან-ხატების (სიმბოლოების) სახით: ეს არის მზის, მთვარის, ლომის და სხვათა ის გამოსახულებები, რომელშიც ჩადებული იქნა გარკვეული აზრი, ასევე უძველესი კოლხ-პელასგების მიერ დამწერლობას. გარდა ამისა, უკვე ახალი წელთაღრიცხვის პერიოდის, კერძოდ, ქრისტიანული პერიოდის X საუკუნეში, ქართული ქრისტიანული კერის უშორესს მხარეში – სინას მთის (არაბეთი) მოღვაწე ბერი, იოანე ზოსიმე თავის თხზულებაში "ქებაი ქართულისა ენისაი" ერთგვარი გზავნილის სახით მის ანდერძში შთამომავლებს გვაფრთხილებს, რომ ქართულსა ენასა შინა საიდუმლო არისო დამალულიო. ეს მითოლოგიაა თუ რეალობა? როგორც ცნობილია უძველესს ათასწლეულებში ადგილი ჰქონდა ხალხთა დიდ მიგრაციულ პროცესებს და უშორეს კულტურულ კონტაქტებს. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ძ.წ. II ათასწლეულით თარიღდება XX საუკუნეში

"კოლხური ოქროდამწერლობის" ორი ნიმუშის აღმოჩენა: ერთია ჩვენს მიერ მოხსენიებული კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი "ფესტოს დისკო" * და მეორე საქართველოს მიმდებარე ტერიტორიზე – ელადიკაეკაზში მოძიებული ე.წ. კოლხური დამწერლობის ანალოგიური ფრაგმენტი. ისინი იეროგლიფური დამწერლობის არცერთ ნიმუშს (ეგვიპტურს, ხეთურს, შუმერულს) არ ექვემდებარება. სრულიად მიზანშეწონილი აღმოჩნდა მისი ამოკითხვა ქართველი მეცნიერის მიერ, რადგან მხოლოდ ქართულ აზროვნებამ შესძლო თავისი სადუმლოს გახსნა. კერძოდ, გია კვაშილავამ ხანგრძლივი (17 წ.) შესწავლის შედეგად გახსნა ფესტოში აღმოჩენილი თიხის დისკოზე გამოსახული ხატოვანი დამწერლობის შინაარსი. ქალღმერთისადმი მიძღვნილ საგალობელში თავმოყრილი აღმოჩნდა სვანური, ლაზურ-მეგრულის დილექტები ანუ საერთო ქართულის გამომხატველი შინაარსი. პრეისტორიულ ხანაში – ერთიანი ენის შესაბამისად, ადამიანებს ექნებოდათ ერთიანი მიდგომა და წარმოდგენა გარე სამყაროს მიმართ. ამასთან დაკავშირებით მ. წერეთელი თელის, რომ ერთიანი რწმენა-წარმოდგენათა კომპლექსში იარსებებდა "უპირველეს-ყოფილი" სარწმუნოება. ამ მხრივ ჩვენს ეპოქაშიც შემორჩენილია ერთი შეხედვით ამოუხსნები სიმბოლოები: ასე მაგალითად ძველეგვიპტუირიდან მომდინარე ზესკნელის ანუ მიღმური სამყაროსა და მარადისობის ნიშანი – " Q" . ქრისტიანულ სამყაროში იგი სასულერო პირთა ატრიბუტიკის, კერძოდ, კვერთხის მოყვანილობის მსგავსია. აღსანიშნავია, რომ ქართული ასომთავრული ანბანური სისტემა ასტროლოგიურ სიმბოლოებს უკავშირდება. ასე მაგალითად ქართული ანბანის დასაწყისი ასო "ა"–ნი მთვარის ფორმის სიმბოლოა. უძველესი ხალხისათვის ცნობილი იყო კავშირი დედამიწასა და მზეს შორის. ჩვენმა წინაპრებმა განჭვრიტე მზის ირგვლივ დედამიწის მოძრაობა,

---

"ფესტოს დისკო" – იტალიელმა არქეოლოგმა, ლუიჯი პერნიემ 1908 წ. 3 ივლისს, კუნძულ კრეტაზე ქალაქ ფესტოში აღმოაჩინა, დათარიღებული ძ.წ. 1850-1600 წწ. მ(ბრინჯაოს ხანა. Iგი არის თიხის ფირფიტა – 16 სმ დიამეტრის, 380 გრ-მის, ამჟამად ინახება სახერძნეთის პრაკლიონის მუზეუმში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქალაქ ელადიკაკაზში 1992 წ. დეკემბერშო ნაპოვნი "ფესტოს დისკოს" მსგავსი ფრაგმენტის აღმოჩენა (10 სმ დიამეტრიც) (ელ. კუზნეცოვი "კაკაზთის არქეოლოგიური ამოცანა",2001. ავსტრიელი მოყვარული ენათმეცნიერი პერბერტ ძიბიში "პელაზგური – იბერიული ენა", მან 1988 წ. ბუდაპეშტში XVIII სდ. საერთაშორისო კონგრესზე განაცხადა, რომ ფესტო წარწერის ენა ქართულია.) დასკვნა: (გვ334)კოლხი კორინანტების მიერ შექმნილი " კორიბიში ანუ წერილ-ფირფიტის – "ფესტოს დისკოს" წარწერის ენა ქართულერია, კერძოდ, კოლხური – მეგრულ-ლაზური. . დისკოზე ნაბეჭდი ტექსტი "კოლხური ოქროდამწერლობა" . გვ. 336 – მისი ტექსტი წარმოადგენს საგალობელს "ნანას", რომელიც ეძღვნება პელაზგურ-კოლხურ დიდ დედაღვთებას ნანას – რეა კიბელეს. ამოლინინის როდესლით: კოლხებმა შემოინახეს თავიანთ მამათა ნაწერები, ამოკვეთილი კირბებზე, ნერილსეტებზე, რომელზედაც აღნიშნული იყო მოგზაურთათვის დახეჭილი ზღვის და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი".(IV წიგნი, 275-281); აქვე – ბ. კუპატაძე. მსოფლიო ცივილიზაცია, თბ.,2005, გვ30

რომლის დროს დედამიწის გარემოქცევის პერიოდს წელიწადი უწოდეს, ხოლო თავისი ღერძის გარშემო მზის მოძრაობის გამოხატული წელიწადი დროებად დაყვეს: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთრის სახელწოდებით. საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც გრაფიკული გამოსახულება "T", სხვადასხვა ხალხმა: ძველეგვიპტელებმა, სემიტებმა, ბერძნებმა თავიანთ ანბანში ერთიდაიგივე მნიშვნელობით გაითავისეს და მას ასო "ტ"-ეს მნიშვნელობა განუსაზღვრეს. ამავე დროს აღნიშნულ ასო-ნიშანს სიმბოლური მნიშვნელობაც ენიჭებოდა, როგორც გამომხატველს ნაყოფიერებისა და სიცოცხლე-განახლების ნიშანს. აღნიშნულ ასო-ნიშანს შემდეგი სახელწოდებები მიეცა: იგი ცნობილი იყო როგორც "ეგვიპტური ჯვარი", ადრეულ ქრისტიანობაში მას იცნობდნენ "წმ. ანტონის ჯვრის" სახელით. ქართველების, როგორც ძველი ეთნოსის აზროვნებაში აუცილებლად უნდა ასახულიყო აღნიშნული უძველესი სარწმუნოებრივი სიმბოლიკა. კერძოდ, ქართველი ადამიანის საცხოვრებელ სახლში მან თავისი ადგილი დიმკვიდრა შუაცეცხლთან აღმართულ "დედაბოძში", რომელიც ოჯახის წმინდათაწმინდა ადგილად იყო მიჩნეული. რომაელი ვიტრუვიუსი (ძ.წ. I ს.) თავის არქიტექტურის ისტორიაში "ქართული დარბაზის" (ანუ "კოლხური სახლის")[ფოტო –№5]აღწერილობაში "დედაბოძს" განსაკუთრებული დანიშნულებას ანიჭებს, რომელსაც ეყრდნობოდა სახურავზე მოთავსებული ე.წ. გვირგვინი (საკვამლური), ასევე თავისი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა დედაბოძზე გამოსახულ გეომეტრიულ ნახაზებსაც (იგივე ჩუქურთმებს). საინტერესოა ფაქტია, რომ ქრიატიანობის პერიოდის სიმბოლიკაში იგი არ იქნა დაკარგული. კერძოდ, XI საუკუნის ქართული არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლში, სვეტიცხოველის ტაძრის ერთ-ერთ ბარელიეფზე გამოსახულია ოთხი ფიგურა, რომელიც განთავსებულია აღნიშნული ჯვრის ქვეშ [7].

ძველი წელთაღრიცხვის პერიოდის ქართველების შესახებ რეალურ წარმოდგენასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რელიგიურობის საკითხის წამოწევა. აღსანიშნავია, რომ მოსე წინასწარმეტყველამდე, ე.ი. ქრისტინობამდე, სამყაროს, ადამიანის, საზოგადოების შესახებ გვიყვება შუამდინარეული, კერძოდ, შუმერული მითოლოგია, რომელშიც ჩანს პარალელი ბიბლიურ ტექსტებში აღწერილ სიუჟეტებთან. კერძოდ, აქადურ ენაზე შესრულებული ჩანაწერებში ლაპარაკია ზეციდან პირველი კაცის – ენქის ჩამოსვლის შესახებ დედამიწაზე [8], ასევე,

7. მიხეილ გალდავა, ბიბლიური ნოეს ენა და რელიგია, I, 2004. აღნიშნული სამტომიანი ნაშრომი გამოუქვეყნებელია. გამოკვლევის გაცნობისათვის ავტორს ვუხდი დიდ მადლობას.

8. ჯ.ბარამენიძე, ძველი შუამდინარეთის კულტურა, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ. 1988, გვ.101.

უზენაესი ტრიადის შესახებ: ანუს, ენლილის, ენქის შესახებ, აღწერილია წარღვნის, დიდი ხომალდის აშენების, კიდობანს შეფარებული ერთი კაცისა და მისი მოდგმის გადარჩენის ამბავი. ეს იყო ის რწმენა-წარმოდგენა და ის მასალა, რომელიც სხვადასხვა ვარიანტებით იყო გავრცელებული ციეილიზებულ სამყაროში. იგი შემდგომ ბიბლიურ საკითხავებში გადმოსცა ქრისტიანულმა ტრადიციამ [9]. ამდენად, ძველი წელთაღრიცხვის პერიოდში მსოფლიოში გაჩნდა წარმართული სარწმუნოება და მასთან დაკავშირებული მრავალღმერთიანობა. საქართველოს ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის არქეოლოგიური აღმოჩენები, მატიანეები ("ქართლის ცხოვრება", "მატიანე ქართლისაი"), ასევე ქართული აგიოგრაფიული მწერლობა აღწერენ წარმართული პერიოდის საქართველოს შესახებ, რომლის დროს არსებობდა და იდგმებოდა წარმართული ღვთაებები, იგებოდა წარმართული ტაძრები. ქართველ ტომთა შორის წარმართულ რელიგიისათვის დამახასიათებელი მრავალღმერთიანობის არსებობასთან დაკავშირებით შეგვიძლია დავასახელოდ ღვთაება "ხალდი". ეს იყო მცირე აზიაში მოსახლე ქართველ ტომთა – "დიაოხის*" დიდი გაერთიანების მთავარი სალოცავი. მიჩნეულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წარმართული ღვთაებები ძირითადად მკვიდრდებოდა გარე სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად. ამ მხრივ საინტერესო სურათია წარმოდგენილი კერპების ანუ ღმერთების წარმომავლობის გარკვევისას, კერძოდ, ბერძენ არიანეს კოლხეთში აღწერილი აქვს ქალაქ ფაზისის (ფოთი) შესასვლელთან აღმართული ტახტზე მჯდომარე ქალღმერთის ქანდაკება [ფოტო–№ 6], რომელსაც ხელში საკრავი – კიმბალა ეჭირა, ხოლო ფეხებთან ორი გართხმული ლომი ეწვა. მას უკავშირებენ მცირე აზიის ქალღვთაებას "რეას". ქალის ცხოველთან ერთად წარმოჩენა გვიანი პერიოდის მოვლენაა, როგორც სიმბოლო ქალის ძალაუფლების გავრცელებისა მთელ სამყაროზე, ლომი ასევე ღვთაებრივი ბუნების მატარებელი იყო, რომლიც თავდაპირველად უკავშირდებოდა უძველესი პერიოდის ეგვიპტეს და შემდგომ იგი მთელ აღმოსავლეთში იყო გავრცელებული. რაც შეეხება ქართველების

---

9. Православная Богословская энциклопедия , IV, Москва ,,1903.

* დიაოხი: მცირე აზიაში ქართველ ტომთა გაერთიანება "დიაოხი" არსებობდა ძ.წ. III–II ათასწლეულის მიჯნიდან ძ.წ. VIII საუკუნემდე. როგორც აღინიშნა, ძ.წ. III–II ათასწლეულის მიჯნაზე მცირე აზიაში ჩამოყალიბდა ქართველ ტომთა დიდი გაერთიანება "დიაოხი" – დღევანდელი ერზრუმისა და მდ. ყარა-სუს ანუ დას. ეფრატის სათავეების რაიონში, აქედან იგი ერცელდებოდა ჩრდ-თი ისტორიულ ტაოს ტერიტორიაზე. ამ რეგიონში "დიაოხი" (ასურულად "დაიან") ძ.წ. XII ს-ში ყველაზე ძლიერი გაერთიანება ჩანს. მისი მეფე – სიენი სათავეში ედგა დიდ კოალიციურ გაერთიანებას, ასურეთის მეფის ტიგლათფელესერ I-ის შემოსევების დროს (ძ.წ. 1112), ძ.წ. IX ს-ში, დიაოხი უკვე მეგობრულ ურთიერთობაშია ასურეთთან. ძ.წ. IX–VIII სს მიჯნაზე დიაოხის დასუსტების ხანაა, რომლის შემდგომ ძ.წ. VIII საუკუნეში შეწყვიტა თავისი არსებობა.

მიერ ლომისადმი თაყვანისცემის ტრადიციის იგი ჩანს იმ მრავალრიცხოვანი აღმოჩენებით, რომელიც არსებობდა უძველესს ქანდაკებებში – სოფელ საირხის, ვანში, წინწყაროს, სამთავროს ველზე აღმოჩენილ მასალაში, ასევე ადრერკინის ხანის ჭედურობის ნიმუშებში – თრიალეთის გორასამარხში ნაპოვნ სარტყელზე. გარდა ამისა, ლომის გამოსახულებას ეპოულობთ ჩვენამდე შემორჩენილ ქართულ ვალიუტაზე (ფულზე) ე.წ. "კოლხურ თეთრზე" [ფოტო – №7], დათარიღებულს ძ.წ. VI ს-ით. აღსანიშნავია, რომ ლომს უკავშირდებოდა (ხშირად მასთან ერთად აღმეჭდილი) მზის სიმბოლო-გამოსახულება. მზესთან ქართველების დამოკიდებულებისას აქ შესაძლებელია საქმე გექონდეს კიდევ უფრო შორეულ წარსულთან, როდესაც უძველესს ხანაში – ძ.წ. VII–VI ათასწლეულში ქართველ ტომთა შორის ჩაისახა მიწათმოქმედების ტრადიცია. ამ მხრივ მზე იყო ნაყოფიერების მთავარი სიმბოლო. სრულიად ბუნებრივად, მზის სიმბოლო შემდგომ ქალის, როგორც განახლების სიმბოლოს მატარებელ – დედის სახესთან იყო შერწყმული და გაიგივებული. ამდენად, მზე ქართველთა წარმოდგენაში იყო დედა ღმერთი ანუ უმაღლესი ღმერთი. ამიტომაც ქართველ ტომთა აზროვნებაში იგი დაუკავშირდა ყველაფრის საწყისს: დედა-მიწას, დედა-ენას, დედა-ბოძს, დედა-ქალაქს, ადგილის დედას. მზისადმი განსაკუთრებული თაყვანისცემა ჩანს ასევე, ძ.წ. V–IV სს. დათარიღებულ ქართული ხელოვნების ნიმუშში, ქალის სამკაულის – საყურეს სახით. ეს არის ე.წ. "საზეიმო მორთულობის" ნიმუში, რომელსაც საკულტო დანიშნულების აღმნიშვნელად იყო მიჩნეული [ფოტო-№8]. მზისადმი თაყვანისცემას უკავშირებენ ასევე, მცირე აზიაში მცხოვრებ ხეთებს, როგორც "ათასი ღვთაების ქვეყანის" ადგილს, ასევე, მზის სიმბოლო შეეფასებულია როგორც საერთო ტენდენცია დამახასიათებელი აქამდური ირანის სამყაროს გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნისათვის. საინტერესო ფაქტია, რომ, ნივთიერი მასალისა და ლექსიკური საფუძვლების გათვალისწინებით, ქართულ გარემოში მას სხვა ფუნქცია და მნიშვნელობა მიეცა, ასევე საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე, როდესაც თანამედროვე საქართველოს საზღვრებში ეხვდებით სხვადასხვა წარმომაელობის ღვთაებების არსებობას. ეს მოვლენა შეიძლება დაუკავშირდეს უძველეს პერიოდში ქართველ ტომთა მიგრაციულ პროცესებს. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ "არმაზისა" და "ზადენის" წარმართულ ღმერთებს უკავშირებენ ხეთურ-მცირეაზიულ სამყაროს, კერძოდ მითრას კულტს, რომელიც ქართველი ტომებს, მუშქებს – მესხების წინაპრებს, შემოქონდათ. აღსანიშნავია, რომ წარმართული ღვთაების "არმაზისადმი" მიძღვნილი დღესასწაულოს მთელი ცერემონიალი აღწერილი აქვს არსენ ბერს (XI ს.) "წმინდა ნინოს ცხოვრებაში": ეს ის პერიოდია, როდესაც IV ს. დასაწყისში კაპადოკიიდან მოსული ნინო ქალაქ

მცხეთაში ესწრება არმაზის დღესასწაულს. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა არმაზის კულტთან დაკავშირებით: ზოგი მას აპურამაზდას უკავშირებს (გ.წერეთელი), ზოგი ქალდეურ "არანეს". ქართული ლიტერატურული წყაროების საფუძველზე ცნობილია, რომ არმაზის ქანდაკება აღმართული იყო მცხეთასთან, ხოლო რაც შეეხება ზადენს იგი მდ. არაგვის ნაპირზე – ზადენის გორაზე იდგა. აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მიუხედავად საქართველოში მითრას (არმაზის სახით) კულტის არსებობისა, მითრას კულტის მატარებელი ხალხის რელიგიამ – მაზდეანობამ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა. ეს არის ერთ- ერთი ღირშესანიშნავი ნიმუში ქართველის მიერ თვითდიტიფიკაციის დაცვისა [10]. საქართველოს საზღვრებში მოქცეულ არქეოლოგიურ ნამარხებში გვხდება რელიგიურობასთან დაკავშირებული მითოლოგიური ცხოველების გამოსახულებები. მათ შორის განსაკუთრებულად გამორჩეულია "ვერძი" (ცხვარი), რომელიც კოლხეთთან ასოცირდება. ამიტომ სრულიად გასაგებია ქართველების განსაკუთრებული დამოკიდებულება ცხვარის მიართ, როგოც გამოხატულება ოქროს ვერძის სამშობლოსი. მაგრამ მარნეულის გორასამრხის აღმოჩენამ დაგვარწმუნა, რომ ცხვარი გავრცელებული ყოფილა არა მარტო კოლხეთში, ძვ.წ. II ათასწლეულისათვის, "არგონავტების" მოსვლისას ქართულ მიწაზე, არამედ უფრო ადრე, V ათასწლეულიშიც, ე.ი. 6 000 წლის წინათ. კერძოდ, წმინდად დართული ცხვრის ბეწვისაგან დამზადებული ნართების აღმოჩენით. გარდა ამისა, არსებობდა ცსვრის ქანდაკების რამოდენიმე უძველესი ნიმუშები: 6 000 წინანადელი – აღმოჩენილი ურბნისში (ქვაცხელაზე), ასევე ძვ.წ. I ათასწლეულის II ნახევრით არის თარიღდება ხოვლეს გორაზე მოძიებული ცხვრის ქანდაკება მოძიოებული საკულტო ნაგებობის განათხარში, ამავე პერიოდის ბრინჯაოსაგან შესრულებული ცხვრის ფიგურა, არის ასევე შემთხვევა ამეთვისტოს მცირე ზომის თვალისაგან ცხვრის გამოსახულების შექმნა, აღმოჩენილი არმაზისხევის სარკოფაგში. შესაძლოა იგი წარმართული რელიგიის ატრიბუტი იყო. წარმართული რიტუალის შესასრულებლად ცნობილია სხვადასხვა დანიშნულების ტრადიცია. მათ შორის განსაკუთრებულად დამახასიათებელი და გავრცელებული ყოფილა მეღვინეობის ღმერთის – დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებები, რომლითაც ხშირად შემკული იყო სარიტუალო ჭურჭელი. ქალაქ ვანში აღმოჩენილი ნიმუში წარმოგვიდგენს ბერძნული წარმოშობის ელინუსტური ხანის, ე.წ. პერგამის წრის მხატვრულ პლასტიკას, დათარიღებულს ძვ.წ. II საუკუნით. შემონახულია ასევე ღვთაებებისათვის შესაწირად საღვინე40-ზდე ქვევრი, აღმოჩენილი ვანის ტაძრის

---

10 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ1978; ბ. ხიდაშელი, რიტუალი და სიმბოლო აერქაულ კულტურაში, თბ2005, გვ.72.

აღმოსავლეთ კედლის მხარეს. წარმართულ ღვთისმსახურებაში მელვინეობის გამოყენების ტრადიციის წინამძღვრებზე ლაპარაკობს ძ.წ. II ათასწლეულით დათარიღებული ვერცხლის ჭურჭელი, სადაც წარმოდგენილია წარმართულ რელიგიასთან დაკავშირებული სარიტუალო სცენა, სადაც ამაღლებულ ადგილას გამოსახულია ღვთაების ფიგურა, რომელიც ურიგებს სასმისებით ხელში მამაკაცებს ღვთაებრივ სასმელს, როგორც ჩანს განსაკუთრებული წესით მომზადებულ ღვინოს (ბარძიმს). გარდა ამისა, რეალურ ყოფაში გავრცელებული იყო სხვადასხვა დანიშნულების სიმბოლოების გამოყენება. მათ შორის გეხდებოდა გველის, როგორც სიბრძნის სიმბოლოს, ასევე ფასკუნჯების, ცხენების გამოსახულებები [11]. ქართულ სამყაროში (განსაკუთრებით მთაში) ასევე ადგილი ჰქონდა ტოტემური სიმბოლოების გამოყენებას. მათგან მგლის გამოსახულებებს ქართულ რეალობაში განსაკუთრებული დატვირთვა ეძლეოდა, როგორც სიმბოლოს თავისუფლებისა და დაუმორჩილებლობისა. ასე მაგალითად ძ.წ.XII–X სს. თარიღდება კოლხურ ცულზე შესრულებული მგლის თავი. სწორედ ვახტანგ გორგასალმა, ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნის გამოჩენილმა მეფემ და მხედარმთავარმა, თავის აღკაზმულობისას აირჩია მგლის სიმბოლო. აქედანვე მოდინარეა მისი ზესახელი "გორგასარ", რაც სპარსულად "მგლის თავს" აღნიშნავს, როგორც ნიშანს დაუმორჩილებლობისა.

რაც შეეხება საკითხს: თუ როგორ სახლებში ცხოვრობდნენ ძველი წელთაღრიცხვის ბოლო პერიოდში ქართველები, როგორი იერსახე ჰქონდათ იმ ხალხის საცხოვრისს, რომელთაც ათასწლეულების მანძილზე უნდა დაეცვათ თავისი კერა და თვითონაც უნდა გადარჩენილიყვნენ. ამ მხრივ საინტერესოა რა ფაქტობრივი მასალა არსებობს ქართული საყინრო ხელოვნებისა და არქიტექტურის თვალსაზრისით. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ცნობილია, რომ ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს ქართველებს ჰქონდათ საინჟინრო ხელოვნების დიდი გამოცდილება. უძველესს ეპოქებში მსოფლიოში გავრცელებული იყო უზარმაზარი ლოდებისაგან აშენებული ე.წ. ციკლოპური ნაგებობები. რაც შეეხება საქართველოს: აფხაზეთში, შირაქის ველზე, თრიალეთში, მესხეთ-ჯავახეთში, წალკის რაიონის სოფ. საბეჭდავში არსებობს ე.წ. ციკლოპური ნამოსახლარები, დათარიღებული ძ.წ. III ათასწლეულით, დიდი ლოდებისაგან აშენებული ე.წ. მშრალი წყობით, რომელიც განკუთვნილი იყო არა მარტო თავდაცვითი ნაგებობისათვის, არამედ საცხოვრებელადაც. უძველესი ათასწლეულებიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი ნაშთების საფუძველზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ არქიტექტურის

---

11. Н Ахметели Б Лорткипанидзе К вопросу участия индоевропейского этноса в куро-аракской культуре, იხ: კრებული: კავკასიის მაცნე, №3,2001.

სხვადასხვა ფორმებზე, რომელშიც ნათლად იქნა ასახული ქართველი ტომების გარე სამყაროსთან ურთიერთობის ნიშნები. როგორც ცნობილია, ძვ.წ. IV–III ათასწლეულებში შუმდინარეთში გავრცელებული იყო მრგვალი ტიპის სასახლეების მშენებლობა. ქართულ არქიტექტურაში ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება სიახლოვე მესოპოტამიის არქიტექტურასთან. ამ მხრივ ცნობილია ბაფადეის ე.წ. "ოვალურ ტაძარი" [12]. ამავე დროს, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია როგორც მრგვალი და ასევე ოთხუთხედი ფორმის ნაგებობათა ნამოსახლარები. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში (ამირანის გორა, ქვაცხელები, გუდაბერტყა) არსებობდა ტრადიცია სწორკუთხა სახლების მშენებლობისაც. ამ შემთხვევაში ხელოვნებათმცოდნეები მიუთითებენ ქართველების უშულო კავშირის შესახებ შუაზიურ-ეგეოსურ სამყაროსთან [13]. ამდენად, ძველი წელთაღრიცხვის პერიოდში თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებდა რამდენიმე სახის არქიტექტურული მშენებლობა: ეს იყო თავდაცვითი ნაგებობები – ციხე-სიმაგრეების სახით, საკულტო დანიშნულების წარმართული ტაძრები, საცხოვრებელი სახლები (მრგვალი და ოთხკუთხა ფორმის) და სასახლეები. საინჟინრო თვალსაზრისით ისინი ნაშენები იყვნენ ე.წ. უდუღაბო* წესით. საქალაქო სასიმაგრო ნაგებობების მაგალითია ე.წ. ვანის კარიბჭე, არმაზისხევის, ბაგინეთისა და კლდეკარის სარკოფაგები. საინტერესოა ძველბერძნების ცნობები კოლხეთისა და იბერიის არქიტექტურასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოგვიდგენენ ქართველი ადამიანის ყოფის რეალურ სურათს. ამ მხრივ ქრისტინობამდელ საქართველოში, ე.ი. ძვ.წ. I საუკუნემდე, გვაქვს ორი ბერძენი ავტორის: ქსენოფონტესა (ძვ.წ. IV ს.) და სტრაბონის (ძვ.წ. I ს.) ცნობები საქართველოს გაშენიანების შესახებ. ამავე დროს, ეს არის კიდევ ერთი საბუთი იმ დაინტერესებისა, რომელსაც იჩენდნენ ქართველებისადმი ძველი ბერძენი ავტორები. ბერძენთა ცნობებით კოლხეთისა და იბერიის სამეფოებში შენდებოდა როგორც ხისაგან ნაშენი სახლები, ასევე კოშკები. გარდა ამისა, მთის კალთებზე შენდებოდა ორსართულიანი ქვის შენობები. მაგრამ ბარში აგებული ხის საცხოვრებლები არ წარმოადგენდნენ მუდმივ საცხოვროვრისს, რადგან მტრისაგან თავის დასაცავად ქართველები ხშირად იხიზნებოდნენ მაღალ, მიუვალ გორებსა და კლდეებზე აშენებულ ციხე-ქალაქებში, რომელიც ან მდინარით, ან გარშემო შემოვლებული თხრილით იყო დაცული. [14]. ამდენად, ქსენოფონტეს კოლხეთში ყოფნის პერიოდში (ძვ.წ. IV საუკუნეში), ისე ძვ.წ. I საუკუნეშიც იყო საჭიროება,

---

12. Памятники мирового искусства. Искусства древнего Востока, Москва .,1968, стр. 43 .

13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I., გვ29

* საქართველოში ე.წ. დუღაბის შემოღება იწყება ძვ.წ. III საუკუნიდან. იხ: თ. ბატონიშვილი, ისტორია, 1848, გვ.75.

მტრისაგან მუდმივი საშიშროების პირობებში, თავდაცვითი შენობის არსებობის აუცილებლისა. კერძოდ, სტრაბონი აღწერს მტკვრისა და არაგვის შესართავთან კლდეებზე გამაგრებულ ქალქებს: არმაზციხეს და წიწამურს, ასევე, აღწერს დასავლეთ საქართველოს ქალაქებს, სადაც იგივე თავდაცვითი ციხე-ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე, ასახელებს შორაპანში მდებარე ციხე-ქალაქს. აღსანიშნავია, რომ თავდაცვითი ნაგებობების ნაშთები გვაოცებს თავისი გრანდიოზულობით. ასე მაგალითად, ძ.წ. IV–III. არმაზციხე (ზაპესის წყალსაცავის პირდაპირ მთაზე), რომელიც გაშენებული იყო 30 ჰექტარ ფართობზე, 4 კმ. სიგრძის გალავნით, კოშკებით, სადაც კედლები მშრალი წყობით – გათლილი დიდი ბლოკების სახით იყო ამოყვანილი. თავისი მაშტაბურობიდან გამომდინარე არმაზციხემ მიიქცია ბერძნების განსაკუთრებული ყურადღება. ბერძენი ავტორები არმაზციხეს სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ: სტრაბონი "ჰარმოძიკეთი", პლინიუსი "ჰერმასტით", კლავდიოს პტოლემაიოსი "ჰარმაკტიკათი". არმაზციხის ანალოგიური ძეგლი არსებობდა ქართლის სხვა ადგილებშიც, როგორიც იყო ზადენციხე. ბერძნები მას "სევსამორად" მოიხსენებენ ანუ "ღვთაება ზადენის ქალაქად", რომელიც აშენებული იყო ზედაზენზე, ასევ შეიძლება დასახელდეს გორის ციხის ანტიკური ფენა, ასევე გრანდიოზული კომპლექსი უფლისცის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ ძვ.წ. ბოლო საუკუნეებში ქართულ არქიტექტურასა და სამშენებლო საქმეში ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ ელინისტური საბერძნეთის გავლენის შესახებ: ასე მაგალითად სარკინეში – იონური კაპიტელის, უფლისციხის მაგისტრალური და ცენტრალური ქუჩების, კრამიტის მოხმარების თვალსაზრისით. [15]. ამასთან დაკავშირებით, ქართული არქიტექტურის ისტორია იცნობს ძველი პერიოდის იბერიისა და კოლხეთის ქართულ სახელმწიფოებში გამართული სამოქალაქო მშენებლობის შესახებ. კერძოდ, მთელ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. IV–III ს-ში აშენებული ყოფილა ელინისტური ტიპის ქალაქები. მსოფლიო არქიტექტურის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ძვ.წ. IV საუკუნეში მცხოვრები რომაელი ვიტრუვიუსის "არქიტექტურის ისტორია", სადაც თავის ათ ტომიან ნაშრომში განზრახული ჰქონდა თავის მოეყარა მთელი წარსულის არქიტექტურული და საინჟინრო მემკვიდრეობისათვის. მსოფლიო არქიტექურულ ნიმუშებს შორის თავისი საპატიო ადგილი უჭირავს ე.წ. "კოლხური სახლის" აღწერილობას*[16] [ფოტო – №5]. ამ მხრივ იმერეთის ულამაზესი სოფელი ვანი აღმოჩნდა ერთ-ერთი კერა, სადაც წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი სამშენებლო, ასევე ბერძნულ-ელინური ტრადიცია. ვანი გახლავთ

---

14. Т. Н, Чубинашвили, О взаимосвязях Кавказа к с переднеазиатской к в III тысяч. до н., Тб.,1964, ст 7.

15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, იგივე.

აგრეთვე თანამედროვე მკვლევარებისათვის დაუშრეტელი სიახლეების წყარო — ქართული კულტურული ღირებულებების წარმოდგენის მიმართ. ქართული კულტურის საინფორმაციო მოცულობის თვალსაზრისით საინტერესოა ასევე ქართველ ტომებთან დაკავშირებული ძ.წ. I საუკუნის ბერძენი სწავლულის - სტრაბონის მიერ შექმნილი "გეოგრაფია", სადაც მთელი თავები აქვს დათმობილი ცნობებს კოლხურ, ასევე იბერიაში აშენებულ კეთილმოწყობილი სახლების შესახებ. აქვე სტრაბონი გვიყვება თავისი კოლხური ფესვების შესახებ. აღმოჩნდა, რომ ცნობილი გეოგრაფ-ისტორიკოსი სტრაბონი დედის მხრიდან ქართველი, კოლხი წარჩინებული გვარის წარმომდგენელი ყოფილა. მისი ქართველი მიძა იმყოფებოდა კოლხეთის სამეფოს სახელმწიფოობრივ სამსახურის მაღალ თანამდებობაზე. სტრაბონის ახასიათებს კოლხეთს როგორც შესანიშნავ ქვეყანას — თავისი ნაყოფიერებით, გემთმშენებლობისათვის საჭირო ყველა მასალის არსებობით, სელის წარმოებით, ასევე, ხაზგასმულად აღნიშნავს იბერიის ქალაქებისა და სოფლების კარგად გამართულ სახლებს — კრამიტის გადახურვით, სავაჭრო მოედნებით, რომელიც შერულებული იყო ყველა არქიტექტურული ნორმების დაცვით. კრამიტის მოხმარება ამ პერიოდისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის აღმნიშვნელი იყო. გ.ყიფიანის გამოკვლევის თანახმად კოლხეთსა და იბერიაში აგურის ათვისებამ დიდი ძვრები მოახდინა ქართული მონუმენტური არქიტექტურის განვითარების პროცესში. არქიტექურისა და საინჟინრო ხელოვნების თვალსაზრისით საქართველოში მნიშვნელოვანია იყო საკულტო მშენებლობის წარმოება. ამ მხრივ თანამედროვე საქართველოს საზღვრებში მიმოფანტულია ბევრი წარმართული ტაძარის ნაშთები. ქართველი ხელოვნებათმცოდნეები წარმართული ტაძრების სახით აღნიშნავენ საქართველოში მონუმენტური არქიტექტურის განვითარების უწყვეტ გზას [17]. უპირველეს ყოვლისა სახელდება ცნობილი ვანის ტაძარი, ასევე დედოფლის მინდორი, ძალისი, ციხეაგორა, მცხეთის მიდამოები, საირხე, უფლისციხე, რომლებიც იძლევიან დამაკვირებელ ინფორმაციას ქართულ არქიტექტურაში საკულტო მშენებლობის თაობაზე. საინტერესოა საქართველოში რა სახის წარმართული ტაძრები არსებობდა? ძ.წ. VI–V სს. თარიღდება მცხეთასა და უფლის ციხეში

---

* "კოლხური სახლი" ეიტრუიუსით კვადრატული გეგმის მქონე სივრცეა, სადაც მნიშვნელოვანი ნაწილს წარმოადგენს სახლის სახურავი ანუ გვირგვინი, მასთან დაკავშირებულის ერდოი, კერძოდ, მორების პარალელური წყობისგან შედგენილი ერთგვარი ცრუ გუმბათის ფორმას თაღის დანიშნულებას ანიჭებს ერდო ანუ ოთახის ცენტრში (გუმბათის ქვეშ) დანიშნული ცეცხლი — როგორც ოჯახის გამთლიანების ნიშანი. ოდი განსხვავებული ფუნქციის მატარებელი იყო ვიდრე აქემენიური ირანის "აიადანას" ზორიახდტრული ცეცხლის ბუნებისაგან. // JI 3,Сумбадзе, Колхидское жилище по Витрувию,Тб., 1960; სტრაბონი, გეოგრაფია, თბ1957, გვ.127.

16. გ.გამყრელიძე. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ.,1982.

კლდეში ნაკვეთი კომპლექსების აღმოჩენები. ხელოვნებათმცოდნე გიორგი ყიფიანი "ქართული წარმართული საკულტო ტაძრების" გამოკვლევაში აღნიშნავს ქალაქ ვანში აღმოჩენილ ძვ.წ. V–IV სს. დათარიღებულ ხის ტაძრის ნაშთების შესახებ [ფოტო – №9], რომელიც იძლევა წარმართულ ტაძრების სამშენებლო ტექნიკისა და მათი კომპოზიციის არსებულ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ ტაძრის გეგმარების თვალსაზრისით ვანის წარმართულ ტაძარს რამდენადმე ზუსტი ანალოგი არ ეძებნება. თუმცა იმ პერიოდის რელიგიური დანიშნულების არქიტექურისათვის არსებობდა დაგეგმარების მკაცრად განსაზღვრული ფორმა, ეს იყო კვადრატი – აღმოსავლურ საკულტო ნაგებობების ძირეული გეომეტრული სახე. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ არსებული რელიგიური არქიტექტურა ეყრდნობოდა ყოფით ცხოვრებაში გავრცელებულ საცხოვრისების ნიმუშებს, მხოლოდ საკულტო ანუ რელიგიური შენებლობისას ხდებოდა მათთვის მონუმენტური იარსახის მიცემა და რელიგიურ მოთხოვნებისადმი დამორჩილება. ასე მაგალითად ეგვიპტური საცხოვრისი დაედო საფუძველად ეგვიპტურ – "სუზას", ირანის "აიადანას" გეგმა აქამენიდური ირანის სასახლეთა კომპოზიციის გადამუშავებაა, "მეგარონის" სტრუქტურამ წარმოშვა პერიპტერალური ტაძრები. რაც შეეხება ქართულ რელობაში არსებულ პარალელებს, კერძოდ, გ.ყიფიანი ასახელებს ქართული წარმართული ტაძრის ტაძარ-კარიპჭისთან ანუ "ციხე-სახლთან" კავშირს (ნახევრად საცხოვრისი, ნახევრად სიმაგრე), რომლის ნიმუშები შემორჩენილია ქ. ვანში და სვანეთში. რეკონსტრუქციის შედეგად აღნიშნული ხის ტაძარი კედელთა კონსტრუქციული თვალსაზრისით იძლევა საინტერესო სურათს: კედლები ამოყვანილია ხის მორების ურთიერთჭდობის საშუალებით, რომელიც დასტურდება ვიტრუვის კოლხური სახლის შენებლობაშიც. ვანის ხის ტაძარში აღინიშნება აღმოსავლური საკულტო ნაგებობისაგან განსხვავებული ტაძრის გადაუხურავი სივრცე და ღია გარშემოსავლელი. რაც შეეხება ქალაქ ვანში არსებულ ე.წ. ტაძარ-პროპილეუმს. იგი აგებულია ელინისტური სამშენებლო საქმის თითქმის ყველა ნორმის გამოყენებით, მათ შორის სამშენებლო საქმე და მორთულობის ელემენტები ბერძნულია, მაგრამ გათვალისწინებულია აგრეთვე ადგილობრივი ტრადიცია და ზოროასტრული ელემენტებიც, რომელიც წარმოადგენდა "აიადანასა" მოდელის საერთო ისტორიული პროცესის გამოხმაურებას. აღსანიშნავია, რომ თვით ირანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილი აქვს რელიგიური არქიტექტურის ელენიზაციას, ასევე, ირანელთა რელიგიაში გაჩნდა პარალელები ბერძნული ღვთაებების შესატყვისისაც. ასე

---

17. გ.ყიფიანი, კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბ.,2000; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.I,გვ.454.

მაგალითად აპურა მაზდა იგივე ზევსია, მითრა – იგივე აპოლონი და ჰელიოსია, ანაჰიტა – არტემიდაა. სრულიად განსხვავებული პროცესი ჩანს საქართველოში, რადგან აქ ელინიზაცია არა მოლოდ ცალკეული ფორმებისა და იდეების გადმოღებაა, რომლის დროს ბერნულ ღვთაებათა მრავალრიცხოვან გამოსახულებებს არ მოყვება შესატყვისი კომპლექსი და ტაძარი, ანუ არ შენდებოდა ბერძნული ღვთაებებისადმი მიძღვნილი მთელი კომპლექსები და ტაძრები, რადგან ღთაება ერთგვარი გასაიდუმლებული სახით იყო გაცნობიერებული. გიორგი ყიფიანი ქართული წარმართული ტაძრების გამოკვლევასთან დაკავშირებით წარმოგვიდგენს რამდენიმე წარმართულ ტაძარს: ვანის, დედოფლის მინდორის, ძალისის, ნესტაკისის, ციხეგორას, ქალაქ ვანის, მათ შორის ძვ.წ. IV–III ს. დათარიღებული ვანის ტაძარი წარმოადგენს წარმართულ ტაძრის დიდ ხუროთმოძღვრულ კომპლექს, რომელსაც აქვს დარბაზი, სარიტუალო მოედანი, კოშკურა-სამლოცველოსა და გარედან მიშენებული საკურთხეველით, რომელშიც მოხვედრა მასზე მიმდგარი კიბით იყო შესაძლებელი. აღნიშნული საკურთხეველის ფორმა, ე.წ. საფეხურიანი საკურთხეველის ტიპი, ბერძნულ სამყაროში იყო გავრცელებული, რომელიც ცნობილია ე.წ. "ცერემონიალური საკურთხეველით". ბერძნულის გარდა იგი გავრცელებული იყო ასევე მცირე აზიაში, სირიასა და ფინიკიაში, რამდენადმე სახეშეცვლილი სახით არსებობდა აქამედურ ირანშიც. ვანის სამლოცველოში არსებობდა ცეცხლის დასანთები ადგილი. აღსანიშნავია, რომ ტაძრის მშენებლობისას გამოყენებული იყო ქართული (კოლხურ-იბერიული) ბრტყელი კრამიტი, რომელიც განსხვავდებოდა ანტიკურისაგან. სხვაობაა ასევე სახურავის კონსტრუქციული თვალსაზრისით, კერძოდ, ქართულ ტაძრებს არ ჰქონდათ ბრტყელი სახურავი, არამედ ჰქონდა გვირგვინის ორქანებიანი კრამიტით დაფარული სახურავი. ვანის ტაძარი მიგვითითებს მასზედ, რომ ძირითადად ქართული წარმართული ტაძრების მშენებლობისას მიყვებოდნენ ბერძნულ სამყაროში დადგენილ ნორმებს. აქვე შემორჩენილია მიზაიკით მოხატული იატაკი და საკურთხეველი, ასევე სარიტუალო საგნები: რკინის სასაკმეველე ჯამი – დაფანჯრული კონუსური ქუდით, გარდა ამისა შემორჩენილია ბრინჯაოს ჭურჭელი – შემკული არწივის სამი გამოსახულებით, ასევე გამარჯვების ფრთოსანი ქალღმერთის (18 სმ) – ნიკეს გამოსახულება. ქართული წარმართული ტაძრების არსებობა საქართველოში არა ცალკეული შემთხვევაა, არამედ უკვე შემდგარი ტრადიციაა, სადაც ქართული წარმართული ტაძარი იცავდა არა მარტო ბერძნულ-ელინურ ტრადიციას, ასევე, უკვე ამ პერიოდის საქართველოში გავრცელებულ, აქამედური პერიოდის ირანული არქიტექტურული სტილის ნიშნებს – ელემენტების სახით. ცეცხლის სამლოცველო არსებობდა აგრეთვე უფლისციხეში. იგი ტიპიური ცეცხლის საკურთხეველის დეტალია –

განსხვავებული ბერძნულისაგან, სირიულ-ფინიკიურისაგან [18]. არქეოლოგმა იულონ გაგოშიძემ ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში კლდეში ნაკეთი ღრმა რეზერვუარი მითრას კულტს დაუკავშირა. ვანის კარიბჭე თვალსაჩინო ნიმუშია ძ.წ. IV–III ს-ის, აგებული ბერძნულ-ელინისტური და ადგილობრივი საშენებლო ტრადიციის საფუძველზე. აქ არის აგრეთვე ტაძრის ნანგრევები, ნაშენები თეთრი და ღია ვარდისფერი რიყის ქვისაგან (შედუღებული კირქვით), საკურთხეველით, მოზაიკური იატაკით, სარიტუალო საგნებით: რკინის სასაკმეველე ჯამი და დაფანჯრული კონუსური ქუდით (სახურავით). ჯამი მორთულია ორნამენტით. ამდენად ქართულ წარმართულ ტაძრებში ელინისტური თუ აღმოსავლური გავლენა არის ერთგვარი ზედნაშენი, რომელშიც იფარება ადგილობრივი ნიშნები. ძ.წ. VI–III საუკუნეებში სტრაბონით მოსხების ქვეყანაში არსებობდა სამლოცველო "ლევკატეა", რომელიც ააშენა ფრისკემ, სადაც წირავდნენ ცხვარს, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა საკულტო ადგილი იმისის გორასა და ამირანის გორას სახით. სამლოცველოებში სასმელი და ცეცხლი კულტმსახურების აუცილებელი კომპონენტები იყო. [19].

ქართულ ცნობიერებაში, რომ მუსიკას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ამაზე მიგვითითებს ის უძველესი წარმართული პერიოდის ქალღმერთის ნანასადმი მიძღვნილი გალობა, რომელიც ძ.წ. II ათასწლეულებში კუნძულ კრეტაზე კოლხ-პელასგების მიერ არის შექმნილი. შეუძლებელია მისი პანგის, ფღერადობის ამოხსნა. თუ მივადევნებთ ისტორიულ მსვლელობას ეს არის პერიოდი კოლხელი მეფის ასულის მედეას და მისი მამიდის – კირკეს ცხოვრების ხანა. ორივე კოლხი ქალბატონები კოლხეთიდან შორს – საბერძნეთისა და იტალიაში (ერთ-ერთ კონცხზე "კირკეიონი") იყვნენ გათხოვილები. ბერძნული წერილობითი წყაროების საფუძველზე ძველი წელთაღრიცხვის პერიოდში შეგვიძლია ვილაპარაკოთ საქართველოში არსებული მუსიკის ტრადიციის შესახებ, კერძოდ, სიმღერა-გალობის ტრადიციაზე. ძველ წელთაღრიცხვის პერიოდში არსებობს პირობა განვასხვავოთ ორი სახეობა: ეს არის საერო – სამხედრო და საეკლესიო სიმღერები, რელიგიური – წარმართული გალობა. ამასთან დაკავშირებით შემორჩენილია ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს ცნობა (ძ.წ. IV ს.), რომელიც თავის თხზულებაში "ანაბაზისი",

---

18. გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ.,1982, გვ.103; .საქართველოს ისტორიის ნარკვევები,I, გვ.741; Страбон, География, Москва., 1994,ст. 473-474; Гагошидзе Ю М Дохристианские храмы Грузии 1983; ო. ლორთქიფანიძე,ძველი კოლხური კულტურა, გვ.67.,77

19. Я. Н, Кикнадзе, Некоторые вопросы развитие храмового хозяйства древней Грузии.Историко-филологическиеи разыскания, Тб., 1980. ст. 37; გ ყიფიანი, კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხელოვნებისძეგლების წარმოშობის საკითხები, თბ., 2000. გვ77

კოლხეთში მოსელისას აღწერს ქართველ ეთნოსთა მაგიური როკვისა და უჩვეულო სიმღერა-გალობის შესახებ, რომელსაც ისინი ასრულებდნენ შრომისა და ბრძოლაში გამარჯვებისას. უფრო მოგვიანებით უკვე ახალწელთაღრიცხვის პერიოდში – არსენ ბერი (XI ს.) "წმინდა ნინოს ცხოვრებაში" აღწერს რა IV საუკუნის საქართველოში, ქალაქ მცხეთაში "არმაზისადმი" მიძღვნილ დღესასწაულს, აღნიშნავს ქართველთა "გალობა და ოხრის" ხმის შესახებ. გარდა ამისა, აქვე ასახელებს დღესასწაულში მონაწილეთა მუსიკალური ინსტრუმენტების – ბუკის, გამოყენების შესახებ. აქედან გამომდინარე, სარიტულო დღესასწაული სრულდებოდა ინსტრუმენტული მუსიკის თანხლებით, რაც მიგვითითებს ქართველებს შორის ინსტრუმენტალური მუსიკის ტრადიციზე, ასევე აღმოჩენილი სოფელ სტეფანწმინდაში მუსიკოსის ქანდაკებით – საკრავით ხელში, რომელიც თარიღდება ძ.წ. VI–V სს. და ძ. წ. III–II სს. დათარიღებული უფლისციხესთან აღმოჩენილი ქნარზე დამკვრელის ფიგურით. გარდა ამისა, ხაიშში აღმოჩენილია ოქროსაგან დამზადებული კომპოზიცია: მინიატურული სახლის ბაქანზწე მდგარი მუსიკოსის ფიგურა მაცხენა ხელში სალამურით, ასევე სახელდება ბრინჯაოსაგან დამზადებული მესაკრავე ჭაბუკი (ახ.წ. I ს.) [10]. ამ მხრივ გვინდა შეეეხოთ ქართულ რელობაში არსებულ მრავალხმონობის ტრადიციას. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში "ქართული მუსისკის ისტორიის ძირითად საკითხებში" წერს ქართული წარმართული მუსიკაში მრავალხმიანობის არსებობის შესახებ, რომლის დროს "ამავე გზით უნდა იყოს ხალხისათვის ჩვეული წარმართული საერო სიმღერის ჰანგები და ორ-სამხმიანობა ქართული საეკლესიო გალობისათვის მიერაც შეთვისებული" [21].

საქართველო ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც ადგილობრივმა ხალხმა ამავე ტერიტორიაზე განვლო ე.წ. ფილოგენეზური განვითარების ყველა საფეხური. კერძოდ, უძველესი ათასწლეულებიდან მომდინარე ქართველი ეთნოსი ფლობდა დათარიღებული ძ.წ. II ათასწლეულების შუა პერიოდით. ქართველების სამკურნალო სამკურნალო ხელოვნებას, უფრო მეტიც, როგორც აღინიშნა, სიტყვა "შედიცინას", უკავშირებენ კოლხი დედოფლის მედეას სახელს. თრიალეთის, ბეშთაშენის სამარხში აღმოჩენილია სამკურნალო მცენარეებისათვის გველის გამოსახულებიანი ჭურჭელი, ხელოვნების შესახებ მოვიშველიებთ ბერძენი პლუტარქეს ჩანაწერს (ძ.წ. 46-120 წწ.), რომელიც მიუთითებს კოლხი მედეას მიერ უშვილობისაგან განმკურნების

---

20. გ.ლომთათიძე, იტიციშული, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში,ის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XII,№10,გვ.646.. Л. Дзилсигури, Л. Джибладзе, Б. Мурванидзе, Древнейшие орудия Колхиды, // Кавказоведение №1, 2002 ст., 44.

21. ივ.ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები", თბ.,1938, გვ327.

შესახებ. წამალმცოდნე იყო ასევე მედეას დედა ჰეკათე და მედეას მამიდა – კირკე. ისტორიული ცნობებით, პონტოდან წასული კოლხი კირკე დასახლდა იტალიის ერთ-ერთ კონცხზე, რომელსაც კირკეს სახელის მიხედვით "კირკეონი" ეწოდა [22]. ძველ წელთაღრიცხვის საუკუნეებში მედიცინის, როგორც დარგის არსებობაზე მიგვითითებს არქეოლოგიური აღმოჩენები, კერძოდ, ძ.წ. VIII–VI ს. გველის რელიეფით შემკული გამოშწვარი ორსართულიანი თიხის ჭურჭელი – განკუთვნილი სამედიცინო იარაღების გამოსახარშად. ქართველთა მიერ საოპერაციო ხელოვნების შესახებ გვეუბნება ძ.წ. X–VIII სს. დათარიღებული ტრეპანაციის შემთხვევა, აღმოჩენილი ხევსურეთში. ამ ფაქტთან დაკავშირებით სამთავროს სამარხში აღმოჩენილია საოპერაციო იარაღები: 6 სხვადასხვა ზომის ბრინჯაოს ნემსისა და 13 პინცეტის, ასევე, ირმის რქისაგან გაკეთებული ხელსაწყო, რომელიც განკუთვნილი იყო სისხლის აღებისა და გამო შვებისათვის. რქისაგან დამზადებული სამედიცინო იარაღი ბოლოში მოღუნულიიყო და მოღუნვის ადგილას გაკეთებული ქქონდა ხვრელი. სწორედ იგი იძლეოდა საშულებას სისხლის პირით ამოსასრუტვისათვის, რომელიც საქართველოში XIXს-მდე იყო გავრცელებული. რომაელი პლინიუს უფროსი სეკუნდუსის (ძ.წ. 23-79) მიერ შემორჩენილია მისი "Hustoria naturalis", დაწერილი 37 წიგნად, რომელიც შეიცავს სხვადასხვა დარგების შესახებ ცნობებს, მათ შორის იგი ეხება ასევე მედიცინას. ამ უძველესს ენციკლოპედიური სახის ნაშრომში შეტანილია მედიცინასთან დაკავშირებული ცნობა, სადაც მითითებულია, რომ ყველაზე საუკეთესო ყოფილა ის მცენარე, რომელიც "კოლხიდაში" იზრდებოდა, ფაზისის ნაპირზე. ლაპარაკია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ "ზამბახის თუ კუთხუჯის" შესახებ, აქვე დასახელებულია კამის დანიშნულების შესახებ, როგორც მხედველობის გასაუმჯობესებელი საშუალება. გარდა ამისა, პლინიუსი უთითებს იმის შესახებ, რომ წლის რომელ დრო უნდა შერჩეულიყო წამლად გამოსაყენებელი მცენარე-ყვავილის მოკრეფა და დამზადება. პლინიუს სეკუნდუსის აღნიშნული ახსნა-განმარტების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება იბერიასთან დაკავშირებულ მცენარეულ საფარს [23].

ქართული სამყაროს ამოცნობის მნიშვნელოვან ინფორმაციის იძლევა ქართული საოქრომჭედლო ხელოვნება [ფოტო – №10]. აღსანიშნაია, რომ ძ.წ. III ათასწლეულის საოქრომჭედლო ნიმუშების შესრულების მაღალი დონის გათვალისწინებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მისი არსებობის უფრო შორეულ ფესვებზე. ქართული მეტალურგიის ისტორიის მკვლევარები ქართული ოქრომჭედლობის წარმომაელობის საკითხთან დაკავშირებით მიდიან დასკვნამდე, რომ

. 22. ბ. ერქომაიშვილი, კირკეს მითი და მისი ინტერპრეტაცია ანტიკურ ლიტერატურაში, თბ.,2002.გვ.41.

უძველეს ათასწლეულების ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები იქმნებოდნენ ქართველ მეტალურგ ტომთა გამოცდილების საფუძველზე. სწორედ ქართულ სამყაროში ჩამოყალიბებული სტილისტური ნიშნები და შესრულების ტექნოლოგია იყო განმსაზღვრელი პირობა ოქრომჭედლობის თვითმყოფადი სახის ჩამოყალიბებისა. გარე სამყაროსთან აქტიური ურთიერთობის შედეგად ქართულ კულტურაზე სხვა გავლენის არსებობის მიუხედავად იგი ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნისთვისაც ინარჩუნებდა თავის კულტურულ სახეს. მას მოწმობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: ვანი, საირხე, ითხვისი, ბრილი, მცხეთა, ყანჩაეთი, ბორი, ახმეტა აღმოჩენილი სამკაულები — დიადემები, საყურეები, სასაფეთქლეები, სამჯურები. მათგან ძ.წ. V–III სს. დათარიღებულ ვანის ოქრომჭედლობის ნიმუშებში აღინიშნება აქამედური ირანის, ელინისტური, რომაული ელემენტების გამოყენება, მაგრამ ძირითადად დაცულია ტრადიციული ქართული ოქრომჭედლობის სტილი, რომელშიც ჩანს ძველ კოლხური ხელოვნებიდან მომდინარე რთული ტექნიკის გამოყენება. ეს ეხება გრავირებითა და ფერადი ინკრუსტაციით (მინისებური ფერადი პასტის) შემკობილ ნიმუშებს, რომლებიც თავისი სტილისტური ნიშნებით ამკარა სხვაობას იჩენს ბერძნულსა და აქადურ (შუამდინარეთი) სამყაროში შექმნილ ნაწარმთან. ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებს აერთიანებს საერთო ხელწერა, რომელსაც ხშირად კოლხურსაც უწოდებენ. მათთვის დამახასიათებელია გაკარსის გამოყენება. იგი უხვადაა დაცვარული და შემკულია ცვარათ გამოყვანილი პირამიდებით, სამკუთხედებით, რომბებით, გვხდება ოქროზე ვერცხლით დაცვარვა, რაც ოქრომჭედლობაში იშვიათი მოვლენად არის მიჩნეული. ამდენად, III–II ათასწლულებისა და ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს შექმნილი ოქრომჭედლობის ნიმუშების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული განვითარების მანძილზე ქართველ ადამიანს ჩამოაუყალიბდა თავისებური ესთეტიკური გემოვნება და სტილი, რომელსაც იგი ინარჩუნებდა საუკუნეთა მანძილზე. ამ მხრივ თუ შევხედავთ ძ.წ. III ათასწლულისა და ძ.წ. ბოლო საუკუნეების საოქრომჭედლო ნიმუშებს დავინახავთ მათში საერთო ხელწერას: სტილისტური ფორმების, შესრულების ტექნიკის, ფერთა გამის შერჩევის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით, გვინდა აღვნიშნოთ ზოგიერთი ქართველი მეცნიერის უარყოფითი მიდგომა ქართულ კულტურაში "ოქროს ხანის" (XI–XII სს.), აღორძინების ანუ ე.წ. "რენესანსის" არსებობასთან დაკავშირებით. როგორადაც არ უნდა ვეცადოთ — ნივთიერი საბუთები და დიდძალი უცხოურ ენაზე ჩვენამდე მოსული წერილობითი საბუთები (ლურსმნული, ბერძნულ-რომაული) და არქეოლოგიური, ეთნოლოგიური მასალა იმაზე მეტყველებს, რომ ქართულ

23. К. Гам, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, Тф „1884, с. 153.

კულტურას გააჩნდა უძველესს ათასწლეულების ხანის მდიდარი წარმართული პერიოდის კულტურა. აღნიშნული საკითხის გაანალიზებისას გასათვალისწინებელია XI–XII სს-ში არსებული ამ პრობლემასთან დაკავშირებული მთლიანი აზროვნების პროცესი და არა ცალკეული დარგების არსებობა. ამასთან დაკავშირებით ზოგადად შეიძლება წარმოვადგინოთ XI-XII საუკუნეების ქართულ კულტურასთან დაკავშირებული მიღწევები: ეს ეხება ეფრემ მცირეს ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ნაშრომებს, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ღვაწლს, გელათისა და იყალთოს აკადემიების, საქართველოში და მის გარეთ საეკლესიო არქიტექტურის არსებობას, იოანე პეტრიწის თეოლოგიურ გამოკვლევებს, მეხოტბეების ლიტერატურულ თხზულებებს, ამავე პერიოდის საღვთისმსახურო ნევმირებული ტექსტების არსებობას და სხვა. აქედან გამომდინარე, ქართული აზროვნების ისტორიის გათვალისწინება იძლევა კულტურის ყველა ძირითადი სფეროს მაღალგანვითარების ნიმუშს, რომელმაც განაპირობა ქართულ კულტურის ევროპასთან შედარებით ორი საუკუნით უფრო ადრე ჰქონოდა ჭეშმარიტი აღორძინება ანუ ე.წ. რენესანსი. მაგრამ განსხვავებით ევროპელებისაგან, ჩვენ არა ანტიკური კულტურული ტრადიციების აღდგენით ვიყავით დაკავებულნი, არამედ საკუთარ წარმართულ კულტრულ ტრადიციებზე დაყრდნობითა და თანამედროვეობასთან შესაბამისი – ბიზანტიური, რომანული, სპარსული ღირებებულების გათვალისწინებით, კულტურის უფრო მაღალი მწვერვალებისაკენ მისწრაფვით, რომელიც დაგვირგვინდა შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანით".

სწორედ ტრადიციის გათვალისწინება გვაძლევს საშულებას ვიმსჯელოთ ქართველ ტომში გამოვლენილი ესთეტიურობისა და სილამაზისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ, რომელიც გამოვლენილი იქნა აგრეთვე ჩაცმულობასა და მასთან დაკავშირებულ ქსოვილის ხარისხის, ქსოვილის ორნამენტის, ასევე, სამოსთან დაკავშირებულ მორთულობების მოხმარების თვალსაზრისით. უძველესი ათასწლეულებიდან 4–5 ათასი წლის წინათ ქართველებს პირველადი მოხმარებისათვის, კერძოდ, ტანისამოსის შესაქმნელად გამოუყენებინათ მცენარეული ნედლეული: სელი, კანაფი და ასევე ცხვრის მარტყლი (უხეში დართვიდან ე.წ. მირინოსამდე), რომელშიაც იჩენდნენ დიდ დაოსტრატებას. გაეიხსენოთ თუნდაც ქობულეთთან აღმოჩენილი ფულის შესანახი ქისა. იგი იმდენად წვრილად ნაქსოვი ყოფილა, რომ ქარხნის ნაწარმს მოგაგონებდა. არსებობს ბელბერძენი ავტორების ცნობები კოლხი მეფის ასულის, მედეას ჩაცმულობის შესახებ. მათ შორის ძ.წ. ბოლოს უცნობი "ორფიკული არგონავტიკის" ავტორი აღნიშნავს მედეას თხელი საბურველისა და ნაზი წამოსასხამის შესახებ. კოლხელი მეფის ასულის მედეასთან დაკავშირებული 200-მდე ლიტერატურული ნაწარმოების

გარდა არსებობს ძვ.წ. V–IV სს. დათარიღებული ბერძენი მხატვრის მიერ კერამიკულ ჭურჭელზე შესრულებული ორი მხატვრული ნიმუში. პირველი წარმოადგენს კერამიკულ ლარნაკზე მოხატულ 19 ფიგურისაგან შედგენილ კომპოზიციას, რომელთა შორის მოთავსებულია კოლხი მედეასა და მისი მამის, მეფე აიეტის გამოსახულება [ფოტო – №11]. ნახატზე აღმეჭდილ ფიგურათა შორის თავისებური ჩაცმულობით განხვავდება მეფის ასული მედეა და მისი მამა, მეფე აიეტი. მედეას კაბაში შეგვიძლია შევამჩნიოთ მსგავსება თანამედროვე ქართულ ეროვნულ სამოსთან. კერძოდ, სამოსი შედგება ორი ნაწილისაგან, სადაც გარე კაბა წინ გახსნილია. იგი მსუბუქი, ღია ფერის დაჩითული ქსოვილისგანაა შესრულებული, შიდა კაბა იმავე ნაჭრისაა. სამოსს ყელთან მოვლებული აქვს ვაზის ულვაშის მსგავსი ორნამენტი. ინტერესს იწვევს კაბის მნიშვნელოვანი დეტალი: ზეიდან ქვედატანამდე კაბას ჩაყოლებული აქვს განსხვავებული ფერის ნაჭრისაგან შესრულებული ორი ბრტყელი ზოლი, ასევე, წელზე ორმაგადშემოვლებული სარტყელი, რომელიც ქართული ეროვნული კაბის სარტყელ-გულისპირის იმიტაციას ქმნის. გარდა ამისა, როგორც ქალის ისე მამაკაცის სამოსში, ანუ მედეასა და აიეტის სამოსის სახელოები შეხსნილი აქვს, რომელიც ძალიან ახლოებელია თანამედროვე ეროვნული კოსტიუმისათვის. ლარნაკზე მოთავსებული მეორე ნახატი უფრო გამოკვეთილად წარმოგვიდგენს მედეას ჩაცმულობას, რომელიც სტილური ნიშნებით და ორნამენტით, პირველის მსგავსია [ფოტო– №14][24]. ამდენად, საქმე გვაქვს კოლხელი ქალის ჩაცმულობასთან. რაც შეეხება კოლხი მამაკაცის მოხდენილ ჩაცმულობაზე მიგვითითებს ქსენოფონტე თავის "ანაბაზისში", ასევე, აპოლონიოს როდოსელი "არგონავტიკაში" ლაპარაკობს კოლხელი მეფე აიეტის მუზარადის ბრწყინვალებაზე და ოქროსფერ მოსასხამის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ისტორიული წყაროები ლაპარაკობენ ძვ.წ. IV საუკუნეში ოქრომკერდის კერვის და ასევე ქარგვის დახელოვნებულ ქართველ ოსტატების შესახებ. კერძოდ, ქართველ ტომებში არსებობდა ტრადიცია ტილოში ოქრომკერდის მიქსოვისა და მასთან ერთად გაერცელებული იყო ტანსაცმლის ოქროს კილიტებით შემკობა (ვანის სამარხში რკინის კერპს შემორჩენილი ჰქონდა ოქროს კილიტები). როგორც ჩანს იგი საზეიმო ჩაცმულობის ატრიბუტი იყო. საზეიმო ჩაცმულობის შექმნის ოსტატებს ჰქონდათ თავისი მეთოდი, როდესაც ისინი ოქროს წერილ ზონარს შეაგრეხდნენ სელის წმინდა ძაფს და ამგვარად მზადდებოდა ნაირსახიანი მდიდრული სამოსი. ძველი პერიოდის ქართველის გარეგნული იერსახის საერთო სურათის წარმოდგენისათვის ქართველი ქალბატონის ტანსაცმელს უნდა დაეუმატოდ მაღალ ოსტატობით შესრულებული სხვადასხვა აქსესუარების არსებობა: კილიტებს გარდა

24. თ.ყაბახიძე. კოლხური სამოსი. ეურნ. საბჭოთა ხელოვნება, თბ.,1980, გვ№9 გვ79-83. VI–V სს.).

იხმარებოდა ასევე ქამრის ბალთები. გარდა ამისა, ესთეტიურობის მდიდარი ტრადიცია ჩანს დახვეწილ ქალის სამკაულებში: მძივების, სამაჯურების, საყურეების, დიადემების თმის სარჭემებს სახით. ქართველების გარეგნული იერსახესთან დაკავშირებითი ძველბერძნული წყაროებიდან შეგვიძლია დავასახელოთ: ევრიპიდე (ძ.წ. 480-406 წწ), რომელიც წერს კოლხების ოქროთი გაწყობილი ქსოვის სამოსელის შესახებ, აპოლონიოს როდოსელი "არგონავტიკაში" აღწერს ქსოვილისა და სამოსის ბალთების მაღალი ხარისრის შესახებ, ქსენოფონტე (ძ.წ. IV ს.) თავის "ანაბაზისში" აღინიშნავს ქართველ ტომთა ჩაცმულობის შესახებ: დამზადებული სელისაგან, ასევე, ძ.წ. III ს. კალიმაქსი მიუთითებს აბრეშუმისაგან დამზადებულ ჩაცმულობის შესახებ, რომლის ნაშთები აღმოჩენილია სოფ. ბაგინეთის სარკოფაში. გარდა ამისა, კოლხები ცნობილი იყვნენ შალისაგან – ნაზმარტყლიანი (მერინოსის) ჯიშის კოლხური ცხვრის (უკუდო და კუდიანი ჯიში) ბეწვისაგან დამზადებული სამოსით, რომელიც თავისი მაღალხარისხოვნებით ეგვიპტურს უწევდა კონკურენციას, ამიტომ დიდი რაოდენობით მატყლის ექსპორტი იგზავნებოდა საბერძნეთში. ძველი წელთაღრიცხვის პერიოდის ქართველთა ჩაცმულობაში შეგვიძლია შევამჩნიოთ ფუფუნებისაკენ მიდრეკილება, რომელშიც ჩანს ზომიერება და დახვეწილი გემოვნება.

ქართულ რელობაში ესთეტიურობა იგრძნობოდა დახვეწილი ჭურჭლის გამოყენებასა და პირადი ჰიგიენის დაცვის საკითხში. ძველ საქართველოში ესთეტიური მხარის ერთ-ერთი გამოვლენად შეიძლება ჩითვალოს გვიანანტიკურ ხანაში ქ. მცხეთაში აღმოჩენილი აბანოს ნაშთები, კერძოდ, არმაზისხევის ერისთავთა სასახლის კომპლექსში და ბაგინეთის, სამეფო კარის რეზიდენციის შემადგენელი ნაწილი. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოში, ასევე ბიჭვინთის ნაქალაქარში, რომლებშიც აღინიშნება რომაული კულტურის გავლენა. რომაული სტილის აბანოებმა გავრცელება ჰპოვა ევრაზიის კონტინენტის განვითარებულ ქვეყნებში. მათ შორის თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნამარხების მიხედვით აბანოს მოწყობა შეიცავდა წყალგაყვანილობის რთულ კომპლექსს: გათბობის სისტემით, რომლითაც რეგულირდებოდა წყლის ტემპერატურა, სანიტარული ტექნიკას – სავენტილაციო და კანალიზაციის არხების გამოყენებით. გარდა ამისა, მასში განთავსებული სხვადასხვა დანიშნულების სათავსოებით: მათ შორის ცალკე გამოყოფილი გასახდელი ოთახით, რომელიც წარმოადგენდა ჰიგიენური დანიშნულების ერთიან კომპლექს. აღნიშნული ფაქტი ლაპარაკობს ძ.წ. II–I სს. საქალაქო ხუროთმოძღვრებისა და ქართველი ხაზოგადოების განვითარების მაღალ დონესა და მოთხოვნებზე. მათ შორის იგი ვრცელდებოდა ასევე ყოფით

ცხოვრებაში სამომხმარებლო ჭურჭელისა და ესთეტიურობის გამოვლენის კიდევ ერთ ფაქტორზე: ეს გახლავთ ნელსაცხებლების შექმნისა და მოხმარების ხელოვნება.

კოსმეტიკა და ჭურჭელის მოხმარებასთან დაკავშირებით არსებობს შემდეგი მასალა: მსოფლიოში ცნობილი, ეგვიპტის დედოფლის – ნეფერტიტის უძველესი კოსმეტიკის არსებობის გარდა, ძვ.წ. II ს-ის მოღვაწე ბერძენი პალეფასტე, კლიმენტი ალექსანდრიელი წერენ კოლხი მედეას შესახებ, რომელმაც პირველმა მიაგნო მცენარისაგან თმების შესაღებ საშუალებას [25]. გარდა ამისა, ძველბერძენი ავტორები მიუთითებენ მის მიერ ნელსაცხებელის დამზადების შესახებ. ქართველებს შორის კოსმეტიკის ფართო მოხმარებაზე მეტყველებს სელისაგან დამზადებული ზეთის არსებობა, როგორც საშუალება წამლებისა და კოსმეტიკის დასამზადებლად. ძველი წელთაღრიცხვის ბოლო წლებს მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფინიკიიდან, სირიიდან, ეგვიპტიდან შემოტანილი თანამედროვე მინის ჭურჭელი – დამზადებული ნაირფერი და განსაკუთრებით ლურჯი მინისაგან. იგი აღმოჩენილია თრიალეთის, მცხეთის, ვანის, ბრილის, ურბნისის და სხვა ადგილებში [26]. აღმოჩენები მეტყველებს არა მარტო ამ სახის ექსპორტის მოთხოვნებზე, ასევე ამ პერიოდში არსებულ კოლხეთისა და იბერიის ქართული სამეფოების გარე სამყაროსთან კულტურული ურთიერთობების შესახებ. განსაკუთრებულ ინტერეს იწვევს ალგეთში აღმოჩენილი მინის ფიალა, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს ძვ.წ. IV ს. დათარიღებულ კრეტაზე, მარიანში აღმოჩენილ ნამარხთან. უნდა აღინიშნოს, რომ, მინის ჭურჭლის მოხმარების ფაქტთან დაკავშირებით, არქოლოგიურ მასალაში გამოიყოფა ადგილობრივი ნაწარმიც, ძირითადად დათარიღებული ახ.წ. I საუკუნის, კერძოდ, სოფელ ახმეტიდან, ერწოს ველიდან, ასევე, ბორში, ურეკში სოხუმსა და ბიჭვინთის ნამარხების აღმოჩენების სახით. ამ ფატტენ დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რიონის და ზოფხითურას შესართავთან წარმოქმნილ ზეგანზე, სოფელ ბრილში ნაპოვნი ჭიქათნაწარმი პარალელს პოულობს ბერძნულ, ფინიკიურ, სირიულ და ეგვიპტურ ჭურჭელთან [27]. აქვე გვინდა აღნიშნოთ ქსენოფონტეს (ძვ.წ. IV ს.) თავის "ანაბასისში" ჩართული ინფორმაციის შესახებ, რომელიც მიუთითებს ქართველ ტომთა სამომხმარებლო კვების პროდუქტების შესახებ, სადაც ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს პროდუქციის სიუხვეს. კერძოდ, ელინების მიერ მოსინიკების ქვეყანის დარბევისას, ბერძნები მათ სახლში პოულობდნენ გასულ წელს აღებულ პურის დიდ მარაგს, ამფორებში დამარილებულ დელფინის ხორცს, ჭურჭელში შენახულ დელფინის ქონს, რომელსაც მოსინიკები ისევე ხმარობდნენ, როგორც ელინები ზეთს. ამავე დროს, ბერძენი ავტორი მიუთითებს ქართველთა როგორც მიწათმოქმედი ტომების შესახებ, რომელთა სახლი სავსე იყო ლითონის ჭურჭლითა და სხვა სიმდიდრით.[28].

ამდენად, ქართველი ადამიანის ცხოვრების სტილის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძველი წელთაღრიცხვის დასასრულისათვის იმ ლიტერატურული წყაროებისა და არქეოლოგიური ნაშთების საფუძველზე, რომლიც გამოაელენილი იყო სამეცნიერო დარგის სხვადასხვა სფეროებში, შესაბამისად ჩვენს მიერ თავმოყრილი იქნა ფაქტობრივი მასალა ქართველი ადამიანის ცხოვრებასთან დაკავშირებით. კერძოდ, გამოკვლევის შედეგად შესაძლებლობა გვაქვს ზოგადად წარმოვადგინოთ ერთგვარი სურათი – ქართველის მიერ, უძველესი ათასწლეულებიდან ცხოვრებასთან ჭიდილში, რა ხასიათის თვისებები ჩამოუყალიბდა მას. ამ მხრივ შეუძლებელია არ აღინიშნოს ქართველთა ხასიათის თვისებებში ტოლერანტობის უმნიშვნელოვანესი ფაქტის არსებობის შესახებ, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ისტორიის არავითარ კონტექსტში არ ჯდება: ეს არის ქართველ-ებრაელთა ურთიერთობის ისტორია, რომელმაც განაპირობა მსოფლიოში ქართველ ებრაელთა არსებობა. ეს გახლავთ საქართველოს მიწაზე ებრაელ ერთან 27 საუკუნოვანი თანაცხოვრების ფაქტი [29]. აღნიშნული მოვლენა ქართული მენტალიტეტისათვის დამახასიათებელი არა მარტო ტოლერანტობის ნიშანია, არამედ ებრაელ კულტურასან ერთან ურთიერთობის შედეგი, რომლებმაც ქართველებთან თანაცხოვრების მანძილზე არ შეუქმნიათ მიკერძოებულობის ნიშნები – ქართული მიწების მიტაცების თვალსაზრისით. სწორედ ამგვარმა თანაცხოვრებამ განაპირობა მსოფლიოში უპრეცენდენტო ფაქტის არსებობას – ქართველი ებრაელის ჩამოყალიბება. ქართული ისტორიოგრაფია ებრაელთა დასახლებას საქართველოს მიწაზე ათარიღებს ძვ.წ. VI საუკუნით, ასურეთის მეფის სარგონ II ისრაელი დაპყრობის შემდგომ (ძვ.წ. VIII ს.). ქართული მატიანე "ქართლის ცხოვრება" მიგვითითებს ებრაელთა თავდაპირველ საცხოვრისად იბერიის დედაქალაქს მცხეთას. 586 -671 წწ. ებრაელთა ახალი ნაკადის შემოსვლისას საქართველოში, მათ შორის იუდაველი ქრისტიანებიც იყვნენ, რაც არქეოლოგიური, ტოპონიმიკური, ეპიგრაფიკული და სხვა მასალებით დასტურდება. ამიტომ ბიბლიის ან ძისი ცალკეული წიგნების ქართულ ენაზე თარგმნა თავდაპირველად შესაძლებელია ებრაულიდან შესრულებულიყო. მეტად მნიშვნელოვანია, რომ, საქართველოს მიწაზე დასახლებულელთა შორის – განსხვავებით სხვა

---

25. აკ.ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონაუტების თქმულებებში, თბ.,1964 გვ.341.
26. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი. გვ.741.
27. საქართველოს არქეოლოგია, თბ.,1959, გვ.19. (ტ. გობეჯიშვილის გამოკვლევა).
28. მ. შენგელია, უძველესი კოლხურ-იბერიული შელტონა, თბ.,1973.
29. დ. ჩოჩიშვილი, ებრაულ-ქართული ურთიერთობის ისტორია ძვ.წ. VI ს-დან ახ.წ. IV ს-მდე, თბ.,2003; ე. მამისთვალიშვილი, ქართველები და ბიბლიური სამყარო, საკანდიდატო დისერტაცია. თბ.,1988

ეთნოსებისაგან, ებრაელებმა მიიღეს ქართული ენა და იერითთან ერთად ქართული მათ მშობლიურ ენად იქცა.

ქართველ წინაპართა ესთეტიკური გემოვნების განსაკუთრებული გამოვლენის ფაქტია ჩვენს გენში ჩადებული განსაკუთრებული დამოკიდებულება სიმღერა-გალობის მიმართ. ეს იყო გამოხატვის ის საშუალება, რომლის დროს ქართველი თავის უხილავ გრძნობებსა თუ ჭირ-ვარამს სიმღერაში აქსოვდა. ამის თვითმხილველი ქსენოფონტე თავის "ანაბაზისში" აღნიშნავს ქართველების უჩვეულო სიმღერისა და მაგიური როკვის შესახებ. ბერძენი ავტორისაგან ერთგვარ პატივისცემას იმსახურებდა კოლხთა უდიდესი სწრაფვა "თავისუფლებისადმი". ბერძენი ავტორი ხაზს უსვამს მათ თავდაუზოგავ ბრძოლისუნარიანობას, სილაღესა და ამაღლებულობას, როდესაც ქართველი ბძოლის წინ მღეროდა. ქსონოფონტე აღწერს იმ ბრძოლის ეპიზოდს, რომლის თვითმხილველი და მონაწილე იყო იგი: ეს იყო ტაოხების (დიაოხის) ბრძოლა ბერძნების წინააღმდეგ: თავისუფლებისათვის ბრძოლა მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობით – სიცოცხლის აზრით იყო დატვირთული, რომლის დროს ქართველისათვის სიცოცხლე და თავისუფლება ერთმნიშვნელოვანი იყო. ქსენოფონტეს დაწერილებით აღწერს ეპიზოდს თუ ბერძნებისაგან დაპყრობილი ქართველი მეომრები, ქალები ბავშვებთან ერთად თუ როგორ იჩეხებოდნენ უფსკრულში. (Xccn.,Anab.,IV,7,14). იგივე ხასიათია ოვისებებზე წერს რომაელი ისტორიკოსის პლუტარქე კოლხების შესახებ. იგი წერს, რომ იბერები არ ემორჩილებოდნენ არც სპარსელებს, არც მიდიელებს და მაკედონელთა უღელიც აიცილეს ("პომპეუსი",XXXIV). ისტორიამ შემოგვინახა ძ.წ. 69 წ. კოლხი ანიკეტის სახელი, რომელმაც მდაბიო წრიდან გამოსულმა, მის მეთაურობით აჯაყებულმა ქართველებმა უძლეველ რომს დაანახეს ის მომრიგებლობითი გზა, რომლის დროს შესაძლებელი იყო მშვიდობიანი თანაცხოვრება რომსა და ქართველ შორის. და ეს იყო ერთგვარი პირობის წარდგენა ძველი წელთაღრიცხვის უძლიერესი იმპერიის მიმართ, რომელმაც კიდეკაც ღირსეულად დააფასა თავდაუზოგავი მოწინააღმდეგეს შეუდრეკელობა. ამის აღსანიშნავად, რომში მოწვეულ ქართველ მხედრებს ნებართვა მისცეს გაშლილი დროშებით შესულიყვნენ საიმპერატორო ქალაქში და ქართველ მეფეს, ფარსმანს რომში, მარსის მოედანზე ქანდაკება აღუმართეს.

უძველესი ათასწლეულებიდან უშუალო კონტაქტში მყოფი – დღეს გამქრალ ცივილიზაციებთან, ქართველების კვალი ჩანს უზარმაზარ სივრცეში. ქართველ ტომთა განსახლების ასეთი ვრცელი ტერიტორიაზე ცხოვრებას სჭირდებოდა ხალხის მრავალრიცხოვნება. მაგრამ ამ არეალში ახალი ხალხების მიერ გაერთიანებებისა და სახლმწიფოების წარმოქმნისას, იქ მცხოვრები ქართველი

ტომები ზოგი დარჩა ათვისებულ მიწებზე და საბოლოოდ ჩაიკარგა, ზოგი დაუბრუნდა ადგილის დედას. თანამედროვე საქართველოს ტერიტორია აღმოჩნდა ის სივრცე, სადაც ამ უძველესს ხალხმა შესძლო გადარჩენა, რომელიც რეალურად XXI საუკუნის აქტიური გლობალიზაციური პროცესებში მცხოვრები თითოეული ქართველისათვის მნიშვნელოვანი და გამფრთხილებელი პირობაა – თავისი ცხოვრების წესის განსაზღვრისას და იმ მცირეოდენი წელილის შეტანის აუცილებლობით, რომელიც სჭირდება თავისი ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობასა და განახლება-განვითარებას. ამდენად, ქართველების შესახებ წარმოდგენილი სურათი გვარწმუნებს უძველესი ათასწლეულებიდან მოყოლებული "ქართველის" მრავალრიცხოვნებასა და დიდი სივრცეების მფლობელობაზე, მაღალ კულტურაზე, რომლითაც იგი მონაწილენი იყო მსოფლიო ცივილიზებული ხალხების სავაჭრო-კულტურულ სისტემაში. სწორედ კულტურული ტრადიციების დაცვა და მისი შემდგომი განვითარება იყო ის ნიშანი, რომლითაც ძველი წელთაღრიცხვის დასასრულისათვის, თავისი განვითარების დონითა და აზროვნების პრინციპებით ქართველი ადამიანი მზად იყო კაცობრიობის ისტორიაში ახალი მწიგნობრული რელიგიის – ქრისტიანობის შემობიჯებისათვის.















1



2




1


2

3





რეზიუმე

წარმოდგენილი სერიის: "ქართველები და გარე სამყარო", წიგნი პირველის სათაურია – "ქართველი ტომები ძ.წ. VII – ძ.წ. I ათასწლეულებში". ნაშრომი შედგება შემდეგი თავებისაგან: 1) აია-კოლხეთი; 2. უძველესი ქართველი ტომები; 3) ქართველი ტომები მსოფლიო მიგრაციულ პროცესებში; 4) ქართული სამყარო (ძ.წ. VII– ძ.წ. I სს.). ნაშრომს ახლავს ავტორის წინასიტყვაობა, ასევე სამ ენაზე (ქართულ, ინგლისურ, რუსულ) შესრულებული რეზიუმე და სხვადასხვა სახის ილუსტრაციები. გამოკვლევის მიზნიდან გამომდინარე, თავი მოუყარეთ ქართველ ტომებთან დაკავშირებულ მასალას, რომელიც არსებობს მეცნიერების სხვადასხვა დარგებში(არქეოლოგია,ეთნოლოგია,ანთროპოლოგია,ისტორიოგრაფია,ენათმეცნიერება, ფოლკლორისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა). ნაშრომი ეფუძნება ქართველი და უცხოელი მეცნიერების გამოკვლევებს, რომელიც მიძღვნილია მეტალურგიის, უძველესი ცივილიზაციების, ქვეყნების, გაერთიანებების ისტორიებს, ხალხთა მიგრაციებსა და კულტურულ-საგაჭრო ურთიერთობების საკითხებს. თავმოყრილი სამეცნიერო მასალის გამთლიანებისას ვეყრდნობით ინტერდისციპლინარულ მეთოდს და კულტუროლოგთა შეფასებებს.

წარმოდგენილი ნაშრომის გამოკვლევის შედეგი გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ ქართველ ტომთა წვლილის შესახებ მსოფლიო კულტურის განვითარებაში: ქართველი ტომები აღიარებულნი არიან მსოფლიოში მეტალურგიის როგორც დარგის შემქმნელებად. ძ.წ. II ათასწლეულში მცირე აზიაში მცხოვრებმა ქართველმა ტომმა, ხალიბმა მსოფლიოს ანუქა რკინა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნივთიერი მასალა მიგვითითებს ძ.წ. VII ათასწლეულში მიწათმოქმედების, კერამიკული წარმოების დამოუკიდებელი კერის არსებობის შესახებ. საქართველო მეღვინეობის სამშობლოა (ძ. წ. V ათასწლ.). საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნულია ნეოლითის პერიოდის ნაკეგაციის, მანუფაქტურის, ასევე განვითარებული ოქრომჭედლობის, მედიცინის როგორც დარგის არსებობის ფაქტობრივი მასალა. ძ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი იეროგლიფური დამწერლობის–"კოლხური ოქროდამწერლობის" ("ფესტოს დისკო") ნიმუში. სამეცნიერო გამოკვლევების, ლიტერატურული წყაროებისა და ნივთიერი მასალის საფუძველზე ლაპარაკია ქართველთა კვალის არსებობაზე ეგეოსური და ხმალთაშუა ზღვის აუზის კულტურებში, ასევე ქართველი მიგრანტების წვლილი შესახებ ბერძნულ-რომაული კულტურების საფუძვლების შექმნაში.

Summary

The work opens the serial publication 'Georgians and the Outer World'. Book I is called 'The Georgian Tribes in the 7th-1st Millenniums BC'. The research includes the following chapters: 1. Aea-Colchis; 2. Ancient Georgian Tribes; 3. Georgian Tribes in the Process of World Migration; 4. The Georgian World (the 7th-1st centuries BC). The work is introduced with the author's preface and is attached with summaries in five languages (Georgian, English, French, German and Russian) and various illustrations.

In view of the goal of the work, I brought together materials on the Georgian tribes pertaining to various fields of research: archeology, ethnology, anthropology, historiography, oriental studies, linguistics, folkloristics and art history. The work is based on the researches of Georgian and foreign scholars devoted to the histories of metallurgy, ancient civilizations, countries and unities. The integration of the scholarly materials is based on an interdisciplinary method and assessments by the specialists of cultural studies.

The results of the present research point to the role of the Georgian tribes in the development of the world culture: Georgians are believed to be the founders of metallurgy. The Georgian tribes inhabiting Asia Minor in the 2nd millennium BC, the Chalybes, contributed to the world their knowledge of iron welding. The finds recovered on the Georgian territory point to the existence of an independent centre of agriculture and ceramic production in the 7th millennium BC. Georgia is the homeland of winemaking (the 5th millennium BC); there is evidence of navigation, fishery and manufacturing on the territory in the Neolithic period; Georgia can also boast a long tradition of goldsmithery (from the 3rd millennium BC) and medicine (from the 2nd millennium BC). The hieroglyphic piece found on the Cretan island, the 'Cholchian goldwriting' commonly known as the Phaistos Disc dates to the outset of the 2nd millennium BC. Referring to scholarly researches, literary sources and archeological finds, the work dwells on the role of Georgians in the Aegean and Mediterranean regions and their contribution to creating the foundation of the Greek and Roman Cultures.

Резюме

Научный труд принадлежит серийному изданию: "Грузины и внешний мир". Название первой книги – " Грузинские племена в VII -I тысячилетиям до н. Э. Иследование состоит из следующих глав: 1) Ана-колхида; 2) древнейшие грузинские племена; 3) грузинские племена в семирных миграционных процесах; 4) грузинская среда (VII-I вв. до н. э.). Труд содержит предисловие автора, а также резюме, составленные на трех языках (грузинский, английский, русский) и различного вида иллюстрации. Исходя из цели исследовании мы собрали связанный с грузинскими племенами материал существующими в разных научных отраслях: археологии, этнологии, антропологии, историографии, востоковедения, языкознании, фолклористики, искуствоведения. Труд основывается на исследованиях грузинских и иностранных ученных, которые посвящены историяь – металургии, древнейших цивилизации и государств. Обьеденения собранного нами научного материала, опирается на т. н. интердисциплинарный метод и оценки культурологов.

Представленные результаты исследований дают нам право говорить о вкладе грузинских племен в развитие мировой культуры: грузинские племена признаны основоположниками отрасли металургии в мире. Живущие во II тысячилетий до н. э. в Малой Азии грузинское племя, халибов подарило миру знание технологии плавки железа. Найденный на територии Грузии предметный материал (VII тысячилетия до н.э.) указывает на существование независимого очага земледеоия и произвотство керамики. Грузия родина виноделия (V в. до н. э.). Во время неолита на територии Грузии установлена существование навигации, рыбаловства и мануфактуры, а также в III тысячилетия до н. э. традиции развитого золотых дел мастерства, а во II тысяч до н. э. традиции медицины, как отдельной отрасли. Началом II тысячилетием до н. э. датируется найденный на острове Крет образец "колхидской письменности", исполненый с помошью иэроглифной письменностью известный как "диск феста". На основе научных исследований литературных источников и предметных материалов следует говорит о сушествовании грузинского следа в басеинах эгеиского и средиземних морей об их вкладе в создание основ греко-римской культуры.